

ტ

ყ

მედიკალი,

პ.

სი



ვ

ფ



საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოება



კრებული „მწიგნობარი“ მოგვითხრობს  
წიგნის მოყვარულთა საზოგადოების  
ორგანიზაციებისა და აქტივისტების  
საქმიანობაზე,  
წიგნებსა და წიგნის უმეცნელებზე,  
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე,  
კიბებზე წიგნის სამყაროში,  
კვლ წიგნებზე,  
საზღვარგარეთის ქვეყნების  
წიგნის მოყვარულთა ცხოვრებაზე

# მედიკოსთა მეცნიერებათა საბჭოთავო საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემია

83



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი - 1984

002  
76.11  
002  
8 979



ირაკლი აბაშიძე

მთავარი რედაქტორი

სარედაქციო საბჭო:

ღვინთ კაკაბაძე

ჭიჭიკო კოლონია

ივანე ლოლაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

არჩილ მამისაშვილი

ელენე მაჭავარიანი

ოთარ მეთეშვილი

გივი მიქაძე

მისეილ მშვიდლოვაძე

ლილი ნუსუბიძე

ედუარდ სინარულიძე

კელთ ღელეშვა (პასუხისმგებელი მდივანი)

ცისანა ღლონტი

სოლომონ ხუციშვილი

ვახტანგ ჭავჭავაძე

მხატვარი

სპარტაკ ცინცაძე

კარლ მარქსი და წიგნი

მარქსის სულიერი ცხოვრების ინტიმური მხარეები თუ გინდათ გაიგოთ, უნდა იცნობდეთ მის ისტორიულ ოთახს ლონდონში, მეიტლენდ-პარკ-როუდზე. იგი მოთავსებული იყო მეორე სართულზე; ფართო ფანჯარა, რომლიდანაც უხვად შემოდოდა სინათლე, პარკს გადაჰყურებდა. კედელთან, ბუხრის ორივე მხარეს და ფანჯრის პირდაპირ წიგნებით სავსე, გაზეთებისა და ხელნაწერების დასტებით ჭერამდე გატენილი წიგნის კარადები იდგა. ბუხრის პირდაპირ და ფანჯრის ცალ მხარეს ორი მაგიდა მთლად სავსე იყო ქაღალდებით, წიგნებითა და გაზეთებით. ოთახის შუაში, სადაც უხვად სცემდა სინათლე, იდგა ძალზე უბრალო მოზრდილი სამუშაო მაგიდა და ხის სავარძელი, სავარძელსა და წიგნის კარადას შორის, ფანჯრის პირდაპირ კი — ტყავადაკრული დივანი, რომელზეც მარქსი დროდადრო ისვენებდა ხოლმე. წიგნები ბუხარზეც ელაგა. იქვე ელაგა სიგარები, ასანთი, თუთუნით სავსე კოლოფები, პრეს-პაპიე, მარქსის ქალიშვილების, ცოლის, ვილჰელმ ვოლფისა და ფრიდრიხ ენგელსის ფოტოსურათები.

მარქსი ძალიან ბევრს ეწეოდა.

„კაპიტალი ვერ ამინაზღაურებს იმ თანხას, რომელიც სიგარებში წამივიდა, მასზე მუშაობის დროს რომ ვეწეოდიო“, — მითხრა ერთხელ მარქსმა.

მარქსი ნებას არავის აძლევდა დაეღაგებინა ან, უკეთ რომ ვთქვათ, აერია მისი წიგნები და ქაღალდები. ისინი მხოლოდ გარეგნულად ჩანდა არეული. ისე, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი თავის ადგილას იდო, და მარქსი უცებ პოულობდა საჭირო წიგნს ან რვეულს. საუბრის დროსაც ხშირად შეჩერდებოდა, რომ წიგნში ეჩვენებინა რომელიმე ციტატა ან ციფრი. იგი თითქოს შესისხლხორცებული იყო თავის სამუშაო


ოთახთან, წიგნები და ქაღალდები ისე ემორჩილებოდა, თითქოს მისი სხეულის ნაწილებიაო.

წიგნების განლაგებისას მარქსი გარეგნულ სიმეტრიას ყურადღებას არ აქცევდა: სხვადასხვა ფორმატის წიგნები და ბროშურები ერთმანეთის გვერდით ელაგა. იგი წიგნებს ალაგებდა არა ფორმატის, არამედ შინაარსის მიხედვით. წიგნები მისი სულიერი იარაღი იყო და არა ფუფუნების საგანი. ხშირად იცოდა თქმა: წიგნები ჩემი მონები არიან და ჩემს ნება-სურვილს უნდა ემორჩილებოდნენო. იგი ყურადღებას არ აქცევდა წიგნის ფორმატს, ყდას, ქაღალდსა და ბეჭდვის სილამაზეს; მარქსი ფურცლებს ქიმს გადაუკეცავდა, არეებს ნიშნებით ააჭრებლბდა და ზოგიერთ სტრიქონს ფანქრით ხაზს გაუსვამდა. ტექსტში შენიშვნებს არ ურთავდა, მაგრამ ზოგჯერ, როდესაც, მისი აზრით, ავტორი ძალზე გადაამლაშებდა, კითხვით ან ძახილის ნიშნებს უწერდა. ზოგიერთი სტრიქონის ხაზგასმის სისტემა, რომელიც მან შეიმუშავა, ძალზე უადვილებდა წიგნში საჭირო ადგილის პოვნას.

მარქსი დროდადრო გადაიკითხავდა ხოლმე (ეს ჩვეულებად გადაექცა) თავის ჩანაწერებს, რვეულსა და წიგნში აღნიშნულ ადგილებს, რომ კარგად დაეხსომებინა. მესხიერება კი ძალზე კარგი ჰქონდა. იგი ყრმობიდანვე, თანახმად ჰეგელის რჩევისა, ზეპირად სწავლობდა ლექსებს უცნობ ენაზე და ძალიანაც გაიწაფა.

ჰინე და გოეთე, რომელთა ციტატებს მარქსი ხშირად მიმართავდა ლაპარაკის დროს, ზეპირად იცოდა. იგი სისტემატურად კითხულობდა ევროპელ პოეტებს. ყოველწლიურად გადაიკითხავდა ხოლმე ესქილეს ბერძნულ დედანში; ესქილე და შექსპირი უყვარდა, როგორც კაცობრიობის უდიდესი დრამატული გენიოსები. შექსპირს, რომელსაც განსაკუთრებით სცემდა პატივს, გულმოდგინედ სწავლობდა. იცნობდა მისი დრამების სულ უმნიშვნელო პერსონაჟებსაც კი. მარქსის ოჯახში ამ უდიდესი ინგლისელი დრამატურგის კულტი მეფობდა: მარქსის სამმა ქალიშვილმა ზეპირად იცოდა შექსპირი. 1848 წლის შემდეგ, როდესაც მარქსმა ინგლისური ენის დაუფლება გადაწყვიტა, — მანამდე იგი ინგლისურ წიგნებს თავისუფლად კითხულობდა, — შეკრიბა და სისტემაში მოიყვანა შექსპირის ყველა სპეციფიკური გამოთქმა; გულმოდგინედ შეისწავლა აგრეთვე უილიამ კობეტის ზოგიერთი საპოლემიკო თხზულება, რომელთაც მარქსი ძალიან აფასებდა. დანტე და ბერნსი მისი საყვარელი პოეტები იყვნენ. ძალიან სია-





კარლ მარქსი (1818—1883)

მოვინებდა, როდესაც მისი ქალიშვილები შოტლანდიელი პოეტის რ. ბერნსის სატირებს უკითხავდნენ ან მღეროდნენ მის რომანსებს.

დიდმა მეცნიერმა, დაუღალავმა მშრომელმა კიუვემ, პარიზის მუზეუმში, რომლის დირექტორი თვითონ იყო, მოაწყო სამი სამუშაო ოთახი. თითოეული ოთახი განკუთვნილი იყო განსაზღვრული ხასიათის სამუშაოსათვის. თითოეულში ელაგა ამ სამუშაოსათვის განკუთვნილი წიგნები, ხელსაწყოები, ანატომიური პრეპარატები და ა. შ. როდესაც ერთი სამუშაოთი დაიღლებოდა, კიუვე მეზობელ ოთახში გადიოდა და სხვა სამუშაოს ჩაუჯდებოდა. ეს იყო მისი დასვენება.

მარქსიც ასეთივე დაუღალავი მშრომელი იყო, მაგრამ მას სახსრები არ გააჩნდა რამდენიმე სამუშაო ოთახის მოსაწყობად. მისი დასვენება იყო ბოლოს ცემა ოთახში: ხალიჩაზე კარებიდან ფანჯრამდე კიდევაც ემჩნეოდა ნაფეხურების ბილიკივით მკაფიო ზოლი.

დროდადრო მარქსი დივანზე წამოწვებოდა და რომანებს კითხულობდა. ამასთან, ხშირად რამდენიმეს ერთად, რიგრიგობით. იგი დარწმუნებით რომანების დიდი მოტრფიალე იყო. მარქსს უპირატესად მოსწონდა XVIII საუკუნის რომანები, განსაკუთრებით კი ფილდინგისა, ხოლო უფრო გვიანდელი მწერლებიდან პოლ დე კოკი, ჩარლზ ლივერი, ალექსანდრე დიუმა (მამა), ვალტერ სკოტი, რომლის რომანი „პურიტანები“ სანიმუშო ნაწარმოებად მიაჩნდა. განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდა სათავგადასავლო და იუმორისტულ მოთხრობებს.

მარქსი ყველა რომანისტზე მაღლა აყენებდა სერვანტესსა და ბალზაკს. „დონ-კიხოტში“ იგი ხედავდა ეპოსს გადაშენების გზაზე დამდგარი რაინდობისა, რომლის სათნოება ახლადჩასახულ ბურჟუაზიულ სამყაროში ტაკიმასხარაობად ქცეულა და დაცივნის საგანი გამხდარა. ბალზაკს ისე მაღლა აყენებდა, რომ ფიქრობდა, როგორც კი დაამთავრებდა თხზულებას პოლიტიკურ ეკონომიაში, დაეწერა გამოკვლევა მის უდიდეს ნაწარმოებზე — „ადამიანურ კომედიასზე“. ბალზაკი არ იყო მარტო თანამედროვე საზოგადოების ისტორიკოსი; მან წინასწარ დაგვიხატა ის ფიგურები, რომელნიც ლუი-ფილიპეს დროს ჯერ კიდევ ჩანასახი იყო, და მხოლოდ ბალზაკის სიკვდილის შემდეგ, ნაპოლეონ მესამის დროს აღწევნენ სრულ განვითარებას.

მარქსი ყველა ევროპულ ენაზე კითხულობდა, ხოლო სამ ენაზე — გერმანულ, ფრანგულსა და ინგლისურზე — ისე კარგად წერდა, რომ

განცვიფრებულნი იყვნენ ამ ენების მცოდნენი. ხშირად იტყოდა ხოლმე: „უცხო ენა ბრძოლის იარაღია ცხოვრებაში“.

მარქსი უბადლო ლინგვისტური ტალანტით იყო დაჯილდოებული, რაც მემკვიდრეობით გადაეცა მის ქალიშვილებსაც. იგი 50 წლისა იყო, როდესაც რუსული ენის შესწავლას შეუდგა და მისი სირთულის მიუხედავად, ექვსი თვის შემდეგ იმდენად შეითვისა, რომ სიამოვნებით კითხულობდა რუს პოეტებსა და პროზაიკოსებს. მათ შორის განსაკუთრებით აფასებდა პუშკინს, გოგოლსა და შჩედრინს. რუსული ენის შესწავლას მარქსმა ხელი მოჰკიდა იმიტომ, რომ შესაძლებლობა ჰქონოდა წაეკითხა ოფიციალური დოკუმენტები, რომელთა გამოქვეყნებას, საშინელ მხილებათა გამო, მთავრობა კრძალავდა. ერთგული მეგობრები ამ დოკუმენტებს მარქსს უგზავნიდნენ, და იგი, ალბათ, ერთადერთი დასავლეთეუროპელი ეკონომისტი იყო, რომელსაც მისი გაცნობის საშუალება ჰქონდა<sup>1</sup>.

პირადი ბიბლიოთეკა, რომელსაც მარქსი მთელი სიცოცხლის მანძილზე გულმოდგინედ აკომპლექტებდა კვლევითი მუშაობის დროს და შეიცავდა ათასზე მეტ წიგნს, მას არ აკმაყოფილებდა. იგი წლების განმავლობაში ბრიტანეთის წიგნსაცავის ხშირი სტუმარიც იყო.

მარქსის მოწინააღმდეგენიც კი იძულებულნი იყვნენ ელიარებინათ მისი ღრმა ცოდნა არა მარტო თავის სპეციალობაში — პოლიტიკურ ეკონომიაში, — არამედ ყველა ქვეყნის ისტორიაში, ფილოსოფიასა და ლიტერატურაში.

მარქსი მუდამ უადრესად კეთილსინდისიერად მუშაობდა. ყოველი ფაქტი, ყოველი ციფრი, რომელიც მას მოჰყავდა, დამოწმებული იყო გამოჩენილი ავტორიტეტებით. მეორადი ცნობებით არასოდეს კმაყოფილდებოდა; რაც უნდა გასჭირვებოდა, მაინც პოულობდა პირველ წყაროს; მეორეხარისხოვანი ფაქტის დასაზუსტებლადაც კი ბრიტანეთის მუზეუმში მიდიოდა; მარქსის ოპონენტები ვერ ახერხებდნენ, ემხილებინათ იგი დაუდევრობაში.

მარქსს ჩვეულებად ჰქონდა პირველწყაროების გამოყენება და ამიტომ ხშირად კითხულობდა ნაკლებად ცნობილ მწერლებსაც, რომელთა ციტატები მხოლოდ მას აქვს გამოყენებული. ასეთი ციტატები „კაპიტალში“ იმდენია, რომ ძალაუვნებურად კაცს ეჭვი შეგეპარებოდა,

<sup>1</sup> მარქსი ღრმად სწავლობდა რუსეთის აგრარულ ურთიერთობათა ისტორიას, მუშათა კლასის მდგომარეობას, აგრეთვე მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკას. რედ-

განგებ ხომ არ აკეთებდა ამას, რომ ნაკითხობით თავი მოეწონებინა. მაგრამ მარქსს ასეთი მიზანი სულ არ ჰქონია. „მე ისტორიის სამართალს ვქმნი და ყველას თავისი დამსახურებისამებრ მივუზღავო“, — ამბობდა იგი და თავის მოვალეობად თვლიდა, დაესახელებინა ყველა მწერალი, რაც უნდა ნაკლებ ცნობილი ყოფილიყო, ვინც პირველად გამოთქვა ესა თუ ის აზრი ან გამოთქვა უფრო მკაფიოდ.

ლიტერატურული სინდისი მარქსს ისეთივე მკაცრი ჰქონდა, როგორც მეცნიერული სინდისი. იგი არა მარტო არ იმოწმებდა ისეთ ფაქტს, რაშიც ნამდვილად არ იყო დარწმუნებული, არამედ თავს უფლებას არ აძლევდა ელაპარაკა ისეთ საგანზე, რაც წინასწარ საფუძვლიანად არ ჰქონდა შესწავლილი. არაფერს გამოაქვეყნებდა იქამდე, ვიდრე გულმოდგინედ არ დაამუშავებდა და არაერთხელ გადაკეთებით სასურველ ფორმას არ მისცემდა. ვერ იტანდა ხალხის წინაშე ისეთი რამის თქმას, რაც ბოლომდე არ ჰქონდა დამუშავებული. ეჩვენებინა ვინმესთვის ზელნაწერი, თუ იქ უკანასკნელი მძიმეც კი არ იყო თავის ადგილას—ეს მისთვის წამება იყო. ეს გრძნობა მასში ისე ძლიერი იყო, რომ ერთხელ თქვა: მირჩევნია დავწვა ჩემი ზელნაწერები, ვიდრე დაუშთავრებელი დავტოვო.

მარქსს საოცარი პოეტური ფანტაზია ჰქონდა. მისი პირველი ლიტერატურული ცდა ლექსები იყო. მარქსის მეუღლე სათუთად ინახავდა მეუღლის ჭაბუკობისდროინდელ ლექსებს, მაგრამ არავის აჩვენებდა. მარქსის მშობლები შვილის ლიტერატურულ ან საპროფესორო კარიერაზე ოცნებობდნენ; მათი აზრით, მარქსმა თავი დაიმცირა იმით, რომ სოციალისტურ აგიტაციას აჰყვა და თავის საგნად აირჩია პოლიტიკური ეკონომია, რომელსაც იმდროინდელ გერმანიაში ჯერ კიდევ ამრეზით უყურებდნენ.

მარქსი თავის ქალიშვილებს შეჰპირდა, რომ დაწერდა დრამას, რომლის სიუჟეტი უნდა ყოფილიყო გრაკებების ისტორია. სამწუხაროდ, მან ვერ შეასრულა ეს დანაპირები; საინტერესო სანახავი იყო, ამ „კლასობრივი ბრძოლის რაინდმა“ როგორ დაამუშავა ეს ტრაგიკული და ამავე დროს დიდებული ეპიზოდი ძველი მსოფლიოს კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან.

მარქსს მრავალი გეგმა განუხორციელებელი დარჩა. მას, სხვათა შორის, განზრახული ჰქონდა ლოგიკისა და ფილოსოფიის ისტორიის დაწერაც, ჭაბუკობის წლებში ფილოსოფიის ისტორია მისი საყვარელი საგანი იყო. ასი წელიც არ ეყოფოდა მარქსს, რომ განეხორციელებინა თავისი ლიტერატურული გეგმები — მიენიჭებინა მსოფლიოსათვის ის საუნჯე, რაც მას გააჩნდა.

წიგნი  
დ  
სსომეხევა

---

მ

## ქართული ხალხური პოეზიის თორმეტობეული

თვითმყოფი ქართული ფოლკლორი მდიდარია ზეპირპოეტური შემოქმედების უანრებით. ცნობილია უძველესი ქართული ხალხური პოეზია და პროზა, ეპოსი და დრამა, ანდაზა და სიტყვის მასალა. ჩვენამდის მოღწეულია ურთიმო და რითმიანი ხალხური ლექსის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც წინ უსწრებენ ქრისტიანობას და წარმართული კულტურის უდავო მაჩვენებლები არიან. თვით რუსთაველის მომაჯადოებელი ლექსი სათავეს იღებს და იკვებება ხალხური რითმიანი შაირის წიადიდან. ლექსისა და სიმღერის კულტურა ქართველ ხალხს შეუქმნია ძალიან ადრე, განვითარების პირველსავე საფეხურზე და მისი თანამგზავრი გამხდარა. ლექსებსა და სიმღერებში ასახულია ხალხის სანუკვარი იდეალები, წარმოდგენები საგნებსა და მოვლენებზე, ფილოსოფიური გააზრება სინამდვილის პროცესებისა. ამ წარმოდგენათა ევოლუცია რელიეფურადაა ნაჩვენები საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ. ძირითადი ობიექტი, რომელიც ნაირგვარადაა გააზრებული ხალხურ პოეტურ ქმნილებებში, არის გარესამყარო და მისი გარდამქმნელი ძალა — ადამიანი, საცხოვრისი, კავშირურთიერთობა, შრომა, ბუნების მოვლენები და მათი ფილოსოფიური განჭვრეტა. სამყარო თავისი მარადიულობით, უსასრულობათა ჯაჭვებითა და აღურიცხველი მუდამ ცვლადი მოვლენებით, ადამიანი ბუნების უმაღლესი ქმნილება და გვირგვინი, ადამიანური ქცევის გამოსახულებანი, როგორც პროგრესის შინაგანი ძალები, იყო, არის და დარჩება ხალხური ლექსის თემისა და იდეის უსასრულო შესაძლებლობებად. ამას თვალნათლივ მოწმობს ქართული ხალხური ლექსის განვითარება და თანამედროვე ვითარება. და არა მარტოდენ ქართული ლექსისა, არამედ საერთოდ ხალხური ლექსისა.

სამყაროსა და მისი კომპონენტების თავისებურად წარმოსახვა



არის არა მარტო ქართული ხალხური სიბრძნის ნიშან-თვისება, არამედ ხალხური შემოქმედების საერთო არსი. ადამიანისა და სამყაროს გაგებას შეზღუდვა არა აქვს. ერთიანი და განუყოფელი სინამდვილე ხალხის შემოქმედებაში ისევე ნაირფეროვნად აირეკლება, როგორც ის არის შინაგანად, როგორცაა უშუალო შთაბეჭდილებები, წარმოდგენები და მათი შინაფორმები. აქ ჩნდება და სამზეოზე გამოდის სწორედ თვითმყოფობა ყოველი ფოლკლორისა.

საერთო-საკაცობრიო კულტურაში თავისი წვლილი შეაქვს ყველა ხალხს, დიდსა თუ მცირეს. ისტორია გვეუბნება, რომ ამ გრანდიოზულ პროცესში მეტ-ნაკლები პროდუქტიულობით მიუღია მონაწილეობა ყველა ხალხს, მათ შორის იმ ტომებსაც, ფიზიკურად არსებობდა რომ ადრე შეუწყვეტიათ, მაგრამ საკუთარი ტრადიციები უანდერძებით მონათესავე თუ არამონათესავე ტომობრივ გაერთიანებათათვის, რომელთა შორის გაითქვიფენ და ასიმილირდნენ. ამიტომაც, ყოველ ეროვნულ ფოლკლორში აბორიგენულ ფენებთან ერთად თანაარსებობს და პლასტებად ალაგია არასაკუთარი, შეთვისებული, ძნელად ასახსნელი ფენები. აბორიგენობას უპირისპირდება შეძენილი, სხვადასხვა გზებითა და არხებით შეთვისებული მოვლენები. ხალხური სიბრძნის შინაგანი განვითარება ობიექტურად არათანაბარია; მას ასაზრდოებს თავისებური ხალხური ფილოსოფია, რომელიც განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგომი საზოგადოებისათვის ნაირგვარია და მეტ-ნაკლები სასრულობით წარმოგვიჩენს სინამდვილის სიღრმისეულ მოვლენებს.

ქართული ხალხური პოეზია თანამიმდევრულად ასახავს პროგრესის შეუწყვეტელ პროცესს და გვიჩვენებს სამყაროს შინაგანი კომპონენტების ურთიერთკავშირის მუდმივი ცვლისა და სრულყოფის თავისებურ მხატვრულ გააზრებას. ეს იგრძნობა როგორც პირველყოფილი სალექსო თქმების, ისე მითოლოგიური და რეალისტური ლექსების რეპერტუარიდან, ასე მდიდრულად რომაც წარმოჩენილი ქართულ ხალხურ პოეზიაში.

დღეს, როდესაც მრავალჯანრობრივი ქართული ხალხური პოეზიის დიდი კორპუსია გამოცემული და საშუალება გვაქვს, ყოველმხრივ გავეცნოთ და გონების თვალთ შევხედოთ უმდიდრეს პოეტურ მემკვიდრეობას, შეიძლება წარმოვიდგინოთ ხალხის პოეტური აზრის ევოლუცია დასაბამიდან მოყოლებული თანამედროვეობამდის.

ამჟამად ჩვენს წინ ძევს ქართული ხალხური პოეზიის ბრწყინვალე

გამოცემა თორმეტ ტომად, შესატყვისი თანამედროვე მეცნიერების დონისა და მკაცრი მოთხოვნებისა.

ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშების ჩაწერა-პუბლიკაციას დიდი ტრადიცია აქვს. XIX საუკუნე ქართული ხალხური პოეზიის ჭეშმარიტი ზეიმის ეპოქა იყო, რადგან ამ საუკუნის განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში არათუ ერთეული ძეგლები, არამედ ასობით წკრიალა ლექსი გამოჩნდა პრესის ფურცლებზე და ცალკე მცირე კრებულების სახითაც და მთელი ერის კუთვნილება გახდა. ამ სიკეთის მიღწევა უწინარეს ყოვლისა იმით გახდა შესაძლებელი, რომ საშური საქმის აკვანთან დადგნენ ერის ისეთი ბურჯები, როგორც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი და პეტრე უმიკაშვილი, თედო რაზიკაშვილი და ნიკო ხიზანიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი და ივანე ბუქურაული იყვნენ. ადგილებზე ჩაწერილი ხალხური ლექსები იბეჭდებოდა ყველა მაშინდელ ორგანოში, „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“, „დროებასა“ და „ივერიაში“, „კვალსა“ და „ცნობის ფურცელში“, რომ აღარაფერი ვთქვათ „აკაკის კრებულზე“, რომელიც დიდმა მგოსანმა სწორედ ამ მიზნით შექმნა, და არაპერიოდულ გამოცემებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საშვილიშვილო წამოწყებას ფართო გაქანება მიეცა, ბევრი მარჯვე კრებულიც კი დაიბეჭდა, ყოველივე ეს მაინც არ ქმნიდა მთლიან წარმოდგენას საერთოდ ქართული ხალხური პოეზიის უანრობრივ, თემატიკურ, შინაარსობრივ და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მხატვრულ-პოეტურ თავისებურებებზე. ყველა მათგანს იმთავითვე თან დაჰყვა არსებითი ხასიათის ნაკლი, აკლდა სისრულე, ეტყობოდა მასალისა და რეპერტუარის სიღარიბე, რეგიონული შეზღუდულობა. ამ გარემოებას კარგად გრძნობდნენ და კიდევაც ითვალისწინებდნენ საქმის მოთავენი და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მომზადებულიყო საჭირო ნიადაგი ხალხური პოეზიის სრული კრებულის გამოსაცემად. გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც, მაგრამ კერძო წამოწყებებს განხორციელება არ ეწერა, რევილუციამდელ ეპოქაში საშვილიშვილო საქმე ოცნების იქით ვერ წავიდა.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როგორც ცნობილია, ხალხური პოეზიისა და მთლიანად ქართული ფოლკლორის ინტერესი განუზომლად გაიზარდა





და იგი კანონზომიერად სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საქმეზე გამოცხადდა. ხალხური ზეპირსიტყვიერების ჩაწერა, შეგროვება-პუბლიკაცია და შესწავლა მეცნიერების ერთ-ერთ პირველი რიგის გადაუდებელ ამოცანად დაისახა. შედგა მუშაობის ფართო პროგრამა, გამოიცა ძველი და ახალი ჩანაწერების მშვენიერი კრებულები. ამ მხრივ უთუოდ დიდნაყოფიერი იყო ოციან-ორმოცდაათიანი წლები. ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშთა იმ გამოცემებს შორის, რომლებიც ამ წლებში განხორციელდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. შანიძის „ხევსურული პოეზია, I“ (1931 წ.), ვ. კოტეტიშვილის „ხალხური პოეზია“ (1934 წ.), პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება“ (1937 წ.), აგრეთვე დ. ხიზანიშვილის, ი. ბუჭურაულის, თ. რაზიკაშვილის, გ. ნათაძის, მიხ. ჩიქოვანის, ქს. სიხარულიძის, ელ. ვირსალაძის, ს. მაკალათიას, გ. ხორნაულის, ჯ. ნოღაიდელის, თ. ოქროშიძის, თ. უთუროვიძის, კ. ჭრელაშვილის, ალ. გომიაშვილის, ჯ. სონღულაშვილის, ამ. სტრიქონების ავტორისა და სხვათა კრებულები, რომელთაც კიდევ უფრო გააღვივეს ხალხური ლექსის მოვლა-პატრონობის ინტერესი და დიდად წასწიეს წინ მისი მეცნიერულად შესწავლა.

საბჭოური ეპოქის ყველა ბეჭდვითი ორგანო როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკური ყურნალ-გაზეთები, გამომცემლობები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ ხალხური პოეზიის ნიმუშების შეგროვებასა და პუბლიკაციას. სპეციალისტებთან ერთად შემკრებლობით მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ ხალხური ზეპირსიტყვიერების მოყვარულნი, სოფლისა და ქალაქის მშრომელნი, მასწავლებლები, მოსწავლეები და სტუდენტები, შეიქმნა ჩანაწერთა კერძო კოლექციები და საზოგადოებრივი არქივები, გამოიცა მრავალმხრივ საინტერესო კრებულები. ხალხური პოეზიის ძეგლების ჩაწერა-პუბლიკაციასა და მეცნიერულ შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა და ექვთიმე თაყაიშვილმა, აკაკი შანიძემ და ვახტანგ კოტეტიშვილმა, მიხეილ ჩიქოვანმა და სერგი მაკალათიამ, ქსენია სიხარულიძემ და ელენე ვირსალაძემ, შოთა ძიძიგურმა და სერგი ჟღენტმა, დიმიტრი არაყიშვილმა და გრიგოლ ჩხიკვაძემ, იოსებ მეგრელიძემ და თედო ბეგიაშვილმა, გიორგი ნათაძემ და გიორგი ხორნალუმა, აპოლონ ცანავამ და ჯონდო ბარდაველიძემ, ფიქრია ზანდუკელმა და ნოდარ შამანაძემ, დავით გოგოჭუმმა და ალექსი ჭინჭარაულმა. ამ ავტორთა კრებულები და გამოკვლევები საყოველთაოდ ცნობილია.

ხალხური პოეზიის გამოცემულ კრებულებს თემატიკური და ჟან-

რობრივი მრავალფეროვნებისა და სხვა მეცნიერული ღირსებების მიუხედავად გარკვეული ნაკლი მაინც თან დაჰყვა. საქმე ისაა, რომ ამ კრებულებში უპირატესად აღიბეჭდა რეგიონული ჩანაწერები და არა მთლიანად ქართული, მთასა და ბარში გავრცელებული მასალა. მეტიც უნდა ითქვას. საქართველოს კუთხეებში შეკრებილი ტექსტები, ერთიანი კორპუსი ქართული ხალხური პოეზიისა მთლიანად როდი იყო სამხეოზე გამოტანილი. მათი დიდი ნაწილი საერთოდაც უცნობი იყო, ინახებოდა როგორც არქივთ-საცავებში, ისე შემკრებთა პირად კოლექციებში და ძნელად ხელმისაწვდომი იყო არა მარტო ჩვეულებრივი მკითხველისათვის, არამედ სპეციალისტთათვისაც კი. ამიტომ ახლობით წლის განმავლობაში მოპოვებული მასალის თავმოყრა, აწონა-აწონა, ერთიანი გეგმით კლასიფიცირება, ვარიანტების შეპირისპირება და მთლიანი კორპუსის მეცნიერული სიფაქიზით გამოცემა გადაუდებელ საქმედ იყო მიჩნეული. კეთილი ჩანაფიქრის, დიდებულ წინაპართა სანუკვარი ოცნების წარმატებით განხორციელება ერის კულტურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტად უნდა მივიჩნიოთ.

„ქართული ხალხური პოეზიის“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში ამ გამოცემის ინიციატორი და სულისჩამდგემელი მიხ. ჩიქოვანი სამართლიანად აღნიშნავს: „ხალხური პოეზიის სრული კორპუსის გამოცემა მარადსასოვარ მოვლენას წარმოადგენს. ეს ითქმის თითოეული ეროვნული პოეზიის მიმართ, რომელ ხალხსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ცალკე კრებულებისა და ნაწარმოებების გამოქვეყნებას არ შეუძლია შექმნას ის შთაბეჭდილება და სახელმოხვეჭილობა, რაც ზეპირსიტყვიერებას კულტურის ისტორიაში ეკუთვნის. ფართო მასების პოეტურ გენიას მცირე მინიატურებიდან დაწყებული — ვრცელ პოემებამდე იმდენი ხელიხელსაფარგმანები მარგალიტი შეუქმნია, რომ მათი მთლიანი ტომეულების გარეშე დატოვება, თუ მეტი არა, წინაპართა მხატვრული მემკვიდრეობის დაუფასებლობას მაინც ნიშნავს. ჩვენს დროს, XX საუკუნის 70-იან წლებში, ასეთი გულგრილობა კარგის მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება. ამის გამო ბუნებრივად გასაგებია ის მხარდაჭერა თუ გულმხურვალე გამოხმაურება საზოგადოებრიობის მხრივ, რომელიც ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულის გამოცემის იდეამ პოვა“ (ტ. I, გვ. 5).

ამ დიდ საქმეს ხელი მოჰკიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის

ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ და მისმა ნიჭიერმა შემოქმედებითმა კოლექტივმა. წამოწყებას სათავეში ჩაუდგა ქართული ფოლკლორის მოამაგე და დაუღალავი მკვლევარი, განთქმული ფოლკლორისტი, მეცნიერი, პროფესორი მიხ. ჩიქოვანი. შემუშავდა გამოცემის მეცნიერული პრინციპები, გაიცხრილა გამოსაცემი ტექსტები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათასს სჭარბობდა, მათგან გამოიყო რჩეული ნაწილი და დაიწყო მისი რედაქტირება. გამოცემის ხელმძღვანელობა დაეკისრა სარედაქციო კოლეგიას მიხ. ჩიქოვანის (მთავარი რედაქტორი), ქს. სიხარულიძისა და ელ. ვირსალაძის შემადგენლობით. კოლეგიამ შეასრულა მეტად რთული და შრომატევადი სამუშაო. მოკლე დროში გამოსაცემად შეირჩა ძირითადი მასალა, საქმეში ჩაება ფოლკლორის განყოფილების ყველა წამყვანი სპეციალისტი (ჯ. ბარდაველიძე, დ. გოგოჭური, ნ. შამანაძე, ფ. ზანდუკელი, ა. ცანავა, ვ. მაცაბერიძე, გ. ბარნოვი).

კოლეგიის ზემოხსენებული შემადგენლობის რუდუნების წყალობით გამოიცა ქართული ხალხური პოეზიის 6 ტომი, დაიგეგმა შემდგომი ტომების ტექსტობრივი მასალაც, მაგრამ სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, სარედაქციო კოლეგიას გამოაკლდა ორი ცნობილი სპეციალისტი, ქს. სიხარულიძე და ელ. ვირსალაძე, რომელთა გარდაცვალება მძიმე დანაკლისი იყო მეცნიერებისათვის. 1978 წელს ჩამოყალიბდა ახალი სარედაქციო კოლეგია მიხ. ჩიქოვანის (მთავარი რედაქტორი), შ. ძიძიგურის, ჯ. ბარდაველიძის, დ. გოგოჭურის, ი. ქავთარაძის შემადგენლობით. კოლეგია ამჟამად წარმატებით უძღვება დაწყებულ საქმეს. უკვე გამოსულია თორმეტტომიანი ქართული ხალხური პოეზიის თერთმეტი ტომი, წარმოებაშია და იბეჭდება მეთერთმეტე ტომი.

შესწავლილი, შეჯერებული და კლასიფიცირებულია ათასობით უმნიშვნელოვანესი ტექსტი, მათ შორის ბევრი კლასიკური, უნიკალური. მოპოვებულია დიდძალი, აქამდის უცნობი ლექსი, გამოვლენილია ძირითადი ტექსტების ათობით ვარიანტი, დადგენილია თითოეული ვარიანტის გავრცელების არეალები. ერთი სიტყვით, გაწეულია ტიტანური ტექსტოლოგიური შრომა. ქართველმა ფოლკლორისტებმა ამ გამოცემით კოლოსალური შრომა გასწიეს. მაგრამ გამოცემის მეცნიერული ღირსება მართო ამით არ ამოიწურება. თითოეულ ტომს ახლავს ჟანრობრივი გამოკვლევები, მეცნიერული კომენტარები, ფასეული შენიშვნები, ლექსიკონები, მთქმელთა და ჩამწერთა ინდექ-

სები, ბეჭდურ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული ცნობები, საარქივო წყაროთა და სხვ. საძიებლები. ამ მნიშვნელოვანი წამოწყების განხორციელება შესაძლებელი გახდა იმან, რომ შემკრებლობითი ფოლკლორისტიკა რესპუბლიკაში დიდი ტრადიციის მქონე იყო და მაღალ დონეზე იდგა, აგრეთვე, რაც მთავარია, წამოწყების პროგრამის შესრულებას ხელი შეუწყო იმ საყოველთაოდ ცნობილმა წარმატებებმა, რომლებიც მოპოვებულია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივის მიერ ქართული ხალხური სიბრძნის შესწავლის დარგში. სახელოვანმა კოლექტივმა მრავალი წლის წაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგად შეძლო ქართული ხალხური პროზისა და პოეზიის ჟანრების შესწავლის ისეთ დონეზე აყვანა, რომ განხორციელებულიყო ბევრი ახალი წამოწყება, მათ შორის ხალხური პოეზიის კორპუსის გამოცემა. თორმეტტომეული ნათლად გვიჩვენებს ქართული ფოლკლორისტიკის მაღალ მეცნიერულ დონეს.

შესრულდა ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმე. რეალობად იქცა ის, რაზეც ასე ოცნებობდნენ ერის დიდი სულიერი მამები XIX საუკუნეში — ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, რაზეც ოცნებობდნენ თაობები ჩვენს ეპოქაში. „ქართული ხალხური პოეზიის კორპუსის შექმნის ამოცანის თანამედროვე დონეზე დაყენება და განხორციელება, — სამართლიანად წერდა მ. ჩიქოვანი გამოცემის პირველი ტომის წინასიტყვაობაში, — თუნდაც მარტო ტექსტოლოგიურ ფარგლებში, უკვე მოასწავებს თვით ამ პოეზიის გამოკვლევის ახალ საფეხურს, ქართული ფოლკლორისტიკის მანამდე უცნობი ჰორიზონტების გამოჩენას“.

და ეს ჰორიზონტები ახლა ნამდვილად ჩანს. მსგავსი ფართო გეგმით ჩვენში ჯერხნობით ხალხური სიბრძნის არც ერთი ჟანრის კორპუსი არ გამოცემულა, პირველია, რასაც, ეჭვი არაა, მოჰყვება სხვა, პირველ რიგში, ქართული ხალხური პროზის მრავალტომეულის გამოცემა, რომელსაც ამჟამად ამზადებს ქართველ ფოლკლორისტთა ნიჭიერი კოლექტივი.

ხალხური პოეზიის ტომეულებში ჟანრობრივად და თემატიკურად განლაგებულია მდიდარი მასალა. საფუძვლად აღებულია ტექსტების მტკიცე ჟანრობრივი და თემატიკური კლასიფიკაციის პრინციპი. არჩევანმა უეჭველად დადებითი შედეგები მოგვცა, მასალა წარმოაჩინა სრულადაც და იდეურ-თემატიკური ღირსებებითაც.

მრავალტომეულის ძირითად ღირსებებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი:

1. უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ გამოცემა სავსებით შეესაბამება და ასახავს მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს. სრულად ითვალისწინებს როგორც ტრადიციას, ისე სიახლეებს. ღირსეულადაა შეფასებული და აღნიშნული ყველა იმ მოღვაწის რუდუნება, ვისაც ოდესმე საქმე ჰქონია ქართულ ხალხურ ლექსთან. ძნელად შეიძლება კაცმა დაასახელოს ქვეყანა, სადაც მსგავსი წამოწყება ასე წარმატებით დაგვირგვინებულიყოს. თავისთავად ეს გარემოებაც მრავლისმეტყველია.

2. გამოცემის მეცნიერულ ღირსებას ამაღლებს მდიდარი აპარატი, თითოეულ ტომს რომ ახლავს. ვარიანტები შეჯერებულია შეპირისპირების გზით. საფუძვლად (ძირითად ტექსტად) აღებულია ყველაზე საუკეთესო, სრულყოფილი ჩანაწერი, სხვა მიჩნეულია მის ვარიანტად. შენიშვნებში ნაჩვენებია ძველი და ახალი ჩანაწერები ქრონოლოგიური და რეგიონული თანამიმდევრობით, ვარიანტთა გარკვეული ნაწილი გამოქვეყნებულია სრულად, ნაწილის შესახებ კი მოცემულია ბიბლიოგრაფიული ცნობები. ამ მიზნით შეჯერებულია როგორც ადრინდელი და უახლესი პუბლიკაციები, ისე არქივებში დაცული ათასობით ხელნაწერი. ამით მკითხველს საშუალება აქვს ყოველმხრივ წარმოიდგინოს თითოეული ძირითადი ტექსტის ვარიანტულობა და გავრცელების არეალები, ბედი და პოპულარობა. შენიშვნებში გათვალისწინებულია ყველაფერი, რაც ტომების შემდგენელთათვის ხელმისაწვდომი გამხდარა. ეს ხალხური ზეპირსიტყვიერი ძეგლის მეცნიერული გამოცემის პირველმოთხოვნაა. ტექსტის ვარიანტული იერარქიის ჩვენებას განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შესწავლისათვის. ყოველივე ეს მკითხველსაც, მკვლევარსაც, დაინტერესებულ პირსაც შესაძლებლობას აძლევს ოპტიმალურად წარმოიდგინოს თითოეული ლექსის ტრიალი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, გავრცელების არეალი, განცდილი ცვლილებები, შემოკლებისა და შევსების მიზეზ-შედეგები, ლექსიკა და კილოური კოლორიტი, თქმისა და მღერის ტრადიცია. ა. შანიძე ხალხური ლექსის ვარიანტების ჩვენების აუცილებლობის შესახებ თავის „ხევისურულ პოეზიაში“ ამბობდა: „ასეთი მეთოდის წყალობით მკითხველს და მკვლევარს საშუალება ეძლევა, გაითვალისწინოს ლექსის სვებედი მთელი მისი გავრცელებულობის არეზე და ადვილად წარმოიდგინოს ყველა ის ცვლილებანი, რომლებიც განუცდია მას სხვადასხვა კუთხესა და სოცია-

ლურ გარემოში მოხვედრის გამო“ (ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 04).

ტომეულების მეცნიერულ ღირსებას ზრდის აგრეთვე და ინტერესს იწვევს ტექსტების თემატიკური კლასიფიკაცია, კომენტარები, შენიშვნები, ბიბლიოგრაფიული ცნობები, ავტორთა, მთქმელთა, ჩამწერ-გამომცემელთა, პერსონაჟთა, საკუთარ სახელთა, ცხოველთა, ფრინველთა, ტოპონიმთა საძიებლები. ასეთი აპარატით ჯერხნობით ქართული ფოლკლორის დიდი კორპუსი არ გამოცემულა. ხალხური ზეპირსიტყვაობის ნიმუშების მეცნიერულ გამოცემას სათავე დაუდო ა. შანიძემ, რომელმაც 1931 წელს ბრწყინვალედ გამოსცა „ხევსურული პოეზია“. მართალია, ეს იყო საქართველოს ერთი რეგიონის ხალხურ პოეტურ ძეგლთა კრებული, მაგრამ ჩინებულმა გამოცემამ დიდი გავლენა იქონია ხალხური სიბრძნის შემდგომსა და, კერძოდ, ქართული ხალხური პოეზიის სრული კორპუსის დამუშავება-პუბლიკაციაზე. „ხევსურულ პოეზიაში“ დოკუმენტირებულია კლასიფიცირებული ტექსტები (საგმირონი, სატრფიალონი, სხვადასხვანა: სალდათობა და ომი, სტუმარ-მასპინძლობა, ნადირობა, სიკვდილი, თქმულებანი, გალექსება, ნარევი, მთიბლური), ყველა მათგანს ახლავს ვრცელი შენიშვნები და ვარიანტები, ინდექსები (ცნობები დათქმულ ნიშანთა, ჩამწერ-შემკრებთა, მოამბეთა, ნათქვამთა შესახებ). ა. შანიძეს ხალხური პოეზიის გამოცემა განზრახული ჰქონდა ოთხ ტომად. ჯერჯერობით გამოსულია მხოლოდ პირველი ტომი, რომლის წინასიტყვაობაში ავტორი წერდა: „ხალხური პოეზია მთაში ოთხ ტომადა განზრახული: პირველია ეს და შეიცავს ხევსურულ ლექსებს სათანადო ვარიანტებითურთ, მეორე იქნება ფშაური, მესამე — დანარჩენი კუთხეებისა: თუშური, მოხეური და მთიულურ-გუდამაყურული, მეოთხეში კი მოთავსებული იქნება ნაწყვეტები ხალხური ვეფხისტყაოსნიდან, როსტომიანიდან, ეთერიანიდან და სხვა, რაც მწიგნობრული თუ სხვა გზით არის გადასული ზედა ფენებიდან და თავისებურად გადაკეთებული და გადასხვაფერებული ხალხში. იმავე ტომში იქნება მოქცეული ინდექსები საკუთარის (ადამიანთა და გეოგრაფიულის) სახელებისა, რომელიც ყველა ტომს ერთად ექნება გაკეთებული, ვრცელი გამოკვლევა ლექსთა ფორმისა და შინაარსის შესახებ და აგრეთვე ენის მიმოხილვა გრამატიკა-ლექსიკის თვალსაზრისით. ლექსიკონში შეტანილი იქნება ისეთი სიტყვებიც, რომლებიც სადმე ლექსში შეიძლება არ გვხვდებოდეს, მაგრამ ჩემ მიერაა მთაში შეკრებილი. შიგვე მოქცეული იქნება მთის მწერალთა ნაწერებიდან (ვაჟა-ფშაველას, ბა-

ჩანას და ა. ყაზბეგის თხზულებათაგან) ამოკრებილი სიტყვებიც. ამის გამო ლექსიკონს ფართო მნიშვნელობა მიენიჭება და დიდ დახმარებას გაუწევს იმ გაცხოველებულ ტერმინოლოგიურ მუშაობას, რომელიც ჩვენში წარმოებს ამჟამად“ (იქვე, გვ. 03—04). ამ ფართო გეგმით დაწყებული ოთხტომეულის გამოცემის დამთავრება საშური საქმე იქნებოდა. მკითხველი ამას დიდი ინტერესით ელოდება.

სრული კორპუსის გამოცემის მომზადებით კოლექტივი შეეცადა ხორცი შეესხა ა. შანიძის წამოწყებისათვის და შემოქმედებით განეგრძო იგი. დაძლეულია ბევრი დაბრკოლება. შესრულებულია რთული და ძნელი სამუშაო. ფოლკლორისტთა სახელოვანი კოლექტივის რუდუნების სამზეოზე გამოტანილი შედეგები საზოგადოებრიობის ყოველმხრივ მოწონებას იმსახურებს.

ქართული ხალხური პოეზიის პირველი ტომი შედგენილია მიხ. ჩიქოვანისა და ნ. შამანაძის მიერ, ეძღვნება მითოლოგიურ ლექსებს. პირველ ნაკვეთში შეტანილია 150, მეორეში კი — 160 ძირითადი ტექსტი, რასაც შენიშვნების სახით ერთვის რამდენიმე ასეული უცნობი ან ნაკლებცნობილი ვარიანტი. დიდი ნაწილი ვარიანტებისა და მათი ფრაგმენტებისა ამოკრეფილია არსებული პუბლიკაციებიდან და არქივებიდან, მნიშვნელოვანი ნაწილი კი სულ ახლადაა მოპოვებული ფოლკლორული ექსპედიციების მიერ ადგილებზე. მასალა ფართო ინტერესის შემცველია. აქ წარმოდგენილია უნიკალური ლექსები და შაირები მზის, მთვარის, ვარსკვლავების შესახებ: მზისა და მთვარის გაბაასება, სვანური მზის საგალობელი — ლილე, მორიგის, კვირიას, დალის, სამძივარის, ლაზარეს, ოროველას, გონჯასადმი მიძღვნილი ლექს-სიმღერები, სხვადასხვა დროს ჩაწერილი საქართველოს მთიანეთში. ცხოველ ყურადღებას იქცევს ბეთქილისა და დალისადმი, ნადირთბატონ ოჩოპინტრესა და სხვა ღვთაებებისადმი მიძღვნილი ლექსები, ოროველისა და აგუნას ლექსები, რომლებიც ახლაც ვრცელდება ხალხში და მათთან დაკავშირებულია მრავალი წარმართული რიტუალი. ცალკე თავადაა გამოყოფილი ლაშარის, ბაადურის, თერგვაულის, კობალას, იახსარის, პირქუშის, ლომისის, ადგილის დედის, გიორგის უძველესი ლექსები და მათი უცნობი ვარიანტები, ღვთაებათა სადიდებელი და ქების ტექსტები, რომელთა ტრადიცია ამჟამადაცაა შენახული საქართველოს მთიანეთში.

მეორე ნაკვეთის საშუალებით ვეცნობით ხალხის მიერ ლექსად გამოთქმულ რწმენას საიქიოსა (სულეთის) და ჯოჯოხეთის (შავეთის),

დევებისა და ქაჯების, გველისა და გველეშაპის შესახებ. ამ ციკლის ლექსებში ნაჩვენებია ხალხის წარმოდგენა ქვეყნისა და ადამიანის გაჩენაზე. აქ დაბეჭდილია მითითური შინაარსის ლექსები: „ქვეყნის გაჩენა“, „აღამ და ევა“, „პირველგამჩენელი“, „ადამიანი და გველი“, „წარღვნის ლექსი“, ნოეს, აბრამის, იობის, სოლომონ ბრძენის, ქრისტეს, ნათლისმცემლის, ავადმყოფობის გამომწვევი ძალების ლექსები. ტექსტებიდან კარგად ჩანს ხალხის წარმოდგენების რელიგიური წყაროები, ბევრი ადგილობრივი ლეგენდა და მისი ვარიანტები ესიტყვება სხვა უძველეს ხალხთა მითოლოგიურ თქმულებებსაც. მაგრამ ძირითადად კრებულში შეტანილია ადგილობრივი, თვითმყოფი ლეგენდები, რომელთაც ვარიანტები სხვა ხალხთა პოეზიაში არ ეძებნებათ. პირველ ტომს ახლავს მიხ. ჩიქოვანის საინტერესო გამოკვლევა „ქართული მითოლოგია და ხალხური პოეზია“ (გვ. 11—76), მეორეს — იმავე ავტორის „ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპები“ (გვ. 5—60). კრებული ძვირფას მასალას გვაწვდის ხალხის პირველყოფილი მითოლოგიური აზროვნების შესასწავლად. აქ გამოქვეყნებული ტექსტების შედარებითი შესწავლა და შეპირისპირება სხვა ხალხთა ანალოგიური ჟანრების ლექსებთან ნათელს მოჰფენს ბევრ ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ საკითხს ფოლკლორისტიკასა და მითოლოგიაში.

პირველ ტომს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ქართული მითოლოგიური ლექსების ასე სრული კრებული პირველად გამოიცა. ხალხის წარმოდგენები სამყაროსა და მის კომპონენტებზე, რეალურსა და ირეალურ ძალებზე, წარმართულ ღვთაებებსა და სალოცავებზე აისახა ლექს-სიმღერებში, რომელთა ხანგრძლივმა ტრადიციამ ხელი შეუწყო მათი ციკლებისა და ვარიაციების აღმოცენება-გავრცელებას. ხსენებული ციკლების დიდ ნაწილს სალოცავთა და საგალობელთა სახეები მიეცა. ჩვენი დაკვირვებით, ამ ლექსების ტრადიცია და შესრულების წეს-ჩვეულებები წარმართობის ეპოქას წვდება და ზოგი რეალია ხალხში ტრიალს ამჟამადაც განაგრძობს. „მითოლოგიური ლექსები და ხატ-სალოცავთა დიდებანი, — ამბობს მიხ. ჩიქოვანი, — ქართველი კაცის წარმართობის დროინდელი ცხოვრებისა და ლალი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. თითოეული ნიმუში გარკვეული ჰუმანური გრძნობის განსახიერებაცაა. ყველაფერი, რაც კი ამგვარ ნაწარმოებებში იჩენს თავს, სიტყვის ოსტატობა და გულიდან მომდინარე განცდა, ცის სხეულები და ეშმაკ-მაცილები, რეა-



ლური თუ ფანტასტიკური არსებანი — ადამიანის ირგვლივ ტრიალებენ. მიუხედავად იმისა, რომ მითოლოგიაში ღვთაებზე და სასწაულებრივ მოვლენებზეა უპირატესად საუბარი, მაინც ქართული მასალების მიხედვით ამ თვალუწვდენ სამყაროს შუაგულში ჩვეულებრივადამიანი დგას და მის გარშემო იყრის თავს ყოველივე. ლექსისა და დიდების მიზანი რეალური ცხოვრების ამოცნობა და გაუმჯობესებაა“ (ტ. I, გვ. 19).

მითოლოგიური ლექსები წარმართულ ღვთაებებზე (მორიგე, კვირია, დალი, სამძივარი, ლაზარე, ოროველი, გოჩი, ფიწალე, ადგილის დედა, გიორგი, ელია, აგუნა, ლაშარი, ბაადური, თერგვაული, კობალა, იახსარი, პირქუში, ლომისი), სულეთისა და შავეთის, დევებისა და ქაჯების ლექსები, ქრისტიანული ლექსები ქვეყნისა და ადამიანის გაჩენაზე მათი მდიდარი ვარიანტებითურთ საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ხალხის წარმოდგენათა ჰორიზონტი და უშუალო წყაროები. ამიტომ, ბუნებრივია, აქ ქართული დიალექტური ტექსტების გვერდით საჭირო ადგილი ეთმობა სვანურსა და მეგრულ მასალას, რომელთა მოშველიებით აღდგენილია ძველი ქართველური მითოლოგიური წარმოდგენები. ცნობილია, რომ ქართული მითოლოგიური ლექსების შესწავლას საყურადღებო შრომები უძღვნეს ნ. მარმა და ა. ხახანაშვილმა, ი. ჯავახიშვილმა და ნ. ხიზანაშვილმა, ბ. ნიჟარაძემ და ვ. ბარდაველიძემ, მის. ჩიქოვანმა და ელ. ვირსალაძემ, რომელთა გამოკვლევებში ნაჩვენებია ქართული მითოლოგიური ლექსების მჭიდრო კავშირი ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენებთან და ღვთაებათა მხატვრულ სახეებთან. მის. ჩიქოვანი სწორად მიუთითებს: „მხატვრული აზროვნების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მითოლოგიური სახეები პოეტური შემოქმედების საგნად იქცევიან. ამ დროს ხელოვანის წინაშე არაჩვეულებრივ მოვლენათა მთელი სამყაროა გადაშლილი და ისიც დიდი აღმაფრენით ქმნის, უხვად იყენებს რა წინათაობათა ნაფიქრსა და ნააზრევს, უკვე ტრადიციულად ქცეულსა და ყოფიერებაში დამკვიდრებულ გადმოცემებს. მარქსის მიერ ბერძნული ხელოვნების მაგალითზე ნაჩვენები კანონი ქართულ სინამდვილეშიც დასტურდება. აქაც მითოლოგია მხატვრული ასახვის საფუძველსა და ამოუწურავ წყაროს წარმოადგენს. თანდათან მითითური არსებანი გზას იკაფავენ პოეზიისაკენ, შემოდიან ახალ სამყაროში, მაგრამ არა ძველის ასლის ფორმით, არამედ გარდაქმნილ-გადამუშავებულნი“ (იქვე, გვ. 39). ამას ცხადად მოწმობს მითოლოგიურ ლექ-

სებში დალის, ბეთქილის, კობალას, იახსარის, პირქუშისა და სხვა ღვთაებათა სახეების გააზრება.

მესამე ტომი ორ ნაკვეთად შეადგინა, გამოკვლევა, შენიშვნები და ვარიანტები დაურთო ქს. სიხარულიძემ. გამოქვეყნებულია თემატიკურად და სიუჟეტურად მრავალფეროვანი ლირიკულ-ეპიკური საგმირო ლექსები, ჩვენს წინაშე გადმოშლილია მთელი ქართული საგმირო პოეზია. ცხოველ ინტერესს იწვევს აფორიზმები და სასიმღერო შაირები, მომხდურებთან მებრძოლთა ქება, გმირის იდეალისადმი მიძღვნილი, საგმირო-სახოტბო, სამონადირეო, სამგლოვიარო ციკლის ლექსები. ორივე წიგნში შეტანილია 780 ძირითადი ტექსტი და მათა ათასზე მეტი ვარიანტი. მესამე ტომის პირველ ნაკვეთს ერთვის ქს. სიხარულიძის უაღრესად ფასეული გამოკვლევა „საგმირო პოეზიის ძირითადი საკითხები“ (გვ. 7—75), მეორეს — იმავე ავტორის „საგმირო ლექსების შემკრებნი და მკვლევარნი“ (გვ. 7—29). წარმოდგენილია ხალხში დარჩენილი თითქმის ყველა ძირითადი ტექსტი რჩეული ხალხური ლექსებისა, რომლებიც სასიმღერო ჰანგებით სრულდებოდა როგორც ძველად, ისე სრულდება ამჟამადაც. ამ ლექსებში შექმნილია ხალხის რჩეული შვილები, სამშობლოს თავდადებული დამცველნი, უშიშარი რაინდები, ვისი სახელები დღესაც ცოცხლობენ შრომის ადამიანთა ხსოვნაში.

ქს. სიხარულიძე საგმირო ეპოსის გამოჩენილი მკვლევარი იყო. მისმა დაკვირვებებმა ფართოდ წარმოაჩინა საგმირო ლექსები და განსაზღვრა მათი ადგილი ქართულ ფოლკლორში. „ქართულ ხალხურ საგმირო ლირიკულ-ეპიკურ ლექსებს, — წერს მკვლევარი, — დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის წარსულის დასახასიათებლად და წინაპართა გმირულ საქმეთა აღსადგენად. ჩვენ რომ არ გვექონდეს ისტორიული საბუთები საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების უძველესი ხანისა, ჩვენამდე რომ არ მოეღწია საისტორიო ზეპირ ნაწარმოებთა მდიდარსა და მრავალფეროვან ციკლებს, მაშინაც გვექნებოდა საშუალება ზოგადად და ხშირ შემთხვევაში კონკრეტულადაც წარმოგვედგინა, საუკუნეთა მანძილზე რა მოუსვენარი და მშფოთვარე იყო წინაპართა ცხოვრება. გვექნებოდა საშუალება, წარმოგვედგინა უმძიმესი ხვედრი, ერთი მხრივ, კავკასიონის სალტეში მომწყვდეულ და, მეორე მხრივ, ზღვის გაშლილ სანაპიროზე მცხოვრები ქართველი ხალხისა. ამ წარმოდგენას გვექმნის მრავალრიცხოვანი ლირიკულ-ეპიკური საგმირო ლექსები, რომელთა

პირველი წყარო არის ის გამუდმებული ბრძოლები, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე ეწეოდა უცხო მომხდურთა თუ შიგნით, ფეოდალური დაქსაქსულობისას ერთიმეორის წინააღმდეგ“ (ტ. III, გვ. 13).

ნაკვეთებზე დართულ ვრცელ ნარკვევებში, კომენტარებში, ვარიანტებსა და შენიშვნებში გარკვეულია საგმირო ჟანრის სპეციფიკა და ადგილი ხალხურ პოეზიაში, მოცემულია საგმირო ლექსების ახლებური კლასიფიკაცია, დადგენილია ამ ლექსების თემატიკა, ძირითადი ციკლები და სიუჟეტური ქარგები, ნაჩვენებია მათი მხატვრული თავისებურებები და შეფასებულია ამ ციკლის ლექსების შემკრებ-მკვლევართა ღვაწლი. ავტორის დაკვირვებები, ვარიანტების ვრცელი მიმოხილვები, შენიშვნები და კომენტარები სრულ წარმოდგენას გვაძლევს საგმირო ლექსების ზოგადი ბუნებისა და თვითმყოფი მხატვრული ფორმისა და შინაარსის შესახებ. ნარკვევებში შემდგომია განვითარებული ის კონცეფცია საგმირო-საისტორიო პოეზიის წარმოშობა-ტრადიციის, ციკლებისა და სპეციფიკის შესახებ, რომელიც ავტორმა ჯერ კიდევ თავის ცნობილ მონოგრაფიაში „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“ (1949 წ.) და შემდეგ „ქართული საისტორიო სიტყვიერების“ სამტომეულში (ტ. I, 1961; ტ. II, 1964; ტ. III, 1967) ჩამოაყალიბა.

მესხეთე ტომი შედგენილია მიხ. ჩიქოვანისა და ნ. შამანაძის მიერ და ეძღვნება საწესჩვეულებო პოეზიას. ტექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი შეკრებილია საბჭოთა პერიოდში სამეცნიერო ექსპედიციების მიერ რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში და პირველად იბეჭდება. კალენდარული და საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშები დაჯგუფებულია ციკლებად. ინტერესის შემცველია საახალწლო ციკლის, აგრეთვე ჭონის, ბერიკაობის, ხმითნატირობის, მოსაგონარი და საქორწილო ლექსები. გამოვლენილი და შესწავლილია იშვიათი საწესჩვეულებო ლექს-სიმღერები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევვენ ყოფის მრავალფეროვანი კალენდარული წესების რეალიებზე, მათში ჩაქსოვილ რწმენაზე. 565 ძირითად ტექსტს თან ახლავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული ასობით მხატვრული ვარიანტი. ტომზე დართულ შესავალში და შენიშვნებში მიხ. ჩიქოვანი დაწვრილებით იხილავს ქართულ საწესჩვეულებო პოეზიას და აფასებს შესაბამის ტექსტებს როგორც მხატვრულ-სიუჟეტურად, ისე გამომსახველობის თვალსაზრისით.

მეექვსე ტომით მკითხველი ეცნობა სატრფიალო პოეზიას. ცნობილია, თუ რა შესანიშნავ მხატვრულ კოლორიტს ქმნიან ეს მშვენიერა ტექსტები. მასალა დალაგებულია შემდეგ რკალებად: ქება, ნატვრა, გაბაასება, სატრფიალო წერილი, ელეგია, მინიატურა, ბალადა. თავმოყრილია ყველაზე გავრცელებული და პოპულარული 615 ხალხური ლექსი. ტომი შედგენილია ელ. ვირსალაძისა და გ. ბარნოვის მიერ და ერთვის ელ. ვირსალაძის ჩინებული ნარკვევი ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის შესახებ. ნარკვევში საქმის ღრმა ცოდნით დახასიათებულია ქართული სატრფიალო პოეზიის შედეგები, განხილულია მათი უანრობრივი და სტრუქტურული მოდელები, მოტივები, სიმბოლიკა, ენობრივი ქსოვილი, ზომა, გამომსახველობის საშუალებები. ძირითადი ტექსტები ილუსტრირებულია ასობით ვარიანტით. მკვლევარი მართებულად მიუთითებს, რომ ლირიკული სიმღერა ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანის შრომითს საქმიანობასთან, მასში პოვებდა ასახვას ადამიანი და მისი ცხოვრებისეული მოვლენები. სატრფიალო პოეზიას გენეტიკურად მჭიდრო კავშირი ჰქონდა ფოლკლორის უძველეს უნარებთან, ხოლო განვითარების პროცესში იგი თვისობრივად გამდიდრდა, იქცა სხვადასხვა ეპოქის ესთეტიკური იდეალების ამსახველი. სატრფიალო ლექს-სიმღერები საზოგადოების განვითარების გრძელ ეპოქებში შეივსო სოციალური მოტივებით და კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ადამიანთა ყოფას.

ტომში სრულადაა ასახული ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის უნარები. სატრფიალო უაირებთან ერთად აქ გვაქვს ჩვეულებრივ ქალ-ვაჟთა სასიყვარულო ლექსები. მთელი მასალა დაყოფილია 7 ციკლად (ქება, ნატვრა, გაბაასება, სატრფიალო წერილი, ელეგია, მინიატურა, ბალადა). ტექსტების ძირითადი ნაწილი მოპოვებულია აღმოსავლეთ საქართველოში, უპირატესად ფშავში. ელ. ვირსალაძე სამართლიანად მიუთითებს: „ქართული სატრფიალო ლირიკის მარავის მხრივ ყველა კუთხე არ არის თანაბარი. ძირითადი სიმდიდრე მისი ბარიდან — ქართლ-კახეთსა და მესხეთს, ხოლო მთლიანა რაოდენობიდან ფშავს ეკუთვნისო“ (ტ. VI, გვ. 12). სატრფიალო ლირიკის შედეგები გამოირჩევა უანრთა მრავალფეროვნებით, მხატვრულ სახეთა დახვეწილობით, რითმისა და სხვა სალექსო აქსესუარის სიმდიდრით. ლირიკული ლექსების მხატვრული სიტურფე და მუსიკალურობა პოეტური ხელოვნების ზენიტს აღწევს. აი, მაგალითად,

რა ნატიფი და დახვეწილია ეს სატრფიალო შაირები: „თვალი შავარდენს მიგიგავს, ტანი — აშოლტილ შინდსაო, შენი გულ-მკერდი დაადნობს უღვამამოყრილ ბიჭსაო“ (№ 92); „ბროლის კბილები მოგიჩანს, ფიქალის გული, მკერდია, მომხედე, ღმერთი გიშველის, შენს ფიქრში ჩამოვბერდია“ (№ 93); „მაისის ვარდის ლოყებავ, ტუჩზე გასხია ლალია, ბრეთში არ დაბადებულა შენი ბადალი ქალია“ (№ 95); „შავი წარბები რომ გშვენის, ტუჩებზე ეშხის ხალია; იალბუზივით გულ-მკერდი, გრძნობის წამრთმევი თვალია!“ (№ 97); „ლალის ფერი გაქვს ლოყები, თეთრ გედს მიგიგავს ყელია; ლერწამისტანი გერხნევა, თვალები კაცის მკვლელია!“ (№ 99); „მე შენ მინდი, შენმა მზემა, მე შენ მემშვენეირები. დღისით მეფარები მზესა, ღამით მემთვარიანები“ (№ 7)... უკანასკნელი შაირის გამო ელ. ვირსალაძე მიუთითებს: „ამ სტრიქონებში არა მარტო დიდი გრძნობაა ჩაქსოვილი, არამედ მაღალი მხატვრული ოსტატობაც. ამ სტრიქონების შემქმნელი არა მარტო გრძნობს ლექსის ეფფონიკურ ძალას, არამედ ფლობს ქართული სიტყვის მუსიკას, ტკბება ბგერების თამაშით, მათი მოულოდნელი შეხამებებით. ასეთი ფორმები, როგორც არის „მემშვენეირები“, „მემთვარიანები“ მხატვრული სიტყვის განვითარების მეტად მაღალ დონეს გვიჩვენებს“ (ტ. VI, გვ. 5).

სატრფიალო ლექსის პოპულარობას მოწმობს მისი უკიდევანო გავრცელება. ვ. კოტეტიშვილის, მიხ. ჩიქოვანის, ელ. ვირსალაძის, ქს. სიხარულიძის ნაშრომებიდან ჩანს, რომ სატრფიალო ლირიკა დიდ ადგილს იჭერს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ პოეტურ რეპერტუარში. „მაღლიდან გადმომდგარიყო“, მაგალითად, ათობით ვარიანტადაა ჩაწერილი ქართლში (დიღომი, ნადარბაზევი, მარაბდა, ატენი, ერთაწმინდა), ბორჯომის ხეობაში (ბორჯომი, მიტარბი, საკირე, თელოვანი), კახეთში (ვაჩნაძიანი, ველისციხე, ბაკურციხე, ზემოქედი, წითელხევა, კაკაბეთი), ფშავში (მაგრანეთი), ხევსურეთში, თუშეთში, მესხეთ-ჯავახეთში (ხიზაბავრა, ახალციხე, ბარალეთი), აჭარაში (შუახევი, ხიხაძირი, ჯორჯომი), იმერეთში (საკურნე, ჭალა), რაჭაში (გლოლა, ჭიორა, წედისი, ლები, აბარი, წესი), გურიაში (ნაბეღლავი, ტობაჩხო). სულ ცნობილია 67 ჩანაწერი. ყველაზე უძველესი მათგანი 1868 წელსაა კახეთში მოპოვებული. ეს სასიმღერო ლექსი მთარაჭაში საწესჩვეულებო ხასიათის არის, უკავშირდება „უუუუნა წვიმის“ სასიმღერო ჰანგს (ტ. VI, გვ. 354—370).

იგივე ითქმის ბევრ სხვა სატრფიალო ლექსზეც, რომლებიც ამ

ტომშია თავმოყრილი. ფართოდ და მრავალ ვარიანტად ვრცელდება ისეთი სატრფიალო ბალადები, როგორიცაა: „ია მთაზედა, თოვლიანზედა“ (№ 606), „თავფარავნელი ჭაბუკი“ (№ 607), „ვაჟი ქერაი ჭაბუკი“ (№ 608), „მანგლისი რო ააშენეს“ (№ 610).

ხალხური სატრფიალო ლირიკის ნიმუშების ტექსტისა და ტრადიციის შესწავლა გვარწმუნებს, რომ ხალხური ლექსი ძველთაძველია, იგი უხსოვარი დროიდან მოკიდებული დამკვიდრებულია ხალხის ყოფაში და მკიდრო კავშირი აქვს სიმღერასთან. სიტყვობრივი და სამუსიკო ფოლკლორი განუყრელია. სატრფიალო ლექსები იქმნებოდა მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში, რომლის ესთეტიკური გრძნობა და განცდა მნიშვნელოვნად იყო დაწინაურებული, ირჩეოდა სილამაზისა და მშვენიერების ფენომენი, დანაწილებული იყო საზოგადოებრივი შრომა. ხანგრძლივმა ტრადიციამ ხელი შეუწყო ტექსტების გავრცელებას, დახვეწას, ენობრივი აქსესუარის გამდიდრებას, რიტმისა და მელოდიურობის სრულყოფას. სწორად ამბობს ელ. ვირსალაძე: „ქართული ხალხური ლირიკის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები თავისი დახვეწილობითა და სინატიფით უეჭველად შექმნილია ისეთ ეპოქაში, როდესაც ადამიანი არამცთუ კარგად ერკვეოდა თავის განცდებში, არამედ ცხოვრების ერთგვარ ფილოსოფიას ქმნიდა, გამოხატავდა გარკვეულ თვალსაზრისს საზოგადოებრივ მოვლენებზე, ადამიანის შინაგან ცხოვრებაზე, გრძნობებზე, ამ გრძნობათა სუბიექტსა თუ ობიექტზე, ცხოვრების იდეალებზე“ (ტ. VI, გვ. 7—8).

ამის ასობით ნიმუშიდან საილუსტრაციოდ დავიმოწმებ ერთ პოპულარულ ხალხურ ბალადს — „მანგლისი რო ააშენეს“, რომელიც ცნობილია 44 ჩანაწერით რესპუბლიკის მრავალ რეგიონში; მისი ყველაზე ადრინდელი ჩანაწერი 1882 წლითაა დათარიღებული. ბალადა ყურადღებას იქცევს ჩამოქნილი მხატვრული სტრუქტურით, რაფინირებული ენით, ტიპობრივი ხალხური კლავტულოთ, მუსიკური სილალით, რამაც განაპირობა მისი გავრცელების ფართო არეალი.

„მანგლისი რო ააშენეს,  
თეთრათ შეღესეს კირითა;  
შიგ წყალი გამაიყვანეს,  
ნადენი ოქროს მილითა;  
იქ ერთი ქალი ცხოვრობდა,  
თმას იღებამდა ინითა,  
კოშკიდან იქიბებოდა  
საღამოთი და დილითა;

იქ დადიოდა მეცხვარე,  
ყველსა ზიდამდა პინითა.  
მეცხვარეს ქალი შეპყვარდა,  
ქალმაც შესცინა პირითა,  
გამოუტანდა არაყსა,  
ასმევდა ყოველ დილითა.  
— შენი არაყი არ მინდა,  
შენთან გამაძლო ძილითა!

დასწყევლა ქალმა ლამაზმა  
 თავის წყეული პირითა:  
 — სულმც გაგიწყდება ცხვარ-ძროხა,  
 ჯერ უნახავი ჭირითა,  
 ტყავებას ვერ ასდიოდე,  
 მუშას იჭერდე ჭირითა,  
 დახოცილს ვეზიდებოდე  
 სამოცდასამი ვირითა.  
 ახლა მეცხვარემ დასწყევლა  
 თავის საბრალო პირითა:  
 — მანგლისიმც ამოვარდნილა,  
 ქვა აღარ ედოს ძირითა,

ტყვეთ წაგიყვანონ ლეკებმა,  
 ვაი-ვაგლახით, ჭირითა,  
 უკან მე გამოგედევნო  
 ჩემი უუყოლ ვირითა,  
 მოგტაცო, წამოგიყვანო  
 ქამანჩითა და სტვირითა;  
 ერთათ ვიცხოვროთ ბოლომდე,  
 დრო გავატაროთ ღზინითა.  
 ეს სთქვა და მთისკენ წავიდა  
 თავის ცხვარით და პინითა“.

(ტ. VI, № 610, გვ. 370—381).

მეშვიდე ტომში შეტანილია საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერათა ციკლები. მის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ელ. ვირსალაძემ, ჯ. ბარდაველიძემ, დ. გოგოჭურმა, ფ. ზანდუკელმა და ვ. მაცაბერიძემ. ტომში დაბეჭდილი 768 ლექსი დაჯგუფებულია ქვერკალებად: წუთისოფელი, სოციალური ყოფა (ბატონყმობა), ძველი სოფლის მოხელები, მოჯამაგირეობა, სიღარიბე და თბლობა, ჩარჩ-ვაჭრები, სასულიერო წოდება, ბუნება. თითოეული რკალი და ქვერკალი დოკუმენტირებულია უძვირფასესი მასალით. წიგნს წამძღვარებული აქვს ელ. ვირსალაძის ღრმაშინაარსიანი ნარკვევი „ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზია“ (გვ. 5—28), რომელშიაც მოცემულია ლექს-სიმღერათა წარმოდგენილი ციკლების მხატვრული და ჟანრობრივ-თემატიკური ანალიზი. ხალხი ამ ლექსებში სასტიკად ამართახებს ბატონყმობის უსამართლობას, ნიღაბს ხდის ცარიზმის ანტიხალხურ პოლიტიკას, მის ბიუროკრატიულ და ჩინოვნიკურ აპარატს. კრებულში შეტანილ მხატვრულ-ესთეტიკურად გამართულ ლექსებში ნაჩვენებია უსამართლობის წინააღმდეგ სოციალური ბრძოლის, ხალხის სანუკვარი იდეალებისათვის თავდადების უჭკნობი მაგალითები. ტექსტები შეჯერებულია ისტორიულ რეალიებთან.

მერვე ტომშიც საყოფაცხოვრებო ლექსებს ვეცნობით. იგი შედგენილია ელ. ვირსალაძის, ჯ. ბარდაველიძის, გ. ბარნოვის, დ. გოგოჭურის, ფ. ზანდუკელის, ვ. მაცაბერიძის, ა. ცანავას მიერ, რომელიც უშუალო გაგრძელებაა მეშვიდე ტომისა. თავმოყრილია ის ჟანრობრივად და თემატიკურად თანხვედნილი მასალა, რომელიც ვერ მოთავსდა მეშვიდე ტომში. ტექსტები დალაგებულია შემდეგ რკალებად: დედ-მამა, და-ძმობა, ძმობილობა, ცოლ-ქმარი, რძალ-დედამთი-

ლი, პატარძალი, გასათხოვარი ქალი, სიძე-სიმამრი, ქვრივი, ნათლია და ნათლიდედა, სტუმარ-მასპინძლობა, მწყემსური, საბავშვო ლექსები. 857 ძირითად ტექსტს დაქვნილი აქვს ათასზე მეტი შესატყვისი ვარიანტი.

მეცხრე ტომი შაირებსა და კაფიას ეძღვნება. ასეულობით მაღალპოეტურ ნიმუშს წამძღვარებული აქვს შემდგენლების ა. ცანავასა და ჯ. ბარდაველიძის გამოკვლევა ამავე ჟანრების შესახებ. გამოქვეყნებულ ტექსტებს შორის ბევრი სრულიად უცნობია, თუმცა შაირების კრებულის 1941 წლის გამოცემაც მოგვეპოვებოდა (ალ. ლლონტი).

მეათე ტომი შრომის ლექსებისა და სიმღერების სრულ კრებულს წარმოადგენს, იგი შედგენილი იყო თამარ ოჭროშიძის მიერ, შეავსო და დასაბუქდად მოამზადა ფ. ზანდუკელმა.

მეთერთმეტე ტომი მთლიანად საისტორიო ლექსებს ეთმობა, შედგენილია ქს. სიხარულიძის მიერ, ხოლო სასტამბოდ მოამზადეს დ. გოგოჭურმა და ვ. მაცაბერიძემ. მეთერთმეტე ტომს გამოსვლა დაასწრო მეთორმეტე ტომმა, რომელშიც წარმოდგენილია თანამედროვე ლექსები და სიმღერები. ტომი შეადგინეს, გამოკვლევა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს დ. გოგოჭურმა და ვ. მაცაბერიძემ. 588 ძირითად ტექსტს ახლავს ვარიანტები სხვადასხვა ფორმისა და მოცულობისა. ესაა თანამედროვე ხალხური პოეზიის სოლიდური ანთოლოგია, მასში თავმოყრილია მრავალფეროვანი მასალა. გამოკვლევაში სწორადაა ნაჩვენები ხალხური ლექსის ტრადიცია თანამედროვე საკოლმეურნეო სოფელსა და წარმოებაში, მისი ადგილი ხალხური შემოქმედების ტრადიციულ ჟანრებთან ურთიერთობაში, ახალი ლექსების მხატვრულ-ესთეტიკური ნიშან-თვისებები კლასიკურ ხალხურ ლექს-სიმღერებთან შეპირისპირებით.

ჯერჯერობით, როგორც ითქვა, გამოსულია ქართული ხალხური პოეზიის კორპუსის 11 ტომი, რაც სამასზე მეტ სასტამბო თაბახს შეიცავს. ტომეულებში შეტანილია 5000-მდე ძირითადი ტექსტი, რომელთაც თან ახლავს დიდძალი ვარიანტი. ყველა ტომს ამკობს მდიდარი, ფრიად მნიშვნელოვანი და დიდად საჭირო სამეცნიერო აპარატი, შენიშვნები, საძიებლები, ლექსიკონები, გამოკვლევები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მარჯვედ შედგენილი ლექსიკონები, რომლებიც ზრდიან გამოცემების მეცნიერულ ღირებულებას. ლექსიკონებში განმარტებულია უპირატესად ადგილობრივი (დიალექტური) სი-



ტყეები და გამოთქმები. მოხმობილ სიტყვათა უმეტესი ნაწილი უცხოა სალიტერატურო ქართული ენისათვის, არცაა შეტანილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში. დიალექტიკური ლექსიკა სალიტერატურო ენის სარეზერვო ფონდია. უეჭველია, ამ ფონდიდან აღებული ბევრი წკრიალა სიტყვა, ნატურისთვალევიით რომაა ჩამჭდარი ხალხის პოეტურ შედევრებში, დაიხვეწება, უფრო გაშინაურდება და გზას გაიკაფავს სალიტერატურო ენის საგანძურისაკენ.

ლექსიკონები მოცულობით მცირეა და სრულად არც ასახავს ტექსტების ლექსიკურ საგანძურს (ყველა იშვიათი სიტყვა არაა გამოტანილი), მაგრამ ის მასალა, რაც ლექსიკონებშია აღბეჭდილი, ათობით ადგილობრივი სიტყვა-ტერმინის სემანტიკისა და ეტიმოლოგიის გასახსნელად ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის. განსაკუთრებით ფასეულია მთის კილოების ლექსიკური ერთეულები, რომელთა შორის ბევრი მხოლოდ სწორედ ხსენებულ კილოებშია (ფშაურში, ხევსურულში, თუშურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში) ლოკალიზებული, იშვიათად გვხვდება სხვა კილო-თქმებში და არცაა შეტანილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. დავიმოწმებ რამდენიმე ნიმუშს: ა დ ე შ -ი, I, III (ბანიან სახურავზე დაფენილი ფიჩხი); ა მ -ა ლ -ი II (შიშვილით დაბნედა); ა მ ლ ა თ -ი, IV (მარდი, სწრაფი); ა ნ ტ რ ი ა, XII (უგულო ხინკალი, მოხარშული ცომი, ატრია); ა პ ა -ტ ი ნ ა, IX (ახალი, დაუმარილებელი ხორცი); ა ლ ქ ა ნ ა, IX (წინდის ძირი); ა რ ვ ა ზ -ი, VI (ჭიშკარი); ა რ ყ ა ნ -ი, V (ქსოვილია ერთგვარი); ბ რ ა ს ტ -ი, II (ძონძი, კონკი); ბ ა ნ თ ვ ე რ -ი, VII (ბოკვერი; მტაცებელი ნადირის ნაშიერი); ბ უ ყ ი ნ -ი, VI (მაწვნის დასაყენებელი ხის ჭურჭელი); ბ ა რ ხ -ი, XII (მდელო, მწვანე სამოსი); ბ უ ჩ ა, V (თოფია ერთგვარი); გ ა ხ ო შ ვ ა, I (ვასხეპვა); გ ა გ ა ლ ვ ა, IV (დანაყვა, დალბობა); გ ო რ ჯ ა, VII (გროვა); დ ე ლ ა მ ფ ა რ -ი, I (ბეგარა, ხარკი); ზ ი ს ც ვ ა რ ი, V (რძე); თ ა ვ ი თ -ი, V (სასტუმალი); კ ა ო ტ -ი, I (ავადმყოფობა, სენი); კ ი რ კ ი ლ -ი, I (მავნე მწერი); კ ე მ პ -ი, XII (კლდის წვერი, ქიმი); კ ო კ ა ლ ი ა, I (ბატარა, უძლური); ლ ო ყ ნ ა, XII (ქორფა, ჩვილი, ლორთქო მცენარე); მ ა რ ხ ე, I (მიუვალი, შეუვალი, მარცხი, ცუდი საქმე); მ ა ძ ა ხ შ რ ა, I (მავნე სული); მ ე ე ნ ე, I (ქადაგი); მ ა შ თ ა გ -ი, IV (ბატკნის ტყავი საქალამნედ); მ ა შ ა, VII (ჩახმახი); მ ი რ დ ლ -ი, IX (ობი, ბრკე); ნ ე თ ხ ა, IV (ძვალი, რომელზეც რქაა წამოცმული); ნ ა ჩ ო ტ -ი, IV (ნაფოტი); ს ა ს ა გ ნ ა ვ -ი, I (სასროლი, სასპარეზო); ს ე ფ -ი, I (ხორციანი ქადა, რიტუალების

შესრულებისას აკეთებენ); ს ი მ უ რ - ი, I (წყალი, მდინარე, ხატის  
ენაზე); ს უ ლ ფ ო ნ - ი, V (მშვიდი, წყნარი, უშფოთველი); ყ ე ყ ე ე, I  
(ყეყეჩი, დოყლაპია); ც დ ა, I (ომი); ჭ ა ხ ა, XII (წილი, პარაზიტი);  
ჭ ი გ უ ნ - ი, I (ღუგმა, შესაბნევი ბალთა); ჭ ი პ უ რ ტ - ი, XII (ჭიპი,  
მუცელი); ხ ა ნ გ ა რ - ი, I (ხანჯალი, სატევარი) და მრავალი სხვა.

ქართული ხალხური პოეზიის კორპუსის გამოცემით გაკეთდა უდი-  
დესი საქმე. სამზეოზე იქნა გამოტანილი ხალხის გენიისა და ნიჭის ჭეშ-  
მარიტი შედეგები. დამთავრდა უბრწყინვალესი ძეგლების თავმოყ-  
რა და მეცნიერების სამსახურში ჩაყენება. ქართული ხალხური პოე-  
ზიის თორმეტომეულის გამოცემა მოასწავებს საბჭოური ფოლკლო-  
რისტიკის განვითარების მაღალ დონეს, იგი ხელს შეუწყობს ტექსტე-  
ბის ახლებურად შესწავლასა და გააზრებას, მკვლევართა ახალი თაო-  
ბების გამოწრთობას, ხალხური პოეზიის ავტორიტეტის ამაღლებას.  
ჩვენი მეცნიერების შემდგომ განვითარებას. მის საფუძველზე მოკლე  
ხანში დაცულია დისერტაციები, მომავალში კიდევ უფრო გახშირდებ-  
ა ინდივიდუალური და კოლექტიური მონოგრაფიების რაოდენობა,  
რომლებიც შუქს მოჰფენენ ხალხის მრავალსაუკუნოვან მხატვრულ  
ძეგლებს.

ქართული ხალხური პოეზიის 12-ტომიანი კორპუსის მაგალითზე  
აშკარად მტკიცდება, რომ ეროვნული ფოლკლორული კორპუსის გა-  
მოცემა საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი ფოლკლორის ათვისების  
ნამდვილ თანამედროვე ეფექტურ ფორმას წარმოადგენს. დასასრულ  
ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართული ფოლკლორი მარტო პოეზიით არ  
ამოიწურება, ახლა დღის წესრიგში დგება არაპოეტური ჟანრების  
კორპუსის გამოცემა. ვისურვოთ, რომ ისიც ასე წარმატებით განხორ-  
ციელდებულაყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დახმა-  
რებით. ქართული ხალხური პოეზიის სრული კორპუსის გამოცემას  
დადებითად გამოეხმაურა საბჭოთა, აგრეთვე უცხოეთის პრესა (საფ-  
რანგეთი, ინგლისი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია).

თ ბ ი ლ ი ს ი

## პარტიული ხელმძღვანელობის ქალა

ბონდო ბერიძესთან საუბარი მიჰყავდა  
ომარ გოჩელაშვილს

პლენუმი დამთავრდა, მაგრამ დარბაზი დიდხანს არ დაშლილა... გამგეობის წევრები ერთმანეთს ულოცავდნენ წარმატებებს: წყალტუბოს საქალაქო ორგანიზაციამ მეორედ მოიპოვა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის გარდამავალი დროშა... დაჯილდოვდნენ მოწინავე პირველადი ორგანიზაციები, აქტივისტები... გამარჯვების სიხარული სუფევდა დარბაზში.

კმაყოფილი იყო პარტიის წყალტუბოს საქალაქო ზონის კომიტეტის მეორე მდივანი ბონდო ბერიძე; პლენუმის შემდეგ სასაუბროდ მიგვიწვია კაბინეტში.

თითქოს საზეიმო ნათელი იდგა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის სამუშაო ოთახში. ყურადღება მიიპყრო მთელი კედლის გაყოფებით ჩამწკრივებულმა წიგნების ფართო კარადებმა და თაროებმა.


წიგნები... წიგნები... წიგნები... მარქსიზმის კლასიკოსთა ტომეულები, პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა კრებულები და ბროშურები, ისტორიული, ფილოსოფიური, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული ლიტერატურა... სამუშაო მაგიდაზეც მრავალი წიგნი ეწყო: ზოგი გადაშლილი, ზოგიც თაბახის ფურცლებით გვერდებჩანჩინულნი...

იგრძნობოდა, რომ პარტიული მუშაკის ბიბლიოთეკა მუდამ კითხვა-შესწავლაში, პრაქტიკულ გამოყენებაშია.

ჩვენი საუბარიც წიგნებსა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მუშაობის საკითხებს შეეხო.

— ბატონო ბონდო! თქვენ, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი, მრავალი საქმით ხართ დაკავებული. ამავე დროს თავმჯდომარეობთ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციის გამგეობას... პარტიულ მუშაობასა და საზოგადოებისადმი ნიადაგ ზრუნვა-დახმარებას როგორ უთავსებთ ერთმანეთს?

— ისევე, როგორც პარტიულ მუშაობასა და მოქალაქეობას, დიდ



ბონლო ბერიძე

ღირსებად მიმაჩნია, ხელმძღვანელობდე იმ ორგანიზაციას, რომელიც წიგნის მოყვარულთა სახელს ატარებს. დღეს საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის, 1983 წლის ივნისის პლენუმების დადგენილებებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვას ივნისის პლენუმზე: „ყველა საფეხურის პარტიულმა კომიტეტმა, ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეიგნოს, რომ მთელი იმ საკითხების მნიშვნელობასთან ერთად, რომელთა გადაწყვეტაც მათ უხდებათ (სამეურნეო, ორგანიზაციული და სხვა საკითხები), იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მეტად დგება წინა პლანზე“.

ეს სიტყვები წიგნის მოყვარულებსაც ეხება. ჩვენ ხომ იდეოლოგიური დარგის მუშაეები ვართ. წიგნის გარეშე არ არსებობს არც იდეოლოგიური და არც პარტიული თუ სამეურნეო საქმიანობა. პარ-

ტია ყოველთვის აფასებდა და აფასებს წიგნის მაორგანიზებელ და მამობილიზებელ როლს ახალი ადამიანის აღზრდისა და ფორმირების საქმეში. ხალხურობა და პარტიულობა, მეცნიერული არგუმენტირება და მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება, იდეურობა და მაღალმხატვრულობა განაპირობებს საბჭოთა ლიტერატურის მაღალ ავტორიტეტს. ასეთი ლიტერატურის პროპაგანდა დიდი, საპატიო მოვალეობაა წიგნის მოყვარულთათვის.

— თქვენ ბრძანეთ, რომ მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში წიგნის მოყვარულები დიდ როლს უნდა ასრულებდნენ. ცხადია, პარტიული ორგანიზაციების დახმარების გარეშე წიგნის მოყვარულებს გაუჭირდებათ ამ საპატიო მისიის შესრულება.

— წიგნის მოყვარულები პარტიის ერთგული თანაშემწეები არიან. ამიტომაც, რომ ჩვენი საქალაქო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათ საქმიანობას და დიდ დახმარებასაც უწევს. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ამ საზოგადოების მუშაობას თავიანთ ღვიძლ საქმედ თვლიან. მათი აქტიური მონაწილეობით აღინიშნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 65, სსრ კავშირის შექმნის 60, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეო თარიღები და ჩატარდა სხვა მრავალი ღონისძიება. ამ ღონისძიებებს თან ახლდა პოლიტიკური წიგნისა და პლაკატის ერთთვიურები, თეორიული და პრაქტიკული კონფერენციები, ლექციები და მოხსენებები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე, პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვან დადგენილებებზე...

წიგნის მოყვარულთა მუდმივი საზრუნავია პოლიტიკური და სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურის პროპაგანდა. სისტემატური ხასიათი მიიღო წიგნის „გულახდილი დიალოგი“ განხლვამ პირველად ორგანიზაციებში. წიგნის მოყვარულები გამოსთქვამენ მრავალ შენიშვნას და წინადადებას, რომლებიც მეტად საგულისხმოა. დიდი ინტერესი გამოიწვია განხილვებმა ე. შევარდნაძის წიგნებისა „ახალგაზრდობის ამოცანები“ და „საბჭოთა საქართველო“. აგრეთვე ისეთმა წიგნებმა, როგორიც არის: „პირველადი პარტიული ორგანიზაციის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა“, „მიზანი: ცოდნის, რწმენის, პრაქტიკული მოქმედების შენადნობი“, „მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ძირითადი მიმართულებანი“, „სოციალისტური დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცება ყველას ვალია!“ და სხვ.

— პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდის ღონისძიებებს

საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა ალბათ ატარებს პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტთან ერთად.

— რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ასეთი წიგნების განხილვა, დისკუტი, თეორიული თუ პრაქტიკული კონფერენცია ჯერ პოლიტიკური განათლების კაბინეტთან ერთად ტარდება, შემდეგ კი საზოგადოების პირველად ორგანიზაციებში პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად.

ზემოთ დასახელებულ წიგნებს გარდა განიხილეს აგრეთვე: ნ. ხუციშვილის „მეცნიერული მსოფლმხედველობა და სოციალისტური საზოგადოება“, პ. გერშკოვიჩის „ფაქტები ბრალს სდებენ“, დ. კაკაბაძის „იდეოლოგიურად უზრუნველვეყოთ მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები“, „დრო და სივრცე“, დ. გეგეშიძის „თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა და რელიგია“, „ათეიზმი, რელიგია, თანამედროვეობა“. დ. ქორიძის „ეკონომიურობა და მომჭირნეობა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაა“. ა. რეხვიაშვილის „პარტიის საქალაქო კომიტეტი და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა“ და სხვ.

— გასულ წელს, საკავშირო საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მუშაობის საკითხი. თქვენ მიწვეული იყავით იმ პრეზიდიუმზე...

— დიახ. მანამდე საზოგადოების ცენტრალური გამგეობიდან ჩამოსული იყვნენ პასუხისმგებელი მუშაკები. მათ შეისწავლეს წყალტუბოს საქალაქო ზონის წიგნის მოყვარულთა საქმიანობაც. პრეზიდიუმის წინაშე მომიხდა სიტყვით გამოსვლა. სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმმა დადებითად შეაფასა ქართველ წიგნისმოყვარულთა საქმიანობა როგორც იდეოლოგიური, ისე ორგანიზაციულ-ფინანსური მუშაობის ხაზით. სწორად შეფასდა საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულება, მისი წვლილი მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში. ეს, რა თქმა უნდა, საამაყოა; რესპუბლიკური ორგანიზაციის საერთო წარმატებებში ხომ ჩვენი, წყალტუბოს საქალაქო ზონის წიგნის მოყვარულთა წვლილიც არის.

— წიგნის მოყვარულთა საქმიანობის მთავარი მიმართულებაა პროპაგანდისტული მუშაობა წარმართოს სხვა დაინტერესებულ, პირ-

ველ რიგში დამფუძნებელ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში. რა ურთიერთობა აქვს საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის შესაბამის დაწესებულებებთან?

— გამგეობა მჭიდრო კავშირშია კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან, ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მიზნით ერთად ჩატარებული ღონისძიებები უფრო ეფექტურია. „საქწიგნის“ მაღაზიასთან ერთად ეწყობა წიგნების გამოფენა-გაყიდვის ღონისძიებები, ნახმარი და ბუკინისტური წიგნების ვაჭრობა; მაღაზიასთან გახსნილია წინასწარი შეკვეთების მაგიდა.

ერთობლივ ღონისძიებებს ასევე ატარებენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ორგანიზაციები კულტურისა და განათლების განყოფილებების შესაბამის დაწესებულებებთან ერთად.

— გამგეობის პლენუმზე, თქვენს მოხსენებაში, ყურადღება გაამახვილეთ სოფლად წიგნის პროპაგანდის საკითხებზე, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში წიგნის მოყვარულთა წვლილზე. რა მუშაობას ეწევა გამგეობა ამ მიმართულებით, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება აღმანახ „მწიგნობარის“ მკითხველებისთვისაც.

— უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა წიგნის მოყვარულთა ავტორიტეტი სოფლის მშრომელთა შორის. 1981 წლისათვის დავამთავრეთ სოფლად საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების შექმნა. ფართოდ გავშალეთ დარგობრივი ლიტერატურის პროპაგანდა. ჩვენი სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია და წამყვანი ადგილი უკავია ქალაქის ეკონომიკაში. პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული თუ სხვა სახის ლიტერატურის პროპაგანდა, ამ მიზნით ჩატარებული ღონისძიებები რეალურად ეხმარება სოფლის მშრომლებს ვალდებულებათა შესრულებაში.

— განსაკუთრებით კი, ალბათ, ახლა, როცა პრაქტიკულად ხორციელდება ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული სასურსათო პროგრამა!

— დიახ! წიგნის მოყვარულები აქტიურად მონაწილეობენ ამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეში. სოფლად მომხდარმა ცვლილებებმა, კერძოდ, აგროსამრეწველო გაერთიანებების ჩამოყალიბებამ სათანადო ცვლილებები გამოიწვია საზოგადოების ორგანიზაციებისა და წევრთა შემადგენლობის სტრუქტურაში. 129 პირველადი ორგანიზაციიდან 64 სასოფლო ორგანიზაციაა, რომლებშიც 700 კოლმეურნე, 550 საბჭოთა მეურნეობის მუშა და 300 სოფლის მეურნეობის სპე-

ცილისტი ირიცხება. საზოგადოების წევრობა ხომ ორგანიზაციაში აქტიურ მუშაობას გულისხმობს. სწორედ ეს აქტივისტი წიგნის მოყვარულეები ატარებენ წიგნის პროპაგანდის ღონისძიებებს მინდვრებსა თუ ფერმებში, ჩაის პლანტაციებში, საკოლმეურნეო კლუბებსა და ბიბლიოთეკებში... თითქმის ყველა ორგანიზაციაში იმსჯელეს გ. მგელაძის წიგნზე „ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა“, ყველას აინტერესებს, აბაშური გამოცდილება რა როლს შეასრულებს ჩვენი საქალაქო ზონის სოფლის მეურნეობის აღმავლობაში. ასევე პოპულარობით სარგებლობს სოფლის სპეციალისტთა შორის შ. აფაქიძის წიგნი „მეჩაიეობის განვითარება საქართველოში“, გ. გეგენავას — „მცენარეთა ქიმიური დაცვა“, ნ. ჯიკაევის — „ნიადაგმცოდნეობა“ და სხვ. გამგეობის პრეზიდენტი ხშირად ისმენს სასოფლო პირველადი ორგანიზაციების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. ვაკონტროლებთ მიღებული დადგენილებების შესრულებას. ამ მეთოდს დადებითი შედეგი მოაქვს.

— წყალტუბოში საკმაოდ არის სამრეწველო ობიექტები, განსაკუთრებით კი ჩაის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის გადამამუშავებელი ფაბრიკები და ქარხნები. საინტერესოა, რა ღონისძიებები ტარდება ტექნიკური ლიტერატურის პროპაგანდის საზიოთ?

— ტექნიკური პროგრესი ყოველთვის იყო და არის ჩვენი პარტიისა და მთავრობის საზრუნავი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ყურადღება გაამახვილა ამ საკითხზე, ხოლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის ივლისის პლენუმზე ამხანაგმა შევარდნაძემ აღნიშნა: „დადგა დრო წამოვაცენოთ ამოცანა, რომ მთელი ჩვენი რესპუბლიკა, მთელი მისი სახალხო მეურნეობა, მისი ყველა რეგიონი გადავაქციოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის პოლიგონად“. წყალტუბოელ წიგნის მოყვარულებს კარგად ესმით ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა. ამიტომაც, რომ ყველა წიგნი, რომლებიც ჩაის, ხილ-ბოსტნეულისა თუ სხვა სახის ნედლეულის გადამამუშავებას, მეცნიერული პროგრესის დანერგვას ეხება, არ რჩება საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ყურადღების გარეშე; ასეთი წიგნების განხილვები, სამეცნიერო-თეორიული კონფერენციებისა თუ დისპუტების ჩატარება ჩვენს წიგნის მოყვარულებს აუცილებლობად აქვთ მიჩნეული. ისინი მსჯელობენ ამ ღონისძიებებით მიღებულ შედეგებზეც.



— მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, პატრიოტული და ინტერ-  
ნაციონალური სულისკვეთებით აღზრდაში დიდ როლს ასრულებს  
მხატვრული ლიტერატურა. რა კეთდება საქალაქო ორგანიზაციაში ამ  
მიმართულებით?

— ჩვენი მშრომელები რომ ამჟამად ბევრს კითხულობენ, ამას  
ადასტურებს გაზრდილი მოთხოვნილება მხატვრულ ლიტერატურაზე.  
დღითი დღე იზრდება მკითხველთა რაოდენობა და კითხვის კოეფი-  
ციენტი. ჩვენ დავინტერესდით აგრეთვე იმითაც, თუ რას კითხულობს  
დღევანდელი მკითხველი. გამგებობასთან არსებულმა ბიბლიოთეკე-  
ბთან ერთობლივი მუშაობის საბჭომ ჩაატარა ანკეტური გამოკითხვა.  
შედეგი სასურველი მივიღეთ: მკითხველთა 95 პროცენტმა უჩვენა, რომ  
ინფორმაციის ვერავითარი საშუალება ვერ შეცვლის წიგნს. თანამედ-  
როვე მწერლებიდან ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს ნოდარ დუმბა-  
ძეს. მას კითხულობს ყველა ასაკის მშრომელი, მოსწავლე და სტუ-  
დენტი ახალგაზრდობა. გატაცებით კითხულობენ ჭ. ამირეჯიბის, რ. ჯა-  
ფარიძის, გ. ფანჯიკიძის, ლ. სანიკიძის, ო. ჭილაძის, ო. იოსელიანის  
ნაწარმოებებს. უყვართ ი. აბაშიძის, შ. ნიშნიანიძის, ა. კალანდაძის,  
მ. მაჭავარიანის, მ. ლებანიძის, ხ. ბერულავას, რ. მარგიანის, ჯ. ჩარკ-  
ვიანის, მ. ფოცხიშვილის, ო. ჭელიძის პოეზია. თითქმის ყველა მკი-  
თხველს სათაყვანოდ ჰყავს რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი,  
ვაჟა, ვალაკტონი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი...

— ეს ფაქტი მეტყველებს არა მარტო წიგნისადმი გაზრდილ მო-  
თხოვნილებაზე, არამედ მკითხველთა დიდ გემოვნებაზეც.

— მკითხველთა გემოვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნავს წიგნის  
მოყვარულთა საზოგადოება. თითქმის ყველა პირველად ორგანიზაცია-  
ში იხილავენ მხატვრულ ნაწარმოებებს, აწყობენ ლიტერატურულ და  
პოეზიის საღამოებს... წელს პირველად ჩატარდა და ტრადიციად და-  
წესდა ბიბლიოთეკის დღე...

— თქვენ დაასახალეთ ქართველი მწერლები, რომლებიც უყვარს  
მკითხველს, მაგრამ არიან სხვა საბჭოთა მწერლებიც...

— ანკეტაში იყო ასეთი შეკითხვაც: რომელი საბჭოთა რესპუბლი-  
კის, მოძმე ქვეყნების თუ საზღვარგარეთის მწერლებს კითხულობენ  
წიგნის მოყვარულები? ისინი ასახელებენ არა მარტო მწერლებს, არა-  
მედ მათ ნაწარმოებებსაც, რომლებიც შეიყვარა ქართველმა მკითხ-  
ველმა. ეს ბუნებრივიც არის: სხვა ქვეყნების ლიტერატურის გაცნო-  
ბის გარეშე სათანადოდ ვერ შეაფასებ ეროვნულ ლიტერატურას.

— ქართველმა საზოგადოებრიობამ გასულ წელს აღნიშნა გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნ. ლორთქიფანიძის იუბილე. წყალტუბოელმა წიგნის მოყვარულებმა რა გააკეთეს ამ მხრივ?

— ჩვენი თანამემამულის, ნ. ლორთქიფანიძის საიუბილოდ მრავალი ღონისძიება ჩატარდა პირველად ორგანიზაციებში, დიდი პოპულარიზაცია გაეწია მის ნაწარმოებებს. ამაში ხელი შეგვიწყო გამომცემლობა „მერანის“ მიერ დასტამბულმა ერთტომეულმა. ამ უაღრესად ნიჭიერი, საინტერესო შემოქმედისა და ჭეშმარიტი პატრიოტი მამულიშვილის იუბილეს ფართოდ აღნიშვნისათვის ემზადებიან წყალტუბოს მშრომელები: მთავრდება მწერლის სახლ-მუზეუმის კეთილმოწყობა, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიციის განახლება. მწერლის იუბილე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, წიგნის დღესასწაულად იქცევა, რომელიც სპეციალური სცენარის მიხედვით მზადდება. მასში მთელი ქალაქი მიიღებს მონაწილეობას.

— წყალტუბო საკავშირო მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია. აქ ალბათ მრავალი დამსვენებელი ჩამოდის.

— ასიათასამდე კაცი სარგებლობს ყოველწლიურად ჩვენი სამკურნალო წყლებით.

— როგორი დამოკიდებულება აქვთ წიგნის მოყვარულებს დამსვენებლებთან?

— პარტიის საქალაქო კომიტეტის მხარდაჭერით, გამგეობის პრეზიდიუმს აქვს ღონისძიებათა გრაფიკი 14 მოქმედ სანატორიუმში, სადაც ტარდება ყოველი რესპუბლიკის დღე. წიგნის მოყვარულები აწყობენ მოძმე რესპუბლიკების მწერალთა წიგნების განხილვებს, დისკუსიებსა და დისპუტებს, პოეზიისა და ლიტერატურის საღამოებს... ამას წინათ სანატორიუმ „მეშახტეში“ მოეწყო ვიქტორინა დევიზით: „ვინ უკეთ იცნობს უკრაინას“. გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო ჯილდო. თითქმის ყველა დამსვენებელი ემზადებოდა ამ ვიქტორინისათვის, ეწვივნენ კურორტის ბიბლიოთეკებს, გადაიკითხეს მრავალი წიგნი. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობენ წიგნადი ფონდების ამოქმედებას, მათ ეფექტურ გამოყენებას... დამსვენებლები იღრმავებენ ცოდნას.

— ალბათ ყველა სანატორიუმში შექმნილია საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც აწყობენ ღონისძიებებს.

— პირველად ორგანიზაციებს გარდა, ზოგ სანატორიუმში ჩამო-

ყალიბებულია წიგნის მოყვარულთა კლუბი. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კვლევითი ინსტიტუტის ფილიალში დიდი ხანია ფუნქციონირებს კლუბი „ჰიპოკრატე“. იგი მაპროფილებელი კლუბია და პროპაგანდას უწევს სამედიცინო ლიტერატურას.

— თქვენ შეეხებთ წიგნადი ფონდების ეფექტურად გამოყენების საკითხს. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი ამოცანა დგას საზოგადოების წინაშე. წიგნის მოყვარულებს შეუძლიათ ამ ფონდების მოძრაობაში მოყვანა, მკითხველთა დაინტერესება...

— გამგეობას მჭიდრო კავშირი აქვს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ბიბლიოთეკებთან. საქალაქო ზონაში 68 ბიბლიოთეკაა. მათი წიგნადი ფონდი 381.806 ერთეულს შეადგენს. სისტემატურად ხდება ამ ფონდების განახლება. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სასოფლო ბიბლიოთეკებს. გასულ წელს ქალაქში მცხოვრებმა წიგნის მოყვარულებმა 2 000 წიგნი შეაგროვეს და შეავსეს სასოფლო ბიბლიოთეკების ფონდები...

— მაგრამ წიგნებიც ხომ ძველდებიან...

— წიგნები „ბერდებიან“, როგორც ადამიანები. ისინი უფრო ჩქარა გამოდიან მწყობრიდან. ჩვენი წიგნის მოყვარულები ცდილობენ გაუხანგრძლივონ წიგნს სიცოცხლე. თითქმის ყველა ბიბლიოთეკასთან არის შექმნილი „წიგნის მკურნალობა“ სექციები, სადაც ნორჩი წიგნის მოყვარულები საქმიანობენ. ხშირად ეწყობა „მოხუცი“ წიგნების გამოფენები რუბრიკებით: „რატომ დამივიწყე მკითხველო?“ „მე შენ გელოდები, მეგობარო!“ სათანადო პროპაგანდა ეწევა ასეთ წიგნებს და ისინიც ხელახლა უბრუნდებიან მკითხველს.

— ახლა მრავალ მშრომელს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, საინტერესო წიგნების მეტი წილი პირად საკუთრებაშია. საჭიროა მათი გამოყენება, მაგრამ ყველა როდი აძლევს წიგნს წასაკითხად დაინტერესებულ მკითხველს.

— ჩვენთან ბიბლიოფილთა წიგნები აღნუსხულია. მეტი წილი გამოყენებულია საზოგადოებრივი სარგებლობისათვის. ქალაქში ცნობილი არიან ბიბლიოფილები: რ. ცხაკაია, ო. შავლიანიძე, მ. გორდენიანი და სხვები, რომელთა წიგნები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

— დღეს გამგეობის პლენუმზე, თქვენს მოხსენებაში აღნიშნეთ, რომ საქალაქო ორგანიზაციის წარმატებები ერთბაშად არ მოსულა. გამგეობას მრავალ სიძნელეთა გადალახვა მოუხდა, სანამ მიაღწევდა

მუშაობის იმ დონეს, რომ ზედიზედ მეორედ რესპუბლიკური გამგეობის გარდამავალი დროშა დაემსახურებინა.

— ყოველ ახალ საქმეს ახლავს გარკვეული სიძნელენი. ჩვენც ხომ გაუქვალავ გზაზე მივდიოდით. საჭირო იყო მშრომელთა სწორად გარკვევა საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებში. მათი მოზიდვა, დანტერესება. ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის შეხამებულად წარმართვა, ამ საქმეში ფართო აქტივის გამოყენება... აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საზოგადოების ორგანიზაციულად ჩამოყალიბების საქმეში დიდი მუშაობა გასწია გამგეობის ყოფილმა პასუხისმგებელმა მდივანმა დალი ხაჭაპურიძემ. იგი ახლაც დიდი სიყვარულით სარგებლობს წიგნის მოყვარულთა შორის.

— შექებას გამგეობის ახლანდელი პასუხისმგებელი მდივანიც იმსახურებს.

— ორი წელია, რაც მერი ჯოხაძე გამგეობის მდივნად ავირჩიეთ. იგი შესანიშნავი ორგანიზატორი და ნამდვილი იდეოლოგიური დარგის მუშაკია. გააჩნია დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, პრინციპული და მომთხოვნია. აქვს მაღალი შინაგანი კულტურა და განათლება. პასუხისმგებელი მდივნის მუშაობაზე ხომ ბევრი რამ არის დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ ის არის საზოგადოების მუშაობის ძირითადი წარმმართველი, მისი მესაჭე.

— მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს აქტივის გამოყენებასაც.

— საზოგადოების აქტივთან მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ: ჩვენთან ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა დარგობრივი ლიტერატურის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო, რომელიც მუშაობაში იყენებს ახალ ფორმებსა და მეთოდებს. წარმატებით ართმევენ თავს თავიანთ საქმიანობას სექციებიც. პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის შემოღებულია ერთიანი საინფორმაციო დღე, სისტემატურად ვასწავლით აქტივს... ყოველივე ეს გვეხმარება წარმატებათა მიღწევაში.

...ტელეფონმა დარეკა. აგროსამრეწველო გაერთიანებაში თათბირი იყო დანიშნული ჩაის კრებისა და გადამუშავების საკითხებზე. პატივცემული ბონდო აჩქარდა: ყოველი წუთი გამოთვლილი ჰქონდა. მაგიდიდან გვერდებჩანისნული წიგნი აიღო. თვალი შევაველე გ. მგელაძის წიგნს „ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა“ და მობოდიშებით დაგვემშვიდობა.



**შეხვედრა წიგნის გმირებთან**

დრო სულ უფრო გვაშორებს დიდი სამამულო ომის ცეცხლოვან წლებს. ხალხის უკვდავი გმირობის ხსოვნა ცოცხლობს და მარად იცოცხლებს, რადგან იგი ისევე მტკიცეა, როგორც მეგობრობა ფრონტზე. იგი ცოცხლობს გარდასული ბრძოლების უშუალო მონაწილეების მოგონებებსა და შეხვედრებში, გამოქანდაკებულია გრანიტისა და ბრინჯაოს მონუმენტებში. ომის თემაზე იწერება ათასობით წიგნი, იქმნება ფილმები, სპექტაკლები, სიმღერები, მხატვრული ტილოები...

დიდი სამამულო ომის თემისადმი მიძღვნილ მხატვრულ ლიტერატურას მკითხველები ყოველთვის დიდი ინტერესით აღიქვამენ. გმირულ რომანტიკას განსაკუთრებით ახალგაზრდობა ეწაფება; პაპების, მამებისა და უფროსი ძმების მამაცობა და თავდადება, რაც მათ ომის წლებში გამოიჩინეს, ახალგაზრდობის ჰეროიკულ-პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო მაგალითია.

ჩვენს რესპუბლიკაში ნათესავეებისა და მახლობლების ხსოვნის დღის დაწესებამ კიდევ უფრო მეტი სითბო და ლაზათი შემატა შინ-მოუსვლელთა მოხსენიების წმინდათაწმინდა მოვალეობის გრძნობას.

საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ტყიბულის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობასთან შექმნილ ჰეროიკულ-პატრიოტული ლიტერატურის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ სექციას ხელმძღვანელობს გარიბალდელი პარტიზანი გივი მიქიაშვილი. მისი ინიციატივით ტყიბულში საზოგადოებრივ საწყისებზე დაარსდა საბრძოლო დიდების მუზეუმი, რომელიც დღეს მშრომელთა ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მძლავრ კერას წარმოადგენს. იგი ექსპონატებით გაამდიდრეს ჩვენმა წიგნისმოყვარულებმაც. გამგეობის თაოსნობით მუზეუმში მოეწყო წიგნის გამოფენა თე-

მაზე: „წაიკითხე დიდი სამამულო ომის შესახებ“. ამ გამოფენის ერთ-ერთ განყოფილებაში „ტყიბულელი მეომრები დიდი სამამულო ომი-სადმი მიძღვნილ მხატვრულ ლიტერატურაში“, ექსპონირებული იყო წიგნები, რომლებშიც ასახულია ტყიბულელი მეომრების გმირული საქმეები. მრავალმა დამთვალიერებელმა წიგნის ფურცლებზე პირველად იპოვა თავისი ახლობლის გვარი, გაიგო მისი მამაცობისა და გმირობის შესახებ. გამოფენიდან ასობით მკითხველამდე „აიდგა ფეხი“ წიგნებმა.

დიდი ილია ამბობდა: „წიგნი იმისთანა რამ არის, სოფლის ამბავს ქალაქში წაიღებს, კაცს საიდან სად გაალაპარაკებსო“.

მართლაც, ვ. გენუშევის წიგნის მეშვეობით გახდა ცნობილი, რომ პიატიგორსკის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა იალბუზის კალთებზე, ოთხიათას მეტრ სიმაღლეზე, იპოვეს ტყიბულელი მებრძოლის ი. ბერეკაშვილის ნეშტი, მისი საბრძოლო იარაღები, პარტიული ბილეთი და სხვა დოკუმენტები. ჩვენი თხოვნით და მოწვევით ტყიბულში ჩამოვიდა ამ წიგნის ავტორი და სტუდენტი ალბინისტები დოცენტ ს. პისარევის ხელმძღვანელობით. მათ ტყიბულის საბრძოლო დიდების მუზეუმს საჩუქრად გადასცეს ჩვენი თანამემამულის უნიკალური რელიქვიები.

წიგნებმა ბევრს აპოვნინა და შეახვედრა თავისი თანამებრძოლი. ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ტყიბულელი და სხვა ეროვნების თანამებრძოლები — ტ. ბახუტაშვილი და ნ. ზარაისკი, ლ. გოგსაძე და ი. კრონიკოვი, ა. უგრეხელიძე და დ. მალიში.

სევესტოპოლის მახლობლად განისვენებდა ტყიბულელი სსრ კავშირის გმირი გ. გაბრიაძე. წიგნების „მათ ასახელეს სამშობლო“ და ი. გიორგაძის „უკვდავების“ დახმარებით გმირის ოჯახის წევრებისათვის ცნობილი გახდა მისი საფლავი, რომელიც მოინახულეს კიდევ. მას შემდეგ ეს საფლავი ტყიბულიდან საბრძოლო დიდების ნაკვალევზე მოწყობილ საექსკურსიო მარშრუტის მუდმივი ობიექტი გახდა. ამით ერთმანეთს დაუმეგობრდა არა მარტო ტყიბულელი და სევესტოპოლელი მშრომელები, არამედ ქართული მიწაც დაუმოყვრდა სევესტოპოლის მიწას.

ღნებროპეტროვსკის ოლქში მიაკვლიეს მამის საფლავს ლეილა და ჯემალ ნანიკაშვილებმა, ასტრახანში ინახულეს სოჩხეთელმა კოლმეურნეებმა თანასოფლელ ა. ივანეიშვილის საფლავი; კ. ქურციკიძემ კრას-

ნოდარის მხარეში იბოვა გ. ყვავაძის საფლავი, მ. ქასრაშვილმა — მეუღლის ვ. აბესაძის საფლავი კამენსკის ძმათა სასაფლაოზე, ო. ბუხაიძემ მეუღლე ნ. ობოლაძე რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაიტირა მცირე მიწაზე. ა. ქათამაძემ სტალინგრადის მახლობლად საკუთარი ხელით მოუწყო საფლავი საყვარელ მამას პ. ქათამაძეს, როლო ი. ბოჭორიშვილმა შეიღებთან ერთად მეუღლის ბ. ბოჭორიშვილის საფლავი უნგრეთში მოინახულა.



ვარლამ კვლაშვილი



ბ. როსინის „ამხანაგი ზემდეგის“ ქართული თარგმანი

წიგნები დაეხმარა წითელ კვლამაძიებლებს, მეგობრული კავშირი დაემყარებინათ იმ ქალაქებისა და სოფლების თანატოლებთან, რომელთა განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ ტყიბულელი მეომრები და გამოემზეუტებინათ დღემდე უცნობი მრავალი ფაქტი.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციის გამ-

გეობამ თავის ერთ-ერთ სხდომაზე მოისმინა მშრომელთა ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სექციის ხელმძღვანელის გ. მიქიაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ მოწყობილიყო შეხვედრა წიგნის იმ გამირებთან, რომლებიც ტყიბულის მკვიდრნი არიან. საამისოდ ორი წიგნი შეარჩიეს — ბ. როსინის — „ამხანაგი ზემდეგი“ და ე. დოვბიშის „ბატალიონის მეთაურის გამირობა“.

ბ. როსინის წიგნი „ამხანაგი ზემდეგი“ გამომცემლობა „ნაკადულის“ გრიფით 1975 წელს მიიღო მკითხველმა (მთარგმნელი ნ. გოგოძე). ავტორი საინტერესოდ, სიყვარულითა და პატივისცემით მოგვითხრობს მამაც ქართველ საბჭოთა მესაზღვრეზე, ზემდეგ ვარლამ მიხეილის ძე კუბლაშვილზე.


ლევენდარული ჩეკისტი, კონტრაბანდისტების რისხვა, პრაპორჩიკ-მილიონერი, უვარსკვლავო გმირი — ასე უწოდებენ ბრესტის საგანგებო საკონტროლო საშეები პუნქტის კონტროლიორები ჩვენს ღირსეულ თანამემამულეს. მისი სახელი და საქმეები საბჭოთა კავშირის ფარგლებსაც გასცდა და ფანტასტიკური ლეგენდებიც შეიქმნა.

ცხოვრების როგორი გზა განვლო ვარლამ კუბლაშვილმა?

დაიბადა და აღიზარდა ტყიბულის რაიონის სოფელ ახალდაბაში, იგი მამისა და ძმის კვალს გაჰყვა — სამთო სამრეწველო სკოლის დამთავრების შემდეგ შახტში დაიწყო მუშაობა ელექტროზენიკლად. როდესაც ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩვენი ქვეყნის საზღვრები გადმოლახეს, ვარლამმა მოხალისედ ითხოვა ფრონტზე წასვლა, მაგრამ უარი უთხრეს, რადგან შახტი ზურგის ფრონტს წარმოადგენდა. ბოლოს პატრიოტი ჭაბუკის დაჟინებული მოთხოვნა 1942 წელს დააკმაყოფილეს. იგი ვლადივოსტოკის მესაზღვრეთა სკოლის დამთავრების შემდეგ იაპონიის საზღვარზე მსახურობდა. აქედან იწყება მისი, როგორც საბჭოთა მესაზღვრის, ძნელი, მშფოთვარე და დაძაბული ცხოვრება. წლების მანძილზე ფხიზლად იცავდა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის საზღვარს. 1949 წლიდან ქ. ბრესტში იმყოფება. თუ შევკრებთ ყველაფერს, რაც ვარლამმა მუშაობის მანძილზე კონტრაბანდისტებს ჩამოართვა, მივიღებთ ზღაპრულ განძს, რომელიც სახელმწიფო ხაზინას შეემატა. ამიტომაც უწოდებენ ვარლამს „მილიონერს“. უშიშარმა და მამაცმა მესაზღვრე კომუნისტმა დააკავა და განაიარაღა საზღვრის 38-ზე მეტი დამრღვევი. ზოგჯერ მას მთელი ბანდაც კი შეუპყრია. წიგნში დამაჯერებლად არის მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორ



აღმოაჩინა ოქრო, ვალუტა, ანტისაბჭოთა ლიტერატურა, ნარკოტიკები და სხვა მრავალი ავტომობილებში, ვაგონებსა და ისეთ სრულიად საიდუმლო სამალავებშიც კი, როგორცაა ბუტერბროდები, გოგორა პური, ტრანზისტული რადიომიმღები, ჩვეულებრივი ცოცხის ტარი,




ვარლამ კუბლაშვილი ტყიბულელ წიგნისმოყვარულებთან

„წმინდა ბიბლია“, ორთქლმავლის ფარები, ველოსიპედის საბურავები... მას არასოდეს ღალატობს „მეექვსე გრძნობა“. ბევრჯერ შეეცადნენ ამ მამაცი მესაზღვრის დაშინებას, მოკვლას თუ მოსყიდვას, მაგრამ ამაოდ.

ვარლამ კუბლაშვილის დამსახურებაზე ნათლად მეტყველებს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენი, მრავალი მედალი და საპატიო ნიშანი. მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნების ჯილდოებიც.

აი, ასეთი ბიოგრაფიის კაცი წარსდგა თავისი თანამემამულეების წინაშე. მას კულტურის სახლში მოუწყვეს შეხვედრა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ, ლიტერატურულ-შემოქმედებითმა გაერთიანებამ და ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ. შეხვედრის მონაწილენი ინტერესით გაეცნენ ფოიეში მო-

წყობილ სპეციალურ გამოფენას, რომელიც წიგნების, პრესის თუ ფოტოობიექტივის ერთ ასახავდა საბჭოთა მესაზღვრეების და კერძოდ ვ. კუბლაშვილის სახელოვანი ცხოვრების გზას. ერთ-ერთ ფოტოსურათზე ამხ. ე. ა. შევარდნაძესთან ერთად აღბეჭდილია ვ. კუბლაშვილი, რომელიც გადაღებულია ბრესტის ციხესიმაგრის გმირ დამცველთა მემორიალთან.



ვ. კუბლაშვილი და გ. მიქიაშვილი დიდების მუზეუმში

წიგნის გმირთან შეხვედრაზე გამოვიდნენ ვ. კუბლაშვილის სიყრმის მეგობარი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი ვლადიმერ კუბლაშვილი, სამთო ინჟინერი ვ. ფიოლია, პედაგოგი დ. ჯიშიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. საზოგადოების აქტივისტებმა ნ. გოგუაძემ, რ. ქურციკიძემ და დ. ტყემალაძემ წაიკითხეს ვ. კუბლაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები, უჩვენეს მესაზღვრეთა ცხოვრების ამსახველი კინოფილმები. საპატიო სტუმარს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები.

დასასრულს, სიტყვით გამოვიდა ვ. კუბლაშვილი, მან შეხვედრის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს უამბო რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი და გულთბილი შეხვედრისათვის მადლობა გადაუხადა, დაა-

თვალთვალს საბრძოლო დიდების მუზეუმი და შთაბეჭდილებათა წიგ-  
ნში ჩაწერა: „დავითვალთვალს საბრძოლო დიდების მუზეუმი, თვით-  
ულმა ექსპონატმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. აქ  
გაცოცხლებულია ის მეომრები, რომლებმაც სამშობლოს თავისუფ-  
ლებისა და ბედნიერებისათვის გასწირეს სიცოცხლე. აქვე სტენდები-  
დან შემოგვეყურებენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები. მუზეუმი  
საუკეთესო კერაა მშრომელების, განსაკუთრებით აზალგაზრდობის  
სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. საჭიროა  
მუზეუმის ნივთიერი ექსპონატებით გამდიდრება. მადლობას ვუძღვ-  
ნი ჩემთან შეხვედრის ორგანიზატორებს, რომ მომეცა საშუალება და-  
მეთვალთვალს მუზეუმი, სადაც ბევრი ნაცნობის, ახლობლის სუ-  
რათს, სამკუთხა წერილებს აქვს დათმობილი ადგილი. თითქოს მათ  
შევხვედროდე პირადად. ამასთანავე, დღეს ბევრი რამ გავიგე მათი  
გმირული გზის შესახებ. მუზეუმის დამაარსებლის გივი მიქიაშვილის  
პატრიოტული მოქმედება, შრომა და ამაგი საყოველთაო დაფასებას  
და პატივისცემას იმსახურებს“.

შეხვედრის მთელი მსვლელობა ფოტო და მაგნიტოფირზე აღბეჭ-  
დეს ს. სოფრომაძემ, მ. კუბლაშვილმა, ჯ. ბრეგაძემ და თ. ბუაძემ. ამ  
მასალების ალბომი ვ. კუბლაშვილს გადაეცა დაბადების სამოცი წლის-  
თავზე.

\* \* \*

ე. დოვბიშის წიგნი „ბატალიონის მეთაურის გმირობა“ 1969 წელს  
გამოვიდა უკრაინულ ენაზე. მისი ავტორი თადარიგის პოლკოვნიკი,  
სამოქალაქო და სამამულო ომების ვეტერანი, დიდი სამამულო ომის  
წლებში მეორე უკრაინის 54-ე გამაგრებული რაიონის შენაერთის შტა-  
ბის უფროსი, უშუალო მოწმეა იმ ბრძოლებისა, რომლებსაც ეწეოდა  
ამ შენაერთში შემავალი ცალკე ბატალიონი ჩვენი სახელოვანი თან-  
მემამულის კომუნისტ ირაკლი თეოფილეს ძე არსენიძის მეთაურო-  
ბით. ეს წიგნი შემდეგ ითარგმნა რუსულ და ქართულ ენებზე.  
წიგნი ქართულ ენაზე გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა სა-  
ქართველომ“ (თარგმანი დ. ციციშვილისა). იგი ასახავს ქართველ მე-  
რესიევად აღიარებული მეთაურის გმირულ ეპოპეას. ავტორი ამაღელ-  
ვებლად მოგვითხრობს ი. არსენიძის საბრძოლო ეპიზოდებს. ყოველ  
სტრიქონში იგრძნობა უკრაინელი პოლკოვნიკის ე. დოვბიშის სიყვა-  
რული და პატივისცემა ფრონტელი მეგობრისადმი.

კარპატების მთებში, N სიმაღლის აღების დროს ნაღმმა მარცხენა ფეხი მოჰგლიჯა ი. არსენიძეს. ამ ბრძოლებში თავდადებული ბრძოლისათვის იგი ალექსანდრე ნეველის ორდენით დაჯილდოვდა.

ჰოსპიტალში იგი სიკვდილისაგან იხსნა მედიცინის დამ პ. მიხაილოვამ, რომელმაც საკუთარი სისხლი გადაუსხა. გამოჯანმრთელების შემდეგ მას შეეძლო შინ დაბრუნებულიყო, მაგრამ არ ინდომა, გმირი მფრინავი მარესიევივით დაეუფლა პროტეზის ხმარებას და მოითხოვა თავის ბატალიონში დაბრუნება. დიდი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ ისევ წაუძღვა ბრძოლებში თავის ბატალიონს. ომგადახდილის მკერდს თოთხმეტი ორდენი და მედალი ამშვენებს. იგი ამჟამად ქ. ქუთაისში ცხოვრობს, მუშაობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წიგნის გმირთან ი. არსენიძესთან შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა ე. აბესაძემ. შეხვედრაზე მრავალი გულთბილი სიტყვა ითქვა. ი. გოგიშვილმა შეხვედრაზე წაიკითხა საკუთარი პოემა „ქართველი მარესიევი“.

ი. არსენიძე მრავალ წერილს ღებულობს:

ყოფილი არტილერისტი მადიანოვი მოსკოვის ოლქიდან სწერს: „ძვირფასო მეთაურო! წავიკითხე ე. დოვბიშის წიგნი „ბატალიონის მეთაურის გმირობა“. კარგი და დროული წიგნი დაწერა დოვბიშმა. ჩვენი თაობის ხალხი ხშირად ივიწყებს იმას, რომ იყო ომი, უბედურებანი, გაჭირვება და ჩვენი ერთიანი სახალხო ბრძოლა საყვარელი სამშობლოს სიწმინდისათვის. გამარჯვების საქმეში სხვა ხალხთან ერთად დიდი როლი შეასრულეს საქართველოს შესანიშნავმა შვილებმა. მე მახარებს ის, რომ მათ შორის იყო ჩემი მეთაური ირაკლი არსენიძე. წიგნი კარგია იმითაც, რომ მას აქვს ახალგაზრდობისათვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. დაე, იცოდნენ მათ, როგორ სისხლისმღვრელ ბრძოლებში მოვიპოვეთ გამარჯვება. ისეთი ადამიანები, როგორც თქვენ ხართ, მთელი ცხოვრების მაგალითია“.

სამამულო ომის ინვალიდი ჩერნოვიცკის ოლქიდან ნ. კვარნიუკი თავის წერილში წერს, რომ იგი აღფრთოვანებულია ამ წიგნით. „ნება მომეცით შორიდან მოგეხვიოთ და გაკოცოთ, როგორც ბრძოლებისა და შრომის გმირს. თქვენი გმირობა ყოველთვის ნიმუში იქნება ახალგაზრდობისათვის“.


მეტად ამაღელვებელია შორეული მაგადანიდან, ყოფილი საეკლესიო პოსპიტლის მედიცინის დის პოლინა მიხაილოვა-ფეკლიუნინას წერი-

ლი. ეს სწორედ ის პოლინა გახლავთ, რომელმაც განსაცდელის უამს საკუთარი სისხლი გაიღო (იმ დღეს უკვე მეორედ) ქართველი ოფიცრის. არსენიძის გადასარჩენად. აი, ამ წერილის შინაარსი:

„თქვენ გმირი ხართ. სიცოცხლეს არ იშურებდით მომავალი თაობისათვის. მათ, ვინც გადაურჩა ამ ომს, უნდა ახსოვდეთ სამშობლოსა და ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებულნი. ამ წიგნის წაკითხვისას მომაგონდა ყველაფერი, თითქოს გუშინ მომხდარიყოს და




ირაკლი არსენიძე



ე. დოვბიშის „ბატალიონის მეთაურის გმირობა“ ქართული თარგმანი

არა 30 წლის წინათ. მომაგონდა ის პალატა, სადაც მოდიოდნენ თქვენი ბატალიონის მეთაურები და ფიცს დებდნენ მტერზე შური ეძიათ თქვენი მწყობრიდან გამოყვანისათვის. შეილებმა უნდა იამაყონ თქვენით ისევე, როგორც ჯარისკაცებს უყვარდით და ამაყობდნენ თქვენით. თანამებრძოლებს ახსოვხართ და ხშირად გიგონებენ“.

ე. დოვბიშის წიგნის შესახებ ასევე საინტერესო აზრი გამოთქვა ყოფილმა 54-ე საველე გამაგრებული რაიონის უფროსის მოადგილემ, თადარიგის პოლკოვნიკმა ივანე თედორეს ძე ხუღიაკოვმა.



ი. არსენიძე ტყიბულელ წიგნისმოყვარულებთან  
შეხვედრაზე

ირაკლი არსენიძის სახელზე წიგნთან დაკავშირებით გამოგზავნილი ასეთივე ამალელვებელი და გულთბილი წერილების ავტორები არიან სოლომონ პერკალი (ლენინგრადი), თედორე შაბარინი და პოლკოვნიკი კორშენოვი (მოსკოვი), ნიკოლოზ და ვერა პოლიანჩიკოვები (ტაგანროვი), გენერალი კარნაჩევი (ბარნაული) და სხვები.

წყალტუბოს რაიონის სოფ. გვიშტიბის მცხოვრები ვ. გულიტაშვილი წერს: „ერთმა მეგობარმა მირჩია წამეკითხა თადარიგის პოლკოვნიკის ეფიმ დოვბიშის წიგნი რუსულ ენაზე „ბატალიონის მეთაურის გმირობა“. ეს წიგნი დიდი ინტერესით, შეუსვენებლივ წავიკითხე. აღმაფრთოვანა თქვენმა გმირობამ, მამაცობამ, თავგანწირულმა ბრძოლებმა თვითეული მტკაველი მიწისათვის, თვითეული სიმაღლისათვის, რომელიც ყოველთვის თქვენი ბატალიონის გამარჯვებით მთავრდებოდა. მხოლოდ თქვენებრ პატრიოტ მამულიშვილებს, შეუდრეკელ და პრინციპულ მეთაურებს შეეძლოთ უკუეჭყციათ ვერაგი მტერი საბჭოთა მიწა-წყლიდან. იმ ქარცეცხლიან დღეებში მეც რომ თქვენი მებრძოლი ვყოფილიყავი, ყოველთვის მოგბაძავდით საგმირო საქმეებში. მაგრამ მე მაშინ მხოლოდ 10 წლისა ვიყავი. ჩემი ძვირფასი მამაც იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის. იგი შინ აღარ დაბრუნებულა. თქვენს შესახებ დაწერილმა წიგნმა ძალიან აღმაფრთოვანა. ამ წიგნით ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი პიროვნება, ნამდვილი კომუნისტი, მისაბაძი ადამიანი ხართ.“

დიდხანს იცოცხლეთ ჩვენი სამშობლოს სადიდებლად და საკეთილდღეოდ“.

შეხვედრის მონაწილეები ინტერესით გაეცნენ წიგნის გმირის პირადი არქივის მასალებს, რომლებიც სახელდახელო გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, აქვე იყო გამოფენილი ე. დოვბიშის წიგნები რუსულ, უკრაინულ და ქართულ ენებზე, ი. არსენიძის შესახებ სხვადასხვა ენაზე პრესაში გამოქვეყნებული მასალები, პირადი წერილები და მოსალოცი ბარათები, ბოგუსლავის საპატიო მოქალაქეობის დიპლომი და სპეციალური ლენტი, „ქართველი მარესიევის“ ცხოვრების, საბრძოლო გზის და მასთან -გამართული შეხვედრების ამსახველი ფოტოსურათები, მისდამი რუმინეთში და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მიძღვნილი სუვენირები, ჩეხოსლოვაკიაში ყოფნის აღსანიშნავი ფოტოსურათების ალბომი, სიგელები, ფრონტიდან მოყოლილი პირადი ნივთები, მათ შორის ერთი მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტის ასლი (ომის წლებში ი. არსენიძის შესახებ დაწერილი ყოფილა სპეციალური დახასიათება საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდების მისანიჭებლად).

საოჯახო და ფრონტულ რელიქვიებს შორის ბევრი ექსპონატი იშვიათობას წარმოადგენს. ამ არქივს შეემატა ქ. ტყებულში შეხვედრის აღსანიშნავად გადაღებული ფოტოსურათები, სამახსოვრო საჩუქ-



ი. არსენიძე ჩეხოსლოვაკიის ქ. სავრანის  
საპატიო მოქალაქეა

რები (მათ შორის მეშახტის განუყრელი „მეგობრები“ — ჩაფხუტი და სანათი). ქ. ტყიბულში გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოსურათზე ი. არსენიძე აღბეჭდილია ქ. ოსტრავას (ჩეხოსლოვაკია) სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან სდენეგ ნოვოტნისთან და იან კორჟინეკთან ერთად, რომლებიც ტყიბულში იმყოფებოდნენ სამთო დარტყმების პროგნოზირების აქტუალური პრობლემების ერთობლივად შესწავლის მიზნით. საგულისხმოა, რომ ი. არსენიძე ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების აქტიური მონაწილეა. მიღებული აქვს ჩე-



ხოსლოვაკიის მთავრობის ჯილდოები, არჩეულია სამი ქალაქის — ბრ-  
გუსლავის, ოლშანიცის და სავრანის საპატიო მოქალაქედ. რამდენიმე  
წლის წინათ მიწვეული იყო ჩეხოსლოვაკიაში. ი. არსენიძემ სტუმ-  
რებს მოუთხრო ჩეხოსლოვაკიაში წარმოებული დაუვიწყარი ბრძოლე-  
ბისა და სლოვაკ ხალხთან მეგობრული დამოკიდებულების შესახებ  
და მათ სამახსოვროდ გადასცა ჩეხოსლოვაკიაში გადაღებული ათამდე  
ფოტოსურათი და ე. დოვბიშის წიგნი რუსულ ენაზე. სტუმრებმა  
დაათვალიერეს საბრძოლო დიდების მუზეუმი და შთაბეჭდილებათა  
წიგნში გააკეთეს გულთბილი ჩანაწერები. გ. მიქიაშვილმა სტუმრებს  
მოუთხრო იტალიის მთებში მებრძოლ ჩეხოსლოვაკელ პარტიზანებზე.  
ასევე საინტერესო იყო სტუმრებთან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლე-  
ბის მონაწილის ტყიბულელი პ. ცირეკიძის საუბარი.

თავისი გულმართალი, გმირული ეპოპეით ასე განადიდა თვით  
სიცოცხლე ი. არსენიძემ და ხალხის გულში სამარადისო ძეგლი და-  
იდგა. მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, რომ ომის ვეტერანები სულით  
არ ბერდებიან, დაღვრილი სისხლი არ იკარგება, ჩვენს ქვეყანაში არავინ  
და არაფერი არ არის დავიწყებული. მკითხველებში ამ რწმენის გან-  
ტკიცებას წიგნებმაც შეუწყო ხელი.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციის  
გამგეობას სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქვს კვლავ აქტიუ-  
რად გააგრძელოს პერიოდიკულ-პატრიოტული ლიტერატურის პროპაგან-  
და, პერიოდულად მოაწიოს შეხვედრები წიგნის გმირებთან. გამგეო-  
ბის წევრთა აზრია მოიწვიოს სსრ კავშირის ტყიბულელი გმირი გე-  
ნერალ-ლეიტენანტი გ. ალფაიძე, რომლის შესახებ მრავალ წიგნშია  
მოთხრობილი. სოხხეთის კოლმეურნეობის პირველად ორგანიზაციას  
სურს შეხვედრა მოუწყოს თანასოფელ ირავლი არსენიძეს. ასევე  
გათვალისწინებულია ბ. შურლაიას წიგნის „ქართველები იტალიის  
მთებში“, ს. საყვარელიძის „საქართველოს მედიკოსები დიდი სამა-  
მულო ომის წლებში“, ა. რაგოჟინის „გათენებამდე ერთი საათით ად-  
რე“ განხილვა. „წიგნები აზრის ხომალდები არიან, რომლებიც მოგ-  
ზაურობენ დროის ტალღებზე და თავიანთი ძვირფასი ტვირთი  
ფრთხილად მიაქვთ თაობიდან თაობამდე“, — ამბობდა ინგლისელი  
ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი. მართლაც, შთამომავლობამ კარგად  
უნდა იცოდეს გმირი წინაპრების მხედრული შემართებისა და უჭკ-  
ნობი დიდების ნამდვილი ამბები, სისხლით დაწერილი ისტორია, რა-  
საც ემსახურება დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილი წიგნები.

წიგნი

უნდა ავმალდეთ გარეთ,  
უნდა განვმტკიცდეთ შიგნით —  
თუ სადმე წახვალ არედ,  
წიგნით და მხოლოდ წიგნით!

მეგობარია, რომელს  
ბადალი არ ჰყავ ქვეყნად —  
წიგნი! წიგნი სურს მშრომელს.  
ვიყოთ, ვიმღეროთ, შევქმნათ!

ჩირალდანი მათა მალალთა

ხევსურეთი ოდითგანვე იმედი და ბურჯი იყო საქართველოსი. იგი იდგა როგორც აუღებელი ციხე-სიმაგრე და მთის სხვა კუთხეებთან ერთად ზურგს უმაგრებდა სამშობლოს. ბარელი ქართველნი არა მარტო აქ ნაჭედ ხმაღს უმღეროდნენ — „ხმალო, ხევსურეთს ნაჭედლო“, არამედ მოსწონდათ ხევსურული პოეზიაც.

ხევსური უხევსურეთით ვერც წარმოედგინათ. აკი რაფიელ ერისთავმა თქვა ყველა ხევსურის სათქმელი: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. არსებობს ასეთი გადმოცემაც: ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მეფე ერეკლეს კარად ჩამოსული ხევსურნი რატომღაც უგულოდ პურობდნენ. მეფეს უკითხავს — რა მოუვიდათ ჩემ „უნჯ ყმათ“, მოწყენით რატომ არიანო?


— თავის მიწაზე რომ არ უდგათ ფეხი, იმიტომაც, — უთქვამს ბრძენ კაცს.

— აბა, მიუყარეთ ფეხებთან ხევსურეთიდან ჩამოტანილი მიწაო, გაუცია განკარგულება მეფეს.

მიუყრიათ მიწა ხევსურეთისა და მაშინვე ალაღებულან ხევსურნი. ამ რამდენიმე ხნის წინათ კინალამ უკულმა დატრიალდა ხევსურთა ბედის ბორბალი. მოშლა ემუქრებოდა სიძველეთა მუზეუმს საქართველოსას, პოეზიის მალალ სულს — მოთხრა და მოძირკვა.

... მაგრამ ბორბალმა კვლავ წალმა იწყო ტრიალი. ჩვენმა მთავრობამ დასახა ამ მხარის აღორძინების ამოცანები, აღდგენა იმ მაღლისა და ბარაქისა, რაც ხევსურეთში დუღდა და გადმოდებდა ოდესღაც. ეს, რა თქმა უნდა, ააბღღვრიალებს პოეზიის ცეცხლსაც და გამოცოცხლებს ტრადიცია კაი ყმის სადიდებლად ფანდურზე ლექსის დამღერებისა.

ხევსურეთში ბევრმა წერა-კითხვა არ იცოდა ჩვენი საუკუნის 40-იან — 50-იან წლებშიც კი. ხევსურული პოეზია ზეპირად ვრცელ-



წიგნის ზეიმი ბარისახოში

დებოდა. კარგი ლექსის მთქმელი აქ საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა, კარგი ლექსისათვის ჯილდოც კი იყო დაწესებული.

დღეს ხევსურეთში წერა-კითხვა თითქმის ყველამ იცის. ზეპირსიტყვიერების მოყვარულნი წიგნის სიყვარულშიც ეჯიბრებიან ბარელთ.

ამ რამდენიმე წლის წინ ბარისახოს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა შეხვედრა მოუწყვეს ხევსურ ინტელიგენციას, სადაც მოწვეული იყვნენ ქართველი პოეტები: თათარ ჭელიძე, ტარიელ ჭანტურია, იორამ ქემერტელიძე და სხვ. შემდეგ ვანო ჩორხაულს ვესტუმრეთ ოჯახში. მათ გაკვირვებით და თან სიხარულით შეავლეს თვალი ოთახში ჭერამდე გამოტენილ წიგნებს, სადაც ქართული პოეზია ჭარბობდა, აქ შეკრებილი იყო თითქმის ყველა ქართველი პოეტის წიგნი, და ტარიელ ჭანტურიამ როდესაც თავისი კრებულებიც იპოვა, მასპინძელს გაკვირვებით ჰკითხა:

— თუ ძმა ხარ, ერთი ეს მითხარი, ამ ლექსებს ყველას კითხულობ?

— აბა რაისთვის ვიყიდდი, თუ არ ვკითხულობდე? — კითხვითვე უპასუხა ვანომ, — რაც მომწონს, ზეპირადაც ვიცი.

— საქართველოს ყველა კუთხე თითქმის მოვლილი მაქვს, — თქვა ტარიელმა, — და შემიძლია დავიფიცო, რომ ლექსებს ასეთი მასობრივი მკითხველი არსად ჰყავსო.


შარშან ოქტომბერში ჩატარებული ხევსურეთის აღორძინების დიდი ზეიმის შემდეგ იმატა საზეიმო განწყობილებამ ხევსურეთში. ა/წ 27 აპრილს ბარისახოში ჩატარდა წიგნის ზეიმი. მისი ინიციატორები იყვნენ საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა, თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი ორგანიზაცია. მათ შეუერთდა ცეკავშირის წიგნის ვაჭრობის სამმართველო, რომელმაც ისეთი წიგნები ამოუტანა ხევსურთ, რომელთაც თბილისშიც კი ძნელად იშოვის კაცი. გაიხარეს ხევსურებმა, მათ ათეულობით წიგნი შემატეს საოჯახო ბიბლიოთეკას. რესპუბლიკურმა გამგეობამ და უნივერსიტეტის პირველადმა ორგანიზაციამ ათასამდე სხვადასხვა სახის წიგნი გადასცეს ბიბლიოთეკას საჩუქრად. სახელდახელო მიტინგზე გამოსულმა, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ-მასწავლებელმა ბათირა არაბულმა თავის სამადლობელ სიტყვაში ჩაურთო ამბავი, რომელიც ცხადყოფს ხევსურთა წიგნის სიყვარულს: ბარისახოს სკოლა-ინტერნატის ყოფილი პედაგოგის, ამჟამად ღრმად მოხუცებული ხეთისო ალუდაურისათვის ბავშვობაში წერა-კითხვა ხანმატის დიაკვანს — ყუღია ალუდაურს უსწავლებია. ბიჭი ოცნებობდა შეეძინა რაიმე წიგნი. ერთხელ ახმეტაში სტუმრებია იქ ჩასახლებულ ხევსურს. ოჯახში უნახავს იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“

და მასპინძლისათვის უთხოვია: ოღონდ ეს წიგნი მომეცი და, რასაც მთხოვ, მოგცეზო. ბაღლი რომ თავიდან მოეშორებინა, წიგნზე არანაქლებ შეყვარებულ მასპინძელს უთქვამს:


— რას ამბობ, ამ წიგნს ერთ ცხვარშიც არავის მივცემო.

— მე მოგცემ ცხვარსა, — წამოუძახია პატარა ალუდაურს.

ხახმატში დაბრუნებულმა დიდი ხვეწნა-მუდარით გამოსთხოვა დედას ცხვარი და ცხრა მთას იქით — ორი-სამი დღის სავალზე ჩაუყვანა წიგნის პატრონს. მასპინძელსაც რაღა ეთქმოდა, როცა დაინახა წიგნზე ფანატიკურად შეყვარებული ბიჭის მავედრებელი თვალები, დაუთმო დაუთმობელი წიგნი. ხვთისო ახლაც ისევე ფანატიკურადაა წიგნზე შეყვარებული და სოლიდური საოჯახო ბიბლიოთეკაც აქვს, სადაც უნდა წასულიყო, ხელში მუდამ წიგნი ეჭირა, ამიტომაც მიუღწევეს ხევსურებმა: „სამი რამ მიყვარს ამქვეყნად, თოფი, ღურბინდი, წიგნები“...




რევაზ სირაძე



ალექსი ჭინჭარაული

ხალხით გაივსო პატარა მოედანი ბარისახოს სკოლა-ინტერნატის ეზოში. მიტინგი გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კბ დუშეთის რაიკომის მდივანმა ქეთევან ბეჭაურმა. შეკრებილთ მიესალმნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე დოც. ვ. გოგუაძე, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე პროფ. რ. სირაძე, ქალთა საბჭოს თავმჯდომარე პროფ. ც. სვანიძე, უნივერსიტეტ-

თან არსებული მაღალი ენერჯის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დოც. ჯ. ბაკაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ჭინჭარაული, მწერალი ვ. ბარათაშვილი, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. კაკაბაძე, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორი მ. არაბული, პედაგოგი ბ. არაბული.



მიხეილ არაბული

ბედნიერი დამთხვევით, ამ დროისათვის დაიბეჭდა ჩემი გამოკვლევა მთიულეთ-გუდამაყრის ადგილების სახელებზე „მთები და სახელები“, და ცნობილი რუსი მწერლის, ვიქტორ ასტაფიევის ციმბირული მოთხრობების „ბერმუხელას“ ჩემს მიერ შესრულებული თარგმანი, რომლებიც სულითა და გულით მივუძღვენი ჩემი

აღმზრდელი სკოლა-ინტერნატის ბიბლიოთეკას.

... აქ ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ქართულ სიტყვასა და ქართულა წიგნის დიდოსტატებზე, ქართველ მწერლებზე, ხევსურეთის ალორძინებასა და იმ ადამიანებზე, ვინც ხევსურეთს ზეიმის დილა გაუთენა.

დაე, იმრავლოს ხევსურეთში ზეიმებმა.

გიგლიოთაქეგი

— ლ —

გიგლიო  
ფილუგი





ქართულ ხელნაწერთა ფონდების წარსულიდან

რევოლუციამდელ საქართველოში ხელნაწერ მემკვიდრეობას ორგანიზებული წესით თავს უყრიდა და იცავდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. თებერვლის რევოლუციის წინ ფონდები მოთავსებული იყო ქართული, ანუ ე. წ. სათავადაზნაურო გიმნაზიის (აწინდელი თბილისის უნივერსიტეტის) შენობის მესამე სართულზე საგანგებოდ გადატიხრულ მარცხენა ფრთაზე. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს ეკავა რამდენიმე ოთახი და მთელი დერეფანი, საეკლესიო კომიტეტისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერი კოლექციები მოთავსებული იყო ერთ დიდ დარბაზში: წერა-კითხვის ფონდს განაგებდა მეცნიერი-მცველი დავით კარიჭაშვილი (1862—1927), საეკლესიო კომიტეტისას — მოსე ჯანაშვილი (1855—1934). საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს ექვთიმე თაყაიშვილის საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ ხელმძღვანელობდა სერგი გორგაძე (1876—1929); მას მოადგილედ ჰყავდა იროდიონ სონღულაშვილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გაუქმდა საეკლესიო კომიტეტი და მისი ხელნაწერი კოლექცია გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს; უნივერსიტეტს ჰქონდა ხელნაწერთა მომცრო საკუთარი კოლექციაც. ამ კოლექციებიდან შეიქმნა „უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი“. როგორც სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, იგი დაექვემდებარა ქართული მწერლობის კათედრას. კათედრასაც და სიძველეთსაცავსაც განაგებდა პროფ. კ. კეკელიძე. ხელნაწერი კოლექციების მეცნიერი-მცველი მოსე ჯანაშვილი ჩაირიცხა უნივერსიტეტის შტატში უფროს ასისტენტად.

1921 წლიდან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძი-

რითადი ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოთა ხელისუფლებას. ამან გამოიწვია საზოგადოების რეორგანიზაციის საჭიროება.<sup>1</sup> შემუშავდა ახალი წესდება და 1922 წლის იანვარში დაარსდა „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოება“. ხოლო რეორგანიზებული საზოგადოების „კუთვნილი წიგნთსაცავი, მუზეუმი (ე. ი. ხელნაწერთა კოლექცია, ა. ბ.) და არქივი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა 1925 წლის დეკემბერში (ტ. ხუნდაძე, იქვე, გვ. 156).

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი 1930 წლამდე განაგრძობდა დამოუკიდებლად ფუნქციონებას<sup>2</sup>. ყოველივე აღნიშნულის გამო მთლად ზუსტი არ არის კ. კეკელიძის მოწმობა, „რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთავრობის მიერ უნივერსიტეტს გადაეცა ქართული ხელნაწერების სამი მსხვილი კოლექცია, სახელდობრ: «საეკლესიო მუზეუმის», «წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის» და «საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის». ამ კოლექციებიდან უნივერსიტეტში შეიქმნა «სიძველეთა მუზეუმი», რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა“ (პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია“, გვ. 321). ეს წერილი შესულია უნივერსიტეტის იმ კრებულში, რომელიც მიედგენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-20 წლისთავს (თბილისი, 1941). როგორც ვთქვით, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, რასაკვირველია, ხელნაწერთა კოლექციითურთ არსებობდა უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებლად, თუმცა მოთავსებული იყო უნივერსიტეტის შენობაში. საეკლესიო კომიტეტისა და წ. კ. საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციები ერთ დარბაზში, ერთიმეორის გვერდი-გვერდ იყო განლაგებული და არსებითად ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, რაც ფორმალურად განხორციელდა კიდევაც 1925 წლის დეკემბრიდან. ამ დროიდან ყოფილი წ. კ. საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის მცველი დავით კარიჭაშვილიც უნივერსიტეტის შტატში ჩაირიცხა.<sup>3</sup>

1930 წლის 7 ივლისის თარიღით გამოქვეყნდა საქართველოს სსრ

<sup>1</sup> ტ. როფ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბილისი, 1960, გვ. 154—157.

<sup>2</sup> რ. მეტრეველი. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ. 193.

<sup>3</sup> გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი, გვ. 108.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ-ში უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რეორგანიზაციის შესახებ“<sup>4</sup>; რომლის თანახმად თბილისის უნივერსიტეტი დაიშალა და მის ბაზაზე შეიქმნა რამდენიმე სპეციალური სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი. უნივერსიტეტის ახლანდელ პირველ კორპუსში მოთავსდა ორი ინსტიტუტი — საფინანსო-კოოპერატიული (დაიკავა პირველი სართული) და პედაგოგიური (დაიკავა მეორე და მესამე სართულები). უმაღლესი სკოლის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, 1930 წლის 1 სექტემბრიდან უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის კოლექციები გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. დაიშალა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიც, მისი ფონდებიც გაუნაწილდა საქართველოს მუზეუმის განყოფილებებს. ხელნაწერთა ოთხივე ფონდის (ე. ი. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმისა და უნივერსიტეტის საკუთარი ფონდების) საფუძველზე საქართველოს მუზეუმში 1930 წლის შემოდგომიდან ჩამოყალიბდა პალეოგრაფიის, ანუ ხელნაწერთა განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პავლე ინგოროყვა (განყოფილების პირველი მეცნიერი თანამშრომლები იყვნენ მოსე ჯანაშვილი, ალ. ბარამიძე, გ. წერეთელი და ნ. ბერძენიშვილი). თავის მხრივ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე ილია აბულაძის თაოსნობით 1958 წლის ივნისში შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელსაც 1962 წლიდან მიენიჭა კორნელი კეკელიძის სახელი<sup>5</sup>.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. ამიტომ ზუსტი არ არის სხვადასხვა სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული თუ საცნობარო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულება ამ საკითხზე. დავიმოწმებ რამდენიმე მათგანს:

„1929 წელს საქართველოს მუზეუმში ჩამოყალიბდა ხელნაწერთა განყოფილება იმ ფონდების საფუძველზე, რაც მუზეუმს გადმოეცა თბილისის უნივერსიტეტიდან და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან 1929—1930 წლებში“ („საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე“, ხელმოუწერილი

<sup>4</sup> გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი, გვ. 124—124, 269.

<sup>5</sup> ალ. გამყრელიძე, წერილები, 1982, გვ. 88.

მეთაური წერილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—A და XXI—B, გვ. 4).

„1929 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხელნაწერთა ცალკე განყოფილება ჩამოყალიბდა და მერე ხსენებულმა ფონდებმა (ე. ი. წ. კ. საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმისა და უნივერსიტეტის ფონდებმა, — ა. ბ.) ნელ-ნელა (!), საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კოლექციასთან ერთად, უკვე აქ დაიდეს ბინა“ (ალ. გამყრელიძე, წერილები, 1982, გვ. 86). „მოგვიანებით, 1929—1930 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებს შეუერთდა თბილისის უნივერსიტეტის შენობის მესამე სართულზე მოთავსებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმთა ძვირფასი კოლექციები“ (გ. ყორღანიძე, დაბრუნებული საუნჯე, თბილისი, 1983, გვ. 30-31, შენიშვნა 10).

„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი ერთხანს ცალ-ცალკე არსებობდა, მაგრამ შემდგომში მიზანშეწონილად იქნა ცნობილი მათი გაერთიანება. 1929 წელს ზემოხსენებული სამუზეუმო ფონდები გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს“ (ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბილისი, 1983, გვ. 50).

საქმის ეს მხარე სწორად აქვს გადმოცემული კ. კეკელიძეს: „1930 წელს ეს კოლექციები (ზემოთ დამოწმებული კოლექციები, — ა. ბ.) გადავიდა ახლად (?) დაარსებულ «საქართველოს მუზეუმის» ფონდებში“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, გვ. 321. შენიშვნათ, რომ საქართველოს მუზეუმი დაარსდა 1919 წელს).

## ლარისა ხუბულური-ტატიოვილი

### რა განძი ჰქონია!

მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. წიგნის კარადასთან მოფუსფუსე საშუალო ტანის, თმაშევერცხლილმა კაცმა ყურმილი აიღო:

— გისმენთ!

— ბატონო ვახტანგ, თუ ნებას დაგვრთავთ, წიგნი ფურცლებად უნდა დავშალოთ, სხვანაირად მისი ბეჭვდა არ ხერხდება, — გაისმა ნაცნობი ხმა.


ვახტანგი მცირე ხანს შეეყოვნდა. ენანებოდა დიდად ნალოლიავები წიგნის დაშლა, მაგრამ რას იზამდა. ხომ თავად შესთავაზა დახმარება ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემაში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“.

— რა გაეწყობა, დაშაღეთ, თქვენ ისეთ კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, რომ უარს როგორ გეტყვიოთ, ნება თქვენია, — უბასუხა ვახტანგმა და ყურმილი დადო.

ნამდვილად კარგი საქმე წამოიწყო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ — აღადგინოს ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ასე მდიდრულადაა დასურათებული მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით.

ვახტანგ ნათენაძის წიგნის სამყაროში მოხვედრა კი მართლაც ბედნიერებაა. მისი ბინის ყველაზე დიდი ოთახი ბიბლიოთეკას აქვს დათმობილი. აქ წიგნის კარადებსა თუ თაროებზე დიდი გემოვნებით და ცოდნით განლაგებულია უნიკალური წიგნები. მათი ერთი თვალის შევლელაც გაუწყებთ, თუ ცოდნის რა დაუშრეტელ წყაროსთან გაქვთ საქმე.

ვ. ნათენაძე თავის ბიბლიოთეკაზე საუბარს, უპირველესად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ კოლექციით იწყებს. ამ მხრივ მას თითო-ოროლა კოლექციონერი თუ შეედრება ჩვენს რესპუბლიკაში.



ვახტანგ ნათენაძე

ამ კეთილშობილმა ადამიანმა თავისი შრომითი საქმიანობის გზაზე გამოიჩინა ინიციატივა და შეადგინა უნიკალური კოლექცია.

თუმცა ბატონი ვახტანგი უკვე სამოცდათხუთმეტ წელსაა მიტანებული, მაგრამ უნდა ნახოთ, რა დაუზარელად იღებს კარადებიდან „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს და გესაუბრებათ თითოეული მათგანის შექენის ისტორიაზე.

ნიკოლოზ კველიშვილმა ვახტანგ ნათენაძეს აჩუქა თბილისში 1905 წელს სოსიკო მერკვილაძის მიერ შეკრებილი და გამოცემული „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ ასეთი წარწერით: „ამ წიგნს ორმოცდაათი წლის განმავლობაში შვილივით ვუვლიდი და ვეფერებოდი, თავს ვეკლავოდი, ახლა კი გულისტკივილით ვეთხოვები. მაგრამ ის, რომ იგი გადაინაცვლებს ჩემი ძმის, ვახტანგის გენიალური „ვეფხისტყაოსანის“ მდიდარ სამყაროში და იქ ღირსეულ ადგილს დაიჭერს, მამხნევებს,

მხალისებს და მხარებს ისე, როგორც ყოველ მშობელს თავისი შვილის გაზრდილობა. 1981 წ. 22. XI“ —ყოველივე ამას ისეთი ხალისით გვიამბობს, რომ გრძნობთ, ეს არის მისთვის მეტად საყვარელი და ძვირფასი საქმე.

წიგნის მოყვარული ბევრი მინახავს, მაგრამ ისეთი დამოკიდებულება აზრის ამ საგანძურისადმი, რასაც ვ. ნათენაძე იჩენს, იშვიათია. თუ სიძველისაგან შელახული, დაფურცლული ან უდაშემოგლეჯილი წიგნი შეიძინა, იგი რესტავრატორთან მიაქვს, აღადგენინებს, ყდას გამოუცვლის, მთლიანად განაახლებს და ისე შეინახავს. ამიტომაც არის, რომ თითოეული წიგნი თუ ალბომი ისეთ შთაბეჭდილებას სთოვებს, თითქოს მისთვის ხელი არავის უხლია, და სხვისგანაც ასეთ დამოკიდებულებას მოითხოვს წიგნისადმი. თუ შეამჩნია, მკითხველი წიგნს უდიერად ექცევა, ჩანიშნის მიზნით ფურცელი გადაკეცა ან მინაწერებით ააჭრელა, იმ ადამიანს იგი ახლოსაც არ გაიკარებს, ხოლო წიგნის დამფასებლისათვის მისი ბიბლიოთეკის კარი მუდამ ღიაა.

ვ. ნათენაძის „ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია შეიცავს 180 სხვადასხვა გამოცემას მსოფლიოს 42 ენაზე, აგრეთვე პოემის შესახებ დაბეჭდილ ლიტერატურას.

კოლექციის გაცნობა ალბომების დათვალიერებით დავიწყეთ. აქ შეკრებილია 1934—1983 წლებში ჩვენს პრესაში ქართულ და რუსულ ენებზე „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე გამოქვეყნებული წერილები, თითოეულ ალბომს აქვს სარჩევი, სადაც მოცემულია გაზეთის ან ჟურნალის დასახელება, წელი, რიცხვი, ავტორის გვარი, შინაარსი.

გაზეთების ამონაჭრების ერთი ალბომი მისთვის უჩუქებია და შემდგომშიც სხვა ალბომების შედგენაში დახმარება გაუწევია საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკს თინა ფირალიშვილს, რომელიც აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ კოლექციის შედგენით ყოფილა გატაცებული.

ალბომების შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ კოლექციის კატალოგი გადაფურცლეთ, თვალს იტაცებს ლამაზი კალიგრაფიით შესრულებული წიგნის თავფურცლის პირები. კატალოგში ზუსტად არის აღნიშნული წიგნის გამოცემის ადგილი და წელი, გამომცემელი, მხატვარი, აგრეთვე მითითებულია, თითოეული წიგნი ნაჩუქარია თუ არა, აქვს თუ არა ავტოგრაფული მინაწერი.

კოლექციაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც 1937 წელს აკაკი შანიძემ აღადგინა,

და დასტამბა თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობამ. ეს წიგნი ბატონ ვახტანგისათვის თვით მსცოვან მეცნიერს თავისივე ავტოგრაფით უჩუქებია. აქვეა ამ წიგნის 1975 წლის რეპროდუცირებული გამოცემა.

კოლექციაშია 1841 წელს პეტერბურგში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ რომელსაც ასეთი წარწერა ამწვენებს: „მათს უგანათლებულესობას ბატონისშვილს თეიმურაზს — საქართველოს მეფის გიორგის ძეს, უმდაბლესის პატივისცემით გულითადის მადლობითა და სამარადისო ერთგულების ნიშნად შევსწირეთ. ბროსეტ—ზაქარია ფალავანდიშვილი — დ. ჩუბინოვი“.

მასპინძელი სიამაყით გვიჩვენებს 1887 წელს გრ. ჩარკვიანის მიერ თბილისში 1892 წელს ოზურგეთში და 1899 წელს ბათუმში თავართქილაძეების მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ცალეხს. ყურადღებას იქცევს 1903 წლის გამოცემაც, რომელსაც დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობა, შენიშვნები და ვრცელი ლექსიკონი აქვს დართული, ასევე — 1910, 1914, 1915, 1918, 1926 და მომდევნო წლების „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები, ეს იქნება ცალკეული პირებისა თუ სარედაქციო კოლეგიის მიერ რედაქტირებული. მათ შორის არის პოემის მცირეფორმატიანი გამოცემანიც, რომელთა შესამკობად ვ. ნათენაძემ მხატვარს სპეციალურად ჰედური ყდები დაუკვეთა. ახლა ეს გამოცემანი ხელოვნების ნიმუშებად შეიძლება ვცნოთ. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე 1943 წელს ბერლინში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“. კოლექციაში ნახავთ იშვიათ წიგნს, რომელიც 1853 წელს მოსკოვში ივანე სერგიოვის სტამბაშია დაბეჭდილი. მას აქვს ასეთი სათაური: „ვეფხისტყაოსანი, ტრადედია, თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან“ — და შეიცავს ხუთ მოქმედებას. უნიკალური წიგნია აგრეთვე ე. ს. სტალინსკის „Барсова кожа“, დაბეჭდილი 1888 წელს თბილისში, შეიცავს პოემის ფრაგმენტებს ქართულ, რუსულ, სომხურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე. აღსანიშნავია 1901 წელს პეტერბურგში რ. კინვარის მიერ შესრულებული თეატრალიზებული რუსული თარგმანი, ასევე პოემის ბალმონტისეული რუსული თარგმანი (1935 წ.) და სხვადასხვა წლებში დაბეჭდილი კ. ბალმონტის, ნ. ზაბოლოცკის, გ. ცაგარელის და შ. ნუცუბიძის რუსული თარგმანები.

ვ. ნათენაძე თავის კოლექციაში თავს უყრის საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ენებზე დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანს“. აქ შეხვდებით აფხაზურ, უზბეკურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, სომხურ, ლიტვურ,



ყირგიზულ, მოლდავერ, ბელორუსულ, ყაზახურ, ტაჯიკურ, ქისტურ, ყაბარდოულ, ბალყარულ, იაკუტურ ენებზე შესრულებულ თარგმანებს.

აქვეა ზურაბ მაყაშვილის მიერ ესპერანტოს ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და მისი აფორიზმები (ორივე ეს წიგნი ვახტანგ ნათენაძეს თვით მთარგმნელმა აჩუქა). სტუდენტობის მეგობრის გიორგი ჯანიაშვილის ნაჩუქარია საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, შესრულებული ბრაილით, ქართულ და რუსულ ენებზე, თითოეული ხუთ წიგნად.

კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანებს საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე, რომელთაც ვ. ნათენაძე განსაკუთრებული ინტერესით აგროვებს. 1969 წელს ისრაელში ივრიტის ენაზე გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსანის“ (ბორის გაბონოვის თარგმანი) შესაძენად ვ. ნათენაძემ თვით გამომცემლობას მიმართა. გამომცემლობამ წიგნი საჩუქრად გამოუგზავნა.

ჩინური ენაზე გამოცემულ „ვეფხისტყაოსანის“ შეძენაში კი დაეხმარნენ ამ სამი ათეული წლის წინათ საქართველოში ასპირანტურაში სასწავლებლად ჩამოსული ჩინელი სტუდენტები, რომელთა მამართ ვ. ნათენაძე დიდ მზრუნველობას იჩენდა, და როცა სამშობლოში გამგზავრების წინ სტუდენტები კოლექციონერს ბინაში ეწვივნენ და ეს იშვიათი ბიბლიოთეკა დაათვალიერეს, „ვეფხისტყაოსანის“ კოლექციით აღტაცებულებმა, მასპინძელს შეპირდნენ, ამ კოლექციისათვის შეემატებინათ ჩინური თარგმანიც. ჩინელმა ახალგაზრდებმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეასრულეს დანაპირები და ასე გაჩნდა ვ. ნათენაძის კოლექციაში 1944 წელს პეკინში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ (მთარგმნელი ლი-ცზო).

იაპონურ ენაზე ქართული კულტურის დიდი მეგობრის იპეი ფუკუროს მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ვ. ნათენაძეს აჩუქა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თანამშრომელმა გურამ ჟღენტმა. 1964 წელს ესპანურ ენაზე სანტ-იაგოში დასტამბული გუსტავ ალფრედოს თარგმანი წარწერით უსახსოვრა ჩვენმა სასიქადაულო პოეტმა იოსებ ნონეშვილმა.

ვ. ნათენაძის კოლექციაში დაცულია აგრეთვე „ვეფხისტყაოსანის“ სპარსული ფრაგმენტული თარგმანი მორთეზა ფატემისა (რედაქცია ჯემშიდ გიუნაშვილისა), ჩეხური — იერომირ იედლიჩკასი, მონღოლუ-

რი — დ. კომპოზოვისა, ფრანგული — სერგი წულაძისა, გერმანული — ჰუგო ჰუბერისა და ჰერმან ბუდენზიგისა, ბულგარული — სტოიან ბაკინჯიევისა. აქვეა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ინგლისური თარგმანიც: მარჯორი უორდროპისა (1912, ლონდონი), მისივე (1938, მოსკოვი), მისივე ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით (1966, თბილისი; ერთვის წინასიტყვაობა ოლივერ უორდროპისა, გადმობეჭდილი 1912 წლის ლონდონური გამოცემიდან), ვენერა ურუშაძისა (1968, თბილისი და 1971 წლის მცირეფორმატიანი გამოცემა), რ. სტივენსონისა (1977, ნიუ-იორკი, „იუნესკოს“ გამოცემა).

ვ. ნათენაძეს მეგობრული ურთიერთობა და მიმოწერა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებთან, ხოლო როცა ისინი თბილისში ჩამოდიან, იწვევს ბინაზე, აცნობს თავის ბიბლიოთეკას. ასე დაუახლოვდა იგი ცნობილ პოლონელ ქართველოლოგს პროფესორ იან ბრაუნს, რომელმაც აჩუქა 1976 წელს კრაკოვში პოლონურ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ (თარგმანი ივარ სიკირიციკისა, ბჭკარედი — იან ბრაუნისა), ასეთივე მეგობრული ურთიერთობა დაამყარა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელ ქეთრინ ვივიანთან, რომელიც ბინაში მოიპატიჟა. ქეთრინ ვივიანმა დიდი ინტერესით დაათვალიერა „ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია და მასპინძელს მიაჩნო, რომ 1977 წელს ლონდონში გამოცემული, მის მიერ შესრულებული თარგმანი. როცა საუბარში გამოიჩინა რომ ქეთრინ ვივიანს გადაწყვეტილი ჰქონდა ეთარგმნა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, ვ. ნათენაძემ მას საჩუქრად გადასცა ქართველი მწერლის იგავ-არაკების სრული კრებულის ერთ-ერთი უძველესი გამოცემა. იგი დაუახლოვდა აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ იტალიურ ენაზე მთარგმნელებს — მარჩიო პიკის და პაოლა ანჯიოლეტის, ნიშნად დიდი პატივისცემისა მარჩიო პიკიმ კოლექციონერს საჩუქრად გამოუგზავნა 1981 წელს რომში გამოცემული პოემის იტალიური თარგმანი წარწერით.

\* \* \*

ვახტანგ გიორგის ძე ნათენაძე წარმოშობით მესხეთიდანაა. მამამისი ახალქალაქის რაიონის სოფელ გოვაშენიდან ყოფილა. ლარიბი გლეხი ბედის საძიებლად თბილისში ჩამოსულა. აქ დაცოლშვილდა და 1908 წელს ვახტანგი შეეძინა. თუმცა ოჯახი გაჭირვებით ცხოვრობდა, მაგრამ წიგნი დიდად ჰყვარებიათ. ახლაც კარგად ახსოვს ვახტანგს, როგორი გატაცებით უსმენდა თავის უფროს ძმას, რომელიც

ხმამალა უკითხავდა ბავშვებს პატარ-პატარა მოთხრობებს. ექვსი-  
შვიდი წლის ყმაწვილი სიხარულით დაჰყვებოდა ძმას საბურთალოს  
ბაზარში, სადაც სხვა ძველმანებთან ერთად გროშებად ძველი წიგნე-  
ბიც იყიდებოდა. აქ შეიძინეს, მაგალითად, 1914 წელს მიხეილ გედე-  
ვანიშვილის მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირ-  
ველი კრებული, წიგნი მდიდრულად არის დასურათებული და ერთ-  
ერთ იშვიათ გამოცემად ითვლება. უკვე მოსწავლემ აქვე შეიძინა გა-  
ზეთ „ცნობის ფურცლის“ 1902 წლის მთლიანი კომპლექტი, რომე-  
ლიც წიგნის სახით ააქინძინა. ეს გაზეთი ისე უხვად არის ილუსტრი-  
რებული და იმდენი საინტერესო წერილია გამოქვეყნებული, რომ  
დღესაც დიდი ინტერესით წაიკითხავს მკითხველი.

წიგნისადმი სიყვარული და მისი შეძენის სურვილი სტუდენტო-  
ბის წლებში კიდევ უფრო გაუძლიერდა, როცა კიროვის სახელობის  
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ხუროთმოძღვრების პროფესიის ეუფლე-  
ბოდა. ამ წლებში ის ხელოვნებით იყო გატაცებული და მრავალი  
საინტერესო ალბომიც შეიძინა.

1932 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვ. ნათენაძეს მუ-  
შაობა მოუხდა სხვადასხვა ორგანიზაციაში, სადაც ასრულებდა ტექ-  
ნიკოსის, მთავარი ინჟინრის, მისი მოადგილის თუ სხვა თანამდებო-  
ბას. ამჟამად პენსიონერია, მაგრამ კვლავ შრომით საქმიანობას ეწევა.

წიგნის ამ დიდებულ მოყვარულს, რომელსაც ჩინებული ოჯახი  
და კარგი შრომითი ბიოგრაფია აქვს, არ უყვარს საუბარი თავისთავზე,  
მას მთელი ყურადღება წიგნებზე აქვს გადატანილი. უნდა ნახოთ საუბ-  
რისას, როცა საქმე ლიტერატურას შეეხება, როგორი სასოებით, რო-  
გორი სიფაქიზით შეავლებს ხოლმე წიგნს ხელს და თვალგაბრწყინ-  
ებული გამოვიწოდებთ: აბა ნახეთო, და სანახავი და საამაყო, მართ-  
ლაც რომ ბევრია.

— აი, ჩემი ყველაზე უძველესი წიგნი „სახარება“, 1723 წელს  
მოსკოვში დაბეჭდილი, — გვითხრა მასპინძელმა და კარგად აკინძუ-  
ლი, ლამაზად დასურათებული, საკმაოდ სქელტანიანი წიგნი შემოგვ-  
თავაზა. — აი, კიდევ რომში 1741 წელს გამოცემული წიგნი „საქრის-  
ტიანო მოძღვრება“.

მიგყვებთ ისევ უნიკალურ წიგნებს: „დაბადება“ ორ ტომად, (1884  
წ.), „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული და მარიამ დედოფ-  
ლისეული ვარიანტების გამოცემანი; მ. თამარაშვილის „ისტორია კა-  
თოლიკობისა ქართველთა შორის“ (1902), „დავითნი“ (1873 წ. ტფი-

ლისი), იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (ორ წიგნად) (1936 და 1948 წწ.), რუსულ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი და 1886 წ. სანკტ-პეტერბურგში გამოცემული დ. ჩუბინოვის მიერ; 1884 წელს რაფ. ერისთავის რედაქტორობით გამოცემული ქართული ლექსიკონი, შედგენილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, დიდი ხნის ძიების შემდეგ ვ. ნათენაძემ, როგორც იქნა, შეიძინა ექვთიმე თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი“ (სამ ტომად) და „ძველი საქართველო“ (ოთხ ტომად), აგრეთვე „არქეოლოგიურ მოგზაურობათა“ ორი წიგნი, პარიზში გამოცემული.

ამ საინტერესო ბიბლიოთეკაში ნახავთ ყურნალ „კავკასიონს“, გაზეთ „კვალის“ 1898 წლის სრულ კომპლექტს, აქვეა გაბრიელ ებისკოპოსის „ქადაგებანი“ (ორ ტომად), 1849 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, თარგმნილი მარი ბროსეს მიერ, „თეატრი და ცხოვრების“ 1914 წლის სრული კომპლექტი, რომელიც იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა და სხვა.

საინტერესო ინფორმაციას შეიცავს „სახალხო კალენდარის“ მცირეფორმატიანი წიგნები, შედგენილი და გამოცემული 1908, 1909, 1915, 1918 წლებში მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ვ. ნათენაძეს წიგნები დარგების მიხედვით აქვს დალაგებული. მთელი ერთი კარადა უჭირავს ლიტერატურას მუსიკაზე. ეს სრულიად გასაგებია, მისი ქალიშვილი ხომ მუსიკათმცოდნეა. საკანდიდატო დისერტაციის მომზადებისას მზიას მამამისის წიგნებმა უდიდესი სამსახური გაუწია, არ დასჭირვებია სხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში სიარული. და არა მარტო მზიას, ვ. ნათენაძის ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ მისი თანაკურსელები და პედაგოგები. აქ ბევრი იშვიათი გამოცემაა. მარტო 1904 წელს მოსკოვში გამოცემული „კომპოზიტორთა ბიოგრაფიები“ რად ღირს! ამ წიგნში შესულია IV საუკუნეიდან XX საუკუნემდე მოღვაწე ცნობილ რუს და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა ბიოგრაფიები, ფოტოსურათები, ხელნაწერი ნოტების ფოტოპირები. ა. ილინსკის რედაქციით გამოსული ეს წიგნი 193 კომპოზიტორის შემოქმედებას მოიცავს.

ვ. ნათენაძის ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წიგნებსა და ალბომებს ფერწერაზე, გრაფიკაზე, ქანდაკებაზე, არქიტექტურაზე. ფურცლავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემულ ამ წიგნ-ალბომებს და ეცნობით სახელგანთქმული მხატვრების შემოქმედების ნიმუშებს. ბიბლიოთეკას ამშვენებს „მსოფლიო კულ-

ტურის ძეგლების“ ექსტრემული, „მსოფლიო მუზეუმების“ სერიით გამოცემული 17 წიგნი, „მსოფლიოს ქალაქებისა და მუზეუმების“ სერიის — 39 ტომი. საინტერესოა მილან-ლონდონ-პარიზის ერთობლივი გამოცემლობის „მაესტრო დელ-კოლორესის“ მიერ გამოცემული 50-ზე მეტი წიგნი-ალბომი, როგორცაა: „მიქელანჯელო“, „რემბრანდტი“, „ლეონარდო და ვინჩი“, „ვან გოგი“, „რაფაელი“, „რუბენსი“, „ბოსხი“, „ჯორჯონე“, „ტიციანი“, „ბოტიჩელი“ და მრავალი სხვა. თითოეულ ამ წიგნ-ალბომში გამოქვეყნებულია მხატვრის ბიოგრაფიული ცნობები და მათი ძირითადი ნამუშევრების ფერადი ილუსტრაციები. ამ სერიაში აღსანიშნავია გამოჩენილი იტალიელი მოღვაწის ჯორჯოვაზარის ხუთტომეული, აგრეთვე რუსული ხელოვნების ისტორიის ამსახველი ლიტერატურა, „ერმიტაჟის საგანძური“, „რუსული მუზეუმის შედეგები“ და სხვა მრავალი.

ბიბლიოთეკაში შეხვდებით მრავალ წიგნ-ალბომს ქართულ ხელოვნებაზე, მათ შორის აღსანიშნავია ნიკო ფიროსმანაშვილის 1922—1923 წლის გამოცემა, სადაც გამოქვეყნებულია ტიციან ტაბიძისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა სტატიები დიდი მხატვრის შემოქმედებაზე.

ვ. ნათენაძის ბიბლიოთეკით ბევრი მეცნიერ-მუშაკი და წიგნის მოყვარული სარგებლობს. მწერალმა ვასილ ჩაჩანიძემ დიდი მადლიერებით განაცხადა: „პირადად მე, როგორც ავტორი ვრცელი რუსთველოლოგიური კრებულისა „რუსთველოლოგია ილუსტრაციებში“, დიდ მადლობას ვუხდით ვახტანგ ნათენაძეს, რომ ვისარგებლე „ვეფხისტყაოსნის“ კოლექციით, ფერად ფირებზე გადავადლებინე პოემის იშვიათი გამოცემები, რომლებიც დაიბეჭდება ჩემს შრომაში „ვეფხისტყაოსნის გამოცემები“.

ვინ მოთვლის, ვ. ნათენაძის ბიბლიოთეკით რამდენმა მეცნიერ-მუშაკმა და წიგნის მოყვარულმა ისარგებლა. თუმცა აქაც ვ. ნათენაძე არ ღალატობს თავის პუნქტუალობას და სპეციალური წიგნი აქვს შედგენილი, სადაც აღწუსებულია, თუ ვის რა წიგნი ათხოვა.

ვ. ნათენაძის წიგნისადმი სიყვარულს დიდად აფასებენ ჩვენი წიგნის მოყვარულები. 1979 წლიდან სისტემატურად ეწყობა მისი უნიკალური წიგნების გამოფენები. რესპუბლიკური გამოფენები მოეწყო 1979 წელს საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების II ყრილობაზე, 1982 წელს რესპუბლიკის „წიგნის ზეიმზე“. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ვახტანგ ნათენაძისათვის 1982 წლის 28 მაისი, როდესაც კრებულ „მწიგნობარის“ რედაქციასთან ერთად მიიწვიეს

ა. ფადაევის სახ. ლიტერატორთა სახლში, რომელსაც „ბიბლიოფილთა კლუბი“ მასპინძლობდა. აქ ინტერესით დაათვალიერეს ვ. ნათენაძის „ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია. პატივცემული ვახტანგი გატაცებით მოუთხრობდა მათ თითოეული წიგნის ისტორიას. ამ გამოფენამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ 1983 წელს ისევ მიიწვიეს ლიტერატორთა სახლში. ამჯერად გამოფენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულად გაფორმებული კატალოგი და რამდენიმე უნიკალური წიგნი.

ვ. ნათენაძეზე დაიწერა პრესაშიც, მოეწყო სატელევიზიო გადაცემაც, ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნდა, ვ. ნათენაძემ აღნიშნა: „მე წიგნთან კონტაქტს ვამყარებ, როგორც ადამიანთან. ყოველ ახალ შენაძენს თითქოს ახალი სიცოცხლე შემოაქვს ჩემს ოჯახში. ვგრძნობ, შევიძინე მეგობარი და ყოველი მათგანი მოითხოვს შესაფერის თანაგრძნობას, გაგებას, რადგან მას შემდეგ, რაც წიგნი ჩემთან მოხვდა, იგი უკვე ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია. ჩემი ბიბლიოთეკის გვირგვინად მიმაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია. მისით ვსუნთქავ და ვცოცხლობ. ეს ყველაფერა წიგნის სიყვარულთან ერთად ხალხის სიყვარულმაც შემადღებინა, რადგან მისი მფლობელი, ბოლოსდაბოლოს, არა ერთი ან ორი პიროვნება, არამედ მთელი ხალხი, მთელი საზოგადოებაა“.

ვუსურვოთ ვახტანგ ნათენაძეს, წიგნის ამ დიდებულ მოყვარულ ადამიანს ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომ კიდევ უფრო გაემდიდრებინოს თავისი წიგნის საგანძური, რათა ამით დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს ხალხს.

წიგნით ნაზენი რწმენის კედელი

ივლისის იმ ჩვეულებრივ დღეს განსაკუთრებით ჭირვეულობდა ამინდი ბათუმში, ხან რძისფერი ღრუბლებისაგან სულშეხუთული მზე დააცხრებოდა მწვანეში განაბულ ქალაქს, ხან თავაწყვეტილი, მაისის სადარი წვიმა ზაფხულის ხვატს სადღაც შორს, ზღვის დასალიერთან ერეკებოდა; რამდენიმე საათით გამოვეთიე ჩემს ყოველდღიურობას, მთელი ჩემი არსებით გადავსახლდი სრულიად ახალ სამყაროში — ვეწვიე გურამ კახიძის ბიბლიოთეკა-მუზეუმს და მესმის მხოლოდ მისი მოზომილი, ლაკონიური ფრაზები; შემოჯარული ფოტოები, წიგნები, გაზეთები, სხვადასხვა ნივთები თითქოს მისი ხმით მესაუბრებიან, მისი ხმით მიხსნიან და მიმტკიცებენ...

გურამ კახიძე კი ყვება, ყვება დაუსრულებლად ქვეყნების, ადამიანების, წიგნების ბედზე, ნანახმა და განცდილმა ისე გამიტაცა, რომ სადღაც ქრება წინასწარ დაგეგმილი, სამსახურებრივი ინტერესებით ათასჯერ აწონილი შეკითხვები, უთვალავი ახალი კითხვა მიტრიალებს თავში.

გურამი კი ყვება თავდაჯერებული, საბოლოოდ დარწმუნებული; ახლა უკვე მეც ჩამიყოლია თუ ჩამითრია და ზაქსენჰაუზენისა და დახაუს საკონცენტრაციო ბანაკებიდან გადავყავარ ელისეს მინდვრებზე, გორიდან თეირანში, ჟამთააღმწერელიდან ივანე სტაღნიუკთან...

თავის თავზე თითქმის არც ლაპარაკობს, მხოლოდ ისე, სხვათა შორის მოიხსენიებს, როგორც უბრალო შემსრულებელს, თუმცა მე უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი მისი ცხოვრებაა. ჰო, იმას კი ახსენებს, როგორ დაიწყო ყოველივე ეს, რა გზა გაიარა უბრალო გატაცებიდან წიგნის უდიდეს სიყვარულამდე; ახლა ვერც წარმოუდგენია თუ შეიძლებოდა სხვანაირად ცხოვრება, ყოველივე ეს გახდა მისი სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის აუცილებელი ელემენ-

ტი, შეიძლება ითქვას, ერთგვარად განმსაზღვრელიც კი. წიგნი, განსაკუთრებით გმირობასა და ვაჟკაცობაზე, გახდა მისი მარადიული სიყვარული, მისი რწმენის კედელი.

დიდხანს, ძალიან დიდხანს მარტო იყო თავის გატაცებასთან. ნაცნობ-მეგობრებისათვის, თანამოსაქმეებისათვის მხოლოდ შრომისმოყვარე, კარგ მეოჯახე კაცად რჩებოდა; მისი შეგნებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზღვასთან და ეს სიყვარული არც ახლა განელებია. დღესაც ჩვეული შემართებით შრომობს ბათუმის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი ნავსადგურის დოკერ-მექანიზატორთა გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირად; როგორც ყოველთვის, საქმისადმი ერთგული და თითოთ საჩვენებელი კაცია ამ სახელოვან კოლექტივში. ვინც მის ძირითად საქმიანობას თუნდაც ზერელედ გაეცნობა, ვერც კი წარმოიდგენს, თუ შეუძლია სხვა რამისათვის მოცლა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ვინც ერთხელ მაინც ეწვევა გურამ კახიძეს და თვალს გადაავლებს მის მუზეუმ-ბიბლიოთეკას, უპირველეს ყოვლისა, გაოცება იპყრობს; დიახ, გაოცება, რადგან სხვაგვარად წარმოუდგენელია იმ პირველი შთაბეჭდილების დახასიათება. გასაოცარი კი მართლაც ბევრია აქ: უნიკალური წიგნები და ნივთები, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტი, პლაკატი, პერიოდული გამოცემა, ფოტომასალა... 8000-ზე მეტი ექსპონატი. შემთხვევით არ გვიხმარია აქ სიტყვა „ექსპონატი“, რადგან ყველაზე უფრო თვალსაჩინო მასალა გამოფენილია საცხოვრებელი ბინის კედლებზე მოწყობილ სტენდებზე, კარადებში, ყველგან, სადაც კი ამის საშუალებაა. ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა მკითხველმა ჩვენთან საუბარში თქვა: ახლა რა უჭირს, გურამ კახიძე მაშინ უნდა გენახათ, როცა ერთოთახიან ბინაში, მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა და ექსპოზიციის მოწყობა გადაწყვიტაო.

გურამს თავისთვის ელიმება, დაუფარავი სიამაყით გადახედავს სათუთად მოვლილ სტენდებს, წიგნებით სავსე კარადებს, სურათებს, გაზეთის ამონაჭრებს, დოკუმენტებს... მართლაც რომ საამაყოა. მაშინ კი, როცა ამ საქმეს იწყებდა, ბევრი აღმაცერად უყურებდა. იმ პირობებში იქნებ მართალიც იყვნენ, მაგრამ არ იყვნენ მართალი იმ სიყვარულის წინაშე, რომელსაც წიგნის მიმართ ბავშვობიდანვე განიცდიდა გურამი. სწორედ ამ ფანატიკურმა სიყვარულმა შეაძლებინა თითქმის შეუძლებელი, გადაალახვინა ყველა დაბრკოლება, რაც კი ამ ძნელ საქმეში შეხვედრია. ბოლოს სკეპტიკოსებმაც ირწმუნეს ამ



საქმის მომავალი, მისი მნიშვნელობა და მორალური, და არცთუ იშვიათად, მატერიალური მხარდაჭერაც აღმოუჩინეს; მხარდაჭერა კი, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური კოლექტივისაგან — საქართველოს საზღვაოსნოსაგან იგრძნო გურამ კახიძემ, მისმა ოჯახმა. ახალი გაფართოებული ბინის ერთი ოთახი მთლიანად დაუთმო მუზეუმ-ბიბლიოთეკას, ხოლო საზღვაოსნოს ხელმძღვანელმა, ლეგენდარულმა მეზღვაურმა ანატოლ კაჭარავამ, ლ. ნოვიკოვისა და ა. ტარადანკინის წიგნი „ბოლარული ვარიაცი“, ასეთი წარწერით მიუძღვნა გურამ კახიძეს: „დიდი პატივისცემით საზღვაო სამსახურში ჩემს კოლეგას, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ნავსადგურებში კომპლექსური ბრიგადის შექმნის ინიციატორს, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს ამხ. გურამ კახიძეს საუკეთესო სურვილებით ვუძღვნი ამ მოთხრობას, რომელიც დაწერილია ჩემზე, როგორც „ა. სიბირიაკოვის“ ყოფილ მეთაურზე, მის გმირ მეზღვაურებზე. დაე, ამ წიგნმა დაიჭიროს თქვენს ბიბლიოთეკაში საპატიო ადგილი და ემსახუროს ახალგაზრდობის სამშობლოსადმი პატრიოტული აღზრდის ღიად საქმეს“.

გურამ კახიძის მუზეუმ-ბიბლიოთეკაში უამრავი სხვადასხვა ხასიათის მასალაა დაცული, მაგრამ მათგან მაინც შეიძლება გამოიყოს ათასზე მეტი უნიკალური წიგნი, მათ შორის ხუთასზე მეტი — ავტოგრაფიანი წიგნი. ყველაფერი ეს კი იოლად არ მოსულა. ეს არის დაუდალავ: შრომის, ძიების, წიგნის უსაზღვრო სიყვარულის შედეგი. ასეთ შემთხვევასაც იგონებს გურამ კახიძე: ერთ-ერთი წიგნი ვერსად შეიძინა და წერილობით მიუმართავს ავტორისათვის, მაგრამ უარი მიუღია, ერთი ეგზემპლარის მეტი არც ავტორს დარჩენოდა და ვერ შელევია. მაშინ გურამს უთხოვია, სულ რამდენიმე დღით წასაკითხად მაინც დაეთმო და ისევ უკან დაუბრუნებდა. მოკლე ხანში გურამ კახიძეს მიუღია წიგნი ასეთი ავტოგრაფით: „თქვენ საუცხოოდ იცით თხოვნა. მადლობთ წიგნის ასეთი სიყვარულისათვის“.


გურამ კახიძემ ავტოგრაფიანი წიგნების შეგროვება არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო. პირველი ავტოგრაფიანი წიგნი „თეირანი — 1943 წელი“ 1968 წელს მიიღო ვალენტინ ბერეჟკოვისაგან, ამას მოჰყვა ვ. ბერეჟკოვისავე „დიპლომატიური სამსახურის წლები“, „დიპლომატიური მისიით ბერლინში“ და სხვ. ასე თანდათან მდიდრდებოდა, თემატურად მრავალფეროვანი ხდებოდა გურამ კახიძის ბიბლიოთეკა. სხვადასხვა დროს ავტოგრაფიანი წიგნები მიიღო ნ. კოსიგინის, დ. უს-

ტინოვის, ა. გრომიკოს, ა. პატოლიჩევის, გ. რუდენკოს, ს. შტემენკოს, გ. ჟუკოვის, ა. ჩაკოვსკისგან და სხვ. განსაკუთრებული მეგობრობა აქვს გურამ კახიძეს ცნობილ მწერალ ივან სტადნიუტთან. სწორედ გურამ კახიძის საქმემ, მისმა წიგნისადმი სიყვარულმა დააქავეშირა და დაამეგობრა ერთმანეთთან ოჯახებით ეს ორი ადამიანი, უფრო მეტიც: გურამ კახიძის ბიბლიოთეკამ გარკვეული როლი ითამაშა ივან სტადნიუტის შემოქმედებაში: მწერალმა სწორედ მის ოჯახში, მისი ყურადღებით და სიყვარულით გარემოცულმა დაასრულა ცნობილი რომანის „ომის“ მესამე წიგნი. ივან სტადნიუტი გურამ კახიძის მიმართ არ იშურებს ისეთ პომპეზურ ეპითეტსაც კი როგორცაა „знаменитый библейофил“, ხოლო მისი ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე მწერალი გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ 1979 წლის 22 ნოემბრის ნომერში წერდა: „ბათუმში სამი წლის უკან გახლდით ჩემი მეგობრის, ბათუმის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი საზღვაო ნავსადგურის დოკერ მექანიზატორთა გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირის, გურამ კახიძის მოწვევით. მან ფრიალ საინტერესო და სასარგებლო საქმე წამოიწყო. რამდენიმე წლის წინათ საბრძოლო დიდების მუზეუმ-ბიბლიოთეკა შექმნა საკუთარ ბინაში. ენთუზიასტმა, პატრიოტმა მართლაც მდიდარ იშვიათ ექსპონატებს, წიგნებს, გამოჩენილ ადამიანთა პირად ნივთებს მოუყარა თავი; ამ ჩამოსვლისას მუზეუმ-ბიბლიოთეკა უფრო გამდიდრებული, გაფართოებული ვიხილე და ამან მეტად გამახარა. მჯერა, მოვა დრო, როცა ყოველივე ის, რაც ასეთი რუდუნებით მოუპოვებია ამ ახალგაზრდას, ფასდაუღებელ რელიქვიად იქცევა“.

გურამ კახიძემ თავისი ბიბლიოთეკა- მუზეუმი ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი გახადა — მისი კარები ღიაა ყველა დაინტერესებულ მკითხველისათვის. ეს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს მის ბიბლიოთეკას. დღეს, როდესაც ბიბლიოფილობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ თუ პირადი ბიბლიოთეკის ფონდი მოქცეული არაა საზოგადოებრივ სარგებლობაში, იგი სრულფასოვანი ვერ იქნება.

გურამ კახიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას თავისი ბიბლიოთეკა ვერც წარმოუდგენია მკითხველის, დამფასებლის გარეშე. აკი თვითონაც ხუმრობს: ზოგჯერ, თუ მკითხველი იგვიანებს, მოწყენილი ვარო. ეს განაპირობებს მისი მუზეუმ-ბიბლიოთეკის მნიშვნელობას, მის საზოგადოებრივ ღირებულებას, ხოლო გურამ კახიძე მრავალრი-

ცხოვანი მკითხველის თვალში იქ-  
ცა ჰეშმარიტ მამულიშვილად, კა-  
ცურ-კაცად, ი. სტადნიუკის სიტყ-  
ვებით რომ ვთქვათ, „გამოჩენილ  
წიგნისმოყვარულად“. არის კიდევ  
ერთი არსებითი მხარე, რომელიც  
მტკიცედ განსაზღვრა გურამ კა-  
ხიძემ ამ საქმიანობის დასაწყის-  
შივე, მისივე სიტყვებით რომ  
ვთქვათ: „ახალგაზრდობის პატრი-  
ოტული აღზრდა ჩემი ბიბლიოთე-  
კის ძირითადი მიზანია“. ახალგა-  
ზრდობის პატრიოტული აღზრდა  
მრავლისმომცველი ცნებაა და გუ-  
რამ კახიძეც ცდილობს თავის საქ-  
მიანობაში მოიცვას ამ პრობლემის  
ყველა მხარე, გამოიყენოს პრო-  
პაგანდის მრავალი ფორმა და  
მეთოდი.



მკითხველთა შემოკრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა მუზეუმ-ბიბლიოთეკის ანოტირებულმა კატალოგებმა, რომლებიც გურამ კახიძესთან ერთად შეადგინეს ბიბლიოთეკის მუშაკებმა, ბათუმის საზღვაოსნოს წიგნისმოყვარულებმა; ამჟამად ეს კატალოგები ჩართულია ბათუმის №№ 16,17 საქალაქო და საზღვაოსნოს ბიბლიოთეკებში; ახლა ნებისმიერ დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს კატალოგების დახმარებით ისარგებლოს მისთვის საინტერესო წიგნით. კატალოგების შედგენამ მკვეთრად გაზარდა მუზეუმ-ბიბლიოთეკის მკითხველთა რაოდენობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის—სტუდენტების, მოსწავლეებისა და მუშა-ახალგაზრდობის—რაოდენობა. გურამ კახიძის მუზეუმ-ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლების პედაგოგები და მოსწავლეები; ამ სასწავლებლის პედაგოგები რევან მაჭავარიანი, ლამარა ჯორბენაძე, ლამარა მაჭავარიანი, რაჟდენ ჩაჩუა მისი მუდმივი მკითხველები არიან, ზოგჯერ ამ სასწავლებლის მთელი ჯგუფი ეწვევა

ი. სტადნიუკის ავტოგრაფი  
წიგნზე «Война»




დ. ბაქრაძის ავტოგრაფი წიგნზე „გმირთა სისხლით“

ბიბლიოთეკა-მუზეუმს და მასწავლებლის ხელმძღვანელობით ატარებენ გაკვეთილებს როგორც სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, ისე წიგნმცოდნეობის, საინტერესო ისტორიის წიგნების შესახებ; მუზეუმ-ბიბლიოთეკაში საუკეთესო პირობებია ასეთი გაკვეთილების ჩასატარებლად: უძვირფასესი თვალსაჩინო მასალა, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტი, ბევრი მოვლენის უშუალო მომსწრე, ანდა ყოველივე ამის ზედმიწევნით მცოდნე—გურამ კახიძე შთამბეჭდავი მოსაუბრეცაა. ამიტომაც მოუხარია აქეთ ყველას, მოუხარია, რადგან ამ სახლში ყოველთვის შეიძლება ნახონ რაღაც ახალი, საინტერესო.

მუზეუმ-ბიბლიოთეკის მკითხველები არიან ბათუმის საზღვაოსნოს მუშაკები: დოკერ-მექანიზატორთა გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადის წევრები. ბათუმის საზღვაოსნოს ბევრ მეზღვაურს, შორეულ ნაოსნობაში თან მიაქვთ წიგნები. მსოფლიოს შვიდი ქვეყანა მოიარა ი. სტადნიუკის რომანის „ომის“ III წიგნმა; იგი შორეულ ნაოსნობაში თან ჰქონდა ტანკერ „კორნეიჩუკის“ კაპიტანს გიორგი ტარასოვს. როგორც წესი, გურამ კახიძის ბიბლიოთეკის 50-ზე მეტი წიგნი

ყოველთვის მოგზაურობს მსოფ-  
ლიოს სხვადასხვა ზღვებსა და  
ოკეანეებში.

ბევრი მკითხველი ჰყავს ბიბ-  
ლიოთეკას აჭარის რაიონებიდან,  
შორეული სოფლებიდან სხვადა-  
სხვა პროფესიის ადამიანები, ომი-  
სა და შრომის ვეტერანები, პედა-  
გოგები, მოსწავლეები, სამხედრო  
მომსახურენი; აი, კიდევ ერთი ამო-  
ნაწერი შთაბეჭდილებათა წიგნი-  
დან. მაღალმთიანი ხულოს რაიონ-  
ის სოფელ დიდი რიყეთის საშუა-  
ლო სკოლის მასწავლებელი ცის-  
მარა იმერლიშვილი: „ერთი შე-  
ხედვით უბრალო, ჩვეულებრივი,  
ბათუმისათვის დამახასიათებელი  
ზაფხულის წვიმიანი დღე, როდეს-  
აც ბუნება იცრემლება, მელანქო-  
ლია შემოგესევა, გადაგდებს თა-  
ვის უცნაურ სევდას, მაგრამ მე ამ  
მოწყენილ დღეს ძალიან, ძალიან



ე. ხალდის ავტოგრაფი წიგნზე  
«От Мурманска до Берлина»

აღტაცებული ვარ და ამის მიზეზია, ბატონო გურამ, თქვენი  
მუზეუმი, მდიდარი ბიბლიოთეკა, თქვენი ტკბილი საუბარი. მთე-  
ლი ჩემი სიცოცხლე მაღლობელი ვიქნები ასეთი კარგი საქმის თაოს-  
ნობისათვის, წიგნის ასეთი სიყვარულისათვის და მისი პროპაგანდი-  
სათვის. თქვენთან შეხვედრამ და საუბარმა მომცა ბედნიერი შემთხვე-  
ვა, უფრო მეტი გამეგო ჩემთვის ძვირფას ადამიანებზე, რომლებმაც  
ისტორიის ფურცლები გააბრწყინეს. მაღლობა თქვენ, ბატონო გურამ,  
ასეთი პატრიოტიზმისა და წიგნისადმი პატივისცემისათვის“.

გურამ კახიძის ბიბლიოთეკის მკითხველები ძირითადად ადგილზე  
კითხულობენ, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როდესაც აჭარის შორეულ  
სოფლებშიც გაუგზავნია წიგნები მკითხველებისათვის.

როდესაც ცნობილმა მწერალმა ლევან სანიციძემ დაათვალიერა ბიბ-  
ლიოთეკა-მუზეუმი, შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „უაღრე-  
სად გახარებული და გაოცებული ვარ ამ იშვიათ სახლში მოსვლით.





გენერალ-მაიორ ა. კახარიანის  
ავტოგრაფი წიგნზე «Война,  
люды, судьбы».

ხილვები ავტორების მონაწილეობით, დისპუტები თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე. ამ ტრადიციის დასაწყისი იყო გამოჩენილი მწერლის ი. სტანდნიუკის შეხვედრები ბათუმის საზღვაო კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლების წიგნისმოყვარულებთან. გ. კახიძის ინიციატივით ჩატარდა ა. ჩაკოვსკის „გამარჯვების“, ნ. მასლენიკოვის „სიკვდილის დამამარცხებელი“ და სხვ. განხილვა ბათუმის № 16, 17 საქალაქო ბიბლიოთეკებში.

გურამ კახიძის მუზეუმ-ბიბლიოთეკა დღითიდღე ფართოვდება, ივსება ახალი მასალებით, საინტერესო წიგნებით, მოდიან ახალი მკითხველები, გურამ კახიძეც უშურველად გასცემს წიგნებს, ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს ამ კეთილშობილურ საქმიანობაში, რომელსაც კარგად გამოხატავს აჭარის ასსრ დამსახურებული მას-

წავლებლის დ. ქიშმარეიშვილის სიტყვები: „თქვენი საქმე საამაყო არა მარტო თქვენთვის, როგორც მუზეუმ-ბიბლიოთეკის შემქმნელისათვის, არამედ ჩვენთვის, ჩვენი ბათუმისათვის, ჩვენი რესპუბლიკისათვის“.

საჯარო ბიბლიოთეკის წარსულიდან

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში, მართალია ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა წიგნის ბეჭდვის საქმე. 1919 წელს, როგორც სახელმწიფო ორგანო, დაარსდა პერიოდული გამოცემა „საქართველოს გაზეთი“ რუსულ და ქართულ ენებზე. იქმნება კერძო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, მაგრამ ეკლესიებში, მონასტრებსა და კერძო ბიბლიოთეკებში დაცულ წიგნებთან მშრომელთა დაბალ ფენებს ხელი არ მიუწვდებოდათ. მიუხედავად ამისა, ცოდნას მოწყურებული ღარიბი ახალგაზრდობა წიგნს ვაჭრებისაგან ან კერძო სამკითხველოებიდან ქირობდა.

სწორედ მთელი ხალხის გულისტკივილს გამოხატავდა გრ. ორბელიანი მეგობრისადმი მიწერილ წერილში: „ჯერ უშკოლონი და უბიბლიოტეკონი ვართო“<sup>1</sup>.

ძალზე ძნელი იყო უბრალო ადამიანებისათვის განათლებისაკენ ლტოლვის დაკმაყოფილება, მაგრამ მათაც ჰყავდათ ერთგული ქომაგები ქართული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლების სახით, როგორც იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვები; მათ ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენდა ქართული კულტურის შენარჩუნებისა და მისი განმტკიცებისათვის საჭირო გზების გამოძებნა.

ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ყიფიანმა, რომელსაც XIX საუკუნის 40-იან წლებში ამიერკავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის გამგის თანამდებობა ეჭირა, თხოვნით მიმართა კავკასიის მთავარმართებელს ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინს, რომ დაეკმაყოფილებინა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარ-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936, გვ. 22.





გიორგი ორბელიანი

მომადგენელთა სურვილი, რათა ქ. თბილისში გახსნილიყო კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა. დ. ყიფიანს იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონია ე. გოლოვინთან, რომ მას ამ საქმის წარმატებით განხორციელებაში ეჭვიც არ შეჰპარვია. როგორც კი მან ეს მოსალოდნელი თანხმობა მიიღო, გოლოვინს წარუდგინა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტი. მისი დამტკიცების შემდეგ დ. ყიფიანმა და მისმა თანამოღვაწეებმა აღარ დააყოვნეს და საქმის პრაქტიკულად განხორციელებას შეუდგნენ.

ნავობის თითოეულ წევრს, წლის განმავლობაში, 30 მანეთი ვერცხლით შეჰქონდა, არა მარტო წიგნებისა და პერიოდული გამოცემების, არამედ იშვიათი ხელნაწერების შესაძენად. წიგნებით სარგებლობა ამხანაგობის გარეშე პირთაც შეეძლოთ მცირეოდენი თანხის გაღებით. წლების მანძილზე ბიბლიოთეკა აგროვებდა ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე არსებულ ლიტერატურას (განსაკუთრებით იმ წიგნებს, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა). მას აკომპლექტებდნენ პეტერბურგის წიგნით მოვაჭრეები — ივანოვი, პოლიაკოვი და იუნგმეისტერი.

„კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა“ დაარსდა 1842 წელს დ. ყიფიანის ბინაზე და თვით დ. ყიფიანსვე დაევალა ბიბლიოთეკარობა. მაგრამ მალე მ. ვორონცოვის ბრძანებით კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან შეიქმნა საჯარო ბიბლიოთეკა, რის გამოც გაუქმდა ქართველ მოღვაწეთა „კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა“ და მისი წიგნანი ფონდი ახალ ბიბლიოთეკას შეუერთეს. ყოველგვარი ანაზღაურების გა-

<sup>2</sup> В. В. Узнадзе, История Тифлисской публичной библиотеки (1846—1917 г.г.). Тб., 1957, с. 18.




ნიკოლოზ ბარათაშვილი



დimitრი ყიფიანი

რეშე ჩამორთმეული წიგნების დაბრუნების თაობაზე დ. ყიფიანის თხოვნას დადებითი შედეგი არ მოჰყვა. აი, რას ამბობს იგი ამის შესახებ თავის „მემუარებში“: „მე ვსთხოვე კანცელარიის ახალ დირექტორს მ. პ. შჩერბინინს, დაებრუნებიათ ჩემი წიგნები, მაგრამ მტკიცე უარი მივიღე“<sup>3</sup>. დ. ყიფიანმა წლების მანძილზე (მ. ვორონცოვის დროიდან ბარიატინსკის მმართველობის პერიოდის ჩათვლით) რამდენჯერმე განაახლა საჩივარი, მაგრამ მისი თხოვნა უმნიშვნელო თანხის გაღებით დააკმაყოფილეს. „პასუხს რომ ვერ ვეღირსე, — იგონებს დ. ყიფიანი—ორი წლის განმავლობაში, საჩივარი განვაახლე 1859 წ. და თან ვაცნობე, რომ ოღონდ ამ ჩემთვის უღამოვნო პროცესს ბოლო მოეღოს, მე მზად ვარ ნებაყოფლობით შეთანხმებაზე და მადლობელი ვიქნები, თუ 2000 მანეთს მაინც მივიღებ წიგნებში, სულ ცოტა, ერთი ორად რომ მიღირს-მეთქი. მაშინ მე, საბოლოო გადაწყვე-

<sup>3</sup> დ. ყიფიანი, მემუარები, ტფ., 1930, გვ. 105.



მიხეილ თუმანიშვილი



ვახტანგ ორბელიანი

ტილებამდე 1000 მანეთი მომცეს, მაგრამ მალე თანვე მოაყოლეს ბრძანება, რომ ამ თანხით დავკმაყოფილებულიყავი“<sup>4</sup>.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები სავსებით ადასტურებენ „კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკაში“ იმ პერიოდისათვის არსებული ფონდის მნიშვნელობასა და საჭიროებას. თვით ა. ბერეე 1886 წელს გამოცემული წიგნის — «Каталог Тифлисской публичной библиотеки за 1846 — 1861 г. г.» — წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ ფონდის შეერთება დიდმნიშვნელოვან შენამატს წარმოადგენს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის“.

მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელეს გ. ა. ტოკარევს, რომელსაც მ. ვორონცოვის წინადადებით თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა და, ამავე დროს, მისი დაკომპლექტებაც ჰქონდა დავალებული, დიდი შრომა დასჭირდა, რათა ეს ბიბლიოთეკა წმინდა კავკა-

<sup>4</sup> დ. ყიფიანი, მემუარები ტფ., 1930, გვ. 105.



სიოლოგიური ლიტერატურით დაკომპლექტებულიყო. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია საქართველოში მყოფმა ფრანგმა მოგზაურმა, კავკასიოლოგმა დიუბუა დე მონპერემ. მან შეადგინა საჯარო ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნების სია.

ახალდაარსებულ საჯარო ბიბლიოთეკას წიგნებს ნებაყოფლობით სწირავდნენ კერძო პირები. გაზეთ „Кавказ“-ის ფურცლებზე ასეთი შინაარსის განცხადებას ვკითხულობთ: „კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია თავის გულწრფელ მადლობას უცხადებს პოდპოლკოვნიკ პოტოცკის, მეფისნაცვლის ნებართვით კანცელარიასთან დასაარსებელ საჯარო ბიბლიოთეკისათვის მოსე ხორენელის წიგნის — „სომხეთის ისტორიის“ — შეწირვის გამო“;<sup>5</sup> ეს იყო პირველად შემოწირული წიგნი. ამას მოჰყვა მოსკოვში მყოფი ფრანგი წიგნითმოვაჭრე გოტიე დე მონიგეტის, ა. ა. გრინჩენკოს, მ. ე. ჩილაევის, ნ. ი. ტატარინოვის, დოქტორ ნოდტეს, საქართველოში იმ დროისათვის გადმოსახლებული პოლონელი პოეტის ზაბლოცკის და სხვათა პირადი ბიბლიოთეკებიდან შემოწირული წიგნები. შემდეგში ბიბლიოთეკა მდიდრდებოდა მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე გამოცემული ლიტერატურით, რაზედაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1859 წლის „Кавказский календарь“, სადაც ვკითხულობთ: „მისი წიგნადი ფონდი შედგება 13.260 ტომისაგან 19 ენაზე... პოლონურ, ჩეხურ, ბერძნულ, ფრანგულ, ლატვიურ, იტალიურ, გერმანულ, ინგლისურ, არაბულ... და სხვა.“<sup>6</sup>

წლების მანძილზე ბიბლიოთეკა მდიდრდებოდა მხარეთმცოდნეობითი ხასიათის უნიკალური უცხოური გამოცემებით, ეს წიგნადი ფონდი მკითხველთა ფართო მასებისათვის სარგებლობის წყაროდ არ იყო გამოყენებული. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ მოსახლეობა ვერ ფლობდა უცხო ენებს, და ამავე დროს თვით ბიბლიოთეკას მკითხველთათვის მისაღები საჭირო ფართობი არ გააჩნდა.

ჯერ კიდევ 1847 წელს დაისვა საკითხი ბიბლიოთეკისათვის საჭირო შენობის აგების თაობაზე. ამ მიზნით მ. ვორონცოვმა თხოვნით მიმართა ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ვახტანგ ორბელიანს, თავისი საკუთარი სახსრებით აეგო საჯარო ბიბლიოთეკისათვის შენობა და იჯარით გაეცა იგი. ვ. ორბელიანს კარგად ესმოდა ამ კულტურული კერის შემდგომი მნიშვნელობა და დიდი სიამოვნებით განაცხადა თანხმობა. ამის შესახებ მ. ვორონცოვი მეფისადმი გა-

<sup>5</sup> გაზ. «Кавказ», 1846, № 4, 26 янв., с. 16.  
<sup>6</sup> «Кавказский Календарь», 1859, с. 207.

გზავნილ 1846—1848 წლების ერთიან ანგარიშში<sup>7</sup> წერდა, რომ კერძო პირის მიერ დაწყებული საჯარო ბებლიოთეკის შენობის მშენებლობა დამთავრდება 1849 წელს; მაგრამ მშენებლობა კიდევ 2 წელს გაგრძელდა და მხოლოდ 1851 წელს გადაეცა იგი თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას (ამჟამად ეს შენობა უკავია სამხედრო ნაწილს, ძნელადის ქუჩის გასწვრივ, კომუნარების სახელობის ბაღის ზედა კუთხესთან). ერთი წლის შემდეგ (1852 წელს) შემუშავდა წესდებაც, რომლის მე-5 პარაგრაფში სწერია, რომ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის საქათლოგო მეურნეობა მოწესრიგდა და იგი ასეთ სახეს ღებულობს: 1. საერთო სია (წიგნების ნუსხა), 2. სისტემატური კატალოგი და 3. ანბანური კატალოგი. ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკა მთლიანად გამართული იყო და შეეძლო მკითხველების მიღებაც.

ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნის — ვ. უზნაძის მიერ გამოკვლეულ მასალებს მივყავართ იმ დასკვნამდე, თითქოს საჯარო ბიბლიოთეკა თბილისში 1846 წელს გაიხსნა,<sup>8</sup> ხოლო მ. ბერძენიშვილის აზრით — 1852 წ. 1 მაისს<sup>9</sup>. ეს მოსაზრებანი არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან წყაროები მათ საწინააღმდეგოს მეტყველებენ. მაგალითად, დ. ყიფიანი აღნიშნავს:... „ბიბლიოთეკა ჩემს ბინაზე იყო მოთავსებული და მე ვიყავი ბიბლიოთეკის გამგეთ 1848 წლამდე (გულისხმობს „კერძო საამზანავო ბიბლიოთეკას“), ამ წელს მეფის მოადგილის მთავარმმართველობამ თავის კანცელარიასთან გახსნა ბიბლიოთეკა იმ მიზნით, რომ ბოლოს საჯარო ბიბლიოთეკა მოეწყოთ ტფილისში“.<sup>10</sup> ამასვე იუწყება კ. დ. ყიფიანი გაზეთ „Новое обозрение“-ს ფურცლებზე: „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა შეიქმნა 1848 წელს ვორონცოვის კანცელარიასთან“<sup>11</sup>. არსებულ ფაქტებს კიდევ უფრო საიმედოს ხდის მ. ვორონცოვის მიერ მეფისადმი გაგზავნილი 1846—1848 წლების ანგარიში, სადაც აღნიშნულია შემდეგვი:... „სხვათა შორის, ჩემს კანცელარიასთან დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკა უკვე ღიაა და სხვა-

<sup>7</sup> АКАК т. 10. с. 856.

<sup>8</sup> В. Узнадзе, «История Тифлисской публичной библиотеки» (1846—1917 г.г.), Тб., 1959, с. 63.

<sup>9</sup> მ. ბერძენიშვილი, — თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, თბ., 1941, № 2—3, გვ. 159.

<sup>10</sup> დ. ყიფიანი, მემუარები, ტფ., 1930, გვ. 106.

<sup>11</sup> К. Д. Кипиани, Публичная библиотека в г. Тифлисе, «новое обозрение», 1899, № 5224, с. 1.

დასხვა წოდების მქონე პირთა საკმაო რაოდენობა ამტკიცებს ხალისა და სურვილს კითხვისადმი<sup>12</sup>.

ამრიგად, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა გაიხსნა 1848 წელს, ხოლო მისი ორგანიზაციის მოსამზადებელი პერიოდი შეიძლება შემოიფარგლოს 1846—1847 წლებით.

ცნობილია, რომ რუსული კულტურის გავრცელების მიზნით, ჯერ კიდევ 1830-იან წლებში რამდენჯერმე სცადეს თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება, სხვადასხვა პირებისაგან შემოწირული წიგნებიც კი შეაგროვეს, მაგრამ თბილისის ადმინისტრაციამ არსებითად ვერ გამოიჩინა ინიციატივა, რასაც თავისებური მიზეზიც გააჩნდა, — იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ზედა ფენა ჯერ არ იყო ნაზიარები რუსულ კულტურას. გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობა საკმაოდ ვერ ფლობდა რუსულ ენას.

როგორც ჩანს, მ. ვორონცოვი საკმაოდ გაერკვა ქართული ენისა და ლიტერატურის თვითმყოფადობაში, მას მაღალი შეფასება მისცა, მაგრამ იმ პერიოდში რუსული ინტელიგენციის უმრავლესობა მაინც ვერ ჩასწვდა ქართული ლიტერატურის მდიდარ საიდუმლოებას, რასაც აკადემიკოსი მ. ბროსე ჯერ კიდევ 1840-იან წლებში ბრწყინვალედ გამოხატავდა: „ქართულ ლიტერატურას წესისამებრ ღარიბად მიიჩნევენ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დღემდე არავის მიერ არ არის შესწავლილი და გამოკვლეული“.<sup>13</sup>

როგორც აღვნიშნეთ, მ. ვორონცოვს ბევრი მისია ჰქონდა შესასრულებელი და თანდათანობით ახერხებდა კიდევ ამას. მას არ გამოჩენია სხვა საქმეების პარალელურად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისადმი მზრუნველობა. სწორედ ამ მიმართებით 1849 წლის 31 დეკემბრის № 1517 წერილში იგი სთხოვდა კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს, ბიბლიოთეკისათვის ბიბლიოთეკარის შტატის დამტკიცებას, რაც მყისვე დააკმაყოფილეს. მალე, 1850 წლის 26 აპრილს მ. ვორონცოვმა ბიბლიოთეკარად მოიწვია რუმინანცევის მუზეუმის წამყვანი მუშაკი დე-სენ-ტომა, მაგრამ მან სულ იმუშავა მხოლოდ რამდენიმე თვეს. მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო სამუშაო მიატოვა და მის ნაცვლად დაინიშნა მისივე ვაჟიშვილი, რომელიც ბიბლიოთეკის დირექტორად გახლდათ 1857 წლამდე. მას მრავალი სარწმუნო წყარო

<sup>12</sup> AKAK. T. 10, c. 856.

<sup>13</sup> იხ. საქართველოს სსრ ც. ს. ა. ფ. № 1458, ანაწ. 1, საქმე 53, ფ. 11.

იხსენიებს, როგორც ინერტულ და უინიციატივო ხელმძღვანელს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ 1850 წლიდან, თითქმის 12 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ შეწყვიტა კერძო პირებისაგან ბაზარზე წიგნების შესყიდვა, რაზედაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ა. ბერჟე 1861—1865 წლების ანგარიშში:... «Покупка книг, прекратившаяся в 1850 году, могла возобновиться лишь через 12 лет»<sup>14</sup>.

დე-სენ-ტომას გარდაცვალების შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალ ა. ბარიატინსკი პლატონ როსელიანს 1857 წლის 27 დეკემბრის მიმართვით (№ 846)<sup>15</sup> სთხოვდა, რომ ხელმძღვანელობა გაეწია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ქონების შემოწმებელი კომისიისათვის და შეესწავლა ფონდების შემადგენლობა.

დღემდე ჩვენთვის უცნობია ამ შემოწმების შედეგები, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ შემოწმება გამიზნული იყო წიგნადი ფონდის მოსაწესრიგებლად და კატალოგის შესადგენად, რასაც ადასტურებს სწორედ იმ წლებში ა. ბერჟეს მიერ გამოცემული წიგნი «Краткий каталог Тифлисской публичной библиотеки (1846—1861 г.г.)», სადაც გაერთიანებულია 16 განყოფილება და აღწერილი მასალა დალაგებულია ინვენტარის ნომრების მიხედვით.

მართალია, ფონდის აღწერა დამთავრდა, კატალოგებიც შედგა, მაგრამ ბიბლიოთეკა ისე პასიურად კომპლექტდებოდა, წიგნების შესაძენად გამოყოფილი უმნიშვნელო თანხაც კი აუთვისებელი რჩებოდა. კავკასიის მეფისნაცვალს მ. ვორონცოვს უმეთვალყუროდ არ დარჩენია შექმნილი მდგომარეობა და 1852 წლის ივნისის მიწერილობით დააჯალა საცენზურო კომიტეტს, რომ კავკასიის ფარგლებში დაბეჭდილი ყველა გამოცემა როგორც სავალდებულო ცალები, 2 ეგზემპლარად გაგზავნოდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას. 90-იან წლებში კავკასიის შუზეუმის დირექტორის თანაშემწე და მუზეუმთან არსებული თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი მეღერე წერდა: «На основании предложения бывшего наместника Кавказского князя Воронцова... июня 1852 года за № 2249 для учрежденной... в Тифлиссе публичной библиотеки цензурный комитет удерживает по два экземпляра всех сочинений издаваемых на Кавказе»<sup>16</sup>.

<sup>14</sup> А. Берже, Тифлисская публичная библиотека, (с 1861 по 1865 гг.) Тифл., 1866, с. X.

<sup>15</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფ. №1458, ანაწ. 1, საქმე, №34, ფ. 43.

<sup>16</sup> იქვე, ფ. № 480; ანაწ. 1. საქმე № 1304, ფ. 1.

ამ გამოხმაურებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წლების მანძილზე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდებით გამდიდრების საქმეში.

მ. ვორონცოვის ინიციატივით, აგრეთვე, მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკის სამუშაო საათების მოწესრიგება. აი, რას გადმოგვცემს ამის შესახებ შემდგომში კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გ. ი. რადე: „1852 წლამდე წიგნით სარგებლობისათვის ბიბლიოთეკა ღია იყო 10 საათიდან 4 საათამდე. 1852 წლის 26 ივნისიდან მკითხველთა მასების სასარგებლოდ თავადმა ვორონცოვმა დაადგინა ბიბლიოთეკის სამუშაო დრო, — დღის 1-ლი საათიდან დაბინდებამდე“<sup>17</sup>.

მკითხველთა უკეთ მომსახურებისათვის ბიბლიოთეკის სამუშაო საათების მოწესრიგებამ, სავალდებულო ცალების მიღებამ და სხვა ობიექტურმა მიზეზებმა საგრძნობლად გადატვირთა ბიბლიოთეკა, რომელსაც მხოლოდ ერთი სამკითხველო დარბაზი ჰქონდა. ამას თან დაემატა „რუსული გეოგრაფიული საზოგადოების“ ავეჯისა (1864 წლიდან ამ საზოგადოებას არ ჰქონდა საკუთარი შენობა) და მთავარმართველობის სტამბის გადმოტანა, რამაც შენობის ტექნიკური დაზიანება გამოიწვია. მიუხედავად არქიტექტორ კამბიაჯოს ხელმძღვანელობით ჩატარებული რემონტისა, ბიბლიოთეკას არ შეემატა ფართობი, რის გამოც მკითხველთა მომსახურება საგრძნობლად გაძნელდა, შემცირდა ლიტერატურის გაცემაც. ა. ბერჟეს 1861—1865 წლის ანგარიშიდან<sup>18</sup> ჩანს, რომ 1863 წლის განმავლობაში თბილისის საჯარო ბიბლიოთეკამ მკითხველებზე გასცა მხოლოდ 532 ეგზემპლარი წიგნი. აქედან გამომდინარე, დაისვა საკითხი მისთვის ახალი შენობის აშენების შესახებ. ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორი გ. რადე აღნიშნავდა: „1869 году по личному приказанию бывшего наместника Кавказского была составлена смета на устройство здания для Тифлисской публичной библиотеки... По смете расход был исчислен на библиотеку в 15.859 р. 91 коп., бывшим строительно-дорожным комитетом при главном управлении наместника Кавказского означенная смета была утверждена в 1869 г. и постройку здания для библиотеки за 14.500 р. приняли на себя архитектор-академик Зальцман и директор музея Радде“<sup>19</sup>.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის მშენებლობა დაიწყო კავ-

<sup>17</sup> საქართველოს სსრ ცსა ფ. № 12, ანაწ. 7, საქმე 2404. ფ. 38.

<sup>18</sup> А. Берже, Тифлисская публичная библиотека с 1861 по 1865 гг. Тифл., 1866, с. XVII.

<sup>19</sup> საქართველოს სსრ ცსა ფ. 12, ანაწ. 7, საქმე 2404. ფ. 38.



კასიის მუზეუმიდან 63 მეტრის დაცილებით. მათი ტერიტორიული და-ახლოება გამოწვეული იყო კავკასიის მეფისანცვლის მთავარმართველობის გამგებლობაში არსებული დაწესებულებების რეორგანიზაციის შედეგად, რაც 1868 წლიდან ვატარდა. მას შემდეგ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის მუზეუმი მმართველობის ერთ სისტემაში გაერთიანდა სახელწოდებით: „კავკასიის მუზეუმი და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“. გ. რადეს ანგარიშის ვაგარძელებაში ვკითხულობთ, რომ ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობა დამთავრდა 1871 წელს<sup>20</sup>.

საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია საჯარო ბიბლიოთეკის შენობის სქემატური გენგეგმა<sup>21</sup>, რაც დღემდე უცნობი იყო მკვლევართათვის.

როგორც ნახაზიდან ჩანს, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მთლიანი ფართობი შეადგენდა 109 კვ. მ და 72 სმ.

კავკასიის მუზეუმმა და საჯარო ბიბლიოთეკამ წლების მანძილზე ერთობლივი მუშაობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და კავკასიის მხარის წამყვან დაწესებულებებს შორის სამართლიანად დაიმსახურა საპატიო ადგილი. თანდათანობით იზრდებოდა ბიბლიოთეკაში მომსვლელთა და მათზე გაცემული ლიტერატურის რაოდენობა, რაც მოცემული ცხრილიდანაც ჩანს:\*

წლები	მომსვლელთა რაოდენობა	გაცემული წიგნების რაოდენობა ტომებში
1871	862	1860
1883	2.405	4818
1886	6.257	12.083

სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ, 1881 წელს გ. სივერსმა გამოსცა მეორე ვაგარძელება „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მოკლე კატალოგისა“, რამაც დიდი სამსახური გაუწია მკითხველთა ფართო მასებს.

ბიბლიოთეკის მუშაობის მოცულობა გაფართოვდა შტატისა და

\* ამ ცხრილში მოცემული ციფრები შეკრებილია ვ. ვ. უზნაძის წიგნიდან: „История Тифлисской публичной библиотеки“ (1846 — 1917 г. г.) Тб., 1957 с. 63.

<sup>20</sup> საქართველოს სსრ. ცსა ფ. 12, ანაწ. 7, საქმე 2404, ფ. 38.

<sup>21</sup> იქვე, ფ. №251, ანაწ. 1, საქმე 136, ფ. 136.

წიგნადი ფონდის შესაძენად გამოყოფილი თანხების გადიდებით, რა-  
ზედაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გ. რადეს მიერ კავკასიის მთა-  
გარმართებლობის სამოქალაქო ნაწილის კანცელარიისადმი 1900 წლის  
25 სექტემბერს გაგზავნილი წერილი (№ 410), სადაც გარკვევით წერია:  
«...В 1885 году получили новый штат, по которому средства на  
покупку книг, и на прочия библиотечныя потребности увели-  
чены до 1200 рублей в год, тогда, как по прежнему штату на все  
это отпускалось всего 200 рублей»<sup>22</sup>.

მიუხედავად ამისა, ბიბლიოთეკა მკითხველთა ვაზრდილ მოთხოვ-  
ნილებებს ვერ აკმაყოფილებდა და, სწორედ ამიტომ, ისევ და ისევ დღის  
წესრიგში დადგა შენობის გაფართოების საკითხი. ჯერ კიდევ 1884 წელს  
წამოაყენეს წინადადება, რომ საჯარო ბიბლიოთეკას დამატებოდა მეო-  
რე სართული, მაგრამ სახელმწიფო ხაზინის მძიმე მდგომარეობის გა-  
მო ამ წამოწყებას მსვლელობა არ მიეცა. 1900 წელს კვლავ აღიძრა  
საკითხი; გამოიყო ბიბლიოთეკის შენობის გამფართოებელი სპეციალ-  
ური კომისიაც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მ. ზავადს-  
კის თავმჯდომარეობით, მაგრამ სახალხო განათლების სამინისტრომ  
იმ მოტივით, რომ ბიბლიოთეკას დებულება არ გააჩნდა, უარი თქვა  
შენობის გაფართოებისათვის საჭირო კრედიტის გამოყოფაზე. სწო-  
რედ ამიტომ, სახალხო განათლების სამინისტრომ დაავალა კავკასიის  
სასწავლო ოლქის მზრუნველს კავკასიის მუზეუმისა და თბილისის სა-  
ჯარო ბიბლიოთეკის ერთიანი დებულების პროექტის შემუშავება,  
რომლის ორგანიზაციას თითქმის 3 წელიწადი დასჭირდა. როგორც  
იქნა, 1903 წელს დებულების პროექტი დასამტკიცებლად წარუდგინეს  
კავკასიის მთავარმართებლობის საბჭოს. დებულების<sup>23</sup> თანახმად, კავ-  
კასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა უნდა გადასულ-  
ყო სახალხო განათლების სამინისტროს გამგებლობაში, მაგრამ ვინაი-  
დან კავკასიის მთავარმართებლობის საბჭომ მოგვიანებით განიხილა  
ეს პროექტი, მასში შემავალი ბევრი საკითხი მოძველებულად სცნო  
და კვლავ დაავალა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, მაშინდე-  
ლი მდგომარეობის გათვალისწინებით შეემუშავებინა დებულების ახა-  
ლი პროექტი. ამასთან ერთად, საბჭომ სასურველად მიიჩნია თბილი-  
სის საჯარო ბიბლიოთეკა გადაქცეულიყო სამეცნიერო დაწესებულე-  
ბად და საერთოდ გამოყოფოდა კავკასიის მუზეუმს, ეს უკანასკნელი

<sup>22</sup> საქართველოს სსრ სცა ფ. №12, ანაწ. 7, საქმე 2404, ფ. 6—7.

<sup>23</sup> იქვე, ფ. № 14, ანაწ. 1, საქმე 42, ფ. 9.

კი ისევ სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებოდა; მიუხედავად დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა, სიტყვა საქმედ იქცა.

1905 წლის რევოლუციით დაშინებულმა კარიზმმა გააფთრებით შეუტია რევოლუციური ხასიათის ლიტერატურას და მისი მთლიანი ლიკვიდაცია განიზრახა, რის გამოც 1905—1907 წლებში იხურებოდა ასობით ბიბლიოთეკა. მსგავსი ბედი საქართველოს, კერძოდ, თბილისის მრავალ ბიბლიოთეკასაც შეეხო. მათ შორის, აღსანიშნავია კიროზნის ქ. №12 მდებარე ბიბლიოთეკა — სამკითხველო, რომელიც დაკომპლექტებული იყო რევოლუციური შინაარსის ისეთი უნიკალური წიგნებით, როგორცაა: «Сознательная Россия», «История революционного движения в России», Щеглов В. А., «Политическая стачка в России и революционная борьба», Кроланский А. К. «Наши ближайшие требования и конечная цель», Зимин А., «Нужда крестьянская», «Пролетариат и его конечная цель», «История совета рабочих депутатов в С.-Петербурге»<sup>24</sup> და სხვა.

ამ მიმართებით უფრო დამაჯერებელ ფაქტებს გვაწვდის ბიბლიოთეკათმცოდნე ლ. კვირიკაშვილი<sup>25</sup>.

რევოლუციური გამოსვლებით აფორიაქებული მეფის მოხელეები თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის ველარ იკლიდნენ, ისინი უკვე შეგნებულადაც კი უშლიდნენ ხელს ბიბლიოთეკის მუშაობის შემდგომ წინსვლას. საზოგადოების მერყევი ფენა დაშინდა და აღარ ეკარებოდა მას; აუტანელი სივიწროვის გამო ფერხდებოდა ყოველგვარი საბიბლიოთეკო პროცესების დროულად შესრულებაც. სწორედ ამიტომ, საგრძნობლად შემცირდა წიგნის გაცემა და მკითხველთა რაოდენობა: ამის საილუსტრაციოდ აქვე ვიძლევიტ ცხრილს:

წლები	მომსვლელთა რაოდენობა	გაცემული ლიტერატურის რაოდენობა ტომებში
1904	4.972	8.513
1907	1.360	2.568

მოცემული ცხრილი ცხადყოფს, რომ 1907 წელს მომსვლელთა რაოდენობა 1904 წელთან შედარებით 73%-ით შემცირებულა, ხოლო

<sup>24</sup> საქართველოს სსრ ცსა ფ. №480, ანაწ. 2, საქმე 117, ფ. 4.

<sup>25</sup> ლ. კვირიკაშვილი, არალეგალური ლიტერატურა რევოლუციამდელ საქართველოში. თბ., 1973.

ლიტერატურის გაცემა 70%-ით. ე. ი. ბიბლიოთეკამ თავისი მაჩვენებლებით თითქმის ნახევარი საუკუნით უკან დაიხია. თუ რაოდენ უგულებელყოფდნენ უწიგნური მოხელეები თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდებით გამდიდრების საშუალებებს მე-20 საუკუნის დასაწყისში, მოწმობს კიდევ ერთი ფაქტი: ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტმა 1907 წლის 19 სექტემბრის № 1945 წერილით აუწყა კავკასიის მეფისნაცვალს, რომ მათ წლების მანძილზე დაგროვებული უნიკალური ხასიათის წიგნები, გამოუყენებლობის გამო, სარდაფში ჩაკეტეს და, ამ უსიამოვნო ფაქტის თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტეს ეს ფონდი დაუთმონ კავკასიის მუზეუმის (ე. ი. თბილისის საჯარო) ბიბლიოთეკას, აი, რა არგუმენტით მთავრდება წერილის დასკვნითი ნაწილი: „მე წინდაწინ მოველაპარაკე ბიბლიოთეკის დირექტორს კაზნაკოვს, რომელმაც სავსებით გაიზიარა რა ჩემი შეხედულება, გამოხატა სრული მზადყოფნა, შესაძლებლობის ფარგლებში განეხორციელებინა ეს აზრი,<sup>26</sup> მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიამ 1907 წლის 8 ოქტომბრის № 21419 საპასუხო წერილით ამის ნება არ დართო ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტს<sup>27</sup>. გარდა ამისა, სპეციალური ბრძანების გამოუქვეყნებლად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას წლების მანძილზე შეუწყვიტეს სავალდებულო ცალების გაგზავნა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა. ბიბლიოთეკარმა რ. გ. შმიდტმა იგრძნო, რომ ბიბლიოთეკას ექმნებოდა ერთ ადგილზე „გაქვავების“ საშიშროება და 1910 წლის 19 იანვრის № 30 წერილით ითხოვა:<sup>28</sup> განემართა ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტს, თუ რა მიზეზით შეუწყვიტეს ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარად სავალდებულო ცალების მიღება. აღნიშნული წერილის განხილვის საფუძველზე სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით 1911 წლიდან დააკმაყოფილეს რ. შმიდტის თხოვნა.

გ. რადეს გარდაცვალების შემდეგ სახალხო განათლების სამინისტროს გაუძნელდა კავკასიის მუზეუმის დირექტორის დანიშვნა, რადგან მისი ნომენკლატურა ეკუთვნოდა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას და არა განათლების სამინისტროს. სულ მალე მეცნიერებათა აკადემიამ შეიმუშავა დებულების სრულიად ახალი პროექტი, რომლის დამტკიცების შემდეგ კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბ-

<sup>26</sup> საქართველოს სსრ ცსა ფ. №480, ანაწ. 2, საქმე 194, ფ. 1.

<sup>27</sup> იქვე, ფ. 2.

<sup>28</sup> იქვე, ფ. 6.

ლიოთეკა 1913 წლის 3 დეკემბრიდან გარდაიქმნა „კავკასიის მუზეუმად“ და „კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკად“. მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებული დებულების თანახმად, კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხარჯზე (ბიბლიოთეკისათვის გათვალისწინებული იყო 1 შტატის დამატება) მუზეუმს დაუმატეს შტატი. ე. ი. ბიბლიოთეკის მდგომარეობა ამით კი არ გაუმჯობესდა, არამედ შესამჩნევად გაუარესდა, რის შემდეგ ცალკე დაწესებულებად მისი არსებობა თითქმის დაიწყებას მიეცა და, თუ 1913 წლის ანგარიშს აწერია: «Отчет по Кавказскому музею и Тифлисской публичной библиотеки за 1913-ый год», უკვე 1914 წელს იგი ასე იკითხება: «Отчет по Кавказскому музею за 1914 год».

როგორც ჩანს, მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებულმა დებულებამ მკითხველთა ფართო მასებისათვის სარგებლობის მოტანის ნაცვლად, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას გამოაცალა თავისი ძირითადი შინაარსი და იგი თითქმის უმნიშვნელო დაწესებულებად აქცია; ხოლო 1914 წლიდან იმავე ტერიტორიაზე კავკასიის მუზეუმისა და მისი ბიბლიოთეკისათვის ახალი შენობის დაწყებასთან და 1-ლი მსოფლიო ომის დროს მოსალოდნელი ევაკუაციის საშიშროებასთან დაკავშირებით, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდები ჩაჭედდნენ იქნა ყუთებში და თითქმის 10 წლის განმავლობაში სარდაფს არ მოსცილებია. ამ პერიოდში საქართველოს მოსახლეობას შემორჩა მხოლოდ 25 ბიბლიოთეკა 18 ათასი წიგნადი ფონდის მოცულობით<sup>29</sup>.

ასე უბრალოდ შეწყდა მდიდარი ისტორიული წარსულით სავსე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის „სუნთქვა“. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, საქართველოში, როცა ბატონობდა მენშევიკური მთავრობა, მან საჯარო ბიბლიოთეკის საქმე უყურადღებოდ დატოვა, რადგან 1918 წელს ამ მთავრობამ თვითონ შექმნა დამოუკიდებელად საპარლამენტო ბიბლიოთეკა ისე, რომ საჯარო ბიბლიოთეკის ბედით არც კი დაინტერესებულა. სულ მალე, 1919 წელს „საპარლამენტო ბიბლიოთეკა“ რეორგანიზებულ იქნა „დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკად“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე, კერძოდ, 1921 წელს იგი ცნობილია „რევკომის ბიბლიოთეკის“ სახელწოდებით, იმავე წლის 28 ოქტომბრის № 88

<sup>29</sup> Советская Грузия к 50-летию великой Октябрьской Социалистической революции. Тб., 1967, 243 с.



ბრძანების<sup>30</sup> შესაბამისად — „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ბიბლიოთეკად“, ხოლო 1922 წლის თებერვლიდან — „საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკის“ სახელწოდებით. და აი, ამ ბიბლიოთეკისა და ძველი თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდების ბაზაზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისარტა საბჭოს 1923 წლის 30 მაისის № 98 დადგენილებით<sup>31</sup> შეიქმნა „საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა“, რასაც შეიძლება ვუწოდოთ მისი მეორედ დაბადება.

თბილისი

**გადააფიარავდ თამული**

მწერალი შერების ფასისა მორეწვად, ასალებელად, თვისის ოფლითა მომჭირნე, ცხოვრების განსაგებელად, გარნა ზოგთ არ აქვთ ჩაკითხვა სიმართლის მოსაგებელად. სხვისა შრომისა მიმცემი ვითა ვსთქვა მე საქებელად?

(S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1959, გვ. 103)

<sup>30</sup> მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, თბ. 1921, №19, გვ. 5.  
<sup>31</sup> იქვე, თბ., 1923, № 5, გვ. 7.

თელავის ბიბლიოთეკა 100 წლისაა

გასული საუკუნის მიწურულს თელავი კულტურულად დაწინაურდა. ამ დროს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდნენ მწერლები და სცენის მოღვაწეები: ვასილ ბარნოვი, ნიკო მთვარელიშვილი, ილია ზარაფიშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე, ნიკო სულხანიშვილი, ივანე როსტომაშვილი და სხვანი. მაშინ თელავის სასულიერო, სამოქალაქო და წმინდა ნინოს სასწავლებლებში სწავლობდნენ: ი. ევდოშვილი, ს. ახმეტელი, ი. ბერიტაშვილი და სხვები. თელავში ხშირად მოდიოდნენ სტუმრად და იქაურ ინტელიგენციას ეხმარებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სერგი მესხი. მათი სტუმრობა ღრმა კვალს სტოვებდა იქაურ კულტურულ ცხოვრებაში. როგორც აკაკი წერდა, თელაველი მწიგნობარი ფხიზლად იდგნენ ყოველი სასიკეთო წამოწყების სადარაჯოზე. ერთ-ერთი ასეთი კარგი წამოწყება იყო ბიბლიოთეკის დაარსება.

თელავის მოწინავე ახალგაზრდობა ყოველთვის ოცნებობდა, ჰქონოდა ბიბლიოთეკა მშობლიურ ქალაქში. და აი, XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის შეიქმნა პირობები მისი გახსნისათვის, თუმცა ადრეც პატარა კახის ქალაქი ყოველთვის თავს იწონებდა სამეფო კართან არსებული იშვიათი ხელნაწერებითა და ნაბეჭდი წიგნების კოლექციებით.

თელავის ბიბლიოთეკის გახსნამდე „დროება“ სინანულით წერდა: „საკვირველ სიღატაკეს წარმოადგენს ამჟამად თელავი ქართული სახელმძღვანელოებისა და საზოგადოდ ქართული წიგნების მხრივ. მთელი თელავი რომ დაიარო, ერთ ხეირიან წიგნს ვერ იშოვით. თელავის საზოგადოება ამ ნაკლს ადვილად აიტანს ერთიმეორის წიგნების თხო-

გებით, მაგრამ რა ქნას სოფელში მცხოვრებმა, რომელიც სასყიდელ წიგნებსაც ვერ შოულობს?<sup>1</sup>

XIX ს-ის 80-იან წლებში თელავის ბიბლიოთეკის გახსნის მესვეური იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ცნობილი ქართველი პედაგოგი, განმანათლებელი, ჟურნალისტი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი (1853—1924 წწ.), მისი თაოსნობით მთავრობამ გაცა ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა. ვაზეთი „დროება“ იტყობინებოდა: „ქ. თელავში იქაურ ახალგაზრდებს განუზრახავთ ქართულისა და რუსული წიგნების ბიბლიოთეკის დაარსება. ეს ბიბლიოთეკა პირველად, რასაკვირველია, მცირე იქნება, მაგრამ იმედია, ზოგი შეძენილით და ზოგიც კერძო პირებისაგან წიგნების შემოწირულებებით გამდიდრდება, გავრცელდება და იქაურს ბუნებრივ მოთხოვნილებებს ცოტათი თუ ბევრად დააკმაყოფილებს“.<sup>2</sup>

1884 წლის 30 ოქტომბერს ი. როსტომაშვილმა თელავის მშრომელთა კრებას ამცნო სასიხარულო ამბავი: მთავრობამ წიგნთსაკითხავის გახსნის ნება დაგვრთოო. კრებაზე აირჩიეს საქმის გამგებლები — მ. ციციშვილი, ზ. ჩხიკვაძე და კ. ნასიძე, მრჩეველები — ი. როსტომაშვილი, ს. ჯაჯანიძე, ს. ზარაფიშვილი. ი. როსტომაშვილმა შეიმუშავა წესდება. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეეძლო თელავსა და მის მახრამში მცხოვრებლთაგან იმათ, ვინც გადაიხდიდა 5 კაპიკს.

თელავის საზოგადო წიგნსაცავს (ე. წ. „წიგნის საკითხავს“) უმაღლესი ენთუზიასტი და გულშემატკივარი გაუჩნდა ახალგაზრდობისა და მოწინავე ინტელიგენციის მხრივ. მათ შორის იყვნენ პოეტები და მწერლები: რაფიელ ერისთავი, იოსებ დავითაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი, იროდიონ ევდოშვილი და სხვები. ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენას მხურვალედ გამოეხმაურა იმდროინდელი პრესა. „დროება“ წერდა: „ჩვენ სრულის თანაგრძნობით ვეგებებით და მივულოცავთ თელავსა ამგვარ მაღალ ინტერესებისათვის ზრუნვას... ბიბლიოთეკის დაარსება პროვინციაში, ეს სხივია მზისა, რომელიც მოეფინება გარემოში და გაათბობს ყველა სულიერს... ეს დაწესებულება ჯერ მცირეა, განუვითარებელი, ფესვგაუდგმელი, უტრადიციო, ჯერ იმას არავინ ბაძავს, მაგრამ ამით არა უშავს რა. ყველა მცირე გაზრდილა, ყველა ახლად დაწყებული სასარ-

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 171.

<sup>2</sup> იქვე.



გებლო საქმე განვითარებულა და თვითოვეულს სხვა ათასი თავისი გვა-  
რი საქმე და დაწესებულება დაუბადნია“.<sup>3</sup>

თავდაპირველად ბიბლიოთეკა შემოწირული წიგნებით დაკომპლექ-  
ტდა. შემოწირული წიგნების რიცხვი, მართალია, დიდი არ იყო, მაგ-  
რამ მესვეურნი იმედოვნებდნენ, რომ ბიბლიოთეკა მეტ გულშემატკი-  
ვარს გაიჩენდა და ფონდების გასაზრდელად სახსრებიც გამოუჩნდე-  
ბოდათ. ეს ასეც მოხდა.

ივ. როსტომაშვილი მადლიერებით იგონებს შაქრო ჯორჯაძეს, რო-  
მელმაც ერთი თუმანი და ათამდე წიგნი შესწირა ბიბლიოთეკას, მათ  
შორის ერთი ვრცელი ქართულ-რუსული და მოკლე რუსულ-ქართული  
ლექსიკონი. თვითონ ი. როსტომაშვილმა პირადი ბიბლიოთეკიდან  
50-მდე ქართული და რუსული წიგნი შემატა. დანარჩენმა ახალგაზრ-  
დობამ შეიტანა წლიური გადასახადი სამ-სამი მანეთი, რომლითაც გა-  
მოიწერეს საჭირო ჟურნალ-გაზეთები და შეიძინეს წიგნები. სწორედ  
ამ მონდომებას და ენთუზიაზმს იწონებდა „ივერია“, როცა წერდა:  
„ჯერ წესდება არ დამტკიცებულყო, რომ სამკითხველოს 30-მდე წევ-  
რი ჰყავდა და 100-მდე სხვადასხვა წიგნი ჰქონდაო“<sup>4</sup>.

მალე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 400-მდე გაიზარდა თელა-  
ველთა პირადი კოლექციებიდან შემოწირული ლიტერატურით. ბიბ-  
ლიოთეკას ხან უჭირდა, ხან ულხინდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა არ-  
სებობას და სინათლის სხივი შეჰქონდა ხალხში. მის გულშემატკივარ-  
თა გარდა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ახლად წამოწყებულ საქმეს  
უნდობლად უყურებდნენ და შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენდ-  
ნენ ამ საშვილიშვილო საქმის მიმართ. ერთ-ერთი გულშემატკივარი  
(„მეთვალყურე“) „ივერიაში“ წერდა: „სულთმობრძავ მდგომარეობა-  
შია აქაური წიგნთსაკითხავი. დაარსების დროს სამოცდაათხუთმეტი  
წევრი ყავდა და დღეს მხოლოდ ათილა ჰყავს. რამდენად სამწუხაროა  
„წიგნთსაკითხავის“ მდგომარეობა, იმდენად გულსაკლავია თელავის  
საზოგადოების გულგრილობა“.<sup>5</sup>

ბიბლიოთეკის დაარსების მესვეურნი გრძნობდნენ, რომ საჭირო  
იყო წიგნადი ფონდის გამდიდრება-გაძლიერება. მათი ინიციატივით  
ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, ლიტერატურული საღამოები,  
სახალხო სეირნობები, ლექცია-მოსხენებები, რომლებზეც სიტყვით

<sup>3</sup> „დროება“, 1884, № 223.  
<sup>4</sup> „ივერია“, 1887, № 7.  
<sup>5</sup> „ივერია“, 1887, № 206.



გამოდინდა ივ. როსტომაშვილი და დამსწრეთ განუმარტავდა წიგნის არსსა და მნიშვნელობას. იგი ამბობდა: „წიგნი არის სული და გული, ჭკუა-გონება დამწერისა, რომელიც მომორებულია ჩვენგან სივრცით და დროით. წიგნები, შეგროვილნი წიგნთსამკითხველოში, გონების თვალით რომ შეეხედოთ მათ, წარმოდგენენ უდიდეს აზრებს, ყველა ქვეყნისა და საუკუნის უდიდეს მოაზროვნეთა, რომელნიც გვასწავლიდნენ და გვანუგეშებდნენ ჩვენ“<sup>6</sup>.

გაზეთი „ივერია“ „ახალ ამბებში“ იტყობინებოდა, რომ თელავის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ სცენის-მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა. ფული საკმაოდ შემოვიდა. სულ შემოსავალი იყო 145 მან. დაიხარჯა 33 მან. დარჩა ნაღდი 112 მან. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ისინი, თუ კაცნი და თუ ქალნი, ვინც მონაწილეობა მიიღო და დაეხმარა წარმოდგენის გამართვას“<sup>7</sup>.

იმავე ბიბლიოთეკის სასარგებლოდ იმართებოდა სახალხო სეირნობანიც. ამის შესახებ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „კვირას, 18 ოქტომბერს, თელავის საზოგადო კრების დარბაზში გამართული იყო საცეკვაო საღამო თელავის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ კნენა ე. ვეზირიშვილისა და ქ-ნ ა. ვოლხოვას მეთაურობით. თელავის ბიბლიოთეკა მართლა რომ უკიდურეს მდგომარეობაშია და ეს დახმარება მისთვის ფრიად სასარგებლო იქნება... წმინდა შემოსავალი... 40 მანეთამდე. დიდი მადლობის ღირსნი არიან კნ. ვეზირიშვილი და ა. ვოლხოვა იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ ბიბლიოთეკის ბედ-იღბალს გაუწიეს... ბიბლიოთეკა ამჟამად ძლივს იბრუნებს სულს... თუ ამ ცოტა ხანში ნივთიერი დახმარება არ აღმოვუჩინეთ, მოსპობს თავის არსებობას და ჩვენ ყველანი უყურნალ-გაზეთოდ დავრჩებით... ყოვლად საჭიროა... გავუწოდოთ ხელი შველისა და წამოვაყენოთ ფეხზედ ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება“<sup>8</sup>. ასეთ ვითარებაში კვლავ ახალგაზრდობამ გამოიჩინა თავი, რათა ბიბლიოთეკა არ მოსპობილიყო. ამის შესახებ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „ჩვენმა ახალგაზრდობამ მონიღომა წიგნსაკითხავის ფეხზე წამოყენება და ამ აზრით გამართა წარმოდგენა და ამ ცდამ არც უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც კვირას წარმოდგენას ბლომად დაესწრო საზოგადოება. ასე რომ, წმინდა შემოსავალი 90-100 მანეთამდე იქნება და ეს ფული გაჭირვებულს წიგნ-

<sup>6</sup> „დროება“, 1884, № 118.

<sup>7</sup> „ივერია“, 1887, № 165.

<sup>8</sup> „ივერია“, 1892, № 235.

საცავს დიდს დახმარებას აღმოუჩენს. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. სცენის მოყვარებებმა წარმოადგინეს „ადამ და ევა“ ქართულად და „ხეჩოს ლეღვი“ სომხურად, რუსულად „ორი ბატონის მსახური“. რუსულად ითამაშეს ბ-ნმა მარჯანოვმა (კოტე მარჯანიშვილმა, მ. გ.) და მარჯანოვის ასულმა. იმედია, ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვეულებისამებრ მალე არ დაიცხრობს თავის გულმხურვალე თანაგრძნობას წიგნსაკითხავის მიმართ და ეცდება გააუმჯობესოს ეს ფრიალ სასარგებლო დაწესებულება“<sup>9</sup>.

ბიბლიოთეკის მდგომარეობა არც ჩვენი საუკუნის დამდეგისათვის გაუმჯობესებულა, მაგრამ გულშემატკივრები სხვადასხვა ღონისძიებით ასულდგმულებდნენ თავიანთ მწიგნობრულ კერას. 1904 წელს ერთი ასეთი ღონისძიების გამო გაზეთი „ივერია“ წერდა: „გამიართა სეირნობა აქაური წიგნსაკითხავის სასარგებლოდ, საღამოს გამგებლობდნენ ქ-ნი ქ. ზარაფიშვილისა და ბ. ზაქაროვი. ხოლო დიასახლისობდა კნენინა ვაჩნაძისა. ამათ ხელს უწყობდა და შველოდა ახალგაზრდობა“<sup>10</sup>. შეგროვილი თანხით ბიბლიოთეკამ შეძლო გამოეწერა იმდროინდელი ყურნალ-გაზეთები: „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ჭეჭილი“, „მოგზაური“, „კავკაზი“, „კავკაზსკიე ვესტნიკი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისკი ლისტი“, „არგონავტი“, „სამოობრაზოვანიე“ და ა. შ.

ხშირად იმართებოდა კრება, რომელზეც ბჭობდნენ ბიბლიოთეკის სავალალო მდგომარეობაზე. ერთხელ გამგეობაც იქნა გადარჩეული იმ იმედით, რომ ახალი გამგეობა უკეთ იმუშავებდა, უფრო საიმედო გზებს გამონახავდა ბიბლიოთეკის შესანარჩუნებლად.

ბიბლიოთეკას არც შესაფერისი შენობა გააჩნდა. სხვადასხვა დროს მოთავსებული იყო ნადიკვარის უბანში, შემდეგ კი მოქალაქეთა ეზოებში.

1912 წელს თელავის ბიბლიოთეკას ცეცხლი გაუჩნდა და თითქმის ერთიანად გაანადგურა რამდენიმე წლის ნაწევ-ნადაგი. გაზეთი „ისარი“ სინანულით წერდა: „თელავში ერთადერთი ბიბლიოთეკა არსებობდა, რომელსაც ბოლო დროს საზოგადო საქმეების გამო მატერიალური დახმარება ნაკლებად ჰქონდა მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი კარები არ მოკეტებოდა. სამწუხაროდ, გაშმაგებულმა ცეცხლმა ორი საათის განმავლობაში ნაცრად აქცია ბიბლიოთეკა-სამკითხველო და

<sup>9</sup> „ივერია“, 1893, № 257.

<sup>10</sup> „ივერია“, 1904, № 175.

თელავი ცარიელზე დარჩა“. მაგრამ ინტელიგენცია სასოწარკვეთას არ მიეცა. პირიქით, უფრო აქტიურად დაირაზმა განადგურებული წიგნადი ფონდის აღსადგენად. ამისათვის საჭირო თანხაც შეგროვდა. „ცნობის ფურცელი“ წერდა: „აქაური ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა «ხანუმა», რომელშიც სცენის მოყვარულთა გარდა მონაწილეობას იღებდნენ მსახიობები თ.გოგოლაშვილი და თბილისიდან საგანგებოდ მოწვეული ნიკო გოცირიძე, ხოლო სალიტერატურო განყოფილებაში ჩვენი ახალგაზრდა მწერალი ი. გრიშაშვილი. ნ. გოცირიძემ თავისი ხელოვნური თამაშით მეტად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება... გრიშაშვილის სცენაზე დანახვამ დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში, ტაში და ყვავილების სროლა დიდხანს არ შეწყვეტილა“<sup>11</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიოთეკის სარგებლობისათვის გადასახადი (5 კაპიკი ერთ შესვლაზე) იყო დაწესებული. ეს გარკვეულად ამცირებდა მკითხველთა რიცხვს. ამაზე მიანიშნებდა „ივერიის“ ერთი სტატია: „ძალიან კარგს იწებებდა ბ-ნი წიგნსაცავის გამგე, რომ ცოტაოდენს ფასს მაინც დააკლებდეს, რითაც მკითხველების რიცხვს გაიმრავლებს და წიგნსაცავსაც უფრო სარგებლობას მისცემს“<sup>12</sup>. ალბათ, ამის შედეგი იყო, რომ თელავში გაიხსნა კიდევ ერთი, ე. წ. „უფასო ბიბლიოთეკა“, რომლის ინიციატორი იყო ცნობილი რევოლუციონერი პოეტი სოლომონ გოშაძე.

„უფასო ბიბლიოთეკის“ წიგნადი ფონდი კერძო პირთა შემოწირულობით შეიქმნა. გამოინახა სხვა საშუალებაც — ს. გოშაძემ ჩამოაყალიბა დრამატული დასი, რომელმაც სახალხო სცენის ხასიათი მიიღო. დასის მიერ ჩატარებულ წარმოდგენებზე იაფფასიანი ბილეთებით შეგროვილი თანხა მთლიანად ამ ბიბლიოთეკას ხმარდებოდა. დრამატული დასის ერთ-ერთი მონაწილე იყო თელაველი პოეტი ქალი ნინო გოგოლაძე („სევდია“), რომელიც ერთხანს მის გამგედაც ითვლებოდა.

საბჭოთა საქართველოში თელავის ბიბლიოთეკის საქმე წინ წავიდა. გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა, წიგნებზე მოთხოვნილება. სათანადო ყურადღება მიექცა წიგნადი ფონდის გაზრდასა და გამრავალფეროვნებას, გაუქმდა ყოველგვარი გადასახადი წიგნით სარგებლობისათვის, კერძოდ, თელავის რაიონში ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეო-

<sup>11</sup> „ცნობის ფურცელი“, 1916, № 562.

<sup>12</sup> „ივერია“, 1895, № 78.



თელავის ბიბლიოთეკის ადრინდელი შენობა

ბის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართებით მუშაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1966 წლიდან, როცა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ იქნა ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება.

თელავი ყოველთვის იყო ბევრი კარგი წამოწყების მოთავე და ინიციატორი კულტურის თუ მეურნეობის დარგში. ამ მხრივ 1972 წელი აღსანიშნავი იყო თელავის რაიონის ბიბლიოთეკების ისტორიაში — საქართველოში თელავის რაიონმა ყველაზე უწინ დაიწყო ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია, რომელსაც უამრავი სირთულე ახლდა.

— როგორ დათახმდით, რომ ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია თელავიდან დაწყებულიყო, წინასწარ ხომ იცოდით, რა რთული გზა უნდა გაგველოთ? — შევეკითხეთ თელავის ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკის დირექტორს რესპუბლიკის დამსახურებულ ბიბლიოთეკარს ლეილა მირიანაშვილს, რომელიც უკვე სამი ათეული წელია სათავეში უდგას ბიბლიოთეკას.

მან გვიბასუხა: — ვიცოდით, ბევრმა ბიბლიოთეკამ უარი თქვა

ცენტრალიზაციაზე, მაგრამ ჩვენ დავთანხმდით, ვიფიქრეთ, რაღა სხვისაგან ვისწავლოთ? დაე, ჩვენგან ისწავლონ სხვებმა. ყოველგვარი სიახლე ხომ იმდენად საინტერესოა და მიმზიდველი, რომ გავიწყებს ძნელსაველ გზას, გარდა ამისა, დიდი ხელშეწყობის იმედიც გვექონდა... ასეც მოხდა. ამ წამოწყებას მხარი დაუჭირეს თელავის რაიონისაკომის ყოფილმა თავმჯდომარემ მ. მეზერიშვილმა, კულტურის განყოფილების გამგემ ვ. აფციაურმა. მეთოდური დახმარება გავციწიეს კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეთოდისტებმა და ასე განახორციელეს ეს დიდი საქმე ჩვენი რაიონის საბიბლიოთეკო ქსელის შრომისმოყვარე თანამშრომლებმა.

ლ. მირიანაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა გაკვალა საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციის გზა საქართველოში. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს 1976 წლის 29 ივლისის ბრძანებულებით თელავის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკა ქუთაისის საქალაქო და მახარაძის რაიონულ ბიბლიოთეკებთან ერთად ცენტრალიზაციის ქსელში დამტკიცდა მოწინავე გამოცდილების ბაზად.

ბიბლიოთეკა ამჟამად მოთავსებულია ქალაქის ცენტრში ახლად აგებულ შენობაში. მისი წიგნადი ფონდი შეიცავს პოლიტიკურ, მხატვრულ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას ძირითადად ქართულ და რუსულ ენებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის დადგენილებაში „მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლების შესახებ“ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მოსახლეობის წიგნადი მომსახურების ობიექტურ ამაღლებას ხელს უწყობს საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაცია, რაც საშუალებას იძლევა გაერთიანდეს ბიბლიოთეკების საქმიანობა და მატერიალური რესურსები, განხორციელდეს მისი ფონდების დაკომპლექტების ერთიანი ღონისძიება.

ცხოვრებამ და პრაქტიკამ ამ დადგენილების აზრი გაამართლა. ცენტრალიზაციამ მალე აჩვენა თავისი დადებითი შედეგები: გაიზარდა ბიბლიოთეკაში მიღებული წიგნების რაოდენობა, რამაც განაპირობა მკითხველისა და მასზე გაცემული ლიტერატურის, კითხვადობისა და ბრუნვის მაჩვენებლების ზრდა.

ცენტრალიზაციის შემდეგ შეიქმნა დამუშავება-დაკომპლექტების, ერთიანი ფონდის, ორგანიზაციისა და გამოყენების მეთოდოლოგია-ბიბლიოგრაფიული და მკითხველთა მომსახურების განყოფილებები.



თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობა

ცენტრალიზაციამ გააუმჯობესა მოსახლეობის წიგნით მომსახურება.

1974 წელს თელავში ზეიმით აღინიშნა ბიბლიოთეკის დაარსების 90 წლისთავი.

ეს დიდებული ზეიმი დაემთხვა თელავში დაბეჭდილი წიგნის 85-ე წლისთავს. 1890 წელს ცნობილმა მესტამბემ ექვთიმე ხელაძემ თელავში საფუძველი ჩაუყარა სტამბას და სათავე დაუდო წიგნების ბეჭდვის საქმეს.

ამ თარიღს გამოეხმაურა ბიბლიოთეკაც. მოაწყო მუდმივი გამოფენა: „თელავში დაბეჭდილი წიგნები“, სადაც შეხვდებით ალექსანდრე შიუკაშვილის, დ. თურდოსპირელის, გრ. კოლეიშვილის, ვლ. ჭუმბურიძისა და სხვათა წიგნებს.

ცენტრალური ბიბლიოთეკა და მისი ფილიალები წიგნის პრობაგანდის გაუმჯობესების მიზნით აქტიურად იყენებენ მასობრივ ღონისძიებათა ჩატარების პრაქტიკას. მათ მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევს ცენტრალური ბიბლიოთეკა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობაში ეკონომიკური

და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებს. ტარდება ზეპირი ჟურნალები სხვადასხვა თემაზე და სხვ.

თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შექმნილია საბიბლიოთეკო საბჭო (თავმჯდომარე დოც. გ. ჯავახიშვილი), რომელიც ბევრი კარგი ღონისძიების ინიციატორია. მაგ., ბიბლიოთეკაში ეწყობა გამოფენები, თემატური საღამოები, ლიტერატურული კვირეულები, შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, თელავსა და თელაველებზე დაწე-



ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი

რილი წიგნების ავტორებთან, ცნობილ მწერლებსა და პოეტებთან, რაიონის მოწინავე მშრომელ ადამიანებთან. სწორედ საბიბლიოთეკო საბჭოზე გადაწყდა აღენიშნათ ბიბლიოთეკის დაარსების 90 წლისთავი. მოეწყო ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, თელავის რაიონის მკვიდრის სოლ. იორდანიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო მშობლიურ ქ. თელავში და დედუღეთ სოფელ ფშაველში. მეცნიერის სახელი მიეკუთვნა თელავის ერთ-ერთ ქუჩას და სოფელ ფშავლის ბიბლიოთეკას.

დიდი ხნის ისტორია აქვს საოჯახო ბიბლიოთეკის არსებობას თე-



ლავენი. ამჟამად ცნობილია: დ. კირვალიძის, ა. გვენცაძის, შ. როსტომაშვილის, გ. ჯავახიშვილის და სხვათა საოჯახო ბიბლიოთეკები, რომლებშიც მრავალი უნიკალური წიგნია დაცული.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თელავის რაიონულ გამგეობასთან ერთად ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებში ტარდება საინტერესო ღონისძიებები. მაგალითად, თელავის წიგნისმოყვარულები შეხვდნენ ქართველ მწერლებს, პოეტებსა და მთარგმნელებს. თავიანთი პოეზიით დაატკბეს წიგნისმოყვარულები ანა კალანდაძემ და მედეა კახიძემ, რეზო ამაშუკელმა, ლადო მრელაშვილმა, თ. ბექიშვილმა, გ. ალხაზიშვილმა და სხვ. მკითხველები ხვდებიან ახალგაზრდა ავტორებს, უკვე ცნობილ მწერლებს, რაც საინტერესოსა და სახალისოს ხდის ბიბლიოთეკის საქმიანობას. გასულ წელს აქ მოეწყო თელავში დაცული ავტოგრაფიანი წიგნების გამოფენა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. გადაწყდა, რომ ასეთი გამოფენები ეწყობოდეს პერიოდულად.

ყველა ღონისძიება, რომლებიც რაიონის ბიბლიოთეკაში ტარდება, უკავშირდება ჩვენი 'ხალხისა და ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კპ ყრილობებსა და გამოჩენილ ადამიანთა იუბილეებს. ასეთი იყო 1982 წ. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია: „ჩვენი ბიბლიოთეკის ყველაზე პოპულარული საბჭოთა მწერალი“, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო „გ. ქიქოძე და თელავი“, სადაც დაწვრილებით იქნა განხილული მწერლის წიგნი „ერეკლე II“ და ა. შ. იკითხება ლექციები და ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, რომელთაც საფუძვლად უდევს მკითხველთა მაღალ ღონეზე მომსახურება, მათი ცოდნის ღონის ამაღლება.

1982 წელს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წიგნისმოყვარულთა თელავის რაიონული ორგანიზაციის გამგეობასთან ჩამოყალიბდა სახალხო უნივერსიტეტი „წიგნი“ (რექტორი ლ. მირიანაშვილი). უნივერსიტეტის მსმენელები ისმენენ ლექციებს წიგნმცოდნეობისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკითხებზე. საერთაშორისო თემებზე და სხვ.

ლექტორებს იწვევენ დედაქალაქიდან და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტიდან.

ასე რომ, თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის 50 ფილიალში სისხლსავსე საინტერესო ცხოვრება სჩქევს. ბიბლიოთეკარები და მკითხველები ემზადებიან ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის დაარსების 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის.

თ ე ლ ა ვ ი

**დავით-გარეჯის უღაბნოსადმი უაწირული  
„გულანის“ ჯედფარილი,  
თქმული ლექსად გიორგი აბაშიძის მიერ**

წმიდავ დავით გარეჯელო, ეს წიგნი შენ შემოგწირე,  
ამისთვის რომ სიმდიდრეში სული ცოდვით შევიმცირე.  
მეოხ-მეყავ ღმრთის წინაშე, ვითა მწველილი შეიწირე,  
ამიხოცენ ბრალნი ჩემნი, განმიბანე ცოდვის მწვირე.

(A 186, გვ. 1. ამავე ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, 12, 1976, გვ. 314).

წიგნისმოყვარულის აღსასრული

ბ. საღოვსკის მოთხრობა „წიგნისმოყვარულის აღსასრული“ პირველად 1915 წელს გამოქვეყნდა გაზეთში «Биржевые ведомости» (№ 1521, 1 октября).

ცნობილი რუსი პოეტი, პროზაიკოსი და კრიტიკოსი ბორის ალექსანდრეს ძე საღოვსკი ბიბლიოფილური ჟანრით შემთხვევით არ დაინტერესებულა; იგი აღრიდებდა აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალში «Известия книжных магазинов товарищества М. О. Вольф», სადაც გამოაქვეყნა რამდენიმე საყურადღებო სტატია და რეცენზია. განსაკუთრებით საინტერესოა მისი რეცენზია დ. ულიანინოვის ნაშრომზე „წიგნებსა და მათ მეგობრებს შორის“. რეცენზიაში ბ. საღოვსკი გვაცნობს ა. რადიშჩევის წიგნის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ ა. სუვორინისეული გამოცემის ტრაგიკულ ისტორიას.

როგორც ცნობილია, ცენზურამ ნება დართო ა. სუვორინს გამოეცა ეს წიგნი 100 ეგზემპლარად — „მხოლოდ მოყვარულთა და მცოდნეთათვის“. სუვორინმა განიზრახა 1790 წლის პირველი გამოცემის ზუსტი გამეორება და საამისოდ დახმარება სთხოვა ცნობილ ბუკინისტს ა. ასტაპოვს, რომელმაც შესძლო დაეყოლიებინა მოსკოველი ბიბლიოფილი პ. შჩაპოვი, ვის კოლექციაშიც ინახებოდა აღნიშნული იშვიათი გამოცემა. სწორედ აქედან იწყება ტრაგიკული ისტორია.

ასოთამწყობებმა სამუშაოს დასაჩქარებლად დაუდევრად დაშალეს წიგნი და ფურცლები საღებავით დასვარეს. ყოველი ბიბლიოფილისთვის, და რაღა თქმა უნდა, ფანატიკოსი შჩაპოვისათვისაც, ეს შემზარავი ამბავი გახლდათ; მან უარი თქვა დაბრუნებული წიგნის მიღებაზე. ა. სუვორინი შეეცადა ეშოვნა იმავე გამოცემის სხვა ეგზემპლარი, დიდძალ ფულსაც არ იშურებდა, და ბოლოს, როგორც იქნა, ბიბლიოფილ ვ. იუზეფოვიჩისაგან შეიძინა იგი, მაგრამ დაუგვიანდა.

1888 წლის 16 აპრილს გამოვიდა ა. რადიშჩევის სუვორინისეული გამოცემა, 6 ივნისს კი პ. შჩაპოვი გარდაიცვალა. ვარაუდობენ: წიგნის განადგურებით გამოწვეულმა სტრესმა ავბედითად იმოქმედა ბიბლიოფილის ჯანმრთელობაზე.

ასეთია რეალური ფაბულა ბ. სადოვსკის მოთხრობისა, რომლის ქართულ თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველს.

გარუსოვი წიგნის გიჟი იყო. წიგნები ოჯახის, საზოგადოების, მეგობრობის მაგივრობას უწევდნენ. მოხუცი მარტოხელა გახლდათ და, ალბათ, ამქვეყნად სწორედ ისეთი მოხრილი, პატარა და გაბურძნული გაჩნდა, როგორაც იცნობდა მას ყველა ბიბლიოფილი თუ ბუკინისტი.

სწორედ ისინი იცნობდნენ მას და არა პირიქით. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გარუსოვი მიეკუთვნებოდა წიგნის იმ მოყვარულებსა და შემგროვებლებს, რომლებიც თავისი დღე და მოსწრება წიგნის მაღაზიებსა და ფარდულებთან წრიალებენ, ბუკინისტებს მეგობრობენ, კვირაობით კი აუცილებლად სუხარევის კოშკთან იყრიან თავს. არა. გარუსოვი სხვა ჯავარის კაცი იყო. სძაგდა წიგნის უმიზნო შეგროვება და ეს საქმე წყლის ნაყვად მიაჩნდა.

— უცნაური ახირებაა, ათიათას ან ოციათასტომიანი ბიბლიოთეკის შექმნა, — ამბობდა იგი ზიზლით — ჩემს მეგობარს რიურიკოვს, იცით, რა ბიბლიოთეკა აქვს? მთელი ბინა უკავია! იტყვიოთ, ფასი არ დაედებაო, მაგრამ, სინამდვილეში სულ ნაგავია; მას „ნევას“ დამატებაც აქვს, დეკადენტებიც, ძველი ჟურნალებიც და ყოველნაირი ნაყარნუყარიც.

თავად გარუსოვის წიგნებს მხოლოდ ერთი ოთახი ეჭირა, მაგრამ ეს მართლაც ფასდაუდებელი კოლექცია გახლდათ.

დავიწყოთ იქიდან, რომ გარუსოვი საკუთარი ნახაზით უკვეთავდა განსაკუთრებულ თაროებს. ყოველ წიგნს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი წითელი ხის თაროზე, შუშის მიღმა, საიდანაც, საჭიროების შემთხვევაში, ისე გამოიღებდა ხოლმე, როგორც ფიჭას იღებენ სკიდან. ეს იყო XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსული წიგნის უიშვიათესი და უძვირფასესი გამოცემები. 1855 წლის შემდეგ გამოცემულ წიგნებს გარუსოვი არ სცნობდა.

— სულ სხვა კოლენკორია, ინტელიგენტური სუნი დაჰკრავს, — იტყოდა ხოლმე პირქუშად.

მას რამდენიმე უნიკუმიც ჰქონდა.

ბუკინისტებმა იცოდნენ, რომ გარუსოვს წვრილმანს ვერ შეაპარებდი. გაგებდა და უფასური წიგნი შეგეთავაზებინა; აყვირდებოდა, გამოგათხავდა, კინწისკვრით გამოგაგდებდა და წიგნიანად კიბეზე დაგიშვებდა. მაგრამ, თუკი ჭეშმარიტად იშვიათი გამოცემა ჩაუვარდებოდა ხელთ, ბუკინისტი გაბედულად მიდიოდა გარუსოვთან, დარწმუნებული, რომ ხელს მოითბობდა. აქ საქმის ვითარება მკვეთრად იცვლებოდა.

იშვიათი წიგნის დანახვისთანავე გარუსოვი მყის გარდაიქმნებოდა, წრობინა ხმა დაუტკებოდა და დაეთაფლებოდა, ხელები აუკანკალდებოდა და ბუკინისტების თქმით, ცოფიანს დაემსგავსებოდა. დაუყოვნებლივ იწყებოდა ვაჭრობა. თუ ბუკინისტი წიგნს ცეცხლის ფასს დაადებდა, გარუსოვი წონასწორობას ჰკარგავდა, აწრიბინდებოდა, ფეხებს აბაკუნებდა, ილანძლებოდა, და ზოგჯერ ხარბ ბუკინისტს სახლიდანაც გააძევებდა, მაგრამ შუა კიბიდან ისევ დააბრუნებდა, ვაჭრობას განაახლებდა და წიგნს მაინც იძენდა. გარუსოვი სიღარიბის კი არა, უფრო ჩვეულების გამო ვაჭრობდა.

— აი, ინებეთ, — აჩვენებდა იგი თავის საგანძურს, — ყოველი წიგნი აღმასია, ძვირფასი მარგარიტია, სად მოიძევთ მსგავსს! აი, მაგალითად, „ანფიონის ზეიმი“ ხედავთ, რა ფრონტისპისია, ან რა გრავიურებია! ღრუბელთა ეს ხვეულები, მართლაც რომ ცაში იფანტება, ხომალდის თითოეული იალქანი კი თითქოს ნამდვილად სუნთქავს, ამ წიგნის მხოლოდ ხუთიოდე ეგზემპლარი არსებობს და ისიც უმალლეს გვამთათვის დაიბეჭდა; ერთი ეგზემპლარი ზამთრის სასახლეშია, მეორე — საჯარო ბიბლიოთეკაში, მესამე — ჩვენთან, რუმინანცევისაში, მეოთხე — ლონდონში, ხოლო მეხუთე ჩემია... მაშ, მაშ!...

\* \* \*

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს გარუსოვი თავისი ბიბლიოთეკის ფანჯარასთან იდგა და ახალშეძენილ წიგნებს ათვალეირებდა. ჰალარა ჯავრით დაფარული ლოყები ავარდისფერებოდა, ხელები უკანკალდებდა. წიგნი, რომელიც ხელთ ეპყრა, მართლაც იშვიათობა გახლდათ, შესაძლოა — უნიკალურიც. ეს იყო ცნობილი „მოგზაურობა

ასტრახანიდან ტერს“, რომელიც ეკატერინე მეორის ბრძანებით დაწვა ჯალათმა. თუ იმასაც დაეუმატებთ, რომ წიგნს ეკრა არა ყდა, არამედ გარეკანი, „კვართი“, როგორც მწიგნობარნი ამბობდნენ, კიდევ უფრო ცხადი გახდება მისი იშვიათობა; თვით „კვართი“ საღი იყო, მხოლოდ ოდნავ გაეხუნებინა ჟამთასვლას.

გარუსოვისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ მთელ ქვეყანაზე „მოგზაურობის“ ერთადერთი, ყდაში ჩასმული და არცთუ კარგად შენახული ეგზემპლარი საჯარო ბიბლიოთეკაში იყო დაცული. გამოდიოდა, რომ მის შენაძენს ფასი არ დაედებოდა და ეს მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ მხოლოდ სამოცდათხუთმეტი მანეთი ჰქონდა გადახდილი.

— დიახ, ეს რიურისკოვის ნაგავი როდია, — ფიქრობდა გარუსოვი და ამაყად გასცქეროდა თაროებს, — პაწია ოქრო ძვირად ფასობს! რიურისკოვს მთელ თავის ნაგავში სამ ათასსაც არ მისცემენ, მე კი ნებისმიერი ამერიკელი ნახევარ მილიონს უყოყმანოდ მომითვლის. მაგრამ ჯერ ვერ გაგყიდით, ჩემო ჩიტუნებო, არა, ვერ შეგელევით.

სხვა მარტოხელა მოხუცთა დარად, გარუსოვის ფიქრიც ყოველთვის ერთსა და იმავე დინებას მიჰყვებოდა: ახლა იმაზე უნდა ეფიქრა, თუ რა ბედი ეწეოდა წიგნებს მისი სიკვდილის შემდეგ, რომ კარზე მსუბუქმა დაკაკუნებამ გამოაფხიზლა.

— სალამი, ძვირფასო სერგეი სერგეიჩ — ჩაილაპარაკა წვრილი ხმით და გარუსოვს მდაბლად დაუკრა თავი ჩასუქებულმა, ჭადარა კუზიანმა. ეს ცნობილი ბუკინისტი ტერენტიევი გახლდათ, რომელმაც ძველნაბეჭდი წიგნების ვაჭრობით დიდძალი ქონება დააგროვა. წიგნის იდეალისტი მოყვარულის, თავისი საქმის პოეტის, გარუსოვის საპირისპიროდ, ტერენტიევი პრაქტიკოსი საქმოსანი იყო. წიგნის იშვიათობასა და სილამაზეს არად დაგიდევდათ, ოღონდაც მომგებინად გაეყიდა. ახლა ტერენტიევს საქმისათვის თავი დაენებებინა, სავაჭრო მაღაზია შვილებისათვის გადაეცა, თავად ჩაის სმისა და წირვაზე სიარულის მეტს აღარაფერს აკეთებდა. იგი გარუსოვის იშვიათი სტუმარიც იყო.

— გაგიმარჯოს, პეტროვიჩ! — ალერსიანად შეეხმინა გარუსოვი ტერენტიევს, რომელსაც ბავშვობიდანვე იცნობდა, — ახალს რას იტყვი?

— მშვიდობაში!...

— აა, საიდან შეიტყვე?

— „ტაშტი გატყდა, ხმა გაეარდაო“, ხომ გაგიგონიათ.

— დიახ, ძმაო. პირველი ხარისხის წიგნია, ჩემი მარტოობის სა-  
ნაცვლოდ გამომიგზავნა ღმერთმა.

— მეც, სერგეი სერგეიჩი, მაგ წიგნის თაობაზე ვარ მოსული. წარ-  
მოიდგინეთ, პავლე სუხოვს სურს ეს წიგნი ხელმეორედ გამოსცეს პე-  
ტერბურგში, ნებართვაც მიიღო. ახლა მხოლოდ წიგნი აფერხებს  
საქმეს.

— მერე?

— თქვენს ეგზემპლარს ხომ არ ათხოვებდით?

ტერენტევი კარგა ხანია იცნობდა გარუსოვს, მაგრამ რას წარმოიდ-  
გენდა, რომ მოხუც „წიგნის ჭიას“ ასეთი განრისხება შეეძლო. იგი  
ასისინდა, ახტა-დახტა, მოჰყვა ფურთხებას. ტერენტევის წინაშე გა-  
რუსოვი კი არა, ვიღაც როკაპი მძვინვარებდა. მრისხანე სიტყვების  
სეტყვაში მოხვედრილმა კუზიანმა ოთხით ჩაირბინა კიბეები.

მაგრამ ტერენტევი იმის კაცი როდი იყო, საქმეს ასე იოლად შე-  
ვებოდა. გამომცემელი სუხოვი კარგ გასამრჯელოს შეჰპირდა და ნა-  
დავლის ხელიდან გაშვება არ სურდა. იგი დამცირებისა და დაცინვის  
საზღაურად სამი კვირა ემუდარებოდა გარუსოვს.

— რას ბრძანებთ! პავლე სუხოვი სახელოვანი კაცია! სიტყვას გა-  
ძლევთ, სერგეი სერგეიჩი, მხოლოდ ანაწყობს გააკეთებენ და უვნებ-  
ლად დაგიბრუნებენ წიგნს!

— არამზადა ხარ! მე წიგნი კი არ მენანება, მასთან განშორება  
არ ძალმიძს, გაიგე! აი, შენ ცოლ-შვილიანი კაცი ხარ, ხომ ვერ ჩაუ-  
გდებ ხელში ვინმე უცხოს შენს ვაჟს ან ქალიშვილს? როგორ დაუ-  
შვა, რომ ჩემი წიგნი ვიღაცა უცხოს ხელში აღმოჩნდეს?

— მერე რა, სერგეი სერგეიჩი, ბავშვები კი არა, ზოგჯერ ცოლიც  
კი ხვდება სხვის ხელში, მაგრამ ეგ დიდი არაფერი დანაკარგია, წავა  
და უკანვე დაბრუნდება.

— ო, შე კუზიანო ქოფაკო! როგორ გიბრუნდება ენა?! აბა, გან-  
საჯე, თითოეული ეს წიგნი ცოლს და შვილს კი არა, თავსაც მირჩევ-  
ნია. მადლობა ღმერთს ცოლი არასოდეს მყოლია. აი, ჩემი ცოლები  
და შვილები ამ თაროებზე არიან ჩამწკრივებულნი, არც მილალატებენ,  
არც გამეჩქევიან, ცოლი რომ მყავდეს, კაბებს, ქუდეებს და ვინ იცის,  
კიდევ რას მომთხოვდა. შვილებს კი უნდა ასწავლო, თავი უნდა შეი-  
წუხო, ახლა კი მივალ თაროსთან, გამოვიღებ წიგნს და მეტი აღარა-  
ფერი მინდა ამქვეყნად. ყოველ გვერდზე მთელს ჩემს წარსულს ვკი-  
თხულობ, როდის ვიყიდე, როდის წავიკითხე, ყველაფერი მახსოვს.

ცოლიო! ცოლი ათ წელიწადში დაგიბერდება, ეშმაკს დაემსგავსება. ზოგი წიგნი კი ორმოცი წელია მაქვს და თითქოს უფრო გაახალგაზრდავდა.

ტერენტეევმა იგრძნო, რომ საკუთარი მჭევრმეტყველებით მოხიბლული ბიბლიოფილი მოლბა.

— სრული ჭეშმარიტებაა, სერგეი სერგეიჩ, — კვერი დაუკრა მან, — რალა თქმა უნდა, ეგ ყველაფერი მართალია, მარტინოვსაც აქვს თავის კატალოგზე წარწერა: „წიგნი ადამიანის ერთგული მეგობარია“. სწორედ ამიტომაც რილასი გეშინიათ?! მეც ერთგული კაცი ვარ, ორმოც წელზე მეტია გიცნობთ და შეგიძლიათ მენდოთ. მაშ მიბოძეთ წიგნი, მე თავად წავუღებ პავლე სუხოვს და უვნებლადვე დაგიბრუნებთ.

გარუსოვი, რომელსაც იმედი ჰქონდა კუზიანი დავარწმუნე, წიგნის თხვნის თავხედურ აზრზე ხელი ავალღებინეო, რამდენიმე წუთს შემცბარი სდუმდა. პირდაფიჩენილს კრინტიც არ დაუძრავს; შემდეგ ამოიოზრა, თვალი თვალში გაუყარა ტერენტეევს და დამარცვლით უთხრა: — უგრძნობი პირუტყვი ხარ — ნეტავი როგორ გიძლებს დედამიწა!

\* \* \*

კუზიანი ურცხვად ქირქილებდა.

ნელ-ნელა გარუსოვიც მოტყდა. კაცმა არ იცის, ტერენტეევთან დაუსრულებელმა დავამ დაქანცა თუ კუზიანის სიოხუნჯემ იმოქმედა, ფაქტი იყო, აღარ ილანძლებოდა, აღარც სისინებდა და აღარც სახლიდან აგდებდა მოხუც ბუკინისტს, თითქოს შეუყვარდა კიდეც მასთან საუბარი. საათობით ისხდნენ ერთად მყუდრო სასადილო ოთახში მუცელგაბერილი, წითელი სპილენძის მოთუხთუხე სამოვრის გვერდით. სამოვრის გარდა, სასადილო ოთახში სიცოცხლე შემოჰქონდა საოცარ საათს. ყოველ თხუთმეტ წუთში მწყრის „ქვითკირო“ გაისმოდა: ყოველ საათში — გუგულის „გუგუ“. საათი გუმბათის ზარივით ყრუდ, ხმადასწულად რეკავდა.

სამოვარი, საათი, წიგნის უზარმაზარი თაროები და ხალათში გამოწყობილი სახლის პატრონი რაღაც განსაკუთრებულ, მღუმარე სამყაროს ქმნიდნენ. კუზიანი უკვე წონასწორობას ჰკარგავდა, როცა ერთმა სრულიად მოულოდნელმა სვლამ ვითარება შეცვალა და ყველაფერი გადაწყვიტა.



— იცით, ძვირფასო სერგეი სერგეიჩი, — ჩაილაპარაკა მან ერთხელ, როცა მეოთხე ჭიქა ჩაის მიირთმევდა, — სუხოვს, ამბობენ, გადაწყვეტილი აქვს წიგნს წააწეროს, რომ იგი გამოიცემა ცნობილ წიგნის კოლექციონერის დახმარებით, მისი ერთადერთი ეგზემპლარიდან.

ტერენტეევმა დაუფიქრებლად დაარეხვა ტყუილი, მაგრამ მისმა სიტყვებმა ისეთი ზეგავლენა მოახდინა, როგორსაც ის, მთელი თავისი გამჭირახობის მიუხედავად, ვერც კი წარმოიდგენდა. გარუსოვმა ჩაიდანნი დადგა, ფეხზე წამოდგა, და სამოვრის ონკანი არც კი დაუქეტავს, ისე გავიდა ბიბლიოთეკაში. კუზიანმა ფრთხილად დაკეტა ონკანი, თან გაფაციცებული გასცქეროდა სახლის პატრონს. მან თვალებს არ დაუჯერა, როდესაც წუთის შემდეგ „მოგზაურობის“ ძვირფასი ტომით მიუახლოვდა და აჩქარებით, რბილად ჩაულაპარაკა:

— რა გაეწყობა, გამომართვი, მაგრამ გახსოვდეს!...

— რას ბრძანებთ, ბატონო, ნუ იღელვებთ, მე ხომ...

— ჰო! ჰო!...

როგორც კი შესაფერისი დრო იხელთა, კუზიანმა შინისაკენ მოჰკურცხლა.

გარუსოვს რომ ემშვიდობებოდა, თითქმის დარწმუნებული იყო, სახლის პატრონი კიბეებიდან მომაბრუნებს და წიგნს წამართმევსო, მაგრამ ეს არ მომხდარა და ტილოში გამოხვეული „მოგზაურობით“ იმავე დღეს პეტერბურგს გაემგზავრა.

გარუსოვი კი კუზიანის წასვლის შემდეგ კარგა ხანს გონს ვერ მოეგო. მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე პირველად მოხდა ასეთი რამ: წიგნი შეიძინა, თაროზე დადო, კატალოგში ჩართო და პნაზდად ამ წიგნმა მისი სახლი დატოვა. ეს მოგვიანებით გაიცნობიერა, მანამ კი პატივმოყვარეობის ტყვეობაში იყო და ერთიმეორეზე მაცდუნებელი სურათების ხილვით ტკებოდა.

\* \* \*

სალამომდე ფიქრობდა გარუსოვი, ოთახში დაბორილობდა და იღიმებოდა.

მთელი სიცოცხლე ბავშვით ცხოვრობდა და წიგნის მეტი არაფერი იცოდა. პატივმოყვარე კაცი არ იყო და სახელსა და დიდებაზე არასოდეს უფიქრია. ახლა ტალღასავით მოვარდნილმა ახალმა გრძნო-

ბამ მთელი მისი არსება წაღეკა. თითქოს წიგნის გაქრობასთან დაკავშირებით, იმის საზღაურად, რომ ცხოვრების იდეალებს უღალატა, გარუსოვს უკეთური ფიქრები დაეუფლა.

მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ღამით უცებ გამოეღვიძა, ხელი დასტაცა გასაღებს და ბიბლიოთეკაში შევარდა. წიგნი ადგილზე აღარ იდო. თითქოს კოშმარისაგან თავდაღწეული იდგა და თავს ეკითხებოდა, ნუთუ მართლა მივეციო წიგნი.

დილაზე ვეღარ დაიძინა. წარმოუდგენელი აზრები უღრღნიდა დასუსტებულ გონებას.

— ყველაფერი ეს სასიამოვნოა და კარგი, სახელიც, ესეც, ისიც, მაგრამ წიგნი რომ აღარ მაქვს? ხომ შეიძლება დაკარგონ?! მოიპაროს ვინმემ, — დიახ, რა თქმა უნდა, პირველივე შემხვედრი მოიპარავს! — და შიშისაგან ცივი ოფლი დაასხა.

მეორე დღეს, საღამოს პეტერბურგისაკენ მიჰქროდა. მგზავრები ერთმანეთს უჩურჩულებდნენ, ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდნენ ადამყამინდელ მოხუცს, რომელსაც უცნაური ფარაჯა ეცვა და თავის კარტუზიანი ქუდი ეხურა. ოცი წელია, რაც გარუსოვს აღარ ემოგზაურა.

სადგურიდან პირდაპირ სუხოვის სტამბას მიაშურა. საამწყობოში შევიდა თუ არა, იქვე გაშეშდა. მუშებს ის-ის იყო დაეწყოთ ძვირფასი წიგნის აწყობა. ფურცელ-ფურცელ დაშლილი „მოგზაურობა“ მუშებს დაენაწილებინათ და აჩქარებით აწყობდნენ ტყვიის სტრიქონებს. „კვართი“ კი უკანასკნელი, იქნებ ერთადერთიც მსოფლიოში, იატაკზე ეგდო და გარუსოვის თვალწინ მეტრანპატჟმა ფეხიც კი დააბიჯა.

გარუსოვი ხმის ამოუღებლივ გამოვიდა გარეთ. თავი უსკდებოდა. ეზოში თვალი დაუბნელდა, მაგრამ სისუსტეს სძლია და იმავე დღეს მოსკოვს გამოემგზავრა.

შინ ლოგინად ჩავარდა და კვირის სწორზე მიიცვალა. სიკვდილისწინა ბურანში იგი ბუტბუტებდა: „ეგზალტაციონ ცნობისმოყვარე“... „მერვედ ნაწილად გაჭრილი არ არის“... „კადმი და ჰარმონია“... „გაცვეთილი ნატის გარეკანი“... „საკერპე ჩემი გულისა“... „ლიუბთან, მორთან და პოპოვთან... მისართმევი ეგზემპლარი, ავტოგრაფით“...

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გარუსოვი ვერავის სცნობდა, მაგრამ როდესაც მის სანახავად ბუკინისტი ტერენტიევი მივიდა, მო-

ხუც წიგნისმოყვარულს წამიერად მეხსიერება დაუბრუნდა, ჩხირად-  
ქცეული თითები დამუშტა და ძლივსგასაგონად წაიჩურჩულა:

— შენ მომკალი, გაიძვერავ!

ტერენტეევმა პირჯვარი გადაიწერა და ოთახიდან ფეხაკრეფით  
გავიდა, მაგრამ ეზოში კარგა ხანს ილიმებოდა და თავს აქნევდა.

გარუსოვს მემკვიდრეები არ აღმოაჩნდა. იმავე კუზიანმა ტერენ-  
ტიევმა შეისყიდა ყველა მისი წიგნი და შემდეგ ნაწილ-ნაწილ დიდი  
მოგებით გაყიდა.

მინაწერი ლექსად ხელნაწერ წიგნზე  
„კალასიის მამათა თხოულაბანი და  
წმიდათა ცხოვრებანი“

ერთი წიგნი ამისთანა არავის აქვს კაცის ძესა,  
ტკბილ არს ესე საკითხავად, შვილი სწოვდეს დედის სძესა  
სხვა მრავალი საღმრთო საქმე შეკრებილი აქა ძესა,  
ნურვინ ვაჭრობთ, ვერ იყიდით: დიად, დიდი ფასი სძესა.

(A 649, ფ. 218 ც. Ф. Жордания,  
Описание рукописей Церковного  
музея, II, 1902, с. 136).

## ათორმეტი ხელოვნებანი ბერძენთა სწავლულებიანი

ესე არის სიბრძნე ბერძენთ: პირველ — ფილოსოფოსობა, მკურნალობა, რიტორება, მერმე — დრამატიკოსობა, ქვეყნის ზომა, ვარსკვლავთ-რიცხვა, სიტყვის შეთხზვად მუსიკობა, ბრძოლის წესი, ხელოვნება, ძნელია ნივთთ-მეტყველება.

ეს გარდარჩა ოთხს სტრიქონსა თორმეტისგან, მგონ, ორი ეს: ბუნებათა-მეტყველებას სიბრძნე არ დაუშორიეს; აგრე რიცხვთ-მეტყველებამან თავი სხვათ ბრძენთა მორიეს. ვინც ეს თორმეტი შეკრიბოს, სრულ სიბრძნე დაუმორიეს.

ათინელთ სიბრძნე ბევრი აქვთ, ზღაპრული, შეწმასნილია, ბერძენთ აქვთ თორმეტი სიბრძნე, მუნ ერთად შენათხზნილია, არ მათებრ საგონებელი, საღმრთო აქვთ განბრძნობილია. ეს უნდა კაცმან მოიმკოს, იმათგან დათერძილია.

ა რ ჩ ი ლ ი („გაბაასება თეიმურაზისა  
და რუსთველისა“, სტრ. 189—191)



ქაჩხულის  
ფუკ-  
სლუბი





**რუსთაველი რუსულ ლიტერატურაში**  
(XIX ს.)

რუსეთ-საქართველოს ხანგრძლივმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა ერთიანობამ ნიადაგი მოამზადა ამ ორი ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურული და მეცნიერულ-ლიტერატურული ურთიერთობისათვის. ჩვენამდე მოღწეული მცირე მასალიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ურთიერთობა ძველთაგან იწყება, მაგრამ ინტენსიური სახე მან XVII—XVIII საუკუნეებში მიიღო. ძირითადად სწორედ ამ ხანაში გაიცნეს მათ ქართველები და საქართველო.

რუს-ქართველთა გაცნობა-დაახლოებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ელჩებმა — თ. ვოლკონსკიმ, ა. ხვატოვმა, თ. ელჩინმა, პ. ზახარემა, ე. მიშეცკიმ, ი. კლიუჩარემა, ნ. ტოლოჩანოვმა, ა. იევლევმა, ა. ამილახვარმა, ს. მაყაშვილმა, ლ. ბაგრატიონმა და სხვ., მოგზაურებმა — ვ. ვაგარამ, ა. სუხანოვმა, ი. ვიშენსკიმ, ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკიმ და სხვ.; განსაკუთრებით კი ქართველთა დასახლება რუსეთის ქალაქებში (მოსკოვში, პეტერბურგში, ასტრახანსა და სხვაგან) და იმ მრავალმხრივმა კულტურულ-საგანმანათლებლო, მწიგნობრულ-შემოქმედებითმა და მეცნიერულ-ლიტერატურულმა საქმიანობამ, რომელსაც ისინი ახალ საცხოვრებელ ადგილებში ეწეოდნენ. საყურადღებოა ქართველთა ცდა ეროვნული ლიტერატურის რუსულად თარგმნისა და გამოქვეყნებისა. მაგალითად, ს. ეგნატაშვილმა თარგმნა „ბარამგულანდამიანი“ (1773 წ.) და ა. ამილახვრის „გეორგიანული ისტორია“ (1779 წ.), რამაც შესამჩნევად გაზარდა რუსი ხალხის ინტერესი საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი. 1730 წელს დაიბეჭდა ქართული ანბანი, 1737—1744 წლებში — რუსულ-ქართული ანბანი. 1758 წელს ერთხელ კიდევ გამოქვეყნდა ქართული ანბანი.

ცნობები საქართველოზე თანდათანობით შეიჭრა რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ვ. ტატიშჩევი, ნ. ნოვიკოვი, ნ. კარამზინი და

სხვ.). XVIII საუკუნის რუსი მწერლები იხსენიებდნენ კავკასიას, საქართველოს, კოლხეთს, ივერიას (მ. ლომონოსოვი, ვ. მაიკოვი, ი. ბოგდანოვიჩი, მ. ხერასკოვი, გ. დერჟავინი, ა. რადიშიჩევი და სხვ.).

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების წინა პერიოდში რუსმა საზოგადოებრიობამ მაინც მცირე რამ იცოდა ჩვენს ქვეყანასა და ხალხზე, რუსი მკითხველები ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობდნენ ქართულ კულტურას, ჩვენს ეროვნულ ლიტერატურას. კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ის ორიოდე ფაქტი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, რასაკვირველია, ვითარებას არსებითად ვერ ცვლიდა. რუს საზოგადოებრიობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის სიდიადესა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, XIX საუკუნის დამდეგამდე რუსთაველიც კი არ იხსენიება რუსულ წყაროებში. (მართალია, გამორიცხული არაა, რომ რუსთაველსა და მის პომეს იცნობდნენ საქართველოში მყოფი რუსი ელჩები. ასევე, საფიქრებელია, რუსმა მოღვაწეებმა რუსეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისაგან მოისმინეს ზოგი რამ „ვეფხისტყაოსანზე“, მაგრამ ეს წყაროებში დადასტურებული არაა). ქართველთა გულისტივილს იწვევდა ის გარემოებაც, რომ ბევრ მათგანს XIX საუკუნის დამდეგსაც კი არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა ქართულ კულტურაზე. როგორც დ. ბაგრატიონი აღნიშნავდა „საქართველოს ისტორიაში“, ზოგს ქართველობა მიაჩნდა წერა-კითხვის უცოდინარ ხალხად, რომელსაც მწიგნობრობა საერთოდ არ გააჩნდა და არც სტამბა ჰქონდა. საგულისხმოა, რომ რუსი ინტელიგენციაც მწვავედ განიცდიდა ინფორმაციის ნაკლებობას ქართულ ლიტერატურაზე. მაგალითად, ერთ-ერთი რუსი ყურნალისტი „აზიატსკი ვესტნიკის“ ფურცლებზე (1825 წ.) მწუხარებით აღნიშნავდა — არაფერი ვიცით თამარის ხანის აყვავებულ ქართულ ლიტერატურაზე.

რასაკვირველია, ქართული ლიტერატურის არცოდნა რუსთათვის შემთხვევითი არ იყო და გამონაკლისს არ წარმოადგენდა. საქმე ისაა, რომ აღრეულ ხანაში ისინი საერთოდ ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ აღმოსავლური ლიტერატურისადმი, ხოლო რაც შეეხება რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ლიტერატურას, იგი კარგა ხანს არ იპყრობდა რუს მკითხველთა ყურადღებას (პ. ბერკოვი).

არსებითი გარდატეხა მოხდა XIX საუკუნეში — ლიტერატურულ-

ლი ინტერესის ზრდა შეინიშნება უკვე საუკუნის დამდეგს, ხოლო მომდევნო ათწლეულებში იგი უფრო შესამჩნევი ხდება (ეს შეეხება როგორც საერთოდ, რუსეთის იმპერიაში გაერთიანებულ ხალხებსა და ქვეყნებს, ისე კერძოდ საქართველოს).

XIX საუკუნის დამდეგს ინტერესი საქართველოსადმი საგრძნობლად გაიზარდა, ეს გასაგებია: რუსეთის საზოგადოებრიობას სურდა უკეთ გაეცნო ახლადშეერთებული ქვეყნის ცხოვრება, მისი კულტურა, მისი ლიტერატურა. თუ ადრე თითო-ოროლა იცნობდა საქართველოს, ახლა მისდამი ცხოველ ინტერესს იჩენენ რუსი მწერლები და მეცნიერები, მოგზაურები, სახელმწიფო მოხელეები და ა. შ.

ქართული თემატიკა უფრო თამამად შეიჭრა და დამკვიდრდა რუსულ ლიტერატურაში. ქართულ-რუსული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა თანდათან უფრო შესამჩნევი გახდა. ამ საპატიო საქმეში ერთობ დიდი იყო რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ხვედრითი წონა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ წიგნს არ შეუსრულებია ასეთი როლი რუსეთ-საქართველოს სამეცნიერო-მწიგნობრული წრეების დაახლოებაში, მათთვის ქართული სულიერი კულტურის გაცნობაში.

უკვე XIX საუკუნის დამდეგიდან რუსულ ლიტერატურაში გაჩნდა ცნობები რუსთაველსა და მის პოემაზე, დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების რუსული თარგმანები, რუსეთის ცენტრალური ქალაქებისა თუ თბილისის რუსულ პრესაში გამოქვეყნდა წერილები, რომლებშიც განხილულია რუსთაველოლოგიური პრობლემატიკის ცალკეული საკითხები; რუს მკითხველთა წრეებში ქართული პოემის პოპულარიზაციაში რუს ავტორებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველი მწერლები და მეცნიერები, არცთუ იშვიათად — უცხოელი მოღვაწენიც. არსებითად საფუძველი ჩაეყარა რუსულ რუსთაველოლოგიას.

თავდაპირველად უნდა მოვიხსენიოთ რუსი მწერალი და მეცნიერი ევგენი ბოლხოვიტინოვი (1767—1837) — ავტორი პირველი რუსული წიგნისა, რომელშიც იხსენიება რუსთაველი და დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმანის ნაწყვეტი. მისი წიგნი — „საქართველოს ისტორიული სურათი მის პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში“ 1802 წელს გამოვიდა პეტერბურგში და მაშინვე მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება (დაიბეჭდა რეცენზიები გერმანულსა და ფრანგულ ენებზე, ითარგმნა გერ-





მანუღად და ა. შ.). ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომს დაეწაფნენ და დაესტუ-  
ნენ მწერლები და მეცნიერები: რუსები — გ. დერჟავინი, ნ. კარამზინ-  
ნი, ა. შიშკოვი... უცხოელები — ყ. სენ-მარტენი, კ. რდულტოვსკი, გან-  
საკუთრებით მ. ბროსე, ქართველები — ს. დოდაშვილი, ნ. ჩუბინაშვი-  
ლი, დ. ჩუბინაშვილი და სხვ.

ე. ბოლხოვიტინოვმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოს ისტორია  
და კულტურა, საეკლესიო მდგომარეობა და განათლების დონე, თანა-  
მემამულეებს გააცნო ახლადშეერთებული ქვეყანა და მისი მოსახლეო-  
ბა. მან სათანადო ადგილი დაუთმო ქართულ ენასა და დამწერლობას,  
ქართულ ლიტერატურას, დაასახელა რამდენიმე გამოჩენილი მწერა-  
ლი და თხზულება, მიმოიხილა ქართული ლექსთწყობის საკითხები,  
დაახასიათა XII—XIII საუკუნეთა მიჯნის საქართველოს სახელმწი-  
ფოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა და კულტურულ-ლიტერატუ-  
რული ვითარება, თამარის ეპოქა მიიჩნია ქართული კულტურის აყვა-  
ვების ხანად და საგანგებოდ წარმოაჩინა განსწავლული მეფე-ქალის  
უშუალო როლი ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარე-  
ბაში.

ე. ბოლხოვიტინოვმა პატივით მოიხსენია რუსთაველი და მისი თხზუ-  
ლება, მაღალი შეფასება მისცა ქართველ პოეტს და მისი სიდიადის  
წარმოსაჩენად იგი მხატვრული სიტყვის ცნობილი ოსტატების გვერ-  
დით მოიხსენია. მან რუს მკითხველებს პირველმა მიაწოდა ისტორი-  
ულ-ლიტერატურული ცნობები რუსთაველსა და მის პოემაზე, სცადა  
„ვეფხისტყაოსნის“ ჟანრობრივი რაობის გარკვევა, გაამახვილა ყურად-  
ღება რუსთაველურ ლექსზე და ა. შ. მისი დასკვნით, „ვეფხისტყაო-  
სანი“ სატრფიალო-სამიჯნურო პოემაა, რომელიც რამდენადმე საგმი-  
რო-სარაინდო პოემებს ჩამოჰკავს.

ცალკეულ შეცდომათა მიუხედავად (რომელთაც წიგნში არცთუ  
იშვიათად ვხვდებით), ე. ბოლხოვიტინოვის რუსთაველოლოგიური ნაა-  
ზრევი საყურადღებოა და ავტორის წვლილი რუსი (და ევროპელი)  
საზოგადოებრიობისათვის ქართული კულტურის გაცნობაში საპატიოა.  
არსებითად ე. ბოლხოვიტინოვმა დაუდო სათავე რუსულ რუსთაველო-  
ლოგიას, მან გაუკვალა გზა რუსთაველს რუსეთის სამეცნიერო-ლიტე-  
რატურულ საზოგადოებრიობაში, მანვე გააცნო ევროპას რუსთაველი  
და მისი „ვეფხისტყაოსანი“.

ე. ბოლხოვიტინოვი არა მხოლოდ პირველი რუსი მკვლევარია  
„ვეფხისტყაოსნისა“, არამედ მისი პირველი მთარგმნელიც. მის წიგნ-

ში დამოწმებულია რუსთაველის ერთი (პირველი) სტროფი (ქართული ტექსტი რუსული ტრანსკრიფციით), დაბეჭდილია რუსული თარგმანიც. ჩვენთვის ცნობილი მასალებით ესაა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის (ნაწყვეტის) პირველი პუბლიკაცია, პირველი შემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისა (არა მხოლოდ რუსულ ენაზე, არამედ საერთოდ). თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფი, — ე. ბოლხოვიტინოვის წიგნთან ერთად, — ითარგმნა და დაიბეჭდა გერმანულად (1804 წ.), ხოლო ორი ტაეპი, — ქართული ტექსტი ფრანგული ტრანსკრიფციით, — დაიბეჭდა პარიზში (1810 წ.), მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება ე. ბოლხოვიტინოვის თარგმანის მნიშვნელობა რუსთაველის პოემის პოპულარიზაციაში ევროპულ წრეებში. სხვათა შორის, ერთი რუსული ყურნალის („დრუგ პროსვეშჩენია“, 1805, № 1) ცნობით, რუსი საზოგადოებრიობა უკვე მაშინ იმედოვნებდა „ქართველი ოსიანის — რუსთაველის“ თხზულების სრული თარგმანის მალე მიღებას (ჩვენი ცნობით, ესაა პირველი ხსენება რუსთაველისა რუსულ პრესაში).

ე. ბოლხოვიტინოვის რუსთაველოლოგიურ ნააზრევს, მის სიტყვებს მომდევნო ხანაში ხშირად იმეორებდნენ, რუსთაველისა და მისი პოემის ზოგადი შეფასება (ზოგჯერ პატივით მოხსენიება) ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მაგალითად, რუსი მეცნიერის, პროფესორ იაკობ ორლოვის (გარდ. 1819 წ.) კაპიტალურ ნაშრომში — „რიურიკთა სახლის რუს ხელმწიფეთა სულისკვეთება, რუსთა ჭეშმარიტი სურათი და სხვა დანარჩენ ევროპელ ხალხთა ისტორია, პოლიტიკა და საზოგადოდ განათლება ძველი რომის იმპერიის დაცემიდან ვესტფალის ზავამდე, ანუ ყოველგვარი სარწმუნოების თავისუფლების დამკვიდრებამდე“ (1818 წ.), რომელიც გვაცნობს ევროპის ქვეყნების ისტორიასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, კერძოდ, მეხუთე წიგნში, სადაც საუბარია ევროპის ქვეყნების განათლებასა და კულტურაზე, მოხსენიებულია „ვეფხისტყაოსანი“ (ესაა ევროპის ქვეყნების ისტორიის პირველი რუსული მიმოხილვა, რომელშიც იხსენიება რუსთაველის პოემა). ი. ორლოვის სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ სამუდამოდ დარჩება ქართველ ხალხში სანიმუშოდ, როგორც ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“.

1827 წელს პეტერბურგის ერთ-ერთ ყურნალში („აზიატსკი ვესტნიკ“, № 5) დაიბეჭდა პირველი წერილი რუსთაველსა და მის პოემაზე — „ვეფხისტყაოსანი“. ქართული პოემა, შეთხზული შოთა რუს-

თაველის მიერ“. მისი ავტორია ქართველი ლექსიკოგრაფი და მთარგმნელი ნიკო ჩუბინაშვილი (1790—1847).

ნ. ჩუბინაშვილმა მოგვცა „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი შეფასება — ყურადღება გაამახვილა მის იდეურ სიღრმეზე, გამოთქმათა სინარჩარზე, ენის სიწმინდეზე, მიუწვდომელი ხელოვნებით აღბეჭდილ სიღიადეზე („თბრობა, გამოთქმათა სინარჩარე, ენის სიწმინდე, სიტყვათა თამაში და თვით ლექსის საზომი მშვენივრადაა შერწყმული განსაკუთრებულ და მიუწვდომელ ხელოვნებასთან“). იგი საგანგებოდ შეჩერდა ვახტანგ VI კომენტარებზე და მკითხველებს ამცნო თავისი უარყოფითი შეხედულება ზოგიერთ საკითხზე. კერძოდ, უხერხულად მიიჩნია „გამოგონილ ადამიანურ ქმედებათა აღრევა მართლმადიდებლური სარწმუნოების მაღალ მცნებებთან“. მანვე გააცნო რუს საზოგადოებრიობას ვახტანგ VI თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაზე. უკანასკნელად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ჩუბინაშვილმა პირველმა მიაწოდა რუს მკითხველებს „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი.

გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ქართველი მწერლისა და მოაზროვნის სოლომონ დოდაშვილის (1805—1836) წერილი — „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც ჯერ თბილისის პრესაში დაიბეჭდა (1832 წ.), იმავე წელს გადაბეჭდა მოსკოვის ჟურნალმა („მოსკოვსკიე ვედომოსტი“), ხოლო 1836 წელს შევიდა ა. ყარი დე მანსის „ძველი და ახალი ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიის“ რუსულ თარგმანში.

ა. ყარი დე მანსის ფრანგულ წიგნში, კერძოდ, მის მეორე ნაკვეთში, რომელშიც გვხვდება ცნობები ებრაულ, სირიულ, სომხურ და სხვა ლიტერატურაზე, იხსენიება რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. რუსულ თარგმანში ეს ცნობა გამეორებულია, მაგრამ, ჩანს, ეს არ მიიჩნიეს საკმარისად და ქართულ ლიტერატურაზე უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად თარგმანს დაურთეს ს. დოდაშვილის წერილი. ამის შედეგად ა. ყარი დე მანსის წიგნის გამოცემა იქცა მსოფლიო ლიტერატურის პირველ (რუსულ) ზოგად მიმოხილვად, რომელშიც სოლიდური ადგილი ეთმობა ქართულ ლიტერატურას და იხსენიება რუსთაველის პოემა.

„მოკლე განხილვა“ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის პირველი მიმოხილვაა (არა მხოლოდ რუსულ ენაზე, არამედ საერთოდ), პირველი კრიტიკული წერილი, რომელშიც შეძლებისდაგვარად დახა-

სიათებული და შეფასებულია ძველი ქართული წერილობითი კულტურა. ს. დოდაშვილმა პირველი სიტყვა თქვა ქართულ მწერლობაზე და სცადა მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის წარმოჩენა.

„მოკლე განხილვის“ ავტორმა საზოგადოებას მიაწოდა მრავალი საინტერესო ცნობა ძველი ქართული ლიტერატურის სახელოვან წარმომადგენლებზე, ქართული სულიერი კულტურის დიდებულ ძეგლებზე. კერძოდ, „ვეფხისტყაოსანი“ მან მიიჩნია ქართული მხატვრული ლიტერატურის ყველაზე სრულყოფილ ნიმუშად და შემოქმედებითი აზრის დიდებულ ქმნილებად. მართალია, ს. დოდაშვილმა „მოკლე განხილვაში“ მცირე ადგილი დაუთმო რუსთაველს, მაგრამ მისი უკუდავი თხზულება ქართული კულტურის უმაღლეს მწვერვალად მიიჩნია. იგი წერდა: „დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენ ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთველისანი „ვეფხისტყაოსანი“. ციტირებული გამონათქვამი ნათელიყოფს ს. დოდაშვილის აზრსა და შეხედულებას „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე. ს. დოდაშვილმა არსებითად „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმებით წარმოაჩინა ქართული ლიტერატურის სიდიადე.

ს. დოდაშვილის წერილის რუსული თარგმანის გამოსვლის მომდევნო წელს (1833 წ.) რუსმა მკითხველებმა მიიღეს კიდევ ერთი წერილი ქართველ პოეტზე. სახელდობრ, ყურნალ „ტელესკოპში“ დაიბეჭდა პოლონელი მოღვაწის, კონსტანტინე რდულტოვსკის წერილის — „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“ — რუსული თარგმანი. მასში გვხვდება მსჯელობა რუსთაველის ბიოგრაფიის ცალკეულ საკითხებზე — ვრცელი ხალხური გადმოცემა ქართველ პოეტზე განხილულია რუსთაველის პოეტური ხელოვნების საკითხები, დახასიათებულია შაირი, წარმოდგენილია მისი მეტრული სქემა, მოთხრობილია პოემის მოკლე შინაარსი, მოცემულია რამდენიმე სტროფის, თითქმის სიტყვასიტყვითი, ორიგინალთან ძალზე მიახლოებული თარგმანი. ასე რომ, რუსეთის საზოგადოებრიობა კ. რდულტოვსკის წერილით გაეცნო რუსთაველის ხალხურ ბიოგრაფიას, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების თარგმანსა და სხვა მასალებს.

XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში, — გარდა დასახელებული წიგნებისა და წერილებისა, — რუსთაველისა და მისი პოემის ხსენება გვხვდება აგრეთვე მხატვრულ და სამოგზაურო-მემუარულ ლიტერატურაში, სახელმწიფო მოხელეთა მიერ შედგენილ ოფიციალურ მასა-

ლებში და სხვ. მაგალითად, ხარიტონ შვირველია ქართული კულტურის ტენდენციურ და სქემატურ მიმოხილვაში, რომელიც 1828 წელს დაბეჭდა „სევერნი არხივში“, თამარის დროის გამოჩენილ მწერალთა შორის მოიხსენია რუსთაველი; მწერალმა ალექსანდრე შიშკოვმა (1799—1832) დაუმთავრებელ რომანში — „ქეთევანი, ანუ საქართველო 1812 წელს“, რომელიც 1835 წელს გამოქვეყნდა, სხვა ისტორიულ ფაქტებთან ერთად მოიხსენია თამარის მეფობა, მისი დროის მწერლობა, დაასახელა „საქართველოს საუკეთესო მგოსნის“ რუსთაველის პოემა; რუსმა მწერალმა ანდრეი მურავიოვმა (1806—1874) 1830 წელს იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში, ნახა იერუსალიმიც, აღწერა იქაური სიძველენი, ჩაიწერა გადმოცემა ძველ ქართულ სავანეზე — ჯვრის მონასტერზე, გამოაქვეყნა ნაწყვეტი ტ. გაბაშვილის „მიმოსლვიდან“ და რუს მკითხველებს მიაწოდა ტიმოთესეული ცნობები რუსთაველზე. ა. მურავიოვის „მოგზაურობა აღმოსავლეთის წმინდა ადგილებში 1830 წელს“ (1835 წ.) რუსული სანოგზაურო-მემუარული ლიტერატურის პირველი ძეგლია, რუსი მოგზაურის პირველი ჩანაწერია, რომელშიც დამოწმებულია ძველი ქართველი ავტორის (კერძოდ, ტ. გაბაშვილის) ცნობები რუსთაველზე.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ პირველი ცნობები რუსი მოხელეებისა. როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში მწვავედ იგრძნობოდა საქართველოს (და საერთოდ ამიერკავკასიის) შეუსწავლელობა და აქედან გამომდინარე სირთულე.

არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოყოფილმა კომისიამ 1828—1835 წლებში შეისწავლა ამიერკავკასია, დაწვრილებით აღწერა იგი და რუს მკითხველს მიაწოდა მოზრდილი სპეციალური ნაშრომი, რომელშიც შეკრებილა იყო ცნობები ამიერკავკასიის სტატისტიკური, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ფინანსური მდგომარეობის შესახებ (სპბ., 1836 წ.). იგი რამდენიმე ავტორის ნამუშევარია (მთელი მასალის სისტემაში მოყვანა, რედაქტირება და გამოქვეყნება დავალებული ჰქონდა რუს მოხელეს ლეგობიტოვს). ნაშრომში „ვეფხისტყაოსანი“ ორჯერ იხსენიება. პირველად შესავალ ნაკვეთში, რომელშიც მოკლედ და სქემატურად მიმოხილულია საქართველოს ისტორია, მოცემულია ცნობები ქართველთა რელიგიაზე, წეს-ჩვეულებებზე, ენაზე, დამწერლობაზე, სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობაზე და სხვ., ადგილი ეთმობა ქართულ ლიტერატურასაც, რომელზეც ავტორს ზერეულე წარმოდგენა

ქონია. თავდაპირველად განცხადებულია: „ქართული ლიტერატურა ძალზე ღარიბია“, შემდეგ ჩამოთვლილია ქართული თხზულებანი, დასახელებულია „ვეფხისტყაოსანიც“.

სხვა ნაკვეთში („ქალაქი თბილისი“), რომელიც პ. ვიშესლავცევს ეკუთვნის, მოცემულია ცნობები თბილისის ადგილმდებარეობაზე, ისტორიაზე, მრეწველობასა და ვაჭრობაზე, მოსახლეობაზე და ა. შ. ცალკე პარაგრაფი ეთმობა ენასა და ლიტერატურას, თითქმის ყველა ქართული წიგნი ბერძნულიდან თუ სპარსულიდან თარგმნილადაა მიჩნეული. საყურადღებოა მხოლოდ ერთი ადგილი, — სადაც საუბარია თამარის ეპოქაზე, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“, — და ისიც ე. ბოლხოვიტინოვის სიტყვების გარდათქმავა.

საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის, აკად. მარი ბროსეს (1802—1880) დამსახურება. მართალია, ზოგიერთი უცხოელი ჩვენ ზემოთაც დაეიმოწმეთ (ა. ჟარი დე მანსი, კ. რდულტოვსკი), მაგრამ რუსი საზოგადოებრიობისათვის რუსთაველის გაცნობაში მათი პირადი (უშუალო) დამსახურება უმნიშვნელოა. რაც შეეხება მ. ბროსეს, იგი უცხოელთა შორის პირველი ქართველოლოგია, რომელმაც „პირველმა აიღო ჩვენი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა სამეცნიერო შესწავლის საგნად და მას მიაპყრო მთელი განათლებული ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება“ (ი. ჭავჭავაძე). განათლებულ კაცობრიობას არსებითად მან გააცნო ჩვენი არაერთი სახელოვანი წინაპარი. კერძოდ, დიდია მისი დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის, გამოცემის, თარგმნისა და პოპულარიზაციის საპატიო საქმეში. საკმარისია მოვიგონოთ მ. ბროსეს პირველი ფრანგული ნაშრომები, რომლებშიც რუსთველოლოგიური პრობლემატიკაა წარმოჩენილი: „ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა“ (1828 წ.), „არაბეთის მეფის როსტევანის თავდაპირველი ისტორია“. თარგმანი ქართულ რომან „ვეფხისტყაოსნიდან“ (1828 წ.), „გამოკვლევანი ქართული პოეზიის შესახებ; ცნობა ორ ხელნაწერზე; ნაწყვეტები რომან „ტარეილიდან“ (1830—1831 წწ.) და სხვ.

რუსეთის სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებრიობა ინტერესით ეცნობოდა მ. ბროსეს ფრანგულ ნაშრომებს და მათი შემწეობით ქართულ მწერლობას. მალე რუსეთში დაიბეჭდა მ. ბროსეს ერთი ნაშრომის თარგმანი, რომელშიც საქართველოს ისტორია და ლიტერატურა იყო მიმოხილული და პატივით იხსენიებოდა რუსთაველი (1838 წ., 1840 წ.).

მ. ბროსეს ნაყოფიერმა მუშაობამ ქართველოლოგიის სფეროში, მისმა რუსთველოლოგიურმა ძიებამ და მთარგმნელობითმა საქმიანობამ საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. მის მოღვაწეობას და კვლევა-ძიების შედეგებს კმაყოფილებით გამოეხმაურნენ პ. საველევი (1837 წ.), ი. ვალანინი (1840 წ.); მ. ბროსესთან კამათში ჩაება პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ო. სენკოვსკი, რომელმაც ნიჰილისტური თვალსაზრისი განავითარა საქართველოს ისტორიაზე, ქართულ ლიტერატურაზე, რუსთაველის პოემაზე (1838 წ.). მისმა ცილისმწამებლურმა გამოხდომამ და ტენდენციურმა მსჯელობამ მკითხველთა გულისწყრომა გამოიწვია.

როგორც ვნახეთ, რუსთაველის პოემა ჯერ მხოლოდ გზას იკვლევდა რუს მკითხველთა წრეებში. მართალია, იგი იხსენიებოდა სხვადასხვა წიგნებში, მაგრამ მაინც „ვეფხისტყაოსანზე“ სრული და ნათელი წარმოდგენა მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ის ზოგადი შეფასება (თუ გნებავთ, ზოგჯერ მაღალიც), რომელიც რუსულ ენაზე იბეჭდებოდა (მით უფრო გაკვრით მოხსენიება), რუს მკითხველს ბევრს, — კონკრეტულსა და ხელშესახებს, — არაფერს აძლევდა. დღის წესრიგში დადგა „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული და მხატვრულ-ლიტერატურული საკითხების მიმოხილვა, მისი იდეური შინაარსისა და მხატვრული ღირსების წარმოჩენა: აუცილებელი იყო რუსთაველისა და მისი პოემის ზოგადი ხსენებიდან არსებით განხილვაზე, კონკრეტულ ანალიზზე გადასვლა. ეს საქმე ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა (1814—1891) ითავა.

დ. ჩუბინაშვილი დეაწლმოსილი ქართველოლოგია. მან დიდი ამაგი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკულად დადგენასა და მეცნიერულად გამოცემას, საყურადღებო წვლილი შეიტანა რუსთაველის პოემის პუბლიკაციასა და რუსთველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში, რითაც სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო მკოდნის სახელი დაიმსახურა. საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ დ. ჩუბინაშვილის მოზრდილი წერილი — „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა რუსულად (1842, 1846, 1850 წწ.) და გერმანულადაც ითარგმნა (1842 წ.).

რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ იმ ზოგადი შეფასების ფონზე, რომელიც 1802 წლიდან შეინიშნება რუსეთში, დ. ჩუბინაშვილის

წერილი გამოირჩევა პოემის არსებითი განხილვით, საფუძვლიანი გააზრებით, ანალიზისაქენ სწრაფვით;

დ. ჩუბინაშვილმა დაახასიათა თამარის დროის საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობა, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაზე, განათლების დონის ამიღებასა და მეცნიერული აზროვნების განვითარებაზე, რუსთაველი მიიჩნია ოქროს ხანის (მისი გამოთქმას!) ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლად, გადმოგვცა ხალხში გავრცელებული, აგრეთვე ტ. გაბაშვილის მიერ შემონახული ცნობები ამ გენიალურ შემოქმედზე, შეძლებისდაგვარად განიხილა „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები და ნაწილობრივ სცადა მისი მხატვრული ანალიზიც. ვახტანგ მეექვსისა და მ. ბროსეს მსგავსად დ. ჩუბინაშვილმა უარყო პოემის სპარსულიდან მომდინარეობის შესაძლებლობა, ნიადაგი გამოაცალა ასეთ ვარაუდს და დამაჯერებლად დაადასტურა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ჩუბინაშვილის ცდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებისა. ჯერ კიდევ მ. ბროსემ სცადა „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს ისტორიის კონკრეტული ეპოქის ანარეკლის დაძებნა, მის გმირებში ქართველთათვის დამახასიათებელ თვისებათა გამოვლენა. ამით მან არსებითად საფუძველი ჩაუყარა პოემის ისტორიულ-ალეგორიულ ინტერპრეტაციას. პირველი მკვლევარი, რომელმაც განაგრძო, განავითარა და განამტკიცა ეს თვალსაზრისი, დ. ჩუბინაშვილი იყო. ამასთანავე, ის არა მარტო პირველი იყო, არამედ მამამთავარიც გახდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ისტორიულ-ალეგორიული თეორიისა. მკვლევარმა ერთბაშად რამდენიმე ისტორიული ანალოგია დაძებნა.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გარკვეულია, რომ ამ ანალოგიებიდან რამდენიმე ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება, „ვეფხისტყაოსნის“ ამბისა და პერსონაჟების პარალელები საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს ატარებს, მაგრამ ისიც უცილობელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ეპიზოდი, დეტალი, გმირი ძალდაუტანებლად მოგვავაგონებს საქართველოს ისტორიის ცნობილ პერიოდსა და კონკრეტულ-ისტორიულ პირებს, რაც საფიქრებელს ხდის, რომ რუსთაველის პოემაში აირეკლა ჩვენი წარსულის საინტერესო სურათები. რაოდენ საკამათო არ უნდა იყოს დ. ჩუბინაშვილის ზოგიერთი დაკვირვება, მაინც უნდა ვა-



ლიაროთ, რომ მეცნიერის კონცეფციამ თავის დროზე უაღრესად დადებითი როლი შეასრულა როგორც ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის გაღვივებაში, ისე რუსეთში „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციაში. ნაწილობრივ მისი გავლენით აიხსნება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი მკითხველი დაბეჭდვით იცავდა და ამტკიცებდა პოემის ორიგინალობას, მიიჩნევდა მას ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლად.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ დ. ჩუბინაშვილის დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად ამეტყველებაში. მან გამოაქვეყნა პროზაული თარგმანი პოემის ცალკეული სტროფებისა და მონაწილეობა მიიღო პოეტური თარგმანის მომზადებაში, რომელიც განახორციელა რუსმა მწერალმა იპოლიტე ბარტდინსკიმ, ეს თარგმანი (142 სტროფი) პირველად ჟურნალ „ილუსტრაციაში“ დაიბეჭდა 1845 წელს.

სხვათა შორის, ი. ბარტდინსკიმ 1840—1841 წლებში ლექსი უძღვნა სამეგრელოს მთავრის ძეს გრიგოლ დადიანს (1814—1901), რომელიც, როგორც ჩანს, დახმარებია მას „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმანში. მასში ნათლად ჩანს ავტორის გულწრფელი აღტაცება ქართული კულტურით და მისი უკეთ გაცნობის სურვილი. საყურადღებოა მოწოდება: დავიწყებისაგან ვიხსნათ და ხალხს გავაცნოთ დიდი განძი „ვეფხისტყაოსანი“:

დროა, აწ დროა, გავხსნათ კარი დავიწყებისა  
და საუკუნეთ ღრმა წიაღში შევავლოთ კვალი...  
მომეცი ხელი, მეგობარო სიმღერებისა,  
მივიღეთ, შევსვით სასიცოცხლო იმ წყაროს წყალი!

„ილუსტრაციაში“ დიდი ადგილი დაუთმო ი. ბარტდინსკის თარგმანს — „ამიერკავკასიის შესანიშნავი ილიადის“ — „ვეფხისტყაოსნის“ მოზრდილ ნაწყვეტს (რომელიც, სხვათა შორის, შემდგომ რამდენჯერმე დაიბეჭდა), მაგრამ თარგმანი ვერ იყო რიგიანი და რუს მკითხველს სრული წარმოდგენა ვერ შეუქმნა რუსთაველის გენიაზე. ასევე არა-დამაკმაყოფილებელი იყო თბილისელი ჟურნალისტის ივანე ევლახოვის (1825—1888) თარგმანი, რომელიც გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა 1846 წელს. ამ უკანასკნელ თარგმანს გამოეხმაურა დ. ჩუბინაშვილი. მან, ერთი მხრივ, გადაჭარბებით შეაფასა ი. ბარტდინსკის თარგმანი, მეორე მხრივ, მკაცრად გააკრიტიკა ი. ევლახოვის თარგმანი. სპეციალურ წერილში — „შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე“ (1846 წ.), რომელიც ავტორმა პეტერბურგიდან გამოუგზავნა „კავკა-

ზის“ რედაქციას, დ. ჩუბინაშვილი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ თარგმანზე საუბრით, მან ქართველი მგოსნის პოემის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და მხატვრულ-ლიტერატურული ღირსებაც წარმოაჩინა; მკვლევარმა აუცილებლად მიიჩნია მისი თარგმნის დროს აზრის სიცხოველისა და მხატვრული ელვარების, ბგერისა და ფრაზის ჰარმონიის დაცვა-შენარჩუნება. მისი დასკვნით, ი. ევლახოვმა დაადაბლა რუსთაველის დიდება, უგულვებლყო „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ბრწყინვალება და მხოლოდ შინაარსი გადმოგვცა, ისიც შეცდომებით და არაზუსტად. საპასუხო წერილში (1846 წ.), რომელსაც საკმაოდ დაჰკრავს ნიპილისტური იერი, ი. ევლახოვმა ვერ დაარღვია რეცენზენტის საბუთიანობა და ვერ გაამართლა თავისი მთარგმნელობითი პრინციპები.

40-იანი წლებიდან კიდევ შეგვიძლია დავიმოწმოთ ნაშრომები, რომლებშიც გვხვდება ცნობები რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“. ასეთია, მაგალითად, პლატონ იოსელიანის (1809 — 1875) წიგნი „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“ (სპბ., 1843 წ.), რომელშიც იხსენიება რუსთაველის ღვაწლი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენა-მოხატვაში და წერილები — დიმიტრი ყიფიანის (1814—1887) „თამარ მეფის საუკუნე“ (1846 წ.). რომელშიც თამარის ხანის ქართული კულტურის ფონზე წარმოჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ სილიადე და გაკრიტიკებულია ჩვენი ისტორიული წარსულის უგულვებლყოფის ზოგიერთი ცდა, და გიორგი ბარათაშვილის „ქართული მწერლობის ძეგლები“ (1849 წ.), რომელშიც არსებული ლიტერატურის საფუძველზე მიმოხილულია რუსთაველის პოემის ცალკეული საკითხები. აქვე შეიძლება დავასახელოთ მემუარული ჩანაწერები ი. ევლახოვისა (1847 წ.) და განსაკუთრებით ა. მურავიოვის „საქართველო და სომხეთი“ (1848 წ.), რომელშიც გადმოცემულია საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, გვხვდება ცნობები რუსთაველსა და მის პოემაზე. (რომელიც „გამსჭვალულია უნახესი გრძნობით და აღსავსეა პოეზიის პირველქმნილი მგზნებარებით“), მოთხრობილია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თავის შინაარსი, პროზაულ თხრობაში ჩართულია ი. ბარტდინსკის პოეტური თარგმანის ნაწყვეტები. ამავე პერიოდში „კავკაზში“ გამოქვეყნდა მ. მაისუროვის „ვარდციხე“ (1846 წ.) — რუსთაველზე შემონახული ხალხური ბიოგრაფიული ცნობების უხეირო ლიტერატურული დამუშავება, რომელმაც მკითხველთა წრეებში უკმაყოფილება გამოიწვია და თამარის ხანის დაკნინებისათვის მკაცრი

კრიტიკა დაიმსახურა. 1849 წელს იმავე გაზეთში დაიბეჭდა ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანისა, რომელიც ეკუთვნოდა ა. აბაშიძეს.

XIX საუკუნის შუა წლებისათვის რუსულ ენაზე (საკუთრივ რუსეთსა თუ საქართველოში) საკმაო ლიტერატურა დაგროვდა (მართალია, იგი არ იყო დაზღვეული შეცდომებისაგან, მაგრამ ეს ახასიათებდა არა მხოლოდ რუსულ მასალას — ეს რუსთველოლოგიის დაბალი დონის მაჩვენებელი და მისი პირდაპირი შედეგი იყო). ბუნებრივად გაჩნდა ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევის, საგანგებო წიგნის მომზადებისა და გამოცემის საჭიროება. ეს საქმე ითავა რუსმა ყურნალისტმა ი. სლივიცკიმ, რომელმაც 1849 წელს „კავკაზში“ გამოაქვეყნა განცხადება — შინაარსი წიგნისა (ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი), რომელზეც ხელმოწერაც კი გამოცხადდა. მართალია, წიგნი სრული სახით არ გამოსულა, ავტორმა მხოლოდ ორი თავი გამოაქვეყნა, მაგრამ გაზეთში დაბეჭდილი შინაარსიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა ფართო და მასშტაბური ჩანაფიქრი ჰქონია რუს მოღვაწეს. ამ 20-თაბახიანი წიგნის მომზადება დამაჯერებლად ცხადყოფს რუსთაველისადმი ინტერესის ზრდას რუს საზოგადოებრიობაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი — 50-იანი წლების დასაწყისი მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-მხატვრული მოვლენით აღინიშნა: „კავკაზში“ დაიბეჭდა რუსი მწერლის იაკობ პოლონსკის (1819—1898) ლექსი „თამარი და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი“.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ რუსთაველი და მისი პოემა უკვე იხსენიებოდა რუსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ( ა. შიშკოვი, მ. მაისუროვი), რუსთაველმა შთააგონა რუსი მწერალი (ი. ბარტდინსკი), მაგრამ ი. პოლონსკის ლექსი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან მასში, — პირველად რუსულ პოეზიაში, — გვხვდება რუსთაველის მხატვრული სახე (საგულისხმოა, რომ ი. პოლონსკიმ ჯერ კიდევ 1848 წელს ლექს „იმერეთში“ მოიხსენია თამარი და მისი მგოსანი, ხოლო შემდეგ სპეციალური ლექსიც უძღვნა მათ).

ი. პოლონსკიმ გამოიყენა ქართული ხალხური გადმოცემა რუსთაველისა და თამარის ურთიერთობაზე, გაითვალისწინა რუსთველოლოგთა მეცნიერული თუ პოლემიკური წერილები, წარმოაჩინა თამარის სიდიადე და მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, „ვეფხისტყაოსანი“ აღიარა ქართველთა საერთო-სახალხო საკუთრებად, ხოლო მისი ავტორი ცნო არა მხოლოდ დიდ შემოქმედად, არამედ გულმხურ-

ვალე მამულიშვილად, ვისთვისაც საზოგადოებრივ-საქვეყნო საქმე პირად გრძნობებზე მალა იდგა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი რუსი მწერალი — ვლადიმერ სოლოგუბი (1813—1882), რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტის თარგმნა სცადა, ხოლო „ნარკვევში კავკასიაზე“ (სპბ., 1855 წ.) თანამემამულეებს აუწყა, რომ ამიერკავკასიის „სახელოვანი წარსული რუსთაველის სიმღერებში ცოცხლობს“.

50—60-იან წლებში რუსთაველსა და მის პოემაზე ბევრი რამ დაიბეჭდა თბილისის რუსულ პრესაში, აგრეთვე აქ გამოქვეყნებულ რუსულ წიგნებში. სახელდობრ, „კავკაზში“ დაიბეჭდა ი. სლივიცკის მიერ ჩაწერილი ხალხური გადმოცემა რუსთაველისა და თამარის სამიჯნურო თავგადასავალზე (1853 წ.), დიმიტრი ბაქრაძის (1826—1890) „ძველი მესხეთი“ (1855 წ.), რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ამ კულტურულ-ისტორიული რეგიონის მკვიდრადაა მიჩნეული, კონსტანტინე მამაცაშვილის (1814—1900) „რამდენიმე ცნობა საქართველოზე“ (1863 წ.), რომელშიც საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების მიმოხილვისას რუსთაველის პოემა ვენიალურ ქმნილებადაა აღიარებული. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ნიკოლოზ ბერძნიშვილის (1829—1874) „ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობის“ მიმოხილვა“ (1853 წ.) და შურნალ „ცისკრის“ 1858 წლის 12 წიგნაკის — იანვრიდან დეკემბრამდე — „გაკვრით მიმოხილვა“ (1859 წ.), რომლებშიც საუბარია „ქართული პოეზიის უკვდავ წარმომადგენელ“ რუსთაველზე, მის შეხედულებაზე, პოეზიაზე, სამღვდლო პირთა მიერ „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ გალაშქრებაზე და ა. შ. აქ დაბეჭდილი წიგნებიდან საყურადღებოა „კავკასიის კალენდარი“ (1864 წ.), რომელშიც გამოქვეყნდა ა. გოლოვინის „საქართველოს ისტორიული მიმოხილვა“, და პ. იოსელიანის „ქალაქ თბილისის სიძველეთა აღწერილობა“ (1866 წ.), რომელშიც საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის წარმომავლობაზე.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსთაველზე საქართველოში რუსულად დაბეჭდილი ცნობები მალე ვრცელდებოდა რუსეთში. მაგალითად, ა. გოლოვინის ზემოხსენებული ნაშრომით ძალზე დავალებულია პ. ნადეჟდინი (კავკასიის ბუნება და ხალხი, სპბ., 1869 წ.).

რუსთაველის ხსენება თანდათან გახშირდა რუსეთში. იგი იხსენიება სამხედრო პრესაში („გოენნი სბორნიკ“, 1860, VIII, № 6), ქართული ენის შემსწავლელთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში (სპბ., 1860 წ.), ფ. ტოლის ლექსიკონში (სპბ., I—II, 1863—1864 წწ), ლავ-

რენტევის „ქართული ენისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვაში“, რომელიც დაიბეჭდა მოზრდილ კრებულში — „რუსეთის იმპერიის გუბერნიებისა და ოლქების სტატისტიკურ აღწერილობაში“ (XVI, სპბ., 1858 წ.), და ა. შ.

70-იან წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი რუსთველისადმი. რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ წერილებსა და წიგნებში ზოგჯერ გვხვდება არა მხოლოდ რუს მკითხველთათვის სხვა წყაროებიდანაც ცნობილი ცალკეული ფაქტები რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიიდან ან მისი პოემის ზოგადი შეფასება, არამედ მსჯელობა კონკრეტულ საკითხებზე, შეიმჩნევა სწრაფვა „ვეფხისტყაოსნის“ შინაგანი სიღრმისა და სიღიადის წარმოჩენისაკენ.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პ. იოსელიანის მოზრდილი რუსთველოლოგიური ნაშრომი — „შოთა რუსთაველი (1174—1212)“, რომელიც თავდაპირველად „კავკაზში“ დაიბეჭდა (1873 წ.) და იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

პ. იოსელიანი რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში ერთგვის შეეხო რუსთაველსა და მის პოემას. გარდა უკვე დასახელებული წიგნებისა, იგი რუსთაველზე, კერძოდ, მის რელიგიურ-მსოფლმხედველობით საკითხებზე, მსჯელობდა „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ ფურცლებზე (1845 წ.), „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებს იხსენიებდა „სამგზავრო ჩანაწერებში თბილისიდან მცხეთამდე“ (1871 წ.) და ა. შ., მაგრამ მის რუსთველოლოგიურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით საყურადღებოა მონოგრაფიული ნარკვევი „შოთა რუსთაველი (1174—1212)“, რომელმაც ერთგვარი ახალი ეტაპი შექმნა რუსთველოლოგიაში, პოპულარობა მოიპოვა და ბევრი მკვლევრის წყაროდ იქცა რუსეთსა (ნ. ბოჩაროვი, ვ. ზიტოვი და სხვ.) თუ საქართველოში (მ. ჯანაშვილი).

პ. იოსელიანის ნაშრომში გვხვდება ბევრი საინტერესო დაკვირვება, საყურადღებო მოსაზრება, საგულისხმო დებულება. მასში უხვადაა ცნობები რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებზე (ზედწოდებაზე, წარმომავლობაზე, განათლებაზე, სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე, სიცოცხლის უკანასკნელ წლებზე და ა. შ.), დიდად საყურადღებოა ცნობები რუსთაველის პორტრეტსა და „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერებზე და მსჯელობა პოეტის რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე, საინტერესოა ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი და „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრული ღირსების გარკვევა, საგუ-

ლისხმობა რუსთაველის მემკვიდრეობის დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურის ფონზე განხილვა, ქართველი პოეტის სიდიადის წარმოჩენა და მსოფლიო კულტურის ისტორიაში მისი ადგილის განსაზღვრის ცდა. სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანმა ანალიზმა მისცა უფლება პ. იოსელიანს განეცხადებინა, რომ რუსთაველი ეკუთვნის არა ერთ (ქართველ) ხალხს, არამედ მთელ კაცობრიობას.

გარკვეულ ინტერესს იმსახურებს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე ცაგარლის (1844—1929) ნარკვევი — „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“, რომელიც ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (სპბ., 1873 წ.). მასში ვახტანგ მეექვსის სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობის მიმოხილვისას იხსენიება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემა და გაკრიტიკებულია ვახტანგისეული კომენტარები.

ა. ცაგარლის წიგნში გვხვდება ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებზე, საყურადღებოა მსჯელობა რუსთაველის პოემის სახელწოდების რუსულად თარგმანზე.

1875 წელს თბილისში, გაზეთ „კავკაზის“ სამ ნომერში დაიბეჭდა პედაგოგ გიორგი იოსელიანის (1847—1919) ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევი — „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ავტორმა, — არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, — რუს მკითხველებს ერთხელ კიდევ მიაწოდა ცნობები რუსთაველსა და მის პოემაზე.

ქართველი რუსთაველოლოგების — დ. ჩუბინაშვილისა და პ. იოსელიანის წერილებითაა დავალებული რუსი ურნალისტის ნიკოლოზ ბოჩაროვის „ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნემდე“, რომელიც რუსეთის დედაქალაქის ცნობილ ორგანოში „ილუსტრირიოვანნაია გაზეტაში“ დაიბეჭდა 1872 წელს. ავტორმა ზოგადად მიმოიხილა ქართული ლიტერატურის განვითარების გზა, რუს მკითხველებს შესთავაზა ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება თამარის ხანაზე, დაახასიათა „ვეფხისტყაოსანი“. მისი სიტყვითაც, რუსთაველმა თავისი „კლასიკური ნაწარმოები“ განზრახ გამოაცხადა სპარსულიდან თარგმნილად, „სინამდვილეში იგი ორიგინალური, სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებია“. წერილში გვხვდება მსჯელობა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებზე, მის პორტრეტზე, პოემის ხელნაწერებზე, რუსულად თარგმანზე და ა. შ.

ბ. ბოჩაროვის წერილი თითქმის სიტყვასიტყვითაა გამეორებული

„მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში“, რომელიც 1877 წელს გამოაქვეყნა მოსკოვ-პეტერბურგში რუსმა რედაქტორ-გამომცემელმა ვლადიმერ ზოტოვმა (1821—1896). ასე რომ, რუსთაველის ცხოვრება-შემოქმედების მიმოხილვას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ზოგად კურსშიც მიეჩინა სათანადო ადგილი.

70-იანი წლების რუსულენოვანი რუსთაველოლოგიური ლიტერატურიდან უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე სულხან ბარათაშვილის (1821—1866) „საქართველოს ისტორია“ (IV—V, სპბ., 1871 წ.), რომელშიც რუსთაველი წარმოდგენილია დიდ მხატვრად და დაკვირვებულ მოაზროვნედ, ხოლო მისი პოემა საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული ვითარების, თამარის ხანის ამსახველ ნაწარმოებად, ნ. ბერძნიშვილის ნარკვევი ვახტანგისეულ სტამბაზე (1872 წ.), რომელშიც საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვაზე, სწავლული ბატონიშვილის კომენტარებზე, კლერიკალთა უკმაყოფილებაზე, დ. ბაქრაძის წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (სპბ., 1878 წ.), რომელშიც ერთხელ კიდევ იხსენიება ეკლესიის მესვეურთა გალაშქრება „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ და სხვ. რუსთაველის ხსენება გვხვდება აგრეთვე „ახალ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ (XV, სპბ., 1873 წ.), „კავკასიის გზამკვლევი“ (მოსკოვი, 1874 წ.) და ა. შ.

80-იანი წლების მასალებიდან ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ საყურადღებო ნაშრომებზე, რომლებიც გამოაქვეყნეს როგორც რუსმა (ე. სტალინსკიმ), ისე უკრაინელმა (მ. გულაკმა), უცხოელმა (ა. ზუტნერმა) თუ ქართველმა (ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა და სხვ.) ავტორებმა.

ქრონოლოგიური პრინციპით თავდაპირველად უნდა მოვიხსენიოთ კავკასიაში გადმოსახლებული უკრაინელი პედაგოგი და ჟურნალისტი მიკოლა გულაკი (1822—1899). რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ ხსენება მ. გულაკის რამდენიმე გვიანდელ წერილშიც გვხვდება (რეცენზია „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის გამოცემაზე — 1885 წ., გამოხმაურება „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ თარგმანზე — 1891 წ.), მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მისი სპეციალური ნაშრომი — „რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, რომელიც ავტორმა ჯერ ლექციების სახით წაიკითხა (13, 20. III. 1884 წ.), ხოლო შემდეგ სტამბურადაც გამოაქვეყნა წერილისა თუ წიგნის სახით (1884 წ.).

მ. გულაკს კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა — იმ პირთა-

თვის, რომლებიც ქართულ ენას არ ფლობდნენ, სურდა გაეცნო ჩვენი ლიტერატურის შედეგები და ამით წარმოდგენა შეექმნა საერთოდ ქართულ ლიტერატურაზე, ჩვენს წარსულზე.

მ. გულაკმა მსმენელებს თუ მკითხველებს გააცნო ხალხური ბიოგრაფიული მასალები რუსთაველზე, მოუთხრო „ვეფხისტყაოსნის“ აღიარებასა და პოპულარობაზე, დაახასიათა პოემის გმირთა სულიერი სამყარო. მან საგანგებოდ წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილობრივი (ეროვნული) საფუძვლები, მიმოიხილა პოემის მთავარი იდეურ-თემატიკური მოტივები, გააანალიზა მისი მხატვრული მხარე და ა. შ. საგულისხმოა, რომ მკვლევარმა აღმოსავლური თუ დასავლური ლიტერატურის არაერთი შედეგები დაიმოწმა და „ვეფხისტყაოსანი“ მათ გვერდით, მათ ღონეზე მოიხსენია და განიხილა. მართალია, მ. გულაკის ნაშრომი რამდენადმე კომპილაციურია და რუსთველოლოგიის მაშინდელი (არცთუ მაღალი) დონის შესაბამისია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკრაინელი მოღვაწის ნააზრევნი მანაც ფასეულია. ამ ნაშრომმა, რომლითაც არსებითად დაიწყო უკრაინული რუსთველოლოგიის ისტორია, რუსულ სამეცნიერო-ლიტერატურულ წრეებს გააცნო არაერთი საყურადღებო დაკვირვება და ანგარიშგასაწევი მოსაზრება.

დიდად საყურადღებოა ავსტრიელი მწერლის არტურ გუნდაკარ ზუტნერის (1850—1902) „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“ (პოემის ფრანგული თარგმანის გამო)“, რომელიც „კავკაზში“ დაიბეჭდა 1884 წელს (იმავე წელს ქართული თარგმანი გამოაქვეყნა „ივერიამ“ და „დროებამ“).

ა. ზუტნერმა გაამახვილა ყურადღება „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე ქართველ ხალხში, მის განსაცვიფრებელ გავლენაზე ქართველთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, XIX საუკუნის განათლებული საზოგადოებრიობის მეცნიერულ ინტერესზე პოემის მიმართ და „კავკაზის“ მკითხველებს გააცნო ის შთაბეჭდილება, რომელიც მასზე, — „პირველ ევროპელზე, რომელმაც თავიდან ბოლომდე წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად“, — მოახდინა რუსთაველის პოემამ (კერძოდ, ი. მეუნარგიას მიერ შესრულებულმა ფრანგულმა თარგმანმა).

ა. ზუტნერმა მოიხსენია „ვეფხისტყაოსნის“ ხანის ძეგლები („სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „ბეოვულფი“, „კამბეადორი“, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“), კოლექტიური ქმნილე-



ბანი და ცალკეული პოეტები (ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე და ვოლფრამ ფონ ეშენბახი) და რუსთაველსა და მის პოემას უაღრესად საპატიო ადგილი მიაკუთვნა მსოფლიო ასპარეზზე.

საინტერესოა ა. ზუტენერის დაკვირვებანი „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციასზე, სიუჟეტზე, ტიპაჟზე და სხვ. რუსთაველის აღმოსავლური წყაროების მაძიებელთა საყურადღებოდ ა. ზუტენერმა კატეგორიულად განაცხადა: რუსთაველის დიდებას ვერაფერს დააკლებს ის გარემოება, რომ მან, შესაძლოა, ისარგებლა ადრე არსებული ლეგენდით. განა დღეს ვინმეს აზრად მოუვა უსაყვედუროს შექსპირს იმის გამო, რომ მან ზოგიერთი დრამის სიუჟეტი ბოკაჩოსაგან ისესხა, რომელმაც, თავის მხრივ, ძველი ქრონიკებიდან აიღო ისინი? განუჩრჩველად იმისა, თუ საიდან მომდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი — სპარსულისა თუ არაბულისაგან, სად ვითარდება მისი მოქმედება — ინდოეთში თუ სხვა ადგილას, რუსთაველის პოემა მუდამ იყო და მარად დარჩება ქართულ ნაწარმოებად“.

რუს მოღვაწეთაგან საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ მწერალი და ჟურნალისტი, „კავკაზის“ რედაქტორი ევგენი სტალინსკი, რომელმაც 1885 წელს გამოაქვეყნა წიგნაკი — „შოთა რუსთაველი — ქართველი სახალხო პოეტი“. 1888 წელს თავისი ნარკვევი მან გაიმეორა წიგნში — „ვეფხისტყაოსანი“. შოთა რუსთაველის ქართული პოემა“. იქვე დაბეჭდა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ტექსტისა და თარგმანებისა რუსულ (ი. ბარტდინსკისა, ე. სტალინსკისა), სომხურ (ს. ბასტამიანისა), გერმანულ (ა. ლაისტისა) და ფრანგულ (ა. ბორენისა) ენებზე.

ე. სტალინსკის ნაშრომში, — რომელიც არსებითად პირველი რუსული წიგნია რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“, — საუბარია ქართველი პოეტის განათლებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, მოცემულია პოემის შეძლებისდაგვარი ანალიზი. ავტორის სიტყვით, რუსთაველი „ჩვეულებრივი მოკვდავიდან იქცა წმინდა წყლის კლასიკოსად, ხოლო შემდეგ დიდებით მოსილ ქართველ პოეტად, რომელსაც იცნობს და აღმერთებს მთელი ქართველი ხალხი“.

ე. სტალინსკის ნაშრომმა „ვეფხისტყაოსნის“ — „სიყვარულის, სიკეთისა და სილამაზის ჰიმნის“ — პოპულარიზაციაში უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა (სხვათა შორის, ე. სტალინსკის წერილის ბევრი ფრაზა სიტყვასიტყვითაა გამეორებული ავტორის გვიანდელ შრომაშიც — 1901 წ.).

რამდენიმე სიტყვა რუსულ პრესაში გაჩაღებულ მწვავე პოლემიკაზე რუსთაველის პოემის წარმომავლობასა და ღირსებაზე.

1889 წელს ივანე ჯაბადარმა (1859—1913) რუსულ ჟურნალში („სევერნი ვესტნიკ“) გამოაქვეყნა წერილების სერია — „წერილები საქართველოზე“, რომელშიც ნიჰილისტურად შეაფასა საქართველოს წარსული, უგულვებელყო ძველი ქართული კულტურა, დააყენა ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა, დაამცირა შოთა რუსთაველი და მისი პოემა სპარსული ლიტერატურული ძეგლების, განსაკუთრებით ნიზამი განჯელის „ლეილიმაჯნუნიანის“ უბრალო მიბადვად გამოაცხადა. ასეთმა უპასუხისმგებლო და ცილისმწამებლურმა გამოხდომამ აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა. ი. ჯაბადარის მცდარი მოსაზრებები გააკრიტიკეს ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, დ. კეზელმა, ი. მანსვეტაშვილმა და სხვ.

ნიკო ნიკოლაძემ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულ წერილებში (1889 წ.) გამოააშკარავა ი. ჯაბადარის შეცდომები, გამოავლინა მისი ნიჰილისტური განწყობილება და მავნე ტენდენციები; ლოგიკური მსჯელობით, საკითხების თანამიმდევრული, საფუძვლიანი განხილვითა და ისტორიული ფაქტების სათანადო მომარჯვებით მახვილგონივრულად დაარღვია ი. ჯაბადარის მოსაზრებანი და რუს მკითხველებს გააცნო საკმაოდ საინტერესო დაკვირვებანი.

ნ. ნიკოლაძემ უარყო ცდა სპარსული კულტურის მნიშვნელობის გაზვიადებისა და ადგილობრივი ქართული ეროვნულ-შემოქმედებითი ძალების დამცირებისა და უგულვებელყოფისა, „ვეფხისტყაოსანი“ გამოაცხადა გენიალურ ზოგადსაკაცობრიო ქმნილებად, უსაზღვრო ღირსებით შემკულ მაღალმხატვრულ და ღრმაჰუმანურ ნაწარმოებად, ქართული სინამდვილით ნასაზრდოებ, ქართველთა ცხოვრების დამახასიათებელი ფაქტებითა და იდეებით აღსავსე უაღრესად ეროვნულ და თვითმყოფ თხზულებად, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მშობელი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მის ზნეობრივ სრულყოფაზე, მისი ლიტერატურის ზრდა-განვითარებაზე. მან დამაჯერებლად წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და გამოთქვა რწმენა, რომ რუსთაველის პოეტური გენია მარად მანათობელ შუქურად და დიდების ძეგლად დარჩება ქართველი ხალხის ისტორიაში.

გიორგი წერეთელმა სპეციალურ წერილში — „ნიზამი და რუსთაველი“, რომელიც აგრეთვე „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნდა



(1890 წ.), მკაცრად გააკრიტიკა ი. ჯაბადარი, ამხილა მისი ტენდენციურობა და არაობიექტურობა, გულდასმით შედარებითი ანალიზით ცხადყო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „ლეილმაჯნუნიანის“ მიბაძვა არაა. გ. წერეთელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდა ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებად და გადაჭრით ილაშქრებდა მის უცხო ძეგლის მიბაძვად გამოცხადების წინააღმდეგ.

1889 წელს ჟურნალ „ეტნოგრაფიჩესკოე ობოზრენიეში“ დაიბეჭდა (1892 წ. წიგნშიც შევიდა) მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ვ. მილერის წერილი — „ირანულ თქმულებათა გამოძახილი კავკასიაში“, რომელშიც კვლავ იყო საუბარი „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლურ წყაროებზე. თბილისის რუსულ პრესაში ეს გამოხვლაც მკაცრად იქნა გაკრიტიკებული („ნოვოე ობოზრენიე“, 1890, № 2105).

80-იანი წლებიდან უნდა დავასახელოთ აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ რუსული პროზაული თარგმანი, — უფრო ზუსტად თავისუფალი გარდათქმა, — რომელიც ორჯერ (1888 წ., 1890 წ.) გამოაქვეყნა ი. მეუნარგიამ, და ა. ცაგარლის „ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწასა და სინაზე“ (სპბ., 1888 წ.), რომელშიც დაბეჭდილია ცნობები რუსთაველზე, მის პორტრეტზე (იქვეა ჯვრის ფრესკის წარწერაც). რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ ხსენება გვხვდება ბ. ბებური-შვილის მიერ გამოცემულ „ქართული ხალხური ზღაპრების“ წინასიტყვაობაში (სპბ., 1884 წ.), ე. ვეიდენბაუმის „კავკასიის გზამკვლევი“ (თბ., 1888 წ.), „ობზორში“, „კავკაზსა“ და „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულ წერილებში.

გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში რუსთველოლოგიის ცალკეული საკითხები განიხილეს რუსეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა — ა. ცაგარელმა (ცნობები ქართული მწერლობის ძეგლებზე, I, 3, სპბ., 1894 წ.), ა. გრენმა (მოთხრობა ამირან დარეჯანისძეზე, 1895 წ.), ა. ვესელოვსკიმ (ფსიქოლოგიური პარალელიზმი და მისი ფორმების ასახვა პოეტურ სტილში, 1898 წ.), აგრეთვე თბილისელმა მოღვაწეებმა — მ. ჯანაშვილმა (ქართველი კლასიკოსების წარმომავლობაზე, 1896 წ.; თამარ მეფე, 1899 წ. და სხვ.), გ. ყიფშიძემ („ვეფხისტყაოსნის“ ახლებური გაშუქება, 1896 წ.) და სხვებმა. რუსთაველის ხსენება გვხვდება როგორც თბილისის („ნოვოე ობოზრენიე“), ისე რუსეთის ქალაქების („რუსკაია მისლ“, „ისტორიჩესკი ვესტნიკ“, „ეტნოგრაფიჩესკოე ობოზრენიე“ და სხვ.) პრესაში, მოსფლიო

ლიტერატურის მიმოხილვაში (ი. შერი, მსოფლიო ლიტერატურის ილუსტრირებული ისტორია, I, მოსკოვი, 1896 წ.), ენციკლოპედიებში (ენციკლოპედიური ლექსიკონი, IX, სპბ., 1896 წ.; XXVII, სპბ., 1899 წ.; დიდი ენციკლოპედია, XVI, სპბ., 1896 წ.).

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე ხახანაშვილის (1866—1912) დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლაში. 1889 წლიდან დაწყებული იგი თითქმის ყოველ წელს უბრუნდებოდა რუსთაველის პრობლემას და წერილებსა და ნარკვევებში განიხილავდა ქართველი პოეტის ცხოვრებისა თუ შემოქმედების ამა თუ იმ საკითხს. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები მეცნიერმა შეაჯამა სპეციალურ ნარკვევში, რომელიც 1895 წელს გამოაქვეყნა (XII საუკუნის ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“); რამდენაღმე გავრცობილი სახით იგი შეიტანა თავის „ნარკვევებშიც“ (II, მოსკოვი, 1897 წ.).

ა. ხახანაშვილის ნაშრომში მიმოხილულია რუსთაველის ცხოვრებისა და მისი პოემის თითქმის ყველა ძირითადი საკითხი (რუსთაველის ბიოგრაფია, ხელნაწერი მემკვიდრეობა და პოემის ბეჭდური გამოცემები, სიუჟეტის წარმომავლობა, „ვეფხისტყაოსანისა“ და „ტარიელიანის“ ურთიერთობა და ა. შ.). ამ ნაშრომმა დიდად შეუწყო ხელი რუს მკითხველთა წრეებში რუსთაველის პოპულარიზაციას.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ 90-იან წლებში რუსთაველოლოგიურ კვლევა-ძიებაში ჩაება ნიკო მარი (1864—1934), რომელმაც, „ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზეც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“ (ი. ჯავახიშვილი). მან დიდი წვლილი შეიტანა რუსთაველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში, არსებითად ახალი ეტაპი შექმნა რუსთაველოლოგიის ისტორიაში.

თ ბ ი ლ ის ი

მეგობრობის მატინე

1983 წელს შესრულდა ღირშესანიშნავი თარიღი — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების — გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 200 წლისთავი.

ამ ორ ქვეყანას, ორ ხალხს შორის ურთიერთკავშირი X—XI საუკუნეებში ჩაისახა. XII საუკუნეში საქართველოსა და ძველი რუსეთის ფეოდალური საზოგადოებანი უკვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ძველი ქართული საისტორიო მწერლობისათვის კარგად იყო ცნობილი ეთნიკური ტერმინები „სკლავი“ (სლავი), „ვარანგი“ (ვარიანგი), „რუსი“, ხოლო რუსი მემატინეები საქართველოსა და ქართველების აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინებს — „კოლხ“, „ობეზ“ და „ივერ“.

რუსეთის ქვეყანას იხსენიებს თავის ნაწარმოებში XII საუკუნის ქართველი პოეტი გრიგოლ ხაზრუხაძე.

ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსეთის ჩრდილოეთ ოლქებში ნაპოვნია თბილისში IX საუკუნეში მოჭრილი არაბული ვერცხლის მონეტები, ხოლო ოლონეცკის მახლობლად გათხრების დროს აღმოჩნდა დავით კურაპალატის ვერცხლის მონეტა, რომელიც X ს. მიწურულს მიეკუთვნება. ყოველივე ეს მოწმობს გარკვეული სავაჭრო კონტაქტების არსებობას.

ძველად ქართველები და რუსები ერთმანეთს ხვდებოდნენ კავკასიაში, რუსეთში, ბიზანტიაში. მათი შეხვედრების უმნიშვნელოვანეს ადგილს წარმოადგენდა ეგეოსის ზღვაზე მდებარე ქალკედონის ნახევარკუნძული, კერძოდ, ათონის მთა, სადაც 980—983 წლებში დაარსდა ათონის ივერთა მონასტერი, ძველი ქართული მწერლობისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა, ხოლო 1080 წ. იქვე შეიქმნა რუსული მონასტერიც.

წყაროები აგრეთვე მოწმობენ ქართველი ხელოსნების მონაწილეობას კიევის XI საუკუნის ცნობილი ძეგლის „ბეჩერსკაია ლავრას“ მთავარი ტაძრის მოხატვაში. მაგალითად, ამ მონასტრის მატთანში აღნიშნულია, რომ ტაძრის მშენებლობის დროს მოზაიკის მასალა ქართველ ოსტატებს ბიზანტიიდან ჩამოუტანიათ.

როგორც აკად. შ. ამირანაშვილმა დაადგინა, რუსული არქიტექტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლის, ნერედიცის ტაძრის (ნოვგოროდი) კედლების ზოგიერთი ფრესკა ქართველი მხატვრის მიერაა შესრულებული; აკად. ბ. გრეკოვის დასკვნით კი, ვლადიმირში 1193—1197 წლებში აგებულ წმ. დიმიტრის ტაძარს აშკარად ეტყობა ქართული ხელოვნების გავლენა.

რუსული მატთანის ცნობით, კიევის დიდ მთავარს იზიასლავ მსტისლავის ძეს 1154 წელს ცოლად შეურთავს ქართველი მეფის დემეტრე I-ის (1125—1156 წწ.) ქალიშვილი რუსუდანი. თუმცა კიევში იგი ცოტა ხანს დარჩენილა, რადგანაც იზიასლავი მალე გარდაიცვალა და რუსუდანი საქართველოში დაბრუნებულა, მაგრამ თავისთავად ამ ქორწინების ფაქტი უთუოდ გარკვეული პოლიტიკური ინტერესების არსებობაზე მიგვითითებს.

როგორც ჩანს, იზიასლავი ამით რამდენიმე პრობლემის მოგვარებას ფიქრობდა:

ერთი მხრივ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ იზიასლავს კიევის მიტროპოლიტად ბერძნის ნაცვლად რუსი დაუდგენია, რასაც ეწინააღმდეგებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი. ახალ მიტროპოლიტს ხელდასხმა (ანუ კურთხევა) ესაჭიროებოდა. ამ აქტის შესრულება კი საქართველოს პატრიარქს შეეძლო.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კიევის სამთავრო ყივჩაღების შემოტევას განიცდიდა, ქართველ მეფეებს კი ყივჩაღებზე დიდი გავლენა ჰქონდათ. ამდენად, საქართველოსთან მეგობრული კავშირის დამყარება კიევის მთავარს ხელს შეუწყობდა ყივჩაღებთან ურთიერთობის მოგვარებაშიც.

ასევე გარკვეული მოსაზრებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი თამარ მეფის საქმროდ ანდრია ბოგოლუბსკის შვილის — იურის (გიორგის) არჩევა 1185 წელს.

თამარის საქმროს შესარჩევად არაერთი თათბირი მოწვეულა. კანდიდატთა შორის ყოფილან „ოვსთა მეფეთა შვილები“ „ბერძენთა მეფის ძმისწული ალექსი“ და სხვანი. დიდებულების გარკვეულმა წრემ

ანგარიში არ გაუწია თამარ მეფის სურვილს და საეკლესიო კრებას საკუთარი ინტერესების შესაფერისი კანდიდატურა დამტკიცებინა. რუსი უფლისწულის კანდიდატურა, რომელიც თბილისის ამირას აბულასანს წამოუყენებია, უთუოდ აკმაყოფილებდა ამ წრის მოთხოვნებს მართალია იურის თამარის საქმროდ მოწვევა უიღბლო გამოდგა, მაგრამ ეს ფაქტი ნათლად მოწმობს საქართველოსა და რუსეთს შორის გარკვეული კულტურული და ეკონომიკური (სავაჭრო) ხასიათის კონტაქტების არსებობასთან ერთად პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობის ჩასახვასაც.

XIII საუკუნეში საქართველოცა და რუსეთიც თათარ-მონღოლთა უმძიმესი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. ბუნებრივია, ამ პერიოდში ე. ი. XIII—XIV საუკუნეებში საქართველოსა და რუსეთის ურთიერთკავშირი შესამჩნევად შესუსტდა, მაგრამ XV საუკუნის დამლევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კვლავ აღდგა. 1491 წელს კახეთის მეფემ, ალექსანდრე I-მა (1476—1511 წწ.) რუსეთის სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით მოსკოვის დიდ მთავარს, ივანე მესამეს (1462—1505 წწ.) ელჩობა გაუგზავნა.

XVI საუკუნიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უკვე ახალ პოლიტიკურ ვითარებაში გაიშალა. ამიერიდან იგი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების სურვილით ხასიათდებოდა.

საქართველო, რომელიც XII საუკუნეში ერთიან ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მთელი კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა, XV საუკუნეში დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოდ. მოგვიანებით იმერეთის სამეფოს ფაქტობრივად გამოეყო გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები.

XVI საუკუნიდან საქართველო, და მთელი ამიერკავკასია ორი აგრესორის — ირანისა და ოსმალეთის გამძაფრებული ბრძოლების ობიექტად და ასპარეზად იქცა. თურქი და ირანელი დამპყრობლები ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველი ხალხის ასიმილაციას. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი აღსდგა სამშობლოსა და თავისი არსებობის დასაცავად. ამრიგად, XVI—XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია არის თურქი და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ გამართული ბრძოლის ისტორია.

საქართველოს პროგრესულ სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყანას ესაჭიროებოდა საიმედო და ძლიერი მოკავ-

შირე, რომელიც რეალურ დახმარებას გაუწევდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დახმარების მისაღებად მიმართული ყველა ცდა უშედეგო აღმოჩნდა. მხოლოდ რუსეთი გამოდიოდა რეალური მოკავშირის როლში, რადგანაც თვითონ რუსეთი დიპლომატიური იყო ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ მოკავშირეების შექმნით და ბუნებრივია, ინტერესთა დამთხვევაც განაპირობებდა რუსეთ-საქართველოს კავშირის ჩამოყალიბებას.

XVI საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის მეფემ თევდორემ და კახეთის მეფემ ალექსანდრემ კავშირი შეკრეს. ეს იყო ქართული სამეფოს პირველი ცდა — რუსეთის მფარველობაში შესვლის გზით გაერთვია მტრული გარემოცვა, მაგრამ მაშინ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

XVII საუკუნის მანძილზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა სულ უფრო ვითარდებოდა. კახეთის გარდა რუსეთთან კავშირის დამყარება ქართლისა და იმერეთის სამეფოებმაც სცადეს, მაგრამ ირანი და ოსმალეთი ყოველნაირად ცდილობდნენ, არ დაეშვათ საქართველოსა და რუსეთის დაახლოება, რადგანაც ეს მათ დამპყრობლურ გეგმებს ეწინააღმდეგებოდა.

ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ მტრული გარემოცვის გარღვევა ერთ-ერთი პირობა იყო საქართველოს შემდგომი პროგრესული განვითარებისათვის. ითვალისწინებდნენ რა რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს აღმოსავლეთში, მას ერთადერთ საიმედო მფარველად და მოკავშირედ მიიჩნევდნენ.

თავის მხრივ რუსეთი, რომელსაც ესმოდა, რომ საქართველოს სწრაფვა მასთან დასაკავშირებლად გამოწვეული იყო ირანისა და თურქეთის დამპყრობლური ზრახვებისათვის წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობით, მზადყოფნას ამჟღავნებდა საპასუხო მოქმედებებისათვის. მართალია, მაშინ რუსეთმა თავი შეიკავა საქართველოში მამულე ჯარის გამოგზავნისაგან, მაგრამ ერთმორწმუნეობის საფუძველზე მოსკოველი დიპლომატები საჭიროდ სთვლიდნენ ჩარეულებს ირანის საქმეებში, როცა ისინი საქართველოს ეხებოდა. რუსეთი საქართველოს მეფეებს მატერიალურადაც ეხმარებოდა, სახსრებს ხარჯავდა ირანის მიერ დანგრეული ქართული ტაძრების აღსადგენად, გზავნიდა საქართველოში ხელოსნებსა და მხატვრებს.

თურქი და ირანელი დამპყრობლებისაგან დევნილი მოწინავე ქართველი მოღვაწეები, რომლებიც იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ სამშობლო, თავშესაფარს რუსეთში პოულობდნენ. ამგვარად შეიქმნა



XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვში ქართული კოლონია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შედგომ განვითარებაში.

XVIII საუკუნე რუსეთ-საქართველოს ისტორიაში ახალ პერიოდს წარმოადგენს. ამ საუკუნის დასაწყისში ქართულ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებით ქართლის სამეფო დაწინაურდა.

უპირველეს ყოვლისა ეს იყო შედეგი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ხოლო ვახტანგ მეექვსის და მასთან ერთად პროგრესულ მოღვაწეთა ძლიერი დასის ყოველმხრივ ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად ქვეყანამ მნიშვნელოვან კულტურულ განვითარებასაც მიაღწია. მაგრამ ქართლიცა და კახეთიც ირანზე დამოკიდებულ ქვეყნებად რჩებოდნენ, დასავლეთი საქართველო კი ოსმალეთზე იყო დამოკიდებული.

რაც შეეხება სეფიანთა ირანს, იმხანად ის უკვე კრიზისს განიცდიდა. ხან ერთს, ხან მეორე პროვინციას აჯანყების ალი ედებოდა.

ირანის შაჰები ქართველ მეფეებს აიძულებდნენ, რომ სეფიანთა სამსახურში ხმალი ექნიათ. ყანდაარში 1709 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ქართლის მეფე გიორგი XI, ხოლო 1711 წ. ირანში ბრძოლის ველზე დაეცა მეფე ქაიხოსრო. ამის შემდეგ 1712 წ. ვახტანგ მეექვსეს მოუწია ირანში წასვლა. სავსებით ბუნებრივია, რომ მან ქართლის სამეფოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა დაიწყო და დახმარებისათვის ევროპის ქვეყნებს მიმართა. საფრანგეთსა და იტალიაში საგანგებო მისიით სულხან-საბა ორბელიანი გაემგზავრა. მაგრამ არც საფრანგეთის მეფემ და არც რომის პაპმა ვახტანგს დახმარება არ გაუწიეს. ევროპაში საბას მოგზაურობა უშედეგოდ დამთავრდა. ვახტანგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა შაჰის ნება-სურვილს. საქართველოში დაბრუნება მან მხოლოდ 1719 წ. შეძლო.

ამასობაში ირანის მდგომარეობა კვლავ გართულდა. სეფიანთა სახელმწიფოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა ავღანელების შემოსევა. 1722 წლის მარტის დამდეგს მათ ირანის დედაქალაქს ისპაანს ალყა შემოარტყეს და 12 ოქტომბერს კიდევაც აიღეს იგი. ირანის შაჰი სულთან-ჰუსეინი დანებდა ავღანელებს. ალყაშემორტყმული ისპაანიდან მხოლოდ ტახტის მემკვიდრემ თამაზმა შეძლო გაქცევა. მან თავი შაჰად გამოაცხადა, მაგრამ არავითარი ძალა არ გააჩნდა. სხვადასხვა პროვინციებში დაიარებოდა და მომხრეებს ეძებდა.

ოსმალეთმა დრო იხელთა და ირანის დაცემით სარგებლობა მოინ-

დომა. იგი შეუდგა ირანის ტერიტორიების დაპყრობას და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონებას ლამობდა. სამისოდ აქტიურად მოქმედებდნენ დაღესტნელი სურხაი-ხანი და დაუდ-ბეგი.

კასპისპირეთში კი რუსეთის იმპერატორი პეტრე პირველი გარკვეულ ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებს სახავდა. ამდენად იქ ოსმალეთის გაბატონება მისთვის სრულიად დაუშვებელი იყო. ამიტომაც პეტრემ არ დააყოვნა და დიდი ჯარით ასტრახანიდან კასპის ზღვით დაღესტნის სანაპიროებისაკენ დაიძრა. 1722 წლის აგვისტოში პეტრე პირველი დერბენტში შევიდა.

პეტრე პირველთან შეთანხმების თანახმად ვახტანგ მეექვსე ქართველთა ჯარით მივიდა განჯას, სადაც მას სომეხთა ლაშქარიც შეუერთდა. საერთო გეგმის მიხედვით ვახტანგი თავისი ძალებით რუსეთის არმიას დერბენტსა და ბაქოს შორის უნდა შეერთებოდა, რომ საერთო ძალებით აღმოსავლეთ ამიერკავკასია გაეთავისუფლებინათ, მაგრამ დასახული მიზნის განხორციელება ვერ მოხერხდა.

პეტრე პირველი იძულებული გახდა დერბენტიდან უკან დაბრუნებულიყო და კასპისპირეთში ლაშქრობის გაგრძელება მეორე წლისათვის გადაეტანა. ეს გადაწყვეტილება მრავალი მიზეზით იყო გამოწვეული. მოლაშქრე ჯარს სურსათი დააკლდა, რადგანაც ზღვაზე ლღვის დროს პროვიანტი დატვირთული გემები დაზიანდა, რუსთა ჯარში ავადმყოფობამ იჩინა თავი, დიდი რაოდენობით ცხენებიც დაიღუპა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დაიძაბა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა, ამიტომ პეტრე პირველმა ლაშქრობის შეწყვეტა და მომავალი წლისთვის უკეთ მომზადება გადაწყვიტა.

ვახტანგის მდგომარეობა კი გართულდა. ირანში მოხეტიალე შაჰ-თამაზი ურჩი ვახტანგის დასჯას ოცნებობდა. ოსმალეთი ჯარებს თავს უყრიდა ქართლის საზღვართან და ქართლში შესაჭრელად ემზადებოდა. ქვეყნის შიგნითაც ყველაფერი რიგზე როდი იყო. შინაფეოდალური ბრძოლა არ შეწყვეტილა. ვახტანგ მეექვსესა და კახეთის მეფე კონსტანტინეს შორისაც ურთიერთობა გამწვავდა.

ვახტანგი პეტრე პირველისაგან ქართლში რუსთა სამხედრო რაზმის შემოყვანას მოითხოვდა. პეტრე კი არ ჩქარობდა. თუმცა ბოლოს ის დაეთანხმა ვახტანგის წინადადებას და 1723 წლის 19 აპრილს საქართველოში ორი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარის გაგზავნის თაობაზე სათანადო ბრძანება გასცა, მაგრამ გვიანდა იყო. ქართლში მომხდარმა ამბავმა ამ ჯარის ჩამოსვლას დაასწრო.

კონსტანტინე კახთა მეფემ ისარგებლა ვახტანგის გართულებული-  
ლი მდგომარეობით. მან შაჰ-თამაზს ქართლის ტახტი სთხოვა და სა-  
მაგიეროდ ქართველთა ჯარით დახმარება აღუთქვა. თამაზმა კონს-  
ტანტინეს ფორმანი გამოუგზავნა. კონსტანტინეც მიადგა თბილისს თა-  
ვისი ჯარით, რომელშიც დაქირავებული ლეკები იყვნენ. კონსტანტი-  
ნეს მხარს უჭერდნენ აგრეთვე განჯისა და ერევნის ხანები, ვახტან-  
გის საშველად კი იმერეთის მეომრები მოვიდნენ. ბრძოლა სამ თვეს  
გრძელდებოდა. კონსტანტინემ რამდენჯერმე მარცხი განიცადა, მაგრამ  
იარაღს არ ყრიდა და ლეკთა ახალ ძალებს იშველიებდა. 1723 წლის  
მაისის დამდეგს ვახტანგის ბანაკში ღალატის შედეგად კონსტანტინემ  
თბილისის აღება შეძლო. ვახტანგი ცხინვალს გაიხიზნა.

კონსტანტინემ ვერ შეძლო თბილისის შენარჩუნება. 1723 წლის  
ივნისში ოსმალები ქართლში შემოიჭრნენ და თბილისს მოადგნენ.  
კონსტანტინემ უბრძოლველად დათმო ქალაქი. ოსმალებმა დაიკავეს  
ქვეყანა და იქ თავიანთი წესრიგის დამყარება მოინდომეს. ამასობაში  
პეტრე პირველმა კასპიისპირეთის დასაველეთი და სამხრეთი პროვინ-  
ციების დაკავება შეძლო.

1724 წლის 15 ივლისს ვახტანგ მეექვსე იძულებული გახდა მახ-  
ლობელთა დიდი ამალით — 1200 კაცის თანხლებით, რუსეთს გადახ-  
ვეწილიყო. მოსკოვის ქართული კოლონია საგრძნობლად გაიზარდა.

ვახტანგ მეექვსის ისტორია, საქართველოს ტრაგედია ასახა  
„ქართლის ჭირში“ XVIII საუკუნის დიდმა ქართველმა პოეტმა და-  
ვით გურამიშვილმა, რომელიც თვით იყო ამ ამბების მომსწრე და  
უშუალო მონაწილე. ეს პოემა გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე მაღალ-  
მხატვრული ნაწარმოებია, ამავე დროს ძვირფას ისტორიულ წყარო-  
საც წარმოადგენს.

1723—1735 წლებში ქართლ-კახეთის დამონება სცადა ოსმალეთმა,  
1736—1747 წლებში კი კვლავ ირანმა, მაგრამ მოძალადეები ამჯერა-  
დაც დამარცხდნენ.

აჯანყებული ქართველების ბრძოლამ ირანის მბრძანებელი ნადირ-  
შაჰი აიძულა დათმობაზე წასულიყო და 1744 წელს ქართლის მეფედ  
თეიმურაზ მეორე დასვა, ხოლო კახეთში მისი შვილი ერეკლე მეორე.

თვით ირანში მალე დიდი არეულობა დაიწყო. 1747 წელს ნადირ-  
შაჰი მოკლეს და ირანის ტახტის მამიებლები ერთმანეთს დაერივნენ.  
მთელი ირანი დამოუკიდებელ მცირე სახანოებად დაიშალა. ხანებს  
შორის კი დაუსრულებელი ომები გაჩაღდა. ამით ისარგებლეს თეი-



ერეკლე მეორე

მურაზმა და ერეკლემ. მამა-შვილმა ფაქტობრივად ორი სამეფოს გაერთიანება მოახდინეს, ერევნის, განჯისა და ნახიჭევანის ხანებიც დაიმორჩილეს, მაგრამ დაღესტნელი მფლობელების თავდასხმები და ლეკთა თარეში ქართლ-კახეთს დიდ საფრთხეს უქმნიდა.

ლეკთა პრობლემის მოსაგვარებლად და თავიანთი პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის საქმეში დახმარებისათვის თეიმურაზმა და ერეკლემ კვლავ რუსეთს მიმართეს. 1752 წელს რუსეთში გაგზავნეს ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებული ოფიციალური ელჩობა. 1760 წელს კი დიპლომატიური მისიით რუსეთში თვით თეიმურაზ მეორეც გაემგზავრა. მთელი წელი დაჰყო მან რუსეთში და როცა უკან, საქართველოში დასაბრუნებლად ემზადებოდა, პეტერბურგში 1762 წლის 8 იანვარს უეცრად გარდაიცვალა. მეფის ამაღლის წევრებმა თეიმურაზის ნეშტი წამოასვენეს და დაკრძალეს ასტრახანის კათედრალურ ტაძარში, იქ, სადაც ვახტანგ მეექვსე ესვენა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ქართლი და კახეთი ერეკლე მეორის მეთაურობით გაერთიანდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში იმერეთის სამეფო მომძლავრდა სოლომონ პირველის სახელმწიფო მოღვაწეობის პერიოდში. ამის შემდეგ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ურთიერთობა რუსეთთან კიდევ უფრო განვითარდა. მათ მონაწილეობა მიიღეს 1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

ეკატერინე მეორის მთავრობა რუსეთ-თურქეთის ომში მიზნად ისახავდა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს დაკავებას და ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებას, რუსეთი გეგმავდა ოსმალების წინააღმდეგ ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყებას ბალკანეთში და საქართველოს ომში ჩაბმას, რათა თურქეთის ძალები კავკასიაში შეებოჭა.

სოლომონ პირველი ომში ჩაბმით ფიქრობდა რუსეთის ჯარის დახმარებით დაემორჩილებინა იმერეთის ურჩი მთავრები და თავადები, დაებრუნებინა თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწები და საბოლოოდ განედგენა საქართველოდან ოსმალთა დამპყრობლები.

ერეკლე მეორე იმედოვნებდა რუსეთის დახმარებით დაებრუნებინა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი, დაემორჩილებინა ჭარ-ბელექანი და აღეკვეთა ლეკთა თარეში.

1769 წლის 21 მაისს თბილისში სოლომონ პირველი ჩამოვიდა და ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. სექტემ-

ბერში რუსთა სამხედრო რაზმი საქართველოში შემოვიდა. ამ ჯარის სარდლად გენერალი ტოტლებენი დანიშნეს.

1770 წლის აპრილში ქართველთა შვიდათასიანი და რუსთა ათასორასკაციანი გაერთიანებული ლაშქარი აწყურთან მივიდა. ერეკლეს ახალციხის მიმართულებით წასვლა და მესხეთის განთავისუფლება მთავარ ამოცანად მიაჩნდა, ტოტლებენი კი აწყურის ციხის აღებას კატეგორიულად მოითხოვდა. დაიწყო აწყურის აღებისათვის მზადება, მაგრამ მოულოდნელად ტოტლებენმა ბრძოლა შეწყვიტა და აწყურს გაეცალა, ქართლში დაბრუნდა. ერეკლესათვის აწყურთან ყოფნა უაზრო იყო და მან ლაშქრის გამოყვანა დაიწყო. ოსმალებმა შეტევაზე გადასვლა გადაწყვიტეს, ციხიდან გამოვიდნენ და ბრძოლა გააჩაღეს, მაგრამ დამარცხდნენ და კვლავ ციხეს მიაშურეს. ქართველთა ჯარი ასპინძისაკენ გაემართა და 20 აპრილს ასპინძის ცნობილ ბრძოლაში დიდი გამარჯვება მოიპოვა.

ივნისში ტოტლებენი რუსთა ჯარით იმერეთში გადავიდა. სოლომონ პირველმა მის მოსვლამდე ისარგებლა ასპინძის ბრძოლაში ახალციხის ფაშის ძალების დამარცხებით და ოსმალებისაგან ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები გაათავისუფლა. შემდეგ ქალაქი ქუთაისიც დაიკავა და მის ციხეს ალყა შემოარტყა. 2 ივლისს სოლომონი და ტოტლებენი ბაღდადის ციხეს მიადგნენ. ოსმალთა გარნიზონი დანებდა. ამის შემდეგ სოლომონისა და ტოტლებენის გაერთიანებულმა ძალებმა ქუთაისის ციხეს შეუტეეს. მაგრამ მალე ტოტლებენსა და სოლომონს შორისაც გამწვავდა ურთიერთობა. ჯიუტი გენერალი მეფის გონივრულ წინადადებებს არ იღებდა.

ტოტლებენის ბნელი პიროვნება ჯერ კიდევ 1756—1763 წლებში „შვიდწლიანი ომის“ დროს გამომჟღავნდა, როცა ის რუსეთის კორპუსს სარდლობდა. მაშინ მან ფარული მიწერ-მოწერა გააჩაღა პრუსიის მეფე ფრიდრიჰ მეორესთან და მას სამხედრო საიდუმლოებას აცნობებდა. ლალატში მხილებულს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგში ეკატერინე მეორემ იგი შეიწყალა. ასეთი ბოროტმოქმედი სარდლობდა რუსეთის საექსპედიციო კორპუსს საქართველოში. იგი ავანტიურაზე წავიდა, ერეკლე მეფის გადაყენება მოინდომა, სოლომონის საწინააღმდეგოდაც მოქმედებდა. მალე ეკატერინე მეორის კარზე დარწმუნდნენ, რომ ტოტლებენი საქმეს ავნებდა, ამიტომაც იგი საქართველოდან გაიწვიეს და მის ნაცვლად გენერალი ა. სუხოტინი დანიშნეს.



ქართველი მეფეების დასაიმედებლად სუხოტინს დაავალეს შეპირებოდა მათ, რომ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების დადებისას საქართველოს საკითხიც აუცილებლად პოვებდა ასახვას. სუხოტინისადმი დარიგებაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ რუსეთის მთავრობა ოსმალთაგან ფოთის განთავისუფლებით იყო დაინტერესებული.

1771 წლის მაისში სუხოტინი საქართველოში ჩამოვიდა, ხელთუბანში ერეკლე მეორეს, სოლომონ პირველსა და რუსეთის კორპუსის ახალ სარდალს თათბირი ჰქონდათ. სუხოტინის გეგმით რუსეთის სამხედრო კორპუსს ზაფხულშივე უნდა დაეწყო ფოთზე გალაშქრება, ხოლო ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველს უნდა უზრუნველყოთ რუსეთის ჯარის დაცვა ზურგიდან — ახალციხის მხრიდან თურქთა შესაძლო თავდასხმებისაგან. ერეკლემ განაცხადა, რომ ზაფხულში კლიმატური პირობების გამო კოლხეთის ჭაობებში ჯარის მოქმედება შეუძლებელი იქნებოდა. ერეკლე ახალციხის აღებას სთავაზობდა. სოლომონ პირველმა კი მხარი დაუჭირა სუხოტინის გეგმას. ის ფიქრობდა, ამით რუსთა ჯარის იმერეთში გამოყენებას, შემდგომ კი, როცა ხელთუბნიდან გაემგზავრნენ, მანაც ზაფხულში ფოთის ალყის შეუძლებლობაზე დაუწყო ლაპარაკი სუხოტინს.

რუსთა ჯარი, რომელმაც ზაფხულის ყველაზე ცხელ დღეებში შემოარტყა ალყა ფოთს, მართლაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ციებ-ცხელებითა და სხვა სენით დაავადდა კორპუსის უმრავლესობა.

1771 წ. ოქტომბერში სუხოტინმა ფოთს ალყა მოხსნა, ხოლო დეკემბერში ეკატერინე მეორემ გადაწყვეტილება მიიღო, საქართველოდან თავისი ჯარი გაეყვანა.

1772 წლის 5 მაისს რუსთა ჯარმა ქუთაისი დატოვა, 31 მაისს უკვე ცხინვალში იყო, მერე კი საქართველოს საზღვრებს გასცდა.

1771 წლის დეკემბერში ერეკლემ პეტერბურგში საგანგებო ელჩობის გაგზავნა გადაწყვიტა. ამ ელჩობაში შედიოდნენ ანტონ კათალიკოსი და ლევან ბატონიშვილი. ეკატერინე მეორის სახელზე გაგზავნილ წერილში ერეკლე ითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღებას და კონკრეტულ პირობებს სთავაზობდა.

ქართლ-კახეთის ელჩები რუსეთში 1772 წელს ჩავიდნენ. რუსეთის მთავრობამ საქართველოს საკითხზე 1773 წელს იმჯელა და ერეკლე მეორეს წინადადებაზე უარი შემოუთვალა. შედეგი ვერ გამოი-

ლო სოლომონ პირველის წინადადებას. ამჯერად ეკატერინე მეორის მთავრობამ საქართველოში აქტიურ მოქმედებას თავი აარიდა. იგი დაკმაყოფილდა იმით, რომ 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა მუხლი, რომლითაც რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოში თურქეთის უფლებას ცნობდა, მაგრამ თურქეთი უარს ამბობდა იმერეთის ხარკზე. ამით ეკატერინე მეორის მთავრობამ მიაღწია იმას, რომ თურქეთმა აღიარა საქართველოს საკითხში რუსეთის ჩარევის უფლება.

რაც შეეხება ქართლ-კახეთს, მისი საგარეო მდგომარეობა რთული იყო, მაგრამ ერეკლე მეორემ დიპლომატიური ხერხით შეძლო ირანის გამგებელ ქერიმ-ხანთან და ოსმალეთის სულთანთან ურთიერთობის მოგვარება.

პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პროცესიც. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობდა მოსკოვის ქართული კოლონია.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ეკატერინე მეორის მთავრობა შეუდგა კავკასიაში თავისი პოლიტიკის გააქტიურებას. ამიტომ მან გადაწყვიტა ხელშეკრულების დადება კავკასიაში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოსთან — ქართლ-კახეთის სამეფოსთან.

სამხრეთში რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკის გატარება ეკატერინე მეორის მთავრობამ ნოვოროსიის, აზოვის, სარატოვისა და ასტრახანის მეფისნაცვალს, გენერალ-ანშეფ გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინს დაავალა. მეტი ოპერატიულობის მიზნით კავკასიის საქმეები მან ცალკე სამმართველოდ გამოჰყო და მათი წარმოება დაავალა თავის ნათესავს გენერალ-პორუჩიკ პავლე პოტიომკინს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებულ რუსთა ჯარების სარდლად დაინიშნა. გეორგიევსკის ციხესიმაგრე, რომელიც XVIII საუკუნის 70-იან წლებში აიგო, პავლე პოტიომკინის შტაბ-ბინას წარმოადგენდა.

გრიგოლ პოტიომკინმა თავისი კომისიონერის, იაკობ რეინგესის მეშვეობით ქართლ-კახეთის მეფეს — ერეკლე მეორეს შეატყობინა, რომ თუ იგი ეკატერინე მეორის წინაშე რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიღების საკითხს დასვამდა, ამჯერად მის თხოვნას დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებდნენ. 1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე მეორემ ოფიციალურად დასვა ეს საკითხი და თავისი პირობები წამოაყენა.



ეკატერინე მეორემ ხელშეკრულების პროექტის შედგენა დაავალა თავის მრჩეველს საგარეო პოლიტიკის დარგში ა. ა. ბეზბოროდკოს. ბეზბოროდკოს მიერ შედგენილი ხელშეკრულების პროექტი ერეკლე მეორის მიერ წამოყენებულ პირობებს ეთანხმებოდა.

პროექტი იმავეთვე რუსულიდან ქართულად ითარგმნა რუსეთში მცხოვრები ქართველების მიერ, რომლებიც საგარეო საქმეთა კოლეგიაში თარჯიმნებად მუშაობდნენ. 1783 წლის მაისში პოდპოლკოვნიკმა ვ. ს. ტამარამ ხელშეკრულების პროექტი ქართული თარგმანითურთ ერეკლე მეორეს თბილისში ჩამოუტანა. სამეფო საბჭოზე ტრაქტატის პროექტის დეტალური განხილვის შემდეგ ერეკლე მეორემ მისი მიღება გადაწყვიტა, მაგრამ რუსეთში შესრულებული ქართული თარგმანი დაიწუნა. ამიტომ ტრაქტატის პროექტი ქართულად ხელახლა თარგმნეს თბილისში. როგორც ჩანს, ქართული ტექსტის მომზადებაში მონაწილეობა მიუღიათ ქართლ-კახეთის კათალიკოსს ანტონ პირველს და თელავის სემინარიის რექტორს გაიოზს, როგორც რუსეთთან ხელშეკრულების დადების საქმის აქტიურ მონაწილეებს და გამოჩენილ ენათმეცნიერებს.

რუსეთის მხრიდან ტრაქტატის ხელმოწერა პავლე პოტიომკინს დაევალა, ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლებად იოანე ბაგრატიონი (მუხრანბატონი) და გარსევან ჭავჭავაძე დანიშნეს. ხელმოწერის ადგილად გეორგიევსკის ციხესიმაგრე აირჩიეს.

1783 წლის 18 ივლისს საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლები იოანე ბაგრატიონი და გარსევან ჭავჭავაძე გაიოზ რექტორისა და ამაღის თანხლებით (სულ 24 კაცი) საზეიმოდ მიიღეს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში. მრავალჯერადი განხილვის შემდეგ, 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ტრაქტატი ხელმოწერილ იქნა.

გეორგიევსკის ტრაქტატით მეფე ერეკლემ უარყო ირანსა და თურქეთზე თავისი დამოკიდებულება, ცნო რუსეთის მფარველობა და ვალდებულება იკისრა საჭიროების შემთხვევაში თავისი ჯარით აქტიურად ებრძოლა რუსეთის მხარეზე. ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო ფუნქცია იზღუდებოდა, მაგრამ იგი ინარჩუნებდა საშინაო საქმეების მართვის სრულ დამოუკიდებლობას.

ეკატერინე მეორემ ვალდებულება იკისრა დაეცვა საქართველო და ებრძოლა ქართლ-კახეთისათვის ოსმალთა მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დასაბრუნებლად.

გეორგიევსკის ტრაქტატი შედგება პრეამბულის, 13 ძირითადი და






4 საიდუმლო მუხლისაგან, ანუ, როგორც მათ უწოდებენ, სეპარატული არტიკულებისაგან. აგრეთვე ერთი დამატებითი მუხლისაგან, რომელიც ქართველ მეფეთა კურთხევის წესს ეხებოდა. საქართველოს წარმომადგენლებმა ამ მუხლის მიღება გეორგიევსკში მოლაპარაკების დროს მოითხოვეს, მაგრამ ოფიციალურად იგი მოგვიანებით გაფორმდა, ერეკლე მეორის მიერ ტრაქტატის რატიფიცირების დროს. ამიტომ ცალკე, დამატებითი მუხლის სახით ჩამოყალიბდა. 13 ძირითად მუხლ<sup>1</sup> დამატა ფიცის ტექსტი, რომელიც ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის იმპერატორის ერთგულების ნიშნად უნდა მიეღო. დამატებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა სია, რომელიც ერეკლე მეორემ 1783 წლის ივნისში დაამტკიცა და რუსეთის მთავრობას გაუგზავნა.

გეორგიევსკში ხელმოწერილი და გაფორმებული ქართული ტექსტი დაწერილია 46, 3×31, 2 სმ ზომის თეთრ ქაღალდზე მხედრულით. მხარეთა წარმომადგენლების ხელმოწერა დამოწმებულია მათი პირადი ბეჭდებით.

ეს დედანი ამჟამად ინახება მოსკოვში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში. მას ერთვის რუსული ტექსტი, როგორც თარგმანი ქართულისა. ორივე მხარის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილია რუსული ტექსტი არქივებში არ აღმოჩნდა. მართალია 1783 წელს რუსეთის მთავრობამ სტამბურად გამოაქვეყნა გეორგიევსკის ტრაქტატის რუსული ტექსტი, მაგრამ იგი მხოლოდ პრეამბულის, 13 ძირითადი მუხლისა და ფიცის ტექსტს შეიცავდა. ოთხი სეპარატული არტიკული, როგორც საიდუმლო მუხლები, მაშინ არ დაბეჭდილა, მისი ქართული ტექსტი მთლიანად პირველად გამოაქვეყნა ა. ცაგარელმა 1898 წ. ხოლო რუსული ტექსტი — 1902 წ.<sup>1</sup>

1784 წლის 24 იანვარს გეორგიევსკის ტრაქტატი რატიფიცირებულ იქნა ერეკლე მეორის მიერ. სარატიფიკაციო სიგელში, რომელიც დაწერილია 48×34 სმ ზომის ეტრატზე, გამეორებულია გეორგიევსკში ხელმოწერილი ტექსტი სათანადო სარატიფიკაციო შესავლითა და დასკვნით. ცალკეა გაფორმებული 13 ძირითადი მუხლი და ცალკე — 4 სეპარატული არტიკული. ტექსტი მხედრულითაა დაწერილი, ხოლო რუსეთის მეფის ტიტულატურა და სახელი მთავრულით არის გამო-

<sup>1</sup> А. А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, вып. 1, СПб, 1898, с. 99—110; т. II, вып. II, СПб, 1902, с. 38—41.



სოლომონ პირველი



გარსევან ჭავჭავაძე

ყოფილი. ქართლ-კახეთის მეფის ტიტულისა და სახელის მხოლოდ პირველი ასოები წერია მთავრულით. ასევე მთავრულით წერია გ. პოტიომკინის, პ. პოტიომკინის, ი. ბაგრატიონის და გ. ჭავჭავაძის სახელების, გვარებისა და წოდება-თანამდებობის პირველი ასოები, გეოგრაფიული სახელებისა და ყოველი ახალი წინადადების დასაწყისი სიტყვების პირველი ასოები. მკვლევარ თინათინ ენუქიძის დაკვირვებით, ერეკლე მეორის მიერ რატიფიცირებული ტექსტი ქართლ-კახეთის მეფის მდივანბეგ-მდივნის სოლომონ ლიონიძის ხელით უნდა იყოს დაწერილი.

ანალოგიური რუსული სარატიფიკაციო სიგელი ხელმოწერილ იქნა ეკატერინე მეორის მიერ 1783 წლის 21 სექტემბერს. წესისამებრ მოხდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა. თბილისში ჩამოიტანეს ეკატერინე მეორის მიერ ხელმოწერილი რუსული სარატიფიკაციო სიგელი, ხოლო ერეკლე მეორის მიერ ხელმოწერილი ქართული სიგელი პეტერბურგში გააგზავნეს. 1922 წელს ეს სიგელი სხვა ქართულ საბუთებთან ერთად საბჭოთა მთავრობის დადგენილებით თბილისში

ჩამოიტანეს და ამჟამად იგი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

რაც შეეხება ეკატერინე მეორის მიერ ხელმოწერილ რუსულ სარატიფიკაციო სიგელს, რომელიც თბილისში ინახებოდა, დაკარგულად ითვლება. როგორც ჩანს, ის დაიკარგა 1795 წელს თბილისზე აღამაჰ-



გეორგიევსკის ციხესიმაგრე

მად-ხანის თავდასხმის დროს, როცა სამეფო სასახლე, ისევე როგორც საერთოდ მთელი ქალაქი, დანგრეულ და გაძარცვულ იქნა.

ამრიგად, დღეს ჩვენ მოგვეპოვება გეორგიევსკის ტრაქტატის ორი-

ვე ქართული დედანი. ამდენად, ორივე ხელნაწერი, ე. ი. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკი ხელმოწერილი ტექსტი და ერეკლე მეორის მიერ 1784 წლის 24 იანვარს რატიფიცირებული ტექსტიც, ანუ სარატიფიკაციო სიგელი გეორგიევსკის ტრაქტატის დედანს წარმოადგენენ.

1784 წელს პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში პარალელურად რუსულ და ქართულ ენებზე (ქართული ტექსტი — ნუსხურით) გამოქვეყნდა გეორგიევსკის ტრაქტატის პრეამბულა, 13 მუხლი და ფიცის ტექსტი, დამატებად მას ერთვოდა ერეკლე მეორის მიერ 1783 წლის ივნისში ხელმოწერილი ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა სია.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადება 1783 წლის 20 აგვისტოს თბილისში საზეიმოდ აღინიშნა. გაიოზ რექტორმა სიონის ტაძარში წარმოთქვა ორატორული სიტყვა, რომელიც ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ერთ-ერთ ნიმუშად ითვლება. ამ სიტყვის ტექსტი 1959 წელს ჟურნალ „დროშაში“ გამოაქვეყნა შ. ხანთაძემ<sup>2</sup> ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული პირის მიხედვით, ხოლო როგორც ორატორული ხელოვნების ნიმუში გაიოზის სიტყვა განიხილა ნ. კანდელაკმა<sup>3</sup>. 1983 წ. კრებულ „მრავალთავის“ მერვე წიგნში ე. ხომტარიამ გამოაქვეყნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებული სამი დოკუმენტი, მათ შორის გაიოზ რექტორის სიტყვაც კვლავ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული პირის მიხედვით<sup>4</sup>.

გაიოზ რექტორის სიტყვა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის შესახებ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტყვის ტექსტი ინფორმაციის სახით პავლე პოტიომკინმა გადაუგზავნა გრიგოლ პოტიომკინს. რამდენადაც გაიოზ რექტორის ეს სიტყვა ინტერესმოკლებული არ არის, მოვიტანთ მას მთლიანად პავლე პოტიომკინის პატაკში დაცული ტექსტის მიხედვით. მით უმეტეს, სტილისტურად ის ცოტათი მაინც განსხვავდება შოთა ხანთაძისა და ედიშერ ხომტარიას მიერ გამოქვეყნებული ტექსტისაგან.

<sup>2</sup> იხ. ჟურ. „დროშა“, 1959, № 5, გვ. 10.

<sup>3</sup> ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1975, გვ. 194—205.

<sup>4</sup> „მრავალთავი“, VIII, 1983, გვ. 229—231.

## ს ი ტ ყ უ ა

„შეერთებისათვის სამეფოსა საქართუჭლომასა ზოსისის იმპერიისა თანა და თანამდებობითისა მადლობისა ესოდენისათვის მოწყალებისა ღვთისა, თქმული სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს ეკკლესიასა შინა შესაკრებელისა ყოვლად წმიდისა დედისა ღვთისა მიცუალებისასა, წელსა 1783 აგვსტოს 20 არხიმანდრიტის და თელავის სემინარიის რექტორის გაიოსის მიერ.

და აკურთხენ ღმერთმან დრო ესე, და განამტკიცენ მაღალმან მარჯუცნა ეკატერინა დიდისა მფარველობასა ზედა საქართუჭლომასა და განაგრძენ ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან დღენი კეთილმსახურისა მეფისა ჩუენისა ირაკლი მეორისა, აღსარებასა შინა უმაღლესისა ჯელმწიფეებისა ყოვლისა რუსეთის საიმპერატოროსა და ტახტისასა.

მოდრკა ღმერთი უმდაბლესსა თხოვასა ზედა, პირუჭლთა კეთილმსახურთა მეფეთა ჩუენთასა და მიიღო იგი აწ ბედნიერობით მმეფობმან კეთილმსახურმან ჯელმწიფემან ჩუენმან მეფემან ირაკლი, ვითარცა დაუნჯებული მამათა მიერ საუნჯე.

რამე შევსწიროთ შენდა ქუჭლისმოქმედო ღმერთო ჩუენო! ვითარ ცხადვჰყოთ სიდიდე ესოდენისა ქუჭლისმოქმედებისა, რომელიცა მოჰვინე მამულსა ჩუენსა!

გარნა შემძლებელ ვარ თქმად, ვითარმედ ღვთისა მიერი ქუჭლისმოქმედება ესე არა ეგოდენ საკუთარ არს მეფისათვის, რაოდენცა სამფლობელოთა მისათვის. და თუმცა გონიერება თქუენი, პატივსაცემნო მსმენელნო! სრულებით ჰგრძნობს სიდიდესა ამის ღვთისა მიერისა მოწყალებისასა, ვითარცა დაამტკიცებს მხიარულებით ესე შეკრებულება თქუენი, გარნა მიხედეთ დასასრულებითთა მიზეზთა მისთა.

ოდეს აღიძრვს კაცი ჯელყოფად საქმისა რაჲსამე, მყისვე გამოხატავს თვის შორის ვითართამე სასარგებლოთა დასასრულთა, რომლისათვისცა გულსმოდგინე არს სრულყოფად მისთა, სიტყუსამებრ საღმრთოსა წერილისა, ვითარმედ „კაცი საქმისა მიმართ კეთილისა განმტკიცებულ“, და შემდგომად სრულყოფისა საქმისა მის, ჰგრძნობს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა, შემეცნებისამებრ ბრძნისა სოლომონისა: „და ვიხილე, რამეთუ არს კეთილი, რომელ იხაროს კაცმან ქმნულთა თვსთა ზედა, რომელნიცა იქმნებიან შემდგომად მისა“, რომელისა მართლისამებრ ჰაზრისა, რათა პატივგჰსცეთ ბედნიერებითა ამას საქმესა კეთილმსახურისა მეფისა ჩუენისასა და პატივგჰსცეთ, ვი-

თარცა ქველისმოქმედებასა ღვთისა ყოვლისამპყრობელისასა, რომელმანცა უპყრა ველი მარჯუენა ცხებულსა თვსსა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიენასა, მპყრობელსა სრულიად რუსეთისასა, და წინაძლოთა თვსითა დაუვაქნა მთანი იგი შეუვალნი კავკასიისანი, და პორტირისა მისისა საგრილითა დაჰფარა მამული ჩუენი და სკიპტრისა მისისა შარავანდელითა განამტკიცა სკიპტრა კეთილმსახურისა მეფისა ჩუენისა. ჰოი, ნიჭსა ყოვლად მდიდარსა და ქუეშლისმოქმედებასა მალისასა დაუღვენელსა.

ამას ბედნიერობითა შემთხუცვასა შინა ვის ჩუენგანისა არს გული მყარი, რომელიცა არა ჰგრძნობდეს თვს შორის გამოუთქმელსა სიხარულსა და ღღესასწაულობით არა მოუთხრობდეს მილოცვთა ვმასა განსუენებისა თვსისასა.

და უნათგან ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდმო არს, ამისთვს თანამდებ ვართ, რათა მალისადმი მსხუტრპლად სიმართლისად შევსწიროთ მადლობაჲ მგურვალითა გულითა, ვითარცა დასასრულებითი მიზეზი შეკრებულებისა ამის ჩუენისა.

ესევეითარისა მადლობისა დასაბამად ვპყოთ ვედრებაჲ საყდრისადმი ღვთისა ყოვლისა მპყრობელისა სიგრძისათვს ღღეთასა კეთილმსახურისა მეფისა ჩუენისა, ვითარცა მამისა მოღუაწისა, რომელმანცა ძლიერებისა თვსისა სისხლნი წარმოაცალიერნა ოფლითა სიმენისა შრომისათა უენებლად დაცვისათვს სამფლობელოსა თვსისა და მარადლე მიურულებელად ჰსცვიდა ერსა თვსსა გარემოს მყოფთა მძვნვართა მტერთაგან, რომელნიცა ნიადაგ ჰლამოდენ განბძარვასა მისსა, და შემდგომად ესევეითარისა შრომისა და ესევეითარისა ღელვა-გუტმულებისა ნავი სამეფოსა თვსისა სიბრძნისა საჭითა მიაყენა ნავთსაყუდელსა უღელვოსა როსსიისასა, და მგეცთა მათ მძვნუართა. რომელთაცა აღეშკმით პირნი და ბრჭყალნი შთანთქმად და განბძარვად, ერთსა მას განუმზადა მახვლი იგი მკუჭთრი და მეორესა ბურთი ცეცხლისა სოფელსა შინა დიდებულისა და საკვრველისა როსსიისა საჭურველისა, რომელმანცა საშინელითა ქუხილითა თვსითა დააჯანბნა ვითარცა კურდღელნი ლომად მგონებელნი თავთა თვსთანი.

და შენ, სამღუდელოო თავო და მიზეზო! ამის ყოვლისა კეთილობისაო! რომელმანცა სამეფო შენი შემოზღუდე უძლეველითა და სოფელსა შინა საკვრველითა ძალითა როსსიისათა ჰორჭირითა საიმპერატოროსა ტანტისათა მისისათა, წარგრაგენ სკიპტრა მეფობისა შენისა, რომლითაცა დაამტკიცე საუკუნო მშვიდობა და მყუდროე-





გაიონ რეკტორი

ბა ერისა ზენისა და მით სრულჰყავი თანამდებობითი იგი შეკრულება  
შენი, რომლისათვისცა დაგადგინა შენ ღმერთმან თავად ერისა თვისისა.  
ამისთვის მადლობადცა მისა უმეტეს ყოველთასა თავი შენი ათა-  
ნამდებე და ერისა ამის შენისა მსხუჭრბლად ქებისად შეწირული  
მადლობაჲ მართვი ყოვლად მაღალსა, რათა შენმიერისა ამის განზრა-  
ხულისა სიმტკიცე უკუნისამდე ეგოს როსსიისა იმპერიისა ერთობასა  
შინა და აღსარებასა უმაღლესისა კელმწიფებისა როსსიის იმპერატორ-  
თასა. ამინ“.

გეორგიევსკის ტრაქტატს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონ-  
და. ამ დოკუმენტით საქართველომ საერთაშორისო სამართლის ნორ-  
მების მიხედვით სამუდამოდ უარყო ირანსა და ოსმალეთზე თავისი  
დამოკიდებულება, გაემიჯნა მათ, თავი დაიხსნა ამ ქვეყნებში გაბა-  
ტონებული რეაქციის მანენ გავლენისაგან და რუსეთს მიემხრო, ნება-  
ყოფლობით რუსეთის მფარველობაში შევიდა, რითაც საქართველოს  
შემდგომი განვითარების საქმე რუსეთში მიმდინარე პროგრესულ  
პროცესს დაუკავშირა. ყოველივე ამით ქართველი ხალხის მომავალი  
ბედი რუსი ხალხის მომავალ ბედს დაუკავშირდა.

რუსეთის მფარველობაში საქართველოს შესვლას დიდი პოლიტი-  
კური მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამიერკავკასიისათვის, რადგანაც  
იგი ირან-ოსმალეთის უღლისაგან ამიერკავკასიის ხალხების განთავი-  
სუფლების პერსპექტივის მომცემიც იყო.

## ლეილა ნანიტაშვილი


### გიორგი ქართველიშვილი

„გუშინ, 26 სექტემბერს, ტფილისში უეცრივ გარდაიცვალა ცნობილი და დაუვიწყარი გიორგი ქართველიშვილი. განსვენებულმა მეოთხმოცე წლებში ზისრა გაზეთი «დროების» გამოცემა, თავისივე ხარჯით დააბეჭდვინა და შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებას შესწირა «ვეფხისტყაოსანი» ზიჩის სურათებით. საზოგადოდ განსვენებული გიორგი დავითის ძე დიდი გულშემატკივარი იყო ქართულ საზოგადო საქმეებისა და არა ჰზოგავდა შეძლებისდაგვარად დახმარებას. იგი ცნობილი იყო დარბაისელ და ბატოსან თვალსაჩინო მრეწველად<sup>1</sup>, — ასე ლაკონიურად აუწყებდა მკითხველს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გიორგი ქართველიშვილის (1830—1901) გარდაცვალებას და მის დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე, მაგრამ როგორც ზაქარია ჭიჭინაძე შენიშნავს, „თუ ოდესმე ქართული მწერლობის ისტორია დაიწერა, იქ უეჭველია შესაფერის ადგილს დაიჭერს გიორგი დავითის ძე ქართველიშვილის სახელიც“<sup>2</sup>.

მართლაც, გიორგი ქართველიშვილის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა რომ არა, ქართველი მოწინავე საზოგადოების ოცნება განუხორციელებელი დარჩებოდა, — 1888 წელს ვერ დაიბეჭდებოდა მიხაი ზიჩის მიერ დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დღესაც ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ სახელით იხსენიება.

<sup>1</sup> „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1594. 27/IX.

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი, 1904, გვ. 3. ლიტერატურა იხ: სოლ. ცაიშვილი, „სამი მეგობარი“, გაზ. „მუშა“, 1938, № 22 (რეც.: მოამბე, 1904, № 5, განყ. II, გვ. 89—90), ი. მეგრელიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი გამოცემის გამო, „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 9; ი. უზნაძე, ამაგდარი მოქალაქე, „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 12.



გიორგი ქართველიშვილი

„გიორგი დავითის ძე იყო საზოგადო მოღვაწე... სხვადასხვა სამრეწველო და სიჯარადრო საქმეებშიაც დიდად მოხერხებული, საკუთარის ორიგინალურის ნიჭის პატრონი“<sup>3</sup>. უანგარო ქველმოქმედი და ლატაკთა გამკითხავი. ამ თვისებების გამო იგი ერთხმად იყო არჩეული თბილისის ობოლთა გამგეობის მზრუნველად<sup>4</sup>. მატერიალურად ეხმარებოდა რუსეთში სასწავლებლად წასულ ხელმოკლე სტუდენტებს<sup>5</sup>, გარკვეული წვლილი შეჰქონდა ქართული თეატრის აღორძინების საქმეში, „შესაწევარს არ იშურებდა ძველ ტაძართა აღსადგენად და გასამშვენებლად და ასეთს ღვთისა და სამშობლოს სასიამოვნო საქმეში საპატიო ადგილი ეჭირა“<sup>6</sup>. ხოლო „რო-

გორც კაცი, იგი იყო ყოვლად კეთილი და სათნოიანი საზოგადოების წევრი და დიდი მოამაგე ყოველივე ქართველთა საკეთილდღეო დასაწყისისა“<sup>7</sup>.

<sup>3</sup> ზ. ჭიჭინაძე, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი, 1904, გვ. 23.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>5</sup> „ივერია“. 1887, 9. I. № 5.

<sup>6</sup> ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი) გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი (ნეკროლოგი), „ივერია“, 1901, 28 I. № 5.

<sup>7</sup> საქართველოს კალენდარი, 1903, გვ. 460—461; აღსანიშნავია, რომ გ. ქართველიშვილის მეუღლე თამარიც დიდ ქველმოქმედებას ეწეოდა. 1889 წ. თავისი ხარჯით გამოსცა მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“, 1891 წელს კი ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ გ. ქართველიშვილის ოჯახში 25 მან. შეიკრიბა („ივ.“ 15. X. № 219), „განსვენებული თამარი არ იყო არც პოეტი, არც ბელეტრისტი და არც საამდროვოდ განათლებული, მაგრამ სამაგიეროდ ის იყო ღვთისაგან უხვად მომადლებული, ბუნებით გონიერი, მშვიდი, სულით პატიოსანი და გულით წრფელი დედაკაცი; — წერდა ნეკროლოგში დომინიკა მდივანი („ცნობის ფურცელი“ 1898, 2. VII. № 572, იხ. იქვე „მეთვალყურეს“ ფსევდონიმით ხელმოწერილი წერილი, „ცნ. ფ.“ 1898, 2. VII. № 572).



გ. ქართველიშვილი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი და ხაზინადარი. 1887 წელს „ივერიის“ ფურცლებზე საზოგადოება გულითად მადლობას უცხადებდა გიორგი დავითის ძეს ხუთი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ხაზინადარის თანამდებობის შესრულებისა და ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის საზოგადოების სასარგებლოდ<sup>8</sup>.

როდესაც ავადმყოფობის გამო სერგეი მესხმა „დროების“ რედაქტორობას თავი დაანება, ივანე მაჩაბელი კი ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებდა გაზეთის შექმნას, აქაც მფარველად და გამომცემლად გაზეთს ქართველიშვილი მოეგლინა<sup>9</sup>, ხოლო ივანე მაჩაბელს რედაქტორობა მიანდო. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო მან ქართული წიგნის გამოცემის საქმეს. ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ქართველიშვილის მატერიალური დახმარებით, 1885 წელს გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“ (I ნაწილი), „ესეთის შენიშვნებით და ესეთის სახით ჩვენის ძველის ისტორიის წიგნის გამოცემა პირველი მაგალითი იყო იმ დროს“, — წერდა ზაქარია ჭიჭინაძე<sup>10</sup>.

როგორც მ. შარაძე გაზ. „ივერიაში“ აღნიშნავს, „ქართული გალობის ნოტების დაწყოებისა და დაბეჭდვის სასარგებლოდ“ მიუღია გ. ქართველიშვილის შეწირულება<sup>11</sup>, ხოლო იგივე გაზეთი სხვა დროს წერდა, რომ „ბ-ნმა გ. დ. ქართველიშვილმა ცნობილს ფოტოგრაფს ერმაკოვს შეუკვეთა საქართველოს ისტორიული ალბომი“<sup>12</sup>.

„ქართული მწიგნობრობის ასპარეზზედ გიორგი დავითის ძე იცნობდა ყველა მოღვაწესა და მწერალს, — იგონებს ზ. ჭიჭინაძე, — ნამეტურ დიდის პატივისცემით ეპყრობოდა დ. ბაქრაძეს და მასთან კარგი მეგობრობაც ჰქონდა, ხშირად დადიოდნენ ერთმანეთში და ყოველთვის ქართულს მწიგნობრობაზედ ჰქონდა საუბარი. გიორგი დავითის ძეს ძრიელ უყვარდა თამარ მეფის ხანაზედ საუბარი და დ. ბაქრაძესთან — ხშირად ამაზედ ლაპარაკი. დ. ბაქრაძეს გარდა მეტის პატივისცემით ეპყრობოდა ილ. ჭავჭავაძის სახელს, აკაკის და ბევრიც სხვების, როგორც მწერალ-მოღვაწეებისას, ისევე რედაქტორებს, გამომ-

<sup>8</sup> „ივერია“, 1887, 7. II. № 28.

<sup>9</sup> ზ. ჭიჭინაძე, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი, 1904, გვ. 25.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>11</sup> „ივერია“, 1895, VII. № 142.

<sup>12</sup> „ივერია“, 1888, 10. IX. № 189.

ვახუშტი ვ. ს. საქართველომწიგნობისა

# ვახუშტი

## საქართველოს ისტორია

განმარტებული და შეკრებილი ვახუშტის არხეოლოგიისა და  
ისტორიის ქრონიკა

დ. შ. ბაქრაძის მიერ.

საქართველოს  
ისტორიის ინსტიტუტი

საქართველოს საბჭოთაო ქრონიკა

ტფილისი  
1966

საბჭოთა და საბერძნეთის ბიბლიოთეკა

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“

ცემლებს და საზოგადოთ ყველას, ვინც კი ქართული მწიგნობრობის ახლოს იდგნენ, მის გარშემო სტრიალებდნენ, არც ერთი კითხვა მწერლობაში აღძრული გიორგის არ გამოეპარებოდა. იგი კარგად იცნობდა ჩვენს სიტყვაკაზმულს მწერლობას, როგორც ძველს, ისე ახალს<sup>13</sup>. ამიტომაც გიორგი ქართველიშვილმა თავის მოვალეობად ჩასთვალა, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრულად გამოცემის საკითხი წამოიჭრა, საკუთარი წვლილი შეეტანა ამ ეროვნულ საქმეში. „ვინ არ ჰკიდებდა ხელს რუსთაველის გამოცემას, ყველა წიგნის მღაზია, ყველა მესტამბე, ყველა ბუკინისტი ეპოტინებოდა ამ დიად საქმეს, — იგონებს იაკობ მანსვეტაშვილი, — ქართველებშიაც დიდი მოთხოვნილება იყო. წიგნს დიდი გასავალი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ამ გამოცემებს, უმეტეს ნაწილად კომერციული ხასიათი ჰქონდა, მოგებას ეძებდნენ, თვით გამოცემას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ... მდაბიო ხარისხის ქაღალდი, დაუყეილი, დამტვრეული შრიფტი, უგემურად გაფორმებული, კორექტურული შეცდომებით ავსილი, — აი, რა აზასიათებდა უმეტესად ამ გამოცემებს. იმ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა განიზრახა, სწორედ ის ჰქონდა სახეში, რომ ყველა ეს ნაკლოვანება თავიდან აეშორებინა. ეს აზრი დაიბადა პირველად «ივერიის» რედაქციაში ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. ამ აზრის განხორციელება კი მიენდო «წერა-კითხვის საზოგადოებას», რადგან ამ საზოგადოებამ თავს იღო იმ დროს ახალი და ძველი წიგნების გამოცემლობა. როგორი იყო თვით პროცედურა ამ გამოცემისა? ვინ შედიოდნენ წევრებად იმ ჯგუფებში, რომელმაც ეს საქმე ვალად იღო? ჯგუფის შემადგენლობა ასეთი იყო: ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, თედო ჟორდანიანი, ალ. ჭყონია, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი, ალ. მირიანაშვილი, ალ. ჭყონია, ალ. სარაჯიშვილი, ალ. ნანეიშვილი, გ. ყიფშიძე, ი. მანსვეტაშვილი, გ. ქართველიშვილი (საზოგადოების ხაზინადარი) და კვლავ სხვები, რომელთა მოგონებას ხსოვნა მღალატობს“<sup>14</sup>.

ი. მეუნარგია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გაეცნო „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხებს, ხოლო 1878 წელს, როდესაც საქართველოში დაბრუნდა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

<sup>13</sup> ზ. ჭიჭინაძე, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი, 1904, გვ. 18—19.

<sup>14</sup> ი. მანსვეტაშვილი, მცირეოდენი შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე, „მნათობი“, 1937, № 2.

მდევნად<sup>15</sup> აირჩიეს, შეუდგა პოემის ხელნაწერების მოძიებას კრიტიკული ტექსტის დასადგენად.

მ. ჯანაშვილი წერდა: „1880—3 წლებში იონა მეუნარგიამ რომ თავი მოუყარა ქართველ მწერლებს «ვეფხისტყაოსნის» შესასწავლად, მრავლად თავმოყრილ მწერლებში შოთას ნამდვილ მცოდნედ გამოდიოდნენ ნიკო დადიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, გრ. ორბელიანი, რ. ერისთავი და თითო-ოროლა სხვ.“<sup>16</sup> ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რთული და პასუხსაგები სამუშაო ხვდა წილად პოემის ტექსტის დამდგენ კომისიას.

გაზ. „დროებაში“ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციის სახელით რაფიელ ერისთავმა, იაკობ გოგებაშვილმა და იონა მეუნარგიამ შემდეგი მიმართვა გამოაქვეყნეს:

„რაც ჰომერი ბერძნებისთვის იყო, ის რუსთაველი ქართველებისთვის არის. შვიდ საუკუნეში, რომელიც გასულია რუსთაველის დროებიდან, «ვეფხისტყაოსანი» ბევრის გადაწერ-გადმოწერით, ჩამატებით გამოკლებით ისე შეცვლილა, რომ გვერნია, რუსთაველის გენიამ სამჯერ უარპყოს პოემის ავტორობა, სანამ ერთი გამოცემა გაიყიდებოდა. ამიტომ, ქართული ლიტერატურის მოყვარულთ ვალაია, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება, აღადგინონ ნამდვილი პოემა დიდის პოეტისა ისეთისავე მეცადინეობით და მოწიწებით, რა მეცადინეობათაც სხვა ხალხები ეპყრობიან თავიანთ საუკეთესო პოეტებში! მწუსკრიპტებს.

ეს აზრი მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის. ჩვენამდისაც გაუწევიათ ამგვარი შრომა და ბევრსაც ცდილან პოემის აღდგენაზე, მაგრამ ვერ შესძლებიათ ეშოვნათ ყველა ხელთნაწერი ვეფხისტყაოსნები, საიდანაც უნდა ესარგებლნათ და ამის გამო ყველა შეცდომაც ვერ აუცდენიათ წიგნისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას არც აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს ვეფხისტყაოსანში, თუ ეს ცვლილება არ იპოვება თვითონ პოემის სხვადასხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვადასხვა

<sup>15</sup> ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბექდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 91. შდრ. ს.ო.ლ. ცაიშვილი, იონა მეუნარგიას ავტობიოგრაფია, „მნათობი“, 1955, № 2. გვ. 186—187.

<sup>16</sup> მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხობენი, „ტრიბუნა“, 1923, № 469. 15. V.



ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.

ჩვენი განზრახვა არის:

ა. შევათანხმოთ «ვეფხისტყაოსანი» სხვადასხვა ვარიანტებთან. რაც აკლია, შევმატოთ ტექსტს და, რაც ნამეტანია, გამოვაკლოთ (ხელთ გვაქვს ხუთი ხელნაწერი ვარიანტი, კიდევ ველით რამდენსამე).

ბ. დავსხათ პოემაში თავ-თავის ადგილზე მართლწერის ნიშნები. ამ ნიშნების შეცდომას ბევრი ზიანი მოაქვს მკითხველისათვის, რადგანაც მისი გონება ირყვნება გაუგებარი ჰაზრების ზეპირებით.

და გ. თუ შესაძლებელი იქნება, შევიტყოთ — ვინ არიან იმ დამატებათა ავტორნი, რომელნიც არ იქნებიან რუსთაველის ნაწერად ცნობილნი: მოვიყვანოთ წიგნში სრული, ბიოგრაფიული ცნობა რუსთაველზე, შევადგინოთ საზოგადო შენიშვნა «ვეფხისტყაოსანზე» და შევკრიბოთ ცნობა იმაზე, თუ ვის რაგვარი «ვეფხისტყაოსანი» აქვს ამჟამად.

ამ მიზნის მისაწევნელად ჩვენ საზოგადოებისაგან ვითხოვთ:

ა. ვისაც აქვს, დროებით გამოგზავნონ «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში (საცა უნდა მოხდეს «ვეფხისტყაოსნის» რედაქცია) ხელთნაწერი «ვეფხისტყაოსანი», რომელიც შემდეგ შესწორებისა დაუბრუნდება პატრონს უკლებლად და ყოვლის მიზეზის გარეშე.

და ბ. თბილისში მყოფთ ამ საქმის თანამგრძნობელთ ვსთხოვთ მობრძანდნენ, ქვემოთ დანიშნულს დროს ხსენებულ საზოგადოების კანცელარიაში და მიიღონ მონაწილეობა რედაქციის შრომაში.

ყოველ შემთხვევაში, მობრძანდებიან თუ არა, ჩვენ ვსთხოვთ ამ რედაქციაში მონაწილეობა მიიღონ: გ. დ. ორბელიანმა, დ. ი. ყიფიანმა, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსმა, ი. გ. ჭავჭავაძემ, აკ. რ. წერეთელმა, ს. მესხმა, პ. ი. უმიკაშვილმა, ნ. ტ. დადიანმა, დ. გ. ერისთავმა და სხვ.

რომ ყველას შეეძლოს შორიდამაც მონაწილეობა მიიღოს რედაქციაში. ყოველს სხდომაში მომხდარი ცვლილება დაიბეჭდება გაზეთის «დროებაში», რომლის რედაქტორებმა ამ საქმისათვის გვათხოვეს გაზეთის ფურცელი. თითონ რედაქცია ამგვარად უნდა მოხდეს: მთელი «ვეფხისტყაოსანი» უნდა წაკითხულ იქნას 25 საღამოს განმავლობაში. პირველი საღამო არის დანიშნული 24 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში, საპერნაია 41. შემდეგ

ყრილობა მოხდება ორ დღეგამოშვებით და ყოველთვინ ცალ-  
კე იქნება გამოცხადებული «დროებაში».

ყოველგვარი შენიშვნა ამ საქმის შესახებ გთხოვთ გამოიგზავნოს  
თბილისში ამ ადრესით: Иона Меунаргия, При канцелярии Обще-  
ства грамотности, Саперная, 41»<sup>17</sup>.

მომდევნო ნომრის სარედაქციო წერილში გაზეთი დიდად აფასებ-  
და ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ ამ მნიშვნე-  
ლოვან ფაქტს და იქვე დასძენდა: „როცა რომელიმე ხალხი იმისთანა  
მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ვიმყოფებით ამჟამად, რო-  
დესაც ერს თავის ვინაობა ავიწყდება, როცა ის ყველაფერს, რაც  
მშობლიურია, რაც გვარტომობის დამამყარებელია, გულგრილად შეს-  
ცქერის, — ამისთანა დროს ძველი მწერლობის გახსენებას, ძველ მამა-  
პაპეულ ნანგრევთა, ნაშთთა აღდგენას, განახლებას, მოგონებას დიდი.  
განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის; ყველა ეს ამხნევებს,  
თავის თვალში ამაღლებს, აკეთილშობილებს, ახალ იდეალებს აღმოუ-  
ჩენს და ენერგიას უმატებს ამგვარ ერსა. ჩვენის აზრით, სწორედ ამ-  
გვარი მნიშვნელობა აქვს «ვეფხისტყაოსნის» კარგად გამოცემას, აღ-  
დგენას და იმის დამწერის გაცნობას. ამიტომაც აღტაცებით მივეგე-  
ბებით ჩვენ «ვეფხისტყაოსნის» რედაქციის დაარსებასა და სრული  
იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი, რომელსაც კი რითიმე დახმარე-  
ბა შეეძლება, ამ რედაქციის დაეხმარება; ხელს მოუწყობს იმას და  
იმნაირად მძიმე ტვირთს შეუშუბუქებს, ეს საზოგადო საქმეა და სა-  
ზოგადო საქმეში ყველა ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვისაც ამგვარი  
საქმე უკისრნია“<sup>18</sup>.

იგივე გაზეთი აქვეყნებდა პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის  
ანგარიშს გამოცემის მზადებისა და მიმდინარეობის შესახებ<sup>19</sup>. ერთ-  
ერთ ნომერში მკითხველს აუწყებდა, რომ საადგილმამულო ბანკის შე-  
ნობაში გამართულ სხდომას ესწრებოდნენ იმჟამად თბილისში მყოფ-  
ნი დ. ჩუბინაშვილი და ა. ცაგარელი<sup>20</sup>.

მოსე ჯანაშვილი იგონებს, რომ „იმ ხანებში გიორგი ქართველი-  
შვილმა გამართა დიდი წვეულება და დაიპატიჟა ყველა ტფილელი“

<sup>17</sup> „დროება“, 1880, 15. XI. № 241.

<sup>18</sup> „დროება“, 1880, 16. XI. № 242.

<sup>19</sup> „დროება“, 1881, 4. X. 206. ტექსტის დამდგენი კომისიისა და ამ გამოცე-  
მის ბექდვის ისტორია იხ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტო-  
რიიდან (XVIII—XIX სს.), 1966, გვ. 88.

<sup>20</sup> „დროება“, 1880, 16, XI. № 242.



მწერლები. პურობას ჩამოვარდა ლაბარაკი შოთას შესახებ. ილიამ ბრძანა: «ბევრს თავი მოაქვს შოთას თხზულების ცოდნით, მაგრამ ვეჭვ, თუ ვისმე მათგან წაეკითხოს თავიდან ბოლომდე და შეეძლოს მისი შინაარსის გადმოცემა». ჩამოვარდა სიჩუმე. ყველა ერთმანეთს გადახედ-გადმოხედვაში იყო, რომ მასპინძელმა (ქართველიშვილმა) თამადას (ილიას) მიჰმართა სიტყვებით: «ჩემმა ნათესავმა ჯანაშვილი... გადმოცემა საზოგადოების სურვილი დაბეჭდოს ვეფხისტყაოსანი დასურათებულად. მაშინვე მე გადავწყვიტე, გავიღო მაგისტრის ფული. ნუ დაიშურებთ ჩემს ქონებას, ოღონდ ღირსეულად გამოეცით ეგ მართლაც მარგალიტი ობოლი»<sup>21</sup>.

ხოლო იაკობ მანსვეტაშვილი წერილში „მცირეოდენი შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე“ წერს: „აქაც ბედმა არ გვიმტყუნა, გამოგვიჩნდა ხელშემწყობი. ეს იყო გიორგი ქართველიშვილი, კაცი მდიდარი, ხოლო არა მარტო ფულით, არამედ გულითაც. თანაც დიდი მოყვარული და გულშემატკივარი იმ დროს დევნილი ქართულ მწერლობისა. დიდი თაყვანისმცემელი ილიასი და ი. მაჩაბლისა. მან აღგვითქვა დაფარვა მთელი იმ ხარჯისა, რაც კი «ვეფხისტყაოსნის» ამგვარ გამოცემას დასჭირდებოდა. და მართლაც, იაფი არ დაჯდა ეს გამოცემა. ორას თუმანზე მეტი დაიხარჯა. ეს დიდი ფული იყო. ბევრს უკვირდა ამოდენა ფულის გადაყრა ერთი წიგნის დასაბეჭდად. დაგვიცინოდნენ, ქართველების ბედოვლათობას გვიკიჟინებდნენ. მახსოვს, კ. ბებუთოვი, Тифлисский вестник-ის რედაქტორი, კაცი ჭკვიანი, მოსწრებული სიტყვის პატრონი, ესე დაიცინებოდა: ერთი მდიდარი კაცი ჰყავთ ქართველებს და ისიც უნდათ ვეფხისტყაოში გაახვიონო, ე. ი. გააღარიბონო“<sup>22</sup>.

მალე გაზ. „დროება“ შინაურ ქრონიკაში იუწყებოდა: „ბ. გ. დ. ქართველიშვილმა განიზრახა ჩვენი დიდებულის პოეტის შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსნის» ჩინებული გამოცემა. წიგნი უნდა იყოს დიდის ფორმატისა, მშვენიერს ქალღმერთად დაბეჭდილი, ძვირფას ინგლისურს ყდაში, სურათებითა და ავტორის პორტრეტით შემკული, ამ გამოცემისათვის თავდარიგს კიდევ შესდგომიან. ტექსტი შესწორებული იქნება იმ ვარიანტებზე, რომელნიც «ვეფხისტყაოსნის» კო-

<sup>21</sup> მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხოტბენი, გაზ. „ტრიბუნა“, 1923, 15. V. № 469.

<sup>22</sup> ი. მანსვეტაშვილი, დასახ. შრომა, „მნათობი“, 1937, № 2.

მისიამ ამოწერა. სურათების დახატვა უფასოდ უკისრნია გამოჩენილ მხატვარს ზიჩის“...

რუსეთის სამეფო კარის მხატვარმა მიხაი ზიჩიმ (1829—1906), რომელიც 1881 წელს ჩამოვიდა საქართველოში მ. ლერმონტოვის პოემის „დემონის“ ილუსტრაციების შესაქმნელად<sup>23</sup>, სიამოვნებით მიიღო ქართველი ინტელიგენციის წინადადება — დაესურათებინა რუსთაველის გენიალური პოემა. ზიჩის ტიპაჟის შესარჩევად ეხმარებოდნენ „ცოცხალი სურათების“ დადგმით. ვინაიდან მხატვარი „ცოცხალი სურათების მრავალ ვარიანტს ჰქმნიდა და შემდეგ აზოგადებდა მათ; საბოლოოდ აზუსტებდა კომპოზიციას, აყალიბებდა ტიპაჟს და მრავალნაირი შესწორება შეჰქონდა ნაუცბათევედ გაკეთებულ ჩანახატებში“<sup>24</sup>.

ი. მეუნარგიამ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი გააცნო მხატვარს, რათა ის უფრო ღრმად ჩასწვდომოდა პოემის შინაარსს. 1884 წლის 16 დეკემბერს ი. მეუნარგია ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „როგორც ეს წიგნი მოგივიდეს, უთუოდ იმ დღესვე, ან მეორე დღეს მაინც, ზიჩისთან მიდი... (Семеновский переул.), ეს ხუთი დღეა გამიგზავნია მისთვის სურათები და, თარგმანი და ცალკე წერილში მიეწერეთ, ნიკოლაძე მოვა და, თუ რამე საჭირო იქნეს, იმას უთხარი (თუ თქო, არ ვიცი).“ შენ იცი, რასაც ეტყვი თარგმანზე; მე მაგინე, რამდენიც გინდა, მხოლოდ წიგნის დიდება არ დაუმცირო იმას, თორემ გულს აიყრის. უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება საჭიროა-თქო, მთარგმნელი აპირებს კიდევ ორი-სამი თვე ზედ იმუშაოს-თქო“<sup>25</sup>.

თუ რაოდენ მომთხოვნი იყო ი. მეუნარგია საქუთარი თავისადმი, ჩანს იმავე ადრესატისადმი 1885 წლის 9 იანვარს გაგზავნილი მეორე წერილიდანაც: „ეხლა ვგრძნობ ყოველს ნაკლულოვანებას ჩემის თარგმანისას, მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გაბრუნდებულს მევე გავასწორებ“<sup>26</sup>.

<sup>23</sup> „დროება“, 1881, 21. X. № 229.

<sup>24</sup> ბ. გორდენიანი, ზიჩი საქართველოში, 1966, გვ. 43. მიხაი ზიჩის საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ იხ. მ. ქვლივიძე, ვეფხისტყაოსნის დასურათებანი, 1967: Л. Алешина, Михай Зичи, М., 1975; გ. შარაძე, მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა, 1978.

<sup>25</sup> სოლ. ცაიშვილი, იონა მეუნარგიას წერილები, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, 1947, გვ. 146.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 147.

თუმცა ეს ღელვა საფუძველს მოკლებული იყო, რადგან დიდმა ილიამ, 1884 წლის 30 ნოემბერს, თბილისში ფრანგების საქველმოქმედო კომიტეტის წევრებისა და საფრანგეთის ელჩის პატივსაცემად გამართულ შეხვედრაზე გაზეთ „დროების“ რედაქციაში, ასე შეაფასა ი. მეუნარგიას ღვაწლი: „რაკი სამართლიანობის თაყვანისცემით მოვიხსენიეთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა, უმადურება იქნება ჩვენგან დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება. რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისეც რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენს ერის მოღვაწეთა შორის“<sup>27</sup>.

როგორც 1884 წლის გაზ. „დროების“ შინაური ქრონიკა იუწყებოდა: გ. ქართველიშვილის წინადადებით შედგა კომისია. იგი განაგებდა წიგნის ბეჭდვისა და დასურათების საქმეს. „როგორც ვიცით, — დასძენდა გაზეთი, — «ვეფხისტყაოსნის» გამასწორებელმა კომისიამ შეასრულა მხოლოდ ერთი ნაწილი თავისი შრომისა, ნაწილი მცირე და მარტივი. ახლა ახალს კომისიას ვალად ედება უფრო ძნელი, რთული და დიდად საგონებელი საქმე. რაც პირველმა კომისიამ ვარიანტები აღნიშნა, ახლა ახალმა უნდა განიხილოს, უნდა არჩევანში შევიდეს და გამოარჩიოს ის ფრაზა, ის სიტყვა, ის გამარტივება, რომელიც, იმის აზრით, უფრო ეკუთვნის რუსთაველის კალამს...

კომისიაში აურჩევიათ ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, დ. ბაქრაძე, ი. მეუნარგია, პ. უმიკაშვილი და ივ. მაჩაბელი“<sup>28</sup>.

ახლადშექმნილ კომისიას ზიჩიმ 12-ის ნაცვლად 34 სურათის ესკიზი შესთავაზა წარწერით: «В знак моей симпатии и сердечной преданности грузинскому народу», კომისიამ ილუსტრაციები მოიწონა და მიიღო. „მე, ჩემის აზრით, — დასძენდა მხატვარი, — გამოვეცემ არა მარტო ამ 34 სურათს, იქნება სხვებიც მივუმატო და პატარა ფოტოგრაფიული ალბომი დავაბეჭდინო დასავლეთ ევროპისათვის. ამით სახელი და დიდება ქართველების პოეტის რუსთაველისა უფრო ვრცლად მოიფინება. დასასრულ, გთხოვთ მოექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე — ნაზად და სათუთად“<sup>29</sup>.

<sup>27</sup> „დროება“, 1884, 2. XII., 260. აღსანიშნავია, რომ ი. მეუნარგიას პოემის თარგმნასთან დაკავშირებით ვ. ორბელიანმა მიუძღვნა ლექსი — „ნანგრევთა შუა ლამპარი“ (ვ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსები, 1928, გვ. 109; შუნ. გვ. 171).

<sup>28</sup> „დროება“, 1884, 29. IX. № 210.

<sup>29</sup> „დროება“ 1885, 6. IV. № 72.

წიგნი გრაფიკულად გააფორმა მხატვარმა-ქსილოგრაფმა გრიგოლ ტატიშვილმა, რომელიც დიდი რუღუნებით მოეკიდა სამუშაოს. იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გადმოიღო ეკლესია-მონასტრების ფსადების ჩუქურთმები, გრაფიკულად დაამუშავა და წიგნის მხატვრული გაფორმების ელემენტებად გამოიყენა<sup>30</sup>.

გ. ქართველიშვილი წიგნისათვის დართულ ბოლოსიტყვაობაში „გამომცემლობისაგან“ წერდა: „პირველი აზრი სურათებიან «ვეფხისტყაოსნის» დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან. თუმცა ძველისძველი ეგზემპლარი არ აღმოჩნდა, — კომისიისაგან მოპოვებული უძველესი გადაწერილია 1646 წ. — მაინც კომისიამ სხვადასხვა ხელნაწერების, ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრი გამოარკვია, ძველებური მართლწერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო.

სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იკისრა უსასყიდლოდ გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ, რომელსაც ამ დავალებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით. ზიჩის ხელით დახატულიდან ფოტოცინკოგრაფიით ვენაში ანგერერმა გადაიღო; ჩოლო ფერადებული სურათი გაკეთებულია პეტერბურგს ომრეზეს ქრომო-ლითოგრაფიაში.

არშიები, სათაური ასოები და საბოლოები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოსჭრეს პეტერბურგში ლემონმა და მეიმ. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულია ძველის მწერლობიდან და საქართველოს ციხე-ეკლესიებიდან, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს, — მცხეთას, უფლისციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, გელათს, საფარას, კაბენს, ახტალას, ფიტარიურს, სამთავისს, ატენს — თავისი წილი უდევს ამ წიგნში, თავის კვალი აქვს აღბეჭდილი.

ბეჭდვის დროს ყურადღება თავს იდევს თ. ივანე გიორგის ძე მახაბელმა, რომელსაც ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქციაც. მარტის 20, 1888 წ.“.

როგორც აღინიშნა, „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო რედაქცია, პოემის ბეჭდვაზე თვალყურის დევნება და პასუხისმგებლობა ივანე მახაბელს დაევა. „რაც შეიძლება ცდას ნუ დააკლებ, — გამოცემას

<sup>30</sup> მ. უ რ უ შ ა ძ ე, პირველი ქართველი გრაფიკორი გრიგოლ ტატიშვილი, 1958, 83. 100.

# ვეფხის-გყაოსანი

შოთა რუსთაველისა

გამოცემულია გ. დ. ქარაველიძის მიერ

ბო-ღ-ის-  
სტამბა „საქართველოსთვის“  
1938

„ვეფხისტყაოსანი“

შენი სახელი ერქმევა<sup>31</sup>, — სწერდა იონა მეუნარგია სვანეთიდან ივანე მაჩაბელს. უკვე წიგნის ბეჭდვის პროცესში, 1887 წლის 27 აგვისტოს, ივანე მაჩაბელი კი პასუხად იონა მეუნარგიას სწერდა: „შეგებრალები, რომ ნახო ჩემი სიტყვების სია: სად რა, როგორ უნდა იყერებოდეს: შექმნა თუ შეჰქმნა, სდის თუ დის, სულთქმა თუ სულ-თქმა და სხვა ამისთანა დავიღარაბა... როგორ მოგეწონა ოტტისკი, მომწერე, მაგრამ გულს კი ნუ გამიხეთქავ, ღულადის შენიშვნები მეყოფა... შენ კი იცი, იონა! თუ იცი, მანდღამ მაინც მიხსენი. ყველას მოგწონა ეს ოტტისკი. იმედია შენც მოგეწონება, თუ ეს იმედი ჩვენებურ მოწინავე წერილების იმედს არ ჰგავს<sup>32</sup>.

1888 წელს გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“ გიორგი ქართველიშვილის საფასით, რომელმაც პოლიგრაფიული შესრულებით არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მნახველთა აღტაცება გამოიწვია<sup>33</sup>: „ეს წიგნი განძი იქნება სწორედ ყოველ ქართველის ოჯახისათვის და არა გვეგონია, ისეთი ქართველი შეგნებულნი ოჯახი მოიპოვებოდეს, რომ ასეთი სამწიგნობრო სამკაული არ შეიძინოს და ამით არ დაამშვენოს თავისი სახლი“. — წერდა გაზ. „ივერია“<sup>34</sup>.

1900 წელს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ წიგნი ქ. მაინცში გუტტენბერგის საიუბილეო გამოფენაზე გაგზავნა<sup>35</sup>. ამის საპასუხოდ მაინცის ქალაქის თავმა დოქტორმა გასერმა საზოგადოების გამგეობას შემდეგი სამადლობელი წერილი გამოუგზავნა: „თქვენ, თქვენის უმშვენიერესი საჩუქრით, მეტად ღირსეულად პატივი ეცით გუტტენბერგის დღესასწაულს და გუტტენბერგის მუზეუმს. მიიღეთ უმხურვალესი მადლობა თქვენი მშვენიერი საჩუქრისათვის, რომელიც სასახელთა ქართული სტამბისათვის და რომელიც თქვენი მაღალი სულოვანობის ნიშნად დარჩება სამუდამოდ გუტტენბერგის ქალაქში. ეს მშვენიერი ნაწარმოები ჯერ ჩვენ დიდ გამოფენას დაამშვენებს, შემდეგ კი იგი შეიქმნება მშვენივალად გუტტენბერგის მუზეუმისა.

<sup>31</sup> სოლ. ცაიშვილი, იონა მეუნარგიას წერილები, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I. 1947, გვ. 151.

<sup>32</sup> სოლ. ცაიშვილი, ილ. გოგია, წერილები იონა მეუნარგიასადმი, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, 1947.

<sup>33</sup> ივ. არჯევანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური გამოცემა, „სახალხო განათლება“, 1966, 2. II, № 9.

<sup>34</sup> „ივერია“, 1888, 18. III. № 54.

<sup>35</sup> „ცნობის ფურცელი“, 1900, 20. I. № 1020, „კვალი“, 1900, № 7 გვ. 104—105.



ერთხელ კიდევ გიძღვნით უგულთადადეს მადლობას ქ. მაინცის და მის დიდებული შვილის მაგიერ<sup>36</sup>.

წიგნი გაიგზავნა აგრეთვე პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე, რომლის მომწყობ ქართულ კომიტეტს რაფიელ ისარლიშვილი (1843—1918) ხელმძღვანელობდა. ა. ცაგარელმა, სტოკჰოლმში გამართულ ორიენტალისტთა კონგრესზე, სადაც იგი მივლინებული იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ, თან წაიღო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნობათი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც კონგრესის საპატიო თავჯდომარის მეფე ოსკარ II-ის წიგნსაცავის ექსპონატი გახდა<sup>37</sup>.

გამომცემელი ჩვეული გულუხვობით სწირავდა სხვადასხვა დაწესებულებებსა თუ სასწავლებლებს მის მიერ გამოცემულ წიგნებს, მაგ., მამლადავითის ქალთა სამრევლო სკოლას<sup>38</sup>, სათავადაზნაურო გიმნაზიას<sup>39</sup>, ხოლო ვეფხისტყაოსნის 900-მდე და ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ 1000 ცალამდე შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას პირობით, რომ გაყიდვის შემდეგ ნახევარი თანხა მას მიეცემოდა, მეორე ნახევარი კი საზოგადოებას დარჩენოდა<sup>40</sup>.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ღირსეულად დააფასა გიორგი ქართველიშვილის ღვაწლი და საზოგადოების წევრთა საერთო კრებაზე საპატიო წევრად აირჩია იმ პატივისცემისა და მადლობის ნიშნად, რომელიც მას მიუძღოდა საზოგადოების წინაშე. წერილს ხელს აწერდნენ საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე და მდივანი დავით კარიჭაშვილი<sup>41</sup>.

გ. ქართველიშვილმა საზოგადოების გამგეობას 1899 წლის 17 მარტს შემდეგი განცხადებით მიმართა:

„ვიდრე დავიწყებდე, რისაც მოწერა განვიზრახე, მაგალითისთვის მოგახსენებთ ერთს შემთხვევას: როგორც მასსოვს, ჩვენს დიდ ბატონს და წინამძღვარს ქართველთა საზოგადოებისას ილია გრიგორის ძე

<sup>36</sup> „ცნობის ფურცელი“, 1900, 10. II. № 1040.

<sup>37</sup> „ივერია“ 1897, 10. VIII № 103.

<sup>38</sup> „ივერია“, 1889, 22. IX. № 200.

<sup>39</sup> „ივერია“, I, 1888, 2. VI. № 115.

<sup>40</sup> ცსსა. ფონ. 481, აღწ. I, საქ. № 198, ფურ. 332; ს. ლეკიშვილი, რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ, „საისტორიო მოამბე“, 1978, № 37—38, გვ. 328.

<sup>41</sup> საქართველოს მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, სხვადასხვა ფონდი, საქ. № 1, ხ. № 2.

ქვეყნის კახეთში ყოფნის დროს თელავის საზოგადოებამ სადილი გაუმართა და იმ სადილზედ ბევრმა სიტყვა წარმოთქვა, უქეს მოქმედება, რაიცა მიუძღვის ქართველთა საზოგადოების წინაშე, მადლობა გადაუხადა და პასუხად მიუგო შემდეგი: «ბატონებო! ქართველი საზოგადოება მარტო ფულის ხარჯვაში არა ყოფილა უხვი და დაუზოგველი, როგორც დღევანდელ ნადიმზე აღმოჩნდა. ქება-დიდებათაც უხვი და მეტად მხარჯავი ყოფილხართ. ჩემზედ მაგოდენი ქება მომეტებული არის». რასაკვირველია უფრო კარგად იყო ნათქვამი, მხოლოდ მე ვამბობ, როგორც მასსოვს. დღეს მე მინდა ზემოხსენებულ მმართველობას იმავე სიტყვით მივმართო და მოვასხენო, რომ იმ ჯილდოსი, რაც მე საზოგადოებამ მიწყალობა 5-სა მარტს 1895-სა წლისა და მივიღე თავმჯდომარის ხელმოწერილი საბატოო წევრობა, ჩემს თავს ღირსად არ ვთვლიდი. იმოდენა არა დამიმსახურებია რა (თუმც სურვილი დიდი მქონდა). დღევანდლამდენ მაწუხებს, მინამ ცოცხალი ვარ, რითიმე შემევესო და აი ახლა განვიზრახე და მოგმართამთ შემდეგის თხოვნით:

19-ს თებერვალს 1895 წელს მოგართვით 763 ცალი სურათებიანი «ვეფხისტყაოსანი», ყდიანი და უყდო 210 ცალი «ვახუშტის ისტორია». 265ნ ცალი «ვეფხისტყაოსნის» სურათები, 27 კლიშეები, ამ სურათების სათაური ასოები, არშიები და შტამპი იმ პირობით, რაც გასყიდულიყო, ნახევარი ჩემთვის მოგეცათ და ნახევარი საზოგადოებას დარჩენოდა. დღევანდლამდინ არც მომინდომებია და არც მიმიღია, ახლა ჩემი სურვილი ის არის, სულერთიანად შემოვწირო ჩემს საყვარელ საზოგადოებას და ამასთანავე გთხოვთ ჩემი დიდი ხნის სურვილი ამისრულოს — იმ ფულით სტანბა გაიმართოს, თუ შეიძლება, მალე. ასრე რომ, მინამ ცოცხალი ვარ, ვნახო ჩემის თვალით. საზოგადოებისათვის სტანბის გამართვა, მგონია, თქვენგანთ ზოგიერთს მოეხსენება, ჩემი სურვილი იყო მაშინ, როცა სურათებიანი «ვეფხისტყაოსანი» გამოეცით, მაშინვე გადავწყვიტეთ, რაც მოგება დარჩებოდა, იმითი უნდა გაგვემართა. საუბედუროდ, არამც თუ მოგება, თავნიანად შევიდასი თუმანი დააკლდა სარგებლის გარდა. ახლა ახალი და ძველი შემოწირული რომ ფულად იქცეს, რვას თუმანს დაიჭერს, იმ ფარდობაზეც, როგორც დაგვჯდომია; მგონი ადვილად შეიძლებოდეს ხსენებულ სტანბის გამართვა; ესეც უნდა დაუმატო: განსვენებული დიმიტრი ზახარიჩ ბაქრაძესაგან რამოდენიმეჯერ გამიგონია, რომ უთუოდ საჭირო არის ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოებისათვის სტანბა გექონდესო,

რომ შეგვეძლოს ძველი საჭირო წიგნები ვებეჭდოთ და ისრე დავიცვათ ისტორიული განძიო. მას შემდეგ ბევრმა წელიწადმა გაიარა, ახლა მაინც შევასრულოთ. სტანბის გამართვის გამო, როდესაც მსჯელობა გქონდეთ, ვთხოვ ილია გრიგორის ძე ჭავჭავაძეს დაესწროს და, თუ შეიძლება, მეც დავესწრო, ერთსაც ამას ვთხოვ მართველობას; არც ერთს გახეთში არ გამოცხადდეს ეს ჩემი განზრახვა“<sup>42</sup>.

1899 წლის 10 ნოემბერს გამგეობამ გიორგი ქართველიშვილს შემდეგი საპასუხო წერილით მიმართა:

„მოწყალეო ხელმწიფე გიორგი დავითის ძე!

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, მოისმინა შინაარსი თქვენის წერილისა «ვეფხისტყაოსნის» და ვახუშტის «საქართველოს ისტორიის» შემოწირვის შესახებ, თავის სხდომაზედ წარსულ 19 ღვინობისთვის დაადგინა:

შემოწირულობა საპატიო წევრის გ. დ. ქართველიშვილისა მიღებულ იქმნას და შემომწირველს გამოეცხადოს დიდი მადლობა. თანახმად შემომწირველის სურვილისა მისგან გამოცემული წიგნების ფასიდან შესდგეს თანხა სტამბის დასაარსებლად მომავალში, როცა შესაძლოდ დაინახავს გამგეობა. მინამ დაარსებულ იქმნება სტამბა, გამგეობა ვალდებულია ბეჭდოს ძველი წიგნები იმ სარგებლით, რომელიც შემოუვა საზოგადოებას ბ. გ. დ. ქართველიშვილისაგან შემოწირულ წიგნების ფასიდან ზედწარწერით: «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისაგან შემოწირული თანხის სარგებლიდან».

გაუწყებთ რა ამას თქვენდამი საყურადღებოდ, გამგეობა თანახმად თვისი გადაწყვეტილებისა, გიცხადებთ უღრმეს მადლობას ეგრეთი უხვი და გულწრფელი შემოწირულებისათვის. გამგეობა ამასთანავე ღრმად დარწმუნებულია, რომ თქვენ მიერ სამაგალითო შემოწირულება დაედება მძლავრ საფუძვლად ჩვენის სახელოვანი წინაპრების ჭკუაგონების ნაწარმოების გამოქვეყნების საქმეს და მით მიეცემა ჩვენს მოზარდ თაობას უფრო მეტი საშუალება გაიუმჯობესოს აწმყო და მომავალი“<sup>43</sup>.

გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი გარდაიცვალა 1901 წელს: დაკრძალულია დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც თა-

<sup>42</sup> ცსსა, ფონ. № 481, აღწ. I, საქ. № 663.

<sup>43</sup> იქვე, აღწ. I, საქ. № 663, ფურ. 3.

ვისი სახსრებით აღადგინა და სიცოცხლეშივე მიიჩნია საძვალედ. ნიკო ხიზანიშვილი ნეკროლოგში აღნიშნავდა: „განსვენებული გიორგი დავითის ძე დიდის სიყვარულით და იმედით შეჰხაროდა ჩვენს ლიტერატურის აღორძინებას და წარმატებას. საყურადღებოა, რომ განსვენებული განსაკუთრებული ყურადღებით ითვალისწინებდა ჩვენი ლიტერატურის ბედსა და იმის მომავალს და ფულს უხვად გასცემდა, ოღონდ კი მშობლიური მწიგნობრობა აყვავებულიყო. სწორედ ამ მაღალი წადილის მისაღწევად გიორგი დავითის ძემ ათას ორასი თუმანი გადასდო «ვეფხისტყაოსნის» აღსაბეჭდად.

გენიოსის რუსთველის უკვდავი ქმნილება ისრე მდიდრულად და ხელოვნურად გამოსცა, ისეთის მშვენიერის და თვალწარმტაცის სურათებით შეამკობინა, რომ ძვრფასი «ვეფხისტყაოსანი» მართლდაც ყველა ქართველი ოჯახისათვის სასიამოვნო და საუცხოვო სამკაულად შეიქმნა“<sup>44</sup>.

გ. ქართველიშვილის დაკრძალვას ესწრებოდნენ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების და დრამატული საზოგადოების წევრები, ყურნალ-გაზეთების წარმომადგენლები. სიტყვა წარმოთქვა პოეტმა გრ. აბაშიძემ. გორის ეპისკოპოსმა კირიონმა გადაიხადა წირვა და პანაშვიდი<sup>45</sup>, ხოლო კალისტრატე ცინცაძემ განსვენებული დაახასიათა როგორც „ღვთისა და ეკლესიის მოყვარე, მამულისა და სამშობლოს ერთგული, ოჯახისა და ცოლშვილისათვის თავდადებული, განათლები-სა და მწიგნობრობის მოტრფიალე, მღვდელთა და მონაზონთა პატივისმცემელი, ქვრივთა და ობოლთა გამკითხავი, პატიოსნებით აღსავსე დაუღალავი მუშაკი და საუკეთესო წარმომადგენელი ძველი ქართველი, დარბაისელი მამაკაცისა“<sup>46</sup>.

<sup>44</sup> ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი (ნეკროლოგი), ივე-რია, 1901, 28. IX. № 210.

<sup>45</sup> გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის დასაფლავება, „ცნობის ფურცელი“, 1904. 1. X. № 1598.

<sup>46</sup> „მწყემსი“, 1901, № 20, გვ. 12—13.



იოსებ გრიშაშვილი — რედაქტორ-გამომცემელი

„განა ერთი კაცი ცოდვა არ არის ანის-  
თანა საქმეში?“


ი. გრიშაშვილი

ქართული წიგნის მოჭირნახულემ, პოეტმა ი. გრიშაშვილმა თავისი მოქალაქეობრივი ვალი იმითაც მოიხადა, რომ შესაშური ღვაწლი გაიღო ქართველი მწერლების, მისი კლასიკოსების თხზულებათა გამოცემის საქმეში.

ი. გრიშაშვილი ღრმა პატივისცემით ეკიდებოდა წინაპართა მიერ დატოვებულ სულიერ საუნჯეს. მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შთამომავლობისათვის ეროვნული კულტურის ათვისებას, კლასიკოსთა სამყაროს შეცნობას, მათი მემკვიდრეობის შესწავლას.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქართველი საზოგადოება არ იყო განებივრებული კლასიკოსების, ასევე სხვა რიგითი მწერლების თხზულებათა გამოცემებით, ამ მხრივ იგი დიდ ნაკლოვანებას განიცდიდა.

XIX საუკუნეში ფეხადგმულმა და წელში გამართულმა ტექსტოლოგიურმა მეცნიერებამ არსებითად მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან გაშალა ფართო კვლევითი საქმიანობა, რომლის პირველი მაცნე იყო 1914 წელს მ. გედევანიშვილისეულად ცნობილი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული (სამწუხაროდ, მისი მხოლოდ I ტომის გამოცემა მოხერხდა). 20-იანი წლების დასაწყისიდან ტექსტოლოგიურმა საქმიანობამ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო. ს. ფირცხალავას, ალ. აბაშელის, ს. გორგაძის, ს. ხუნდაძის, ვ. კოტეტიშვილის, პ. ინგოროყვას მრავალმხრივ საშვილიშვილო შრომას მხარში ამოუდგა ი. გრიშაშვილი.



იოსებ გრიშაშვილი

კლასიკოსთა მემკვიდრეობის გამოსაცემად მომზადების პარალელურად ი. გრიშაშვილი დიდ დროს ანდომებდა სხვადასხვა ავტორების წიგნების რედაქტორობას. მისი უშუალო რედაქტორობითაა გამოცემული: ნ. ყიფიანის „სიზმარი“ (1916), ლ. ახობაძის „ცხოვრების ტალღები“ (1918)<sup>1</sup>, მ. გურიელის „ირმის ნამბობი“ (1932), ი. ჭავჭავაძის მიერ ამოკრეფილი — „საანდაზო ლექსები“ (1935), ლ. მეტრეველის „ანდაზები“ (1936), ე. ჩერქეზიშვილის „მოგონებანი“ (1937 და 1941), ო. თუმანიანის „თმოგვის ციხის აღება“ (1939), ი. ბალაშაშვილის „ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში“ (1940), დ. გურამიშვილის „აფორიზმები“ (1943), ი. კრილოვის „იგავ-არაკები“ (1944), ალ. შენგელიას „წერილი მამას“ (1945), ა. თევზაძის „დიდება გმირებს“ (1945), ბ. ქვარიას „სამშობლოსათვის თავდადებულნი“

<sup>1</sup> ამ ლექსების წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ 1904 წელს ქმწკ გამაგრცელეებელმა საზოგადოებამ გადასწყვიტა გამოეცა ყველა თაობის პოეტების კრებული სათაურით — „ქართველი პოეტების რჩეული ლექსები“. განზრახულიდან დაისტამბა ერთი წიგნი. გამოსაცემად მომზადებული, ლადო ახობაძის ეს კრებული „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ არ გამოცემულა. 1913 წელს ე. წ. გამომცემლობა „ამქარს“ განუზრახავს 1904 წელს დაწყებული საქმის განახლება-ხორცუმესხმა, პატარა წიგნაკებად გამოეცათ ძველი და ახალი დროის პოეტების „რჩეულები“. პირველი კენჭი კვლავ ლ. ახობაძეს რგებია. დაუბეჭდავთ, მაგრამ საცენზურო კომიტეტს აუკრძალავს გამომცემლობაცა და პირველი წიგნაკიც, ხოლო ლ. ახობაძე დაუბატიმრებიათ. 1918 წელს, როგორც იქნა, ადრე წამოწყებული საქმე დაუმთავრებიათ და კვლავ ლ. ახობაძის წიგნი გამოუციათ იოსებ გრიშაშვილის რედაქტორობით. „ავტორი ამ წიგნისა ეკუთვნის იმ მგოსანთა ჯგუფს, — წერდა ი. გრიშაშვილი, — რომელთა ლეიტმოტივიც უმთავრესად სამოქალაქო ჰანგებით ხასიათდება და ჩვენს ლიტერატურაში იმ წინამორბედთაგანია, რომელნიც ირ. ეედოშვილთან ერთად ებრძოდნენ არსებულ წყობილებას“.



(1945), ნ. ჩაჩავას „რატომ ვერ აგებს ჩხიკვი კარგ ბუდე“ (1945), ი. ნონეშვილის „ლექსები“ (1946), ნ. ჩაჩავას „მტირალი ილო“ (1946), ვ. შუბლაძის „კავკასიონის მთებში“ (1946), პ. ირეთელის „მოთხრობები“ (1946), ი. დვისაძის „ალ. ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფია“ (1947), ილ. ზურაბიშვილის „ოთხი პორტრეტი“ (1948), ხ. ბერულავას „ზღვის სუნთქვა“ (1948), გ. სამხარაძის „საქართველოს ლაყვარდებში“ (1948), პ. სენკევიჩის „ვიდრე ხვალ უფალო“ (1949), ნ. გოცირიძის „მოგონებანი“ (1949), მ. ქორელის „ხინჩლა“ (1951), დონის „ხმაურის გარეშე“ (1951), არ. ლოლუსას „მოგონებანი“ (1954), ს. ცაიშვილის „თბილისი ხალხურ შემოქმედებაში“ (1958), ნ. ღვინფაძის „ეფრო კლდიაშვილი“ (1958), ს. ხუციშვილის „ავქსენტი ცაგარელი“ (1958), დ. გივიშვილის „ლექსები“<sup>2</sup>, „ილია ჭავჭავაძის პორტრეტები და ილუსტრაციები“ (1959), ალ. ბეგაშვილის „ახალი ლექსები“ (1960), ს. ხუციშვილის — „დანიელ ჭონქაძე“ (1960) და იეთიმ გურჯის „ლექსები (1960).

ყველა ავტორი მადლიერი იყო თავისი რედაქტორისა, რაზედაც მეტყველებს მათი წარწერები რედაქტორისადმი მიძღვნილ ცალეზზე. რომლებიც სათუთად ინახება პოეტის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოიცა აგრეთვე კრებულები: „თაიგული“ (1946) და „ლიტერატურული კოლხიდა“ (1948).

სამართლიანი, მომთხოვნი, ფრიად დაუზარელი და დიდად შრომისმოყვარე, კარგი რჩევა-დარიგების მომცემი—ასეთად ესახებოდა ყველას ი. გრიშაშვილი, როგორც რედაქტორი.

მაგალითისათვის მივუთითებთ ივანე კრილოვის „იგავ-არაკების“ საიუბილეო გამოცემას, რომლის რედაქტორი ი. გრიშაშვილი იყო.

„1944 წელს, ივანე კრილოვის გარდაცვალებიდან 100 წლის თარიღის აღსანიშნავად, სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა მისი პირველი სრული კრებული ქართულ ენაზე (რედაქტორი ი. გრიშაშვილი, წინასიტყვაობა პროფ. ს. დანელიასი, რუსული ტექსტისა და ქართული თარგმანების შედარებითი ნუსხის ავტორი — პ. ინგოროყვა)... ასე რომ, მკითხველს ხელთა აქვს დიდი რუსი მწერლის კრილოვის 200 იგავ-არაკის სრული კრებული ქართულ ენაზე“—წერდა ი. გრიშაშვილი.

<sup>2</sup> წინასიტყვაობაში ი. გრიშაშვილი წერდა: „დე, ეს ჩემს მიერ გამოტანილი 25-ლექსი, ერთ კონად შეკრული დარჩეს ამ შესანიშნავი ადამიანისა და ნიჭიერი ხელოვანი პოეტის დ. გივიშვილის სახელად და სავონებლად, რომლის სიმღერები ერთ დროს ძველი თბილისის შნო და ლაზათი იყო“.

ლი წერილის „კრილოვი და აკაკი წერეთელი“ (1944 წ.) მინაწერში<sup>3</sup>. ხოლო თავის სარედაქციო მუშაობაზე იგი მოგვითხრობდა: „ივანე კრილოვის საიუბილეო ტომის გამოცემაზე ბევრი ვიშრომე, არას ვამბობ წინასიტყვაობასა და შენიშვნებზე. თვით წიგნის აწყობისა და გარეგნულ სტამბურ გაფორმებას ვგულისხმობ, შეკრული გვერდებზე ხელახლა გადავაწყობინე, რომ ლექსები ლამაზად ყოფილიყო დალაგებული, რომ პაგინაცია თავიდან ბოლომდე თანამიმდევრულად ჰქონოდა წიგნს და არა ცალ-ცალკე წინასიტყვაობასა და ტექსტს.

წიგნის აწყობის უკანასკნელი ფორმა სრული არ გამოდიოდა, 4 გვერდი აკლდებოდა. ეს გამოიწვევდა შეკინძვის დროს გვერდების უსწორმასწორო დალაგებას. ამის თავიდან ასაცილებლად სარჩევის ტექსტი დავშალე და ორი წყების მაგივრად ერთ წყებად ავაწყობინე, რათა არ გაეჭიმათ და ოთხი გვერდი შემეკრა. მართლაც, სრულ ფორმამდე მივიყვანე. ბეჭდვის დროს თავზე ვადექი და არ მოვშორებივარ, სანამ არ ჩამობეჭდეს. რა ექნა? ასეთი ხასიათი მაქვს. სახელგამის გამგემ ნ. კიკნაძემ მითხრა: ნეტა შენისთანა გამომშვები მომცა სტამბაშიო“<sup>4</sup>.

მაგრამ რედაქტორობა, ჩანს, არ იყო მისი ამპლუა. მისი ჰობი სხვა იყო, კერძოდ, გატაცება, რომელიც კვლევასთან ერთად მოითხოვდა სერიოზულ ტექსტოლოგიური ამოცანების გადაწყვეტას. ამ გადაწყვეტილებამდე იგი ერთბაშად არ მისულა. ჯერ პატარა კრებულებს ადგენდა და ბეჭდავდა, მერე ე. წ. მივიწყებულ ავტორებს დაუწყო პატრონობა და საბოლოოდ მაინც კლასიკოსთა ტყვეობაში აღმოჩნდა, რომელთა თხზულებების გამოსაცემად მომზადებას მან მრავალი წელი შესწირა. „მკითხველი ადვილად მიხვდება, — წერდა იგი, — რამდენი თავის მტვრევა, გონების დაძაბვა, გულთათმენა დამჭირდებოდა ამ მასალის... განჩხრეკისათვის“<sup>5</sup>. მართლაც, დიდი დრო და ენერგია შეაღია გრიშაშვილმა რედაქტორ-გამომცემლის რთულ, უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობის აღსრულებას.

მკითხველისათვის შეუძმნეველი რჩება რედაქტორ-გამომცემლის მიერ წლების განმავლობაში რუდუნებით ჩატარებული შრომა, იგი მხოლოდ შრომის ნაყოფის მნახველი და მჩხრეკელია, გამოცემულის წამკითხველი და შემფასებელი. რამდენი უძილო ღამე, რამდენი განს-

<sup>3</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, თხზ., IV, გვ. 195.

<sup>4</sup> მნათობი, 1980, № 7, გვ. 176.

<sup>5</sup> ალ. ჭ ა ვ ჯ ა ვ ა ძ ე, ლექსები, „ფედერაცია“, 1940, გვ. X XVI.



ჯა და ფიქრი, რამდენის ძიება სინძველეთა საცავებსა თუ პერიოდულ გამოცემათა კომპლექტებში, კერძო არქივებისა და მემუარულ ლიტერატურაში დასჭირდა ი. გრიშაშვილს, როგორც რედაქტორ-გამომცემელს, ვიდრე იგი გამოაქვეყნებდა „საიათნოვას“ და ავქსენტი ცაგარელის „კომედიებს“, ნ. ბარათაშვილისა და ალ. ჭავჭავაძის „ლექსებს“, აკაკი წერეთლის თხზულებათა ტომეულებს.

„Тяжело, брат, тяжело“ — არაერთხელ წარმოუთქვამს მას სულიერი თუ ფიზიკური დაძაბულობის გამომხატველი ეს ფიგურალური თქმა (არავის ეგონოს, რომ მას ეს გამოთქმა „ნასესხები“ ჰქონდეს პეტრე ბობორიკინისაგან.), მაგრამ შრომის სიმძიმეს გრიშაშვილი არასოდეს შეუშინებია, პირიქით, თავისი დინჯი, მუდამ შემართებული ძიებით სძლევდა სირთულეს და თავისი ნაშრომ-ნაღვაწით ამდიდრებდა მშობელი ერის სულიერ საგანძურს და თავის მომადლებულ ნიჭს „მუდამ საჩხრეკი“ საქმის საკეთილდღეოდ წარმართავდა.

1918 წელს გამოცემულ „საიათნოვას“ გრიშაშვილმა დაურთო ამ ცნობილი აშუღის ლექსებიც, რომლებიც მას მოუპოვებია სხვადასხვა ხელნაწერის შესწავლა-დამუშავების პროცესში.

საიათნოვას ქართული ლექსები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „სალხინო საზანდარში“ დასტამბულ ორიოდე დამახინჯებულ ლექსს), ასე სრულად პირველად ი. გრიშაშვილმა დაბეჭდა. „ჩვენს მიერ გამოქვეყნებული საიათნოვას ლექსები, ეს დიდი ნაკლია, — რასაკვირველია, არ არის ავტორის ხელნაწერიდან გადმოღებული“, გვაუწყებს რედაქტორ-გამომცემელი, — არამედ ნაბოვნი გვაქვს აქა-იქ გაბნეულ სხივის ხელნაწერებში და დაბეჭდილ თუ დაუბეჭდავ სახელმძღვანელოებში. ჩვენ მოვიძიეთ სულ 28 ლექსი. ათი გადმოწერილი გვაქვს ქშუჭკვ და სსა ხელნაწერებიდან (№ 3386, გვ. 39, 41, 44, 45, № 1576, გვ. 40, № 2385, გვ. 31, 95, № 1593, გვ. 35; № 3723 და სხვ.). სამი ლექსი გადმობეჭდილია ილია ჭავჭავაძის „ივერიიდან“ (1877 წ; №№ 28, 30) და 15 ლექსი კი გამომიგზავნა აკადემიკოსმა ნიკო მარმა, რომელსაც ამოუღია პეტროგრადის სააზიო მუზეუმის ხელნაწერებიდან (№ 222). ამ ხელთნაწერს... შემდეგი წარწერა აქვს: „ეს წიგნი საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა არის: საათნამას (I) შვილმა იოანემ დამიწერა თავის მამის საათნამას (!) ლექსები იმის სამასსოვროდ“. როგორც გრიშაშვილი აღნიშნავს: „ივან სეიდოვს (საიათნოვას ვაჟს, რომელსაც მითითებული ხელნაწერი გადაუწერია 1823 წლის 23 მარტს. ი. ლ.) „ცუდი ხელის“ გარდა, ქართულიც ცუდად სცოდნია,

ლექსები დაუწერია საძაგლად... მინაწერიდან სჩანს... რომ ივანეს ლექსები ზეპირად დაუწერია, რის გამოც მრავალი შეცდომა დაუშვია, ბევრს ალაგას ცენზურაა დარღვეული, სიტყვები შეცვლილია, კუბლექტები უშნოდ არის გადასმულ-გადმოსმული და ... ამ რვეულიდან, რის ვაინაჩრობით, მხოლოდ 15 ლექსი გადმოვიღე, მსურდა ზოგიერთი დამახინჯებული ლექსისათვის ქუშტარა გამეკრა... მაგრამ გამახსენდა დავით რექტორის სიტყვები, რომელმაც შამჩიმელქოს ლექსების გადაწერის დროს სთქვა: „როგორც უთქვამს, ისრე არის გადაწერილი, გამართვა უმართებულოაო“, და მეც უმჯობესად ვცანი ეს დამახინჯებული ლექსები სულ არ შემეტანა კრებულში. ზოგიერთ ლექსს კი ზედმეტი ხორკლები მოვაცალე, ესეც ისე რაღა — ზერელედ. ხოლო თვით ლექსის ტანს კი არა შევხებვიარ“...

აშუღური პოეზიის ტრადიციით ავტორ-მთქმელი ლექსში თავისი ვინაობის შესახებ რაიმე ცნობას ურთავდა. ასე იქცეოდა საიათნოვაც, რასაც რედაქტორ-გამომცემელიც ადასტურებს: „საიათნოვა ყოველ ლექსს თავის გვარს ატანს ხოლმე... ავტორის გვარის გალექსვა ლექსში, ეს ძველი ყაიდაა და, როცა ჩვენ ვათვალიერებდით ძველ ხელთნაწერებს, ნებისთ თუ უნებლიეთ ყველა ხელთნაწერი უნდა წაგვეკითხა და, რომელ ლექსშიაც სიტყვა „საიათნოვა“ იყო გარითმულ-გალექსილი, იმ ლექსს გადმოვწერდით ხოლმე“...<sup>6</sup> ეს სწორი, პრაქტიკაში გამართლებული პრინციპი აღუღია ი. გრიშაშვილს სახელმძღვანელოდ და მისი გამოყენებით შეურჩევია ის 28 ლექსი, რომელიც მის მიერ შედგენილ კრებულში შეიტანა.

„ჩემს მიერ გამოქვეყნებული ლექსებით ვერ დაფასდება საიათნოვას ნიჭი, — წერს გამომცემელი, — განა არ ვიცი, რომ ერთი უშნო სტრიქონი მთელ ლექსს აფუჭებს და რამდენიმე უხეირო ლექსი — მთელი კრებულის შთაბეჭდილებას ანელებს?.. მაგრამ თუ მაინც გავბედე და დავბეჭდე საიათნოვას ლექსები, მარტო იმიტომ, რომ მკითხველმაც იქონიოს ერთგვარი წარმოდგენა საიათნოვას ქართულ ლექსებზე და დარწმუნდეს აგრეთვე, თუ რაოდენი განსხვავება შეიძლება იყოს ავტორის საკუთარი ხელით დანატოვარ ნაწერს და ვინმე მკრეხელის ხელით გადაწერილს შორის“.

საესებით საღი განსჯაა რედაქტორ-გამომცემლისა!

<sup>6</sup> ტ. III. გვ. 66—70, საიათნოვას ლექსებზე მან სხვა წერილებიც გამოაქვეყნა. იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, № 27; „მნათობი“, 1934 წ, № 7—8; „საბჰოთა ხელოვნება“, 1935, № 3, გვ. 95—96.

საიათნოვას ლექსებს მან დაურთო იმ სიტყვების ახსნა (ლექსიკონი), რომლებიც ავტორს აქვს ნახმარი თავის მუშის ნაყოფში. ლექსიკონი სრულად ასახავს სიტყვების განმარტებას. ასევე აქვს ახსნილი და განმარტებული ი. გრიშაშვილს საკომენტარო სიტყვებიც (მაგალითად, თ უ რ ა ნ ი — თურქეთის ძველი სახელწოდება, ლ ა ი ჯ ა ნ ი — სოფელია და ა. შ.), რომელიც სალექსიკონო მასალისაგან გამომცემელს გამოყოფილი არა აქვს.

კრიტიკული დამოკიდებულება ამ ტექსტის მიმართ არ არის გამოცხადებული, რამდენადაც მასში „ავტორის ნების“ რაიმე ნიშნის ძიება უშედეგოა. ამიტომ მკითხველი უნდა ენდოს ი. გრიშაშვილის ტექსტოლოგიურ ალღოს, ტექსტის მისეულ ინტერპრეტაციას.

გრიშაშვილს მიზნად ჰქონდა „დავიწყებულთა და გამორჩენილთა“ ვახსენება. ამ „სერიის“ პირველი ნიმუში გრიგოლ რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონები“ იყო, რომლის გამოცემა მან 1926 წელს განახორციელა. „გ. ერისთავის „ცისკრიდან“ მოყოლებული ივ. კერესელიძის „ცისკრის“ ჩათვლით გრ. რჩეულიშვილს არ შეუწყვეტია ამ ჟურნალში თანამშრომლობა. დაწერილი და თარგმნილი აქვს მრავალი მოთხრობა... ყველაზე პოპულარულია „ქვრივის ლიმონები“ (1857 წ.), „ანუკა ბატონიშვილი“ (1869 წ.) და „თამარ ბატონიშვილი“ (1862 წ.)... „ქვრივის ლიმონები“ პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა 1857 წლის ოქტომბერში“. — ასე გვაწვდის ამ და მასთან ერთად სხვა საინტერესო ცნობებს, რჩეულიშვილის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ ი. გრიშაშვილი შესავალ წერილში „გრიგოლ რჩეულიშვილი“<sup>7</sup>.

1927 წელს გრიშაშვილმა გამოსცა ირ. ევდოშვილის სკოლის წარმომადგენლის, ოცი წლის წინათ გარდაცვლილი, სოლო გოშაძის „ლექსები“. მოკლე წინასიტყვაობაში გამომცემელი წერდა: „მე არა ვარ სოლო გოშაძის ნათესავი, არც ის ვიცი, დარჩა განსვენებულს ვინმე თუ არა?... მე, როგორც საზოგადოების ერთმა წევრმა, მოვალედ ჩავთვალე ჩემი თავი, შემეკრიბა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული მისი ლექსები და ცალკე წიგნად გამომეცა“<sup>8</sup>. ი. გრიშაშვილის არქივში დაცულია სოლო გოშაძის „ლექსების“ დასაბეჭდად წარდგენილი ხელნაწერის ცალი (დასაბეჭდად ნებადართულია 1927 წლის 10

<sup>7</sup> გრ. რჩეულიშვილი, ქვრივის ლიმონები, ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, ტფილისი, 1926.

<sup>8</sup> სოლო გოშაძე, ლექსები, „შრომა“, 1927 წ. ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით. ამ გამოცემას გამოეხმაურა „კომუნისტი“ 26. I, 1927 წ.

იენისს). მასზე ი. გრიშაშვილს წაუწერია: „ეს წიგნი აწყობილი იყო, როცა თელავიდან ჩვენი მიმართვის საპასუხოდ პოეტის სიძის ნიკო აზიკაურისაგან მივიღეთ წერილი, სადაც ნათქვამია, რომ განსვენებულ სოლო გოშაძეს ბევრი ხელნაწერი ლექსები დარჩენია, სასურველია გადაიღვას ნაბიჯი ამ ხელნაწერების განხილვისა და გამოქვეყნებისათვის“.

1928 წელს ი. გრიშაშვილმა გამოსცა ს. გუგუნივას „თამარიანი“, რომელსაც საინტერესო შესავალი წერილი დაურთო<sup>9</sup>.

სერიის „დავიწყებულნი და გამორჩენილნი“ ბოლო გამოცემა შიო მღვიმელის „სიმღერები“ იყო, რომლის წინასიტყვაობაში გამომცემელი წერდა: „მინდოდა გამომეცა ის პოეტები, რომელნიც ასე თუ ისე ჩრდილში იყვნენ მიმსხდარნი. დაბეჭდვით მხოლოდ ორი წიგნი: ლადო ახობაძის (1918 წ.) და სოლო გოშაძის (1927 წ.) ლექსები, დაუმთავრებელი დამრჩა: ცახელი, დ. თომაშვილი, გ. ახოსპირელი, ა. ყაზბეგი (მხოლოდ ლექსები), ი. ბაქრაძე, განდევილი, მ. ლელაშვილი, კორტოხა (ძიმისტარაშვილი), გ. დვანაძე, რ. ალისუბნელი (ჩიკვაძე). მ. გორდელაძე, ლ. დარჩია, თანამედროვეობამ ბევრი სახელი აღადგინა, ბევრი მტვერნასვამი ფოლიანტი გამოამწევა. სიტყვის ოსტატისადმი ასეთი შეუწულებელი მზრუნველობა ჩვენი ეპოქის დამახასიათებელია. ამჟამად შიო მღვიმელზე მინდა ჩამოვავადო სიტყვა... როცა 1938 წელს შიო მღვიმელის მოქალაქეობრივ ჰანგზე დაწერილი ლექსები შევკრიბე და გამოვეცი, ამოდ როდი ვუწოდებ ამ წიგნს სათაურად „სიმღერები“, ის მართლაც სახალხო სიმღერები იყო“<sup>10</sup>.

„დავიწყებულნი და გამორჩენილნი“ გრიშაშვილისეული პათოსის არსია პოპულარულ გამოცემად აქციოს მის მიერ გამოცემული ავტორების ნაწერები, გახადოს ისინი ხელმისაწვდომი თანამედროვეთათვის. ასეთი კრებულების გამოქვეყნებისას მას წინ არავითარი ტექსტოლოგიური ხასიათის სიძნელე არ ელობებოდა, არ უხდებოდა რთული ძიებების ჩატარება.

1929 წელს პ. უმიკაშვილის გარდაცვალების 25 წლისთავთან დაკავშირებით ი. გრიშაშვილს გადაუწყვეტია განმეორებით გამოეცა ამ გამოჩენილი მოღვაწის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი „ლაზარი-

<sup>9</sup> ს. გუგუნივა, „თამარიანი“, ტფილისი, 1928 წ. წინასიტყვაობა დაურთო ი. გრიშაშვილმა.

<sup>10</sup> შიო მღვიმელი, სიმღერები, შეკრიბა და წინათქმა დაურთო ი. გრიშაშვილმა, „ფედერაცია“, 1938.

ლიო ტორმესელის ცხოვრება“. მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ლაზარილიო, ალბათ, ახალგაზრდას არ წაუკითხავს, მე კი დიდის ხალისით ვკითხულობდი ბალღობისას და აღტაცებით ვკითხულობ ეხლაც... ბევრს არაფერს ვიტყვი ამ მოთხრობის შესახებ, მკითხველი თვითონ მიხვდება მის აკარგიანობას... აქ აღწერილი ზოგიერთი პერსონაჟი, რომლებიც დ. კლდიაშვილის და გ. წერეთლის ტიპებს ენათესავებიან, მეტად მძლავრი შტრიხებით არის ასახული... ეს მოთხრობა პირველად 1899 წელს დაიბეჭდა და მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. „კვალის“ რეცენზენტი აღფრთოვანებით მიეგება ამ მოთხრობას... არტურ ლასტი ასე გადმოგვცემს ილიას აზრს „ლაზარილიოზე“: „მე კარგად მახსოვს: ჩვენი ხშირი საუბრის დროს ის (ილია ჭავჭავაძე) აღარებდა ქართველ ხალხს ესპანელებს, რომელთაც მართლაც ბევრი საერთო მოეძებნებათ ხასიათში... არ ვიცი მიაქციეს თუ არა ყურადღება ამ პაწია თხზულებას ქართველმა მწერლებმა, ილია ჭავჭავაძე კი ამ თხზულების კითხვის დროს ბევრს იცინოდა და ამბობდა: ჩვენს საქართველოში ბევრია ასეთი ლაზარილოებიო“ („თემი“, 1912; № 69). ეს მოთხრობა ისეთი გონებამახვილური სიცინცხლით არის განოყიერებული, ისეთი მარტივი და ამასთანავე შიგ გაბნეულია სოციალური აზრები, რომ ვისაც კი ის ერთხელ წაუკითხავს, არ შეიძლება მეორედაც არ გადაიკითხოს. თარგმანი ეკუთვნის პეტრე უმიკაშვილს (1838—1904), ამ დაუღალავ და უანგარო მოღვაწეს, მწერალს. უმიკაშვილი დიდი ოსტატი იყო ქართული ენის ბუნებისა და ეს მრავალმხრივი შესანიშნავი მოღვაწე, რომელიც ერთი მადლიანი მონოგრაფიის ღირსია, ამ მოთხრობით მაინც მოვიგონოთ და აღვნიშნოთ მისი გარდაცვალების 25 წლისთავი“<sup>11</sup>. თხზულების მეორე გამოცემის განხორციელება მან ვერ მოახერხა, თუმცა ცდა მისი დაბეჭდვისა 1931 წლამდე არ შეუწყვეტია<sup>12</sup>.

1936 წელს მან ტექსტოლოგიურ საქმიანობაში პირველი დიდი წარმატება მოიპოვა. ამ წელს გამოსცა ავქსენტი ცაგარელის თხზულებათა სრული კრებული. „ავქსენტი ცაგარელის გამოუცემლობა ხინჯად მქონდა გულში. 1936 წელს ამისათვის მოვიცალე და დიდი ხნის

11 ი. გრიშაშვილის არქივი, I—1623.

12 გრიშაშვილს 1931 წლის ბოლომდე არ მიუხედავია თავი განზრახულის განსახორციელებლად, რასაც წინასიტყვაობის გვიანდელი სქოლიო გვიდასტურებს: „უკანასკნელი აკადემიური გამოცემიდან“ (იგულისხმება რუსული გამოცემა — ი. ლ.) ირკვევა, რომ მენდოზა არ არის ამ ნაწარმოების ავტორი.

ნანატრი დაგვიანებით შევისრულე. ჩემი რედაქციით გამოცემულ წიგნში მოთავსდა ა. ცაგარელის ყველა ორიგინალური კომედია (სულ ხუთი აქვს). დამატებით დავებეჭდეთ მისივე „მოგონებანი“, რომელიც მუდმივი დასის საქართველოს დაბა-ქალაქებში მოგზაურობას ეხება. თვითიველ ნაწარმოებს დავურთეთ ვრცელი შენიშვნები, მათი დაწერის, დადგმისა და სხვა თარიღების აღნიშვნით. იქვეა ლექსიკონი, ახსნა იმ სიტყვებისა, რომლებიც ა. ცაგარელის კომედიებში გვხვდება. აქ არის აგრეთვე ა. ცაგარელის დაუბეჭდავი ნაწერების სია“, — წერდა შესავალ წერილში რედაქტორ-გამომცემელი.

გამომცემელს ხელთ ჰქონია ა. ცაგარელის პიესების ყველა ნაბეჭდი წყარო, ტექსტის დასადგენად მას გამოუყენებია „ხანუმასა“ და „ციმბირელის“ ავტოგრაფებიც (სამწუხაროდ, როგორც ამ გამოცემაში, ისე საერთოდ, ი. გრიშაშვილი მის მიერ განხორციელებულ გამოცემებში არასოდეს არ ეხება ტექსტის ისტორიის საკითხს, რაც მისი, როგორც ტექსტოლოგის, ერთ-ერთი ნაკლთაგანია).

ორიგინალურია გამომცემელი სარედაქციო შენიშვნებში. აქ იგი არ იშურებს ცოდნას ყოველგვარი ხასიათის ცნობების მოსაწოდებლად. ასეა ეს ა. ცაგარელის თხზულებათა შენიშვნებშიც. იგი ამომწურავად მოგვითხრობს ცალკეულ დადგმებზე, მათ პოპულარობაზე, მონაწილეებზე. მათ მიერ როლების შესრულების ავ-კარგზე, თარგმანზე და იმ საოპერო დადგმაზე, რომელსაც „ხანუმა“ დაედო საფუძვლად.

გამოცემას ამშვენებს ლექსიკონი, სიტყვათა განმარტებანი ამომწურავია.

ავქსენტი ცაგარელის ნაწერების ი. გრიშაშვილისეულ გამოცემას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, ის ინარჩუნებს სამაგალითო გამოცემის სახელს. ა. ცაგარელის გამოცემის პრინციპი მან მთლიანად და უცვლელად გაიმეორა 1950 წელს ცნობილი სომეხი დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცის პიესების ქართული გამოცემისას<sup>13</sup>. წინასიტყვაობაში გრიშაშვილი გვამცნობს, რომ: „წინამდებარე ერთტომეულში დაიბეჭდა გ. სუნდუკიანცის ყველა გახმაურებული პიესა, რომელიც ქართულ სცენაზე დიდი წარმატებით იდგმებოდა. თხზულებანი ნათარგმნია ძველი მთარგმნელების მიერ. ჩვენ განგებ ავუარეთ გვერდი სუნდუკიანცის პიესების ახალ თარგმანებს, სადაც სუნდუკიანცური ძველი თბილისური ენის კოლორიტი დაკარგულია.

<sup>13</sup> ვ. სუნდუკიანცი. პიესები, „საბჭოთა მწერალი“, 1950.



ლიო ტორმესელის ცხოვრება“. მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ლაზარილიო, ალბათ, ახალგაზრდას არ წაუეკითხავს, მე კი დიდის ხალისით ვეკითხულობდი ბალობისას და აღტაცებით ვეკითხულობ ეხლაც... ბევრს არაფერს ვიტყვი ამ მოთხრობის შესახებ, მკითხველი თვითონ მიხვდება მის ავკარგიანობას... აქ აღწერილი ზოგიერთი პერსონაჟი, რომლებიც დ. კლდიაშვილის და გ. წერეთლის ტიპებს ენათესავენ, მეტად მძლავრი შტრიხებით არის ასახული... ეს მოთხრობა პირველად 1899 წელს დაიბეჭდა და მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. „კვალის“ რეცენზენტი ადფრთოვანებით მიეგება ამ მოთხრობას... არტურ ლაისტი ასე გადმოგვცემს ილიას აზრს „ლაზარილიოზე“: „მე კარგად მახსოვს: ჩვენი ხშირი საუბრის დროს ის (ილია ჭავჭავაძე) აღარებდა ქართველ ხალხს ესპანელებს, რომელთაც მართლაც ბევრი საერთო მოეძებნებათ ხასიათში... არ ვიცი მიაქციეს თუ არა ყურადღება ამ პაწია თხზულებას ქართველმა მწერლებმა, ილია ჭავჭავაძე კი ამ თხზულების კითხვის დროს ბევრს იცინოდა და ამბობდა: ჩვენს საქართველოში ბევრია ასეთი ლაზარილოებიო“ („თემი“, 1912; № 69). ეს მოთხრობა ისეთი გონებამახვილური სიციცხლით არის განოყიერებული, ისეთი მარტივი და ამასთანავე შიგ გაბნეულია სოციალური აზრები, რომ ვისაც კი ის ერთხელ წაუეკითხავს, არ შეიძლება მეორედაც არ გადაეკითხოს. თარგმანი ეკუთვნის პეტრე უმიკაშვილს (1838—1904), ამ დაუღალავ და უანგარო მოღვაწეს, მწერალს. უმიკაშვილი დიდი ოსტატი იყო ქართული ენის ბუნებისა და ეს მრავალმხრივი შესანიშნავი მოღვაწე, რომელიც ერთი მადლიანი მონოგრაფიის ღირსია, ამ მოთხრობით მაინც მოვიგონოთ და აღვნიშნოთ მისი გარდაცვალების 25 წლისთავი“<sup>11</sup>. თხზულების მეორე გამოცემის განხორციელება მან ვერ მოახერხა, თუმცა ცდა მისი დაბეჭდვისა 1931 წლამდე არ შეუწყვეტია<sup>12</sup>.

1936 წელს მან ტექსტოლოგიურ საქმიანობაში პირველი დიდი წარმატება მოიპოვა. ამ წელს გამოსცა ავქსენტი ცაგარელის თხზულებათა სრული კრებული. „ავქსენტი ცაგარელის გამოუცემლობა ხინჯად მქონდა გულში. 1936 წელს ამისათვის მოვიცალე და დიდი ხნის

<sup>11</sup> ი. გრიშაშვილის არქივი, I—1623.

<sup>12</sup> გრიშაშვილს 1931 წლის ბოლომდე არ მიუენებებია თავი განზრახულის განსახორციელებლად, რასაც წინასიტყვაობის გვიანდელი სქოლიო გვიდასტურებს: „უკანასკნელი აკადემიური გამოცემიდან“ (იგულისხმება რუსული გამოცემა—ი. ლ.) ირკვევა, რომ მენდოზა არ არის ამ ნაწარმოების ავტორი.

ნანატრი დაგვიანებით შევისრულე. ჩემი რედაქციით გამოცემულ წიგნში მოთავსდა ა. ცაგარელის ყველა ორიგინალური კომედია (სულ ხუთი აქვს). დამატებით დავბეჭდეთ მისივე „მოგონებანი“, რომელიც მუდმივი დასის საქართველოს დაბა-ქალაქებში მოგზაურობას ეხება. თვითველ ნაწარმოებს დავურთეთ ვრცელი შენიშვნები, მათი დაწერის, დადგმისა და სხვა თარიღების აღნიშვნით. იქვეა ლექსიკონი, ახსნა იმ სიტყვებისა, რომლებიც ა. ცაგარელის კომედიებში გვხვდება. აქ არის აგრეთვე ა. ცაგარელის დაუბეჭდავი ნაწერების სია“, — წერდა შესავალ წერილში რედაქტორ-გამომცემელი.

გამომცემელს ხელთ ჰქონია ა. ცაგარელის პიესების ყველა ნაბეჭდი წყარო, ტექსტის დასადგენად მას გამოუყენებია „ხანუმა“ და „ციმბირელის“ ავტოგრაფებიც (სამწუხაროდ, როგორც ამ გამოცემაში, ისე საერთოდ, ი. გრიშაშვილი მის მიერ განხორციელებულ გამოცემებში არასოდეს არ ეხება ტექსტის ისტორიის საკითხს, რაც მისი, როგორც ტექსტოლოგის, ერთ-ერთი ნაკლთავანია).

ორიგინალურია გამომცემელი სარედაქციო შენიშვნებში. აქ იგი არ იშურებს ცოდნას ყოველგვარი ხასიათის ცნობების მოსაწოდებლად. ასეა ეს ა. ცაგარელის თხზულებათა შენიშვნებშიც. იგი ამომწურავად მოგვითხრობს ცალკეულ დადგმებზე, მათ პოპულარობაზე, მონაწილეებზე. მათ მიერ როლების შესრულების ავ-კარგზე, თარგმანზე და იმ საოპერო დადგმაზე, რომელსაც „ხანუმა“ დაედო საფუძვლად.

გამოცემას ამშვენებს ლექსიკონი, სიტყვათა განმარტებანი ამომწურავია.

ავქსენტის ცაგარელის ნაწერების ი. გრიშაშვილისეულ გამოცემას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, ის ინარჩუნებს სამაგალითო გამოცემის სახელს. ა. ცაგარელის გამოცემის პრინციპი მან მთლიანად და უცვლელად გაიმეორა 1950 წელს ცნობილი სომეხი დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცის პიესების ქართული გამოცემისას<sup>13</sup>. წინასიტყვაობაში გრიშაშვილი გვამცნობს, რომ: „წინამდებარე ერთტომეულში დაიბეჭდა გ. სუნდუკიანცის ყველა გახმაურებული პიესა, რომელიც ქართულ სცენაზე დიდი წარმატებით იდგმებოდა. თხზულებანი ნათარგმნია ძველი მთარგმნელების მიერ. ჩვენ განვებ აუფარეთ გვერდი სუნდუკიანცის პიესების ახალ თარგმანებს, სადაც სუნდუკიანცური ძველი თბილისური ენის კოლორიტი დაკარგულია.

<sup>13</sup> ვ. სუნდუკიანცი. პიესები, „საბჭოთა მწერალი“, 1950.



არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ აქ მოთავსებული ყველა პიესა ავტორის უშუალო მონაწილეობით არის ნათარგმნი. მოვერიდეთ, აგრეთვე, სიტყვა-სიტყვით შედარებას დედანთან, რადგანაც იმ სიტყვიერის მეტნაკლებობა, რომელიც ახასიათებს ქართულ ტექსტს, შეიძლება სომხური ტექსტის ვარიანტად ჩაითვალოს (ნამდვილად მეცნიერული მიდგომა აქვს გამოყენებული გამომცემელს. ი. ლ.), დედანს მაშინ მივმართავდით, როცა აშკარა შეუსაბამობასთან გვქონდა საქმე<sup>14</sup>.

ტომეულში შესულია შვიდი პიესა, რომელიც განლაგებით რაღაც უცნაური პრინციპით—პოპულარობის მიხედვით (!) არის დალაგებული, ხოლო ამ პიესების შენიშვნები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა განხილული. ძირითად ტექსტებად შერჩეულია ვასო აბაშიძის თარგმანები, როგორც „ყველაზე სანდო“ და დედანთან ახლო მდგომი“. გამომცემელს ქართული ტექსტები შეუდარებია სომხურ დედანთან, რითაც უფრო დაუზუსტებია თარგმანები. ხელნაწერი წყაროები შეუჯერებია ნაბეჭდ წყაროებთან და განსხვავებანი გაუტანია შენიშვნებში, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია მის ტექსტოლოგიურ საქმიანობაში, უფრო მეცნიერულია, რამდენადაც მას, როგორც რედაქტორ-გამომცემელს, უჩნდება ინტერესი ნაწარმოების ტექსტის ისტორიის მიმართ. სუნდუკიანცის პიესების გამოცემა უთუოდ დადებითი შეფასების ღირსია.

1939 და 1945 წლებში ი. გრიშაშვილს, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრს, მუშაობა მოუხდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემის მომზადებაზე. ორივეგან ტექსტის დადგენა მას დაევალა, რასაც იგი დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია. გასცნობია სახელოვანი წინაპრის ყველა ჩვენამდე მოღწეულ ავტოგრაფიულ კრებულსა და ცალკე ავტოგრაფებს. შეუსწავლია ისინი, შეუჯერებია ერთმანეთთან და დაუდგენია ტექსტი. მისი, როგორც ტექსტის დამდგენის, ტექსტოლოგიური დაკვირვებანი ცალკე შენიშვნებში კი არ არის გამოტანილი, არამედ ტექსტებისათვის დართულ სქოლიოებშია მითითებული (რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ შემთხვევაში მასზე დიდი გავლენა მოუხდენია სამსონ ფირცხალავას მიერ მომზადებულ ნ. ბარათაშვილის პირველ აკადემიურ გამოცემას). სამწუხაროდ, გრიშაშვილის შენიშვნები დაზღვეული არ არის ნაკლოვანებისაგან.

<sup>14</sup> გ. სუნდუკიანცი, პიესები, „საბჭოთა მწერალი“, 1950, გვ. 358.

ი. გრიშაშვილის საგამომცემლო საქმიანობის გვირგვინად უნდა ჩაითვალოს მის მიერ 1940 წელს გამოცემული ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებული<sup>15</sup> და აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის ცალკეული ტომეულები<sup>16</sup>.

აღ. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოსაცემად მომზადებაზე ი. გრიშაშვილი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა. ეს მძიმე შრომა მან ოციანი წლების ბოლოს დაამთავრა და შემდეგ მთელი ათეული წლის განმავლობაში ხელუხლებლად ედო სამუშაო მაგიდაზე, მხოლოდ 1940 წელს შესძლო თავისი ნაღვაწის გამოქვეყნება. გამოცემას ერთვის მისი შესანიშნავი ნარკვევი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ (გვ. VII— I XXIII). ტექსტისათვის (გვ. I XXIV—I XXX): დამატება: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801 წლიდან 1831 წლამდე“ (გვ. 241—256), რედაქტორის შენიშვნები (გვ. 259—344) და ლექსიკონი (გვ. 347—365). ტექსტები წარმოდგენილია ორ განყოფილებად: ორიგინალური და ნათარგმნი. რედაქტორ-გამომცემელი დაწვრილებით მიმოიხილავს აღ. ჭავჭავაძის ნაბეჭდი წყაროების ისტორიას და შენიშნავს: „ჩვენმა გამოცემამაც, არა ჩვენგან დამოკიდებული მიზეზისა გამო, საგრძნობლად დაიგვიანა. საქმე ის არის, რომ ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტი თავისი ვრცელი წინასიტყვაობით ერთხელ წარედგინა კიდევაც სახელგამის ძველ შემადგენლობას, მაგრამ რაღაცა მიზეზისა გამო, არ ეღირსა დაბეჭვდა, რიგი უქალაღდობას უჩიოდა, რიგი პოეტის ლექსებს წუნობდა... მეც, გულ-აჩხრეკილმა გამოვართვი ჩემი ხელნაწერი და მას შემდეგ ათი წელი იქნება, ხელი არ მომიკიდია, მხოლოდ ეხლა რაჟღერ გვეტაძის წინადადებით შევუდექი მის მეორედ დაწერას. მკითხველი ადვილად მიხვდება, რაოდენი თავისმტვრევა, გონების დაძაბვა და გულთა თმენა დამჭირდებოდა ამ მასალის ხელმეორედ განჩხრეკისათვის. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის სიხარული, რომელიც ვიგრძენით აღ. ჭავჭავაძის ავტოგრაფის აღმოჩენის დროს“, ჭავჭავაძის პირველ გამომცემლებს დარდად ჰქონდათ პოეტის დედნის უქონლობა! ისინი სწერდნენ: „იმედს არ ვკარგავთ, რომ სადმე არ აღმოჩნდეს და ვერ მოიპოვებოდეს ნამდვილი ხელთნაწერი პოეტისა“. სიხარულით უნდა აღი-

<sup>15</sup> ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, „ფედერაცია“, 1940.

<sup>16</sup> აკაკი წერეთელი, თხზ. შვიდ ტომად, III (1940), და V (1949), თხუთმეტტომეულის V და VI (1956), IX და X (1959).

ნიშნოს, რომ ნაწილი ამ „ნამდვილი ხელნაწერებისა“ უკვე ნაპოვნია გვაქვს“ (გვ. L XXVI).

გამომცემელი დაწვრილებით აღნუსხავს ასეთ ხელნაწერებს, პოეტის ავტოგრაფებს („პირველი ავტოგრაფი საქ. მუზ. ხელნ. განყ. № 2481—S და მეორე ავტოგრაფი — იქვენ, 2482—S).

რედაქტორ-გამომცემელი საგანგებოდ მიუთითებს, რომ მის გამოცემაში პირველად იბეჭდება ალ. ჭავჭავაძის ნათარგმნი — „ახლოით განჩხრეკილი კაცი“, რომ ახალი რედაქციით დაიბეჭდა „კავკასია“, გასწორდა „ლოთებო ნეტავი ჩვენა“-ს ერთი ადგილი და საერთოდ უამრავი „ნებისითი თუ უნებლიეთი“ შეცდომა ხელნაწერებისა, რომელიც ი. გრიშაშვილის თქმით: „ამახინჯებდა ალ. ჭავჭავაძის ტექსტს“. გამომცემელს ყურადღება გაუმახვილებია ატრიბუციის რთულ საკითხზე, კერძოდ, მას დაუზუსტებია ლექსების — „ჩემო სიამევე შვებობისა“ (1881 წ. გვ. 95), „გულთა საწყავად კუბიდონს“ (იქვე, გვ. 98) და „როს ამობრწყინდეს ბადრი მთვარე“ (იქვე) — ალ. ჭავჭავაძის ავტორობის საკითხი. როგორც გრიშაშვილმა ცხადჰყო, პირველი ლექსის ავტორი ყოფილა პეტრე ორბელიანი, ხოლო მეორე და მესამე ლექსის არა ჭავჭავაძისეულობა ცხადჰყო, დავით რექტორის ცნობით „სხვისი თქმულია“.

რედაქტორ-გამომცემელი მორიდებია ზოგიერთი ლექსის დათარიღებას, სათანადო მასალების უქონლობის გამო, მას დაუზუსტებია თარიღი ლექსისა „პყრობილობის ჟამს“ (1804 და არა 1832 წ.). ლექსების განლაგება დაუტოვებია იგივე, როგორაც ის 1881 წლის გამომცემლებს დაუსტამბავთ. „ალბათ, რაიმე მოსახრება ჰქონდათ, როცა ამ უთარილო ლექსებს ასე აწყობდნენ! დე, ეს ჭაშნიკი მათ დაუტოვოთ“, — წერს გრიშაშვილი. თუმცა არაფერს გვეუბნება ამ უცნაური პრინციპის გამო. თავის ამ გამოცემაში გრიშაშვილს დაუბეჭდავს „რიცხვით ორმოცამდე“ (37-ი ი. ლ.) მის მიერ მიკვლეული ჭავჭავაძისეული ლექსი. გამოცემას დართული აქვს ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია „ბევრი უცხო სიტყვა“. „ერთი სიტყვით, წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ალ. ჭავჭავაძის ტექსტების აკადემიურად დადგენის პირველ ცდას. ამ მხრივ არ დაგვიკლია არც ფხა და არც რუდუნება, რომ ეს საქმე ფარეზად შეგვესრულებინა“, დაასკვნის რედაქტორ-გამომცემელი.

„შენიშვნებში“ ლექსების ბიბლიოგრაფიული პასპორტები ცალცალკეა მოცემული, სათანადო ტექსტუალური კომენტარებით.



მუშაობა ალ. ჭავჭავაძის ტექსტებზე მას არ მიუტოვებია ამ გამოცემის შემდეგაც. 50-იან წლებში მას საკუთარ ეგზემპლარზე (შემდეგ პროფესორ იოსებ ბოცვაძის ეგზემპლარზეც) წაუწერია: „შეცდომა მომსვლია, ეს ლექსები „ნარგიზოვანი“ (გვ. 107), „სულის ყვავილი“ (გვ. 108) და „როს არშიყნი“ (გვ. 109) არ არიან ალ. ჭავჭავაძისა“ და ფანქრით გადაუხზავს ეს ლექსები. ეს ჩასწორება რომ 50-იანი წლების დასაწყისშია მომხდარი, ამაზე მეტყველებს ალ. ჭავჭავაძის „ლექსების“ 1948 წლის გამოცემა, რომელიც ი. გრიშაშვილის რედაქტორობით განხორციელდა.

ალ. ჭავჭავაძის ნაწერების გრიშაშვილისეული გამოცემა მეცნიერულ-კვლევითი თვალსაზრისით, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, ერთ საუკეთესო გამოცემად უნდა იქნეს მიჩნეული. ის უსათუოდ ქებისა და მოწონების ღირსია.

ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოცემული აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის (მხედველობაშია თხუთმეტტომეული) V, VI, IX, და X ტომებს ნათლად ემჩნევა, რომ მათ რედაქტორს საგანგებოდ შეუსწავლია დიდძალი მასალა, განსაკუთრებით პოემებისა თუ დრამატული ნაწერების წყაროები და საკმაოდ შრომატევადი მუშაობა ჩაუტარებია ა. წერეთლის მემკვიდრეობის მეცნიერული გამოცემისათვის.

რედაქტორს უპირველეს ყოვლისა ყურადღება მიუპყრია ავტოგრაფებისათვის და მათზე დაყრდნობით გაუმართავს და დაუდგენია პოემებისა და დრამატული ნაწერების ტექსტები. მეხუთე ტომის შენიშვნებში იგი გვაუწყებს: „პოემები დალაგებულია ქრონოლოგიურად, ჩვენ ყველა მათგანს დავურთეთ სათანადო შენიშვნები. ცალკე გამოყვავით რკალი. „გადმოკეთებულნი და აღრეული ნაწერები“... საჭიროა აღინიშნოს, რომ პოემა „თორნიკე ერისთავი“ იბეჭდებოდა არასრულად... ჩვენ გამოცემაში ტექსტი სავსებით აღდგენილია დედნების მიხედვით (მაგალითად, „თორნიკე ერისთავს“ ემატება 58 უცნობი სტრიქონი). ასევე აღდგენილია „მოხუცის ნაამბობიდან“ გამოტოვებული 20 სტროფი; შესწორებულია აგრეთვე: „ჭიდაობის“, „თამარ ცბიერის“, „პატარა კახის“ და „ალექსის“ დაზიანებული ადგილები. ყველა ეს „სხვაობა“ (ტექსტოლოგიური ტერმინოლოგიით — ვარიანტები — ი. ლ.) ჩვენს შენიშვნებშია აღნიშნული“<sup>17</sup>. ხაზგასასმელია მი-

<sup>17</sup> ა. წერეთელი, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 364.

1929 და 1933 წლებში ი. გრიშაშვილმა გამოსცა აკაკის „მოსწრებული სიტყვები“.

სი „შენიშვნების“ მეცნიერული ღირებულება და დონე (ტ. V, გვ. 365—396); VI, გვ. 381—409; IX, გვ. 393—424 და X, გვ. 431—456).

ი. გრიშაშვილმა, მისთვის ჩვეული ენერგიითა და მონდომებით, მეტად საინტერესო, მრავალმხრივი და შრომატევადი ტექსტოლოგიური მუშაობა ჩაატარა და ბევრი რამ ახალი თქვა ტომების სამეცნიერო აპარატში, აღმოაჩინა მრავალი უცნობი მასალა, აღადგინა არაერთი დამახინჯებული ადგილი ტექსტისა და დახვეწა ზოგი მათგანი, თუმც მის მიერ მომზადებული ტომები, ისე როგორც საერთოდ თხუთმეტ-ტომეულის სხვა ტომები დაზღვეული არ არიან ცალკეული ნაკლისაგან (პირველ რიგში ეს ეხება ვარიანტული წაკითხვების მიუთითებლობას).

გამოცემულ ტომზე, რომელიც რედაქტორ-გამომცემელმა თავის დისწულს უძღვნა, გრიშაშვილს ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: „ანი, შენ მოწმე იყავი, ამ ტომის შენიშვნების დაწერაში რამდენი სისხლი დავღვარე, მადლობა ღმერთს, ეს საქმე კარგად დაგვირგვინდა. მე მიყვარს ჩემი შენიშვნები. ი. გრ.“ ეს მინაწერი ბევრს გვეუბნება მისი მუშაობის ხასიათსა და პასუხისმგებლობაზე<sup>18</sup>.

ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოცემული აკაკი წერეთლის თხზულებათა ტომეულები მისი, როგორც რედაქტორ-გამომცემლის, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომთაგანია, ის ქართული ტექსტოლოგიის ისტორიაში უთუოდ საპატიო ადგილს დაიკავებს.

ი. გრიშაშვილის ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში უცხო არ იყო ატრიბუციის პრობლემებით დაინტერესებაც. მისი ბიბლიოთეკის წიგნებში, პერიოდულ გამოცემათა კომპლექტებში, ცალკე ფურცლებზე მის მიერ გახსნილია და მიწერილია ქართველ მოღვაწეთა უამრავი ფსევდონიმი და კრიპტონიმი, მას სპეციალური წერილიც კი აქვს დაწერილი ამ რთულ საკითხზე — „ფსევდონიმებისა და კრიპტოგრამების ამოხსნისათვის“, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ (1969 წ. № 5). ეს საკითხი ფრიალ სპეციფიკურია და მასზე საუბარს აქ აღარ გავაგრძელებთ. მისი „დილა“ დვანაძეს

<sup>18</sup> მეტაზე გ. იმნაძე იგონებს: „1940 წელს ა. წერეთლის III ტომის გამოცემის დროს რედაქტორი (ი. გრიშაშვილი — ი. ლ.) მთელი დღე სტამბაში იყო. დაძაბული შრომისაგან იმდენად გადაიღალა, რომ გული წაუვიდა და სასწრაფო დახმარების მანქანით წავეყვანეთ საავადმყოფოში, მაგრამ მეორე დღესვე მოვიდა სტამბაში და საქმე არ მიატოვა, ვინემ ტომს გზა არ დაულოცა, („წიგნის სამყარო“, 1981, № 7).

ეკუთვნის“ დადასტურებაა ატრიბუციის რთული პრობლემით დაინტერესებისა.

ი. გრიშაშვილმა მიაკვლია და გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, პ. უმიკაშვილის, ა. ცაგარელის პირადი წერილები, რითაც მან გაამდიდრა ქართული ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

ი. გრიშაშვილის მიერ მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებული რედაქტორ-გამომცემლის მძიმე და საპატიო შრომა მხოლოდ მადლობის ღირსია.

თ ბ ი ლ ის ი

სიბრძნეზე თქმული

კაცი სიბრძნისა მოყვარე, ცნობა-ჭკვა-გაუზომელი, ლართა და უნჯთა არა სჭვრეტს, იგია სხვისა მდომელი. უგუნური და უბადო არს, ვით დილეგსა მჯდომელი, მაშინც გლახაა, ქონება ჰქონდეს თვალ-მიუწვდომელი.

ვინ ბრძნით სწავლასა მისდია უკანა, დაუყოვნელად, ბოლოდ იგ მისწვდა ნებასა, იქნა საწადლის მპოვნელად. ვინც მათსა გზასა გარდასცდა, არ მიჰყვა გასაზომელად, შარა დაკარგა, გაება ბარდ-ეკლოვანთა მძრომელად.

ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი  
(„ქილილა და დამანადან“)

არტურ ლაისტი და ქართული წიგნი

ქართული ლიტერატურის გერმანელ მკვლევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არტურ ლაისტს (1852—1927). საქართველოში ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად მან კარგად შეისწავლა ქართველი ხალხის კულტურა და ისტორია, ადათ-წესები, ქართული ენა და მდიდარი მწერლობა. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ დიდ ამაგს, რომელიც მან დასდო ქართული და ევროპული კულტურის პრობაგანდას. არტურ ლაისტი სიღეზიაში დაიბადა, ქალაქ ბრესლავში. იგი ადრევე დაინტერესდა უცხო ხალხების ისტორიითა და კაზმულსიტყვაობით. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან დაიწყო ჟურნალისტად თანამშრომლობა გერმანულსა და პოლონურ პრესაში, ამასთან, უნივერსიტეტში ისმენდა ისტორიის კურსს. მოგზაურობდა პოლონეთის ქალაქებში და დაუახლოვდა იმდროინდელ პროგრესულ მოაზროვნეებს. საქართველოსადმი ინტერესი ლაისტს რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის დროს დაებადა. მისი ყურადღება მიიქცია სამხრეთის ფრონტებიდან გამოგზავნილმა კორესპონდენტებმა, რომელიც ევროპის პრესაში ისტამბულობდა. მისი ავტორი იყო გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე; საქართველოსადმი აღძრული ინტერესი გახდა იმის მიზეზი, რომ ლაისტმა ხელი მიჰყო ამ ქვეყნის ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესწავლას; ხელახლა გადაათვალიერა ყოველივე ის, რაც ადრევე წაეკითხა საქართველოს შესახებ. ნაცნობობა და მეგობრობა გააბა ქართველ მოღვაწეებთან — ნიკო ნიკოლაძესთან, დრამატურგ დავით ერისთავთან, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იონა მეუნარგიასთან და სხვ. ამასთან ლაისტი შეუდგა მ. რი ბროქსის, სენ მარტენის, ფ. ბოდენ-შტედტისა და სხვათა ქართველოლოგიური ლიტერატურის შესწავლას. მან გადაწყვიტა აგრეთვე ევროპისათვის გაეცნო საქართველოს



არტურ ლაისტი

ყოფა. ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო მტკიცე გახდა მას შემდეგ, რაც 1881 წელს ლაისტი შეხვდა საქართველოში ნამყოფ მსცოვან პოეტს ბოდენშტედტს. მან პირად საუბარში ახალგაზრდა თანამოქალმეს ურჩია პირადად მოენახულებინა საქართველო და გაეტარებინა თუნდაც სულ მცირე ხანი.

საქართველოთი დაინტერესებულ ლაისტი ლაპარაკობს 1880 წელს ნიკო ნიკოლაძისადმი, შემდეგ კი აკაკი წერეთლისადმი გაგზავნილ წერილებში. ამათგან პირველში აღნიშნულია, რომ მის ყურადღებას იპყრობს ქართველების და სომხების ინტელიქტუალური ყოფა; აღაფრთოვანებს მათი ლიტერატურული ცხოვრება

და თავს ბედნიერად ჩათვლიდა, თუ შესძლებდა თანამემამულეებისათვის გაეცნო ქართული და სომხური ლიტერატურა, ხოლო ამერებისათვის — გერმანული კაზმულსიტყვაობა.

ა. წერეთლისადმი ბარათში ლაისტი იუწყება, რომ უკვე კარგა ხანია ინტერესითა და სიამოვნებით ადევნებს თვალყურს ქართველთა გონებრივ მოძრაობას. იგი გაეცნო ქართველთა ისტორიას და დღევანდელ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებს ეს ერი მოწინავე ხალხთა შორის ღირსეული ადგილის დასაქვევლად. ლაისტი დარწმუნდა, რომ საქართველო იძლევა ბევრ ისეთ რამეს, რისი პოპულარიზაციაც დაინტერესებდა ევროპის საზოგადოებას.

1880 წელს ლაისტმა თბილისიდან გამოიწერა სათანადო ლიტერატურა და მათი გაცნობის შემდეგ მალე დაიწყო საკუთარი შრომების წერა და ბეჭდვა გერმანულსა და პოლონურ გაზეთებში. ოთხი წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძის მოწვევით იგი პირველად ჩამოვიდა სა-



ქართველოში, ერთი თვის განმავლობაში გაეცნო ქართველ მოღვაწეებს და დაათვალიერა მისთვის ესოდენ საოცნებო მხარე. ძვირფას სტუმარს ქართველი საზოგადოების სახელით მიესალმა ი. ჭავჭავაძე. „დღეს, — აღნიშნა მან, — ჩვენს შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი, უცხო და სტუმარი მარტო იმით, რომ სხვიდან მოსულია, ხოლო სულითა და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თავისიანია; ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც კისრად იღო შუაკაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა — ჩვენს გულში ამონაწერი სიტყვა, ჩვენი ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთა. იმედია, რომ სიყვარულით ჩაგონებული პირუთენელი სიტყვა ბატონ არტურ ლაისტისა მოჰქვენს მთელს განათლებულ ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადღაც არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან, და იმ პატარა სამოთხეში ცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის“.

ლაისტი ამჯერად თბილისში დარჩა ერთ თვეს, განმეორებით საქართველოს ესტუმრა 1885 წელს, ხოლო კიდევ შვიდი წლის შემდეგ 1892 წ. ჩამოსახლდა სამუდამოდ და ჩაება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გახდა ჩვენი პრესის მუდმივი თანამშრომელი. 1906 წელს მან თბილისში დააარსა გერმანული გაზეთი „Kaukasische Post“, რომელსაც რედაქტორობდა წელიწადნახევარს. საქართველოშივე გახდა იგი რევოლუციური მოვლენებისა და ძველი საუკუნო ჩაგვრის ნგრევის მოწმე. იგი იყო პირველი ლექტორი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში მიიწვიეს გერმანული ენის მასწავლებლად. 1922 წლის 22 ოქტომბერს აქვე გადაუხადეს მას საქართველოში 40 წლის მოღვაწეობის იუბილე. გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ლაისტისადმი მიძღვნილი სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს იუბილე წარმოადგენს დიდ კულტურულ დღესასწაულს იმ ინტერნაციონალური მუშაკისას, რომელმაც თავისი წლები შესწირა ხალხთა დაახლოებას და მათ შორის ძმობის დამყარებას.

ლაისტმა საქართველოს შესახებ წერა საქართველოში პირველად ჩამოსვლამდე ორი წლით ადრე დაიწყო. 1882 წელს პოლონურ გაზეთში „Gaseta Polska“ (№ 66) დაისტამბა სტატია „ქართველები-სა და სომხების ლტოლვა განათლებისაკენ“<sup>1</sup>, ხოლო ერთი წლის შემ-

<sup>1</sup> ქართულად გადმობეჭდა გაზეთმა „ღრობამ“ 1882 წ., № 70, გვ. 2—3.

დღე გერმანულ გაზეთში (ლაიპციგი) — „Das Magazin für die „Literatur des in-und Auslandes“ (№ 6) გამოაქვეყნა შრომა: „მივიწყებული ლიტერატურა“ (Eine vergessene Literatur)<sup>2</sup>. ამათგან, პირველი მიმართული იყო ვინმე დღუგაშის შოვინისტური გამოხდომის წინააღმდეგ. როდესაც რუსი რეაქციონერი კატკოვის კვალდაკვალ, პოლონელმა დღუგაშმა „პოლონურ გაზეთში“ (№ 5) სცადა ქართველი და სომეხი ხალხების კულტურისა და ისტორიის გაბიაბრუება, მტკიცება იმიწა, თითქოს ამ ხალხებს ნაკლებად ჰქონდეთ განათლების სურვილი, ლაისტმა ხმა აღიმადლა დღუგაშისა და საერთოდ რეაქციონერთა წინააღმდეგ და სტატიამი მიმოიხილა ქართველებისა და სომეხების კულტურული და ლიტერატურული წარსული; მიუთითა, რომ ეს ხალხები დიდი ხანია დგანან განათლების მაღალ მწვერვალებზე. სტატიის ძირითადი დებულებები უფრო კომპაქტურად ჩამოაყალიბა რედაქციისადმი გაგზავნილ ღია ბარათში, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: „კავკასიის ერნი ღირსნი არიან სრული ყურადღებისა. მე სულ ცოტა რამ შემისწავლია მათ შესახებ, ამიტომ ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება თქვენზე განათებისათვის მომეყვანა ზოგიერთი ფაქტი ამ ხალხების გონებრივი განვითარების შესახებ... ეს ორი ზალხი იმდენად მოძრავი და ნიჭიერია, რომ ისინი ადვილად ითვისებენ თანამედროვე განათლების ყოველ მხარეს. ქართველებსა და სომეხებს აქვთ ძველი ისტორია, ძველი ტრადიციები, განთქმულნი არიან მხნეობით. ამ ორ ერს წარსულში ერთსა და იმავე დროს ჰქონდა დიდი განათლება, თავისუფლება და კეთილდღეობა... ქართველი ერის სწრაფვა განათლებისადმი მეტად ძლიერია... დიდი აღმავლობით ვითარდება მათი ლიტერატურაც“.

საქართველოს შორეულ წარსულს ლაისტმა თვალი გადაავლო აგრეთვე მეორე ნარკვევში „მივიწყებული ლიტერატურა“, რომელიც ავტორისავე აღნიშვნით, უცხოეთში ქართული კაზმულსიტყვაობის პოპულარიზაციის პირველი ცდაა, საქართველოს შესახებ სისტემატურად ნარკვევების წერას ის შეუდგა ჩვენს ქვეყანაში პირველი სტუმრობის შემდეგ. ევროპაში დაბრუნებულმა ლაისტმა 1885 წელს პოლონეთსა და გერმანიაში თითქმის ერთდროულად დასტამბა შრომა „საქართველო. ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა“<sup>3</sup>, სადაც აღწე-

<sup>2</sup> ქართულად გადმობეჭდა ჟერნალმა „ივერიამ“ 1883 წ., 1, გვ. 155—162.

<sup>3</sup> A. L e i s t, Georgien Natur, Sitten und Bewohner, Leipzig, 1885.

რა ქვეყანაში პირველი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი და ცალკე თავები მიუძღვნა თბილისს, ქუთაისს, მცხეთას, ქართულ ლიტერატურას, მოგზაურობას ბათუმიდან თბილისში და ა. შ.

„საქართველოში“ არტურ ლაისტმა დაახასიათა ქართველების ისტორია, სადაც წერს: „წინა აზიის კულტურულ ერებს შორის ქართველებს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ და მათი წინანდელი მნიშვნელობა აზიის ამ მხარეთა ისტორიაში კიდევ უფრო იზრდება, როდესაც მხედველობაში ვიღებთ მათ მცირერიცხოვნობას. წარსულში მათი რაოდენობა ერთ მილიონს არასოდეს აღემატებოდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, ხელთ იღებდნენ მბრძანებლობას მთელს კავკასიაში და საუკუნეების მანძილზე იგერიებდნენ სპარსელებს, არაბებს, თურქებსა და თათრებს ისე, რომ არ დაუკარგავთ თავდაცვის უნარი. მართალია ამ ხანგრძლივ ბრძოლებში ისინი ხშირად იძულებული იყვნენ ჭარბ ძალებს დამორჩილებოდნენ და ქედი მოეხარათ უცხოელთა უღელქვეშ, მაგრამ ყოველთვის ახერხებდნენ ისევ ძალის მოკრებას და დამოუკიდებლობის მოპოვებას. უცხოელთა ძლიერი შემოტევის მიუხედავად, მათ ჩვენს დრომდე შეინარჩუნეს ქრისტიანული რწმენა და თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და დღეს წარმოადგენენ ხალხს, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს გახდეს თანამედროვე კულტურული ერი და თავისი ცივილიზატორული საქმიანობა გაუერთიანოს ევროპის ხალხების ანალოგიურ საქმიანობას“<sup>4</sup>.

1887 წელს არტურ ლაისტმა გამოაქვეყნა „ქართველი პოეტები“<sup>5</sup>, ხოლო 1904 წელს „ქართველი ხალხი“<sup>6</sup>.

„ქართველი პოეტები“ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი პოეზიის საუკეთესო ნიმუშების ანთოლოგიაა. იგი პირველი წიგნია, რომლითაც გერმანულ ენაზე მკითხველებს შეეძლოთ ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტებთან ერთად გასცნობოდნენ გრიგოლ ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავისა და სხვათა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. აქვე შეტანილია ლექსები დღეს მივიწყებული, მაგრამ იმჟამად ცნობილი პოეტების: გრიგოლ ვოლსკის, დომინიკა მდივნის, ნინო ორბელიანის, სიმონ მასისაშვილისა და სხვათა. პირველ გამოცემას წინ უძღვის საქართველოსადმი მიძღვნი-

<sup>4</sup> A. Leist, Georgien.... Leipzig, 1885, S. 95.

<sup>5</sup> A. Leist, Georgische Dichter, Spz. 1887.

<sup>6</sup> A. Leist, Das georgische Volk, Dresden, 1904.



# Georgische Dichter

Verdeutschet

von

Arthur Geiß.

Know ye the land of the cedar and vine,  
Where the flowers ever blossom, the beams ever chime?  
*Byron, „The Bride of Abydos“*



Leipzig.

Verlag von Wilhelm Friedrich.

H. R. Hofbuchhandler

1887

წიგნის „ქართველი პოეტები“ გარეკანი

ლი ლაისტის ლექსი: „შენს ზეცას, მზეს, აყვავებულ ველებს, მადლიან გაზაფხულს, ზღაპრულ ტყეებს, მხიარულ ბულბულებს, მთების სიმშვენიერეს, შენს წარმტაც ასულებს — ეძღვნას ეს წიგნი“. ეს წიგნი უფრო შევსებული გამოვიდა 1900 წელს დრეზდენში. მას წამძღვარებული აქვს საქართველოს ლიტერატურისა და ისტორიის საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა.

ლაისტის მთარგმნელობითი მუშაობა მარტო ამ კრებულით როდი ამოიწურა. ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დახმარებით 1887 წელს მან დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა და „საქართველოში“ დაუთმო რამდენიმე გვერდი. პოემის თარგმანი მთლიანად 1900 წელს გამოქვეყნდა დრეზდენში.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს თარგმანი პირველი პოეტური თარგმანია დასავლეთევროპულ ენებზე. მაგრამ იგი სრული არ არის: აკლია პროლოგი და ეპილოგი; შეიმჩნევა ზოგიერთი შინაარსობრივ-აზრობრივი უზუსტობაც. ტექსტი თარგმნილია დედანთან განსხვავებული სალექსო ფორმით. რუსთველური შიირი უმეტეს შემთხვევაში შეცვლილია თერთმეტმარცვლიანი ოქტავით, ჯვარედინრითმიანი ლექსით, თუ ურითმო იამბიკოებით; მეხუთე თავიდან კი — მთლიანად თეთრი ლექსით. ზოგან სტროფები გამოტოვებულია, ამასთან, პოემის მხატვრული სიმშვენიერე მეტწილად დაკარგულია, მაგრამ ლაისტის თარგმანი უცხო ენაზე ამ პოემის ლექსად თარგმნის პირველი შემთხვევა იყო, ლაისტი შეეცადა ჩარეულიყო „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნის საქმეშიც. როდესაც შეიტყო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას ბარონ ზუტნერი აპირებდა, მან უცხოეთიდან ბარათი გამოუგზავნა იონა მეუნარგიას, რომელშიც ირწმუნებოდა: თუ ზუტნერს ნამდვილად განუზრახავს ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს, საჭიროა დაარწმუნოთ, რომ პოემა ჰეგზამეტრებით თარგმნოს. სხვანაირად დაეკარგება მას სიმშვენიერეო. ლაისტმა იცოდა, რომ ჰეგზამეტრებით თარგმნა გაძნელებოდა, მაგრამ ამასთან ისიც სწამდა, რომ ასეთი თარგმანი უკეთესი გამოვიდოდა. შოთა რუსთაველი არტურ ლაისტისათვის იყო გამოჩენილი მგოსანი, საქართველოს ტორკვატო ტასო, უდიდესი პოეტი, რომლის სიმადლემდე შემდეგ ქართული მუზა აღარ ამადლებულა. ლაისტი არ იზიარებს იმ თეორიას, თითქოს შოთა რუსთაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თამარის მეფობის მომდევნო პერიოდში. იგი ამტკიცებდა, რომ ერის დაშლისა და დაცემულობის ხანაში იგი ვერ შეჰქმნიდა დიდ ქმნილებას. რუსთაველი არის თამარ მეფის თანამედრო-

ვე, მისი ცხოვრების მემკვიდრე; იგი გარდაიცვალა იერუსალიმში, სადაც გაგზავნილი იყო ქართული მონასტრის სარესტავრაციოდ.

ლაისტი დიდი აზრის იყო ვეფხისტყაოსანზე. მისი მოსაზრებით, პოემაში მოიძებნება ის ზნეობრივი პრინციპები და შეხედულებანი, რომლებითაც საუკუნეების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ მშობლები საკუთარი პირშობების აღზრდაში. თავისი სულით, მსოფლმხედველობით, ზნეობრივი პრინციპებით ვეფხისტყაოსანი წმინდა ქართული ქმნილებაა და ამიტომაც მოიპოვა მან უდიდესი მნიშვნელობა ქართველთა ცხოვრებაში. შოთას პოემა არის შუა საუკუნეთა ქართული კულტურის დიდებული ძეგლი. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოქმედების ადგილი გადატანილია არაბეთსა და ინდოეთში, პოემაში მაინც ყველგან იგრძნობა საქართველო, თავისი ხალხის ადამ-წესებითა და ჩვევებით. ეს პოემა შესანიშნავი ეპიური თხზულებაა, რომელშიაც მოცემულია „მრავალი მშვენიერება“.

არტურ ლაისტი ერთი პირველთაგანია, რომელმაც მიუთითა პოემის ფაბულის ორიგინალობაზე და უარჰყო მისი აღმოსავლური წარმოშობა. მას შეუძლებლად მიაჩნია ამბის სპარსულიდან თარგმნის ან სპარსული ფაბულის აღების თეორია. ეს თქმულება სპარსულად არ არსებობსო, ამტკიცებს ლაისტი. ბევრ მსგავსებას პოულობს იგი პოემის ეპიზოდებსა და საქართველოს ისტორიის ფაქტებს შორის. ამასთანავე ცდილობს, აღმოაჩინოს მსგავსება თხრობის თავისებურებაში რუსთაველსა და ვოლფრამ ფონ ეშენბახს შორის, რომელიც ცხოვრობდა რუსთაველისავე ხანაში.

იგი ფართოდ მიმოიხილავს XIX საუკუნის მწერლობასაც. რომანტიკოსთაგან — ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს — და რეალისტთაგან — გიორგი ერისთავს. ალექსანდრე ჭავჭავაძე, მისი შეფასებით, არის თავისი დროის ღვიძლი შვილი, XIX საუკუნის დაგვიანებული პოეტი, რომელმაც უმღერა ქალებს, ღვინოსა და სიყვარულს; იყო ნიჭიერი მგოსანი, რომელსაც შეეძლო აღმოეჩინა გრძნობათა სიმშვენიერე, პოეზია და გამოეთქვა ეს გრძნობები სრული სიძლიერით. ყველა მისი ლექსი ძველი ქართული მსოფლმხედველობის გამომხატველია.

მშობლიურ ბუნებასა და ენას დიდი აღფრთოვანებით უმღერა აგრეთვე გრიგოლ ორბელიანმა, რომელმაც თანამოგვარე ვახტანგთან ერთად ახალ დროში გამოაცოცხლა ქართული პოეზია. გრ. ორბელიანის ლირიკულსა და ეპიკურ პოეზიას აღტაცებაში მოჰყავს ადამიანი



თავისი მაღალი აზრით, კეთილშობილური ენითა და მშვენიერების ღრმა გრძნობით. პოეტს განსაკუთრებით უყვარდა თავისი სამშობლო, რომელსაც უძღვნა ღრმა პატივისცემით გამსჭვალული მრავალი ლექსი. გრ. ორბელიანს ახასიათებს არა მხოლოდ მდიდარი აღმადგენის, არამედ აღტაცებული თავყანისცემისა და სიყვარულის უნარიც.

უცნაური მოვლენაა ქართულ კაზმულსიტყვაობაში, ლაისტის აზრით, ბარათაშვილი. ეს პოეტი მაშინ გამოჩნდა, როდესაც საზოგადოდ ახალი ქართული ლიტერატურა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებთან ერთად ამ ბედისაგან ხელმოცარულმა, ღარიბმა და ავადმყოფმა ადამიანმა მთელ ქვეყანას დაუბრუნა, რომ ქართველ ერში ჩამარხულია შემოქმედების უდიდესი ძალა. უბედურებამ გაუღვიძა ბარათაშვილს შემოქმედებითი ნიჭი და თავის ლექსებს იმ ღროს წერდა, როცა მის გარშემო არარაობა სუფევდა. ლენაუსა და ლეოპარდის მსგავსად, პოეტს ამძიმებდა თავისი უბედური სიცოცხლე და ფიზიკური ნაკლოვანება. ლაისტი პოულობს ზოგიერთ მსგავსებას ბარათაშვილისა და ბაირონის ფიზიკურ გარეგნობასა და შინაგან სულიერ სამყაროს შორის. ერთიცა და მეორეც უარყოფდნენ გარემომცველ სინამდვილეს, რაკი ვერ ურიგდებოდნენ მის მანკიერ მხარეებს. ბარათაშვილი არის განდევილი მგოსანი, სულიერად უცხო თავისი დროისათვის: განდევილი იყო იმჟამინდელ ქართულ საზოგადოებასა და მწერლობაშიც. დაავადებული საქართველოს ტრფიალით, გატაცებული მისი ბუნების სიმშვენიერით, ბარათაშვილი განმარტობით დგას უკაცურ გზაზე და მისი ჩონგურიდან მოისმის ჩუმი, სევდიანი ჰანგების კვნესა.

კიდევ უფრო ვრცლად ლაპარაკობს არტურ ლაისტი XIX საუკუნის 60—70-იანი წლების ქართველ მოღვაწეებზე, მხატვრული სიტყვის ოსტატებზე — ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი და გიორგი წერეთლებზე, აგრეთვე რაფიელ ერისთავზე, რომლებთანაც გერმანელ მწერალს ჰქონდა პირადი საქმიანი ურთიერთობა. ლაისტი ყველაზე მეტად მოხიბლული იყო ილია ჭავჭავაძის პიროვნებით. იგი აღტაცებაში მოდიოდა მისი განათლებით, გონებითა და ნიჭით, ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარულით, მშვენიერების შეცნობისა და მისით აღტაცების უნარით. სამშობლოს მდგომარეობამ, აღნიშნავს ლაისტი, ღრმად დააფქრა ილია. სამწერლო მოღვაწეობის დაწყებისას მან მტკიცედ ჩაინერგა გულში, რომ ნიჭი და შრომა თავისი ერის ამაღლებისათვის შეეწირა. მისი ცოდნის სალარო ძლიერ მდიდარი და მრავალფერო-

ვანი იყო; მას ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი კაცობრიობას ეხებოდა. ილია ჭავჭავაძის ნაწერებში, წერს ლაისტი, გულთან ერთად ყოველთვის მეტყველებს გონება. მწერალს გატაცებით უყვარს თავისი მამული. შემადრწუნებელი კენესა და ოხვრა გვესმის მისი ლექსებიდან, რომლებიც მან სამშობლოს უძღვნა, თუმცა მათში გამოსჭვივის ბედნიერი მომავლის სხივიც. თავის ნაწერებში ილია გვევლინება სამშობლოს მათაყვანებელ ადამიანად. მან დახატა გლეხთა უბედურა და ტანჯული მდგომარეობა და გამოსახა იმგვარი სურათები, რომ მათი წაკითხვა შეადრწუნებს და ააღელვებს ყველა ადამიანის კეთილშობილურ გრძნობას. ილია ნათლად ხედავდა თანამედროვე თავადაზნაურობის სამეურნეო და ზნეობრივი ცხოვრების დაცემას. სინამდვილის სწორი ასახვით მან დაგვიხატა თავისი დროისა და ეპოქის ადამიანები—თავადაზნაურები, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გლეხებზე დაყრდნობილი ცხოვრება მათთვის დაბადებით თანდაყოლილი და უცვლელი იყო. ლუარსაბისა და დარეჯანის სახით ილიამ მოგვცა მაღალ იდეალებს მოკლებული და ნივთიერი კეთილდღეობით გატაცებული ადამიანები.

ხელოვნების შესანიშნავი ოსტატობით არის დამუშავებული აგრეთვე „გლახის ნაამბობი“. მასში ვხვდებით ვერაგ თავადს, რომელიც თუმცა თანასწორებს კაცურად ეპყრობა, მაგრამ ყმების მიმართ კარგავს ყოველგვარ ღირსებას. ამასთანავე ილია, დასძენს ლაისტი, — იმ სურათებსაც ხატავს, როცა ყმის გულში იღვიძებს კაცური ღირსებების გრძნობა და ამ გაღვიძებას მოსდევს აღრეულობა, სისხლისღვრა და სხვა... ილიამ იცოდა ისიც, რომ მამულის გამოცოცხლება დამოკიდებული იყო გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ილია თანამემამულეების გულის დიდი მესაიდუმლეა. მისი მოთხრობები, რომელთა საგანი აწმყო ცხოვრებაა, ხშირად გვიხატავენ ქართველთა ყოფის უფრო ბნელ, ვიდრე ნათელ მხარეებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი მაინც აღსავსენი არიან უმშვენიერესი სურათებით.

ილიას უახლოეს მეგობრად ლაისტს მიაჩნდა აკაკი წერეთელი. ეს ორი ადამიანი განასახიერებდა საქართველოს მთელს მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას. აკაკიმ ახალგაზრდობიდანვე მოიშორა თავადური შეხედულებები და დაიცვა გლეხები მემამულეთა უსამართლობისაგან. აკაკის ძლიერ უყვარდა თავისი სამშობლო და ყოველნაირად ზრუნავდა მისი კულტურის ამაღლებისათვის, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე იგი ამათრახებდა ყველაფერს, რაც არ მოსწონდა არსებულ ზნესა და ხასიათში.



აკაკი იყო ახალი ცხოვრების გამომფხიზლებელი. ბუნებამ მას თავი მოუყარა გონების ყოველგვარ ღირსებას; მისი დრამები და ეპიკური პოეტური თხზულებებიც ლირიკული ხასიათისაა. აკაკის ცოცხალი ბუნება ვერ იტანდა ეპიკური ობიექტურობის ბორკილებს. ამიტომაც მისი პოემები და დრამები ბაირონის თხზულებებივით სავსეა ლირიზმით.

აკაკის პოეზიის მთავარი თემა არის თანამედროვეობა. პოეტს კარგად ესმის თავისი დროის მაჯისცემა და ავ-კარგი. იგი მონაწილეობას იღებდა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში და საერთოდ მისდევდა კაცობრიობის მაღალ იდეალებს. მისი ნაწარმოებები მძლავრად ეხმიანებოდა ცხოვრებას და თავის ხალხს, ახალ იდეალებსა და მომავლის რწმენას უღვიძებდა. მათში ჩქეფდა პოეზიის დაუშრეტელი წყარო.

უდავოდ მართებულია ლაისტის აზრი, რომ ქართული ლიტერატურისათვის აკაკის თხზულებები არის „უძვირფასესი განძი“, რომ თავად ავტორი იყო „მწვავე იუმორისტული ნიჭის პოეტი და მწერალი“, აკაკი წერეთელი ერთი იმ ქართველ პოეტთაგანია, რომლის პოეზიამაც ევროპაში პირველად გააღვიძა ინტერესი ქართველებისადმი.

რაფიელ ერისთავი იყო „ნამდვილი პოეტი“, რომელიც ყოველთვის წერდა საჭირბოროტო საკითხებზე. ქართული ლიტერატურისათვის ერთგვარად ახალი იყო მისი სოფლის სურათების თემაც. იგი ქართული სოფლისა და საქართველოს საოცარი ბუნების მომღერალია. მისი პოეზიის უმთავრესი ღირსებაა წრფელი, თუმცა მარტივი, გრძნობა. რაფიელსავე განეკუთვნება წერილები საქართველოს ეთნოგრაფიის შესახებ, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ხალხზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად.

ლაისტს მოსწონდა „ცოცხალი ტემპერამენტი და მხიარული იუმორი“ გიორგი წერეთლისა, რომელმაც ლიტერატურაში შემოიტანა დემოკრატიული კილო. თავის დროზე მან დიდი სიცოცხლე შემოიტანა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში, თუმცა წერის მანერა, რომელიც აირჩია, ახალი აღარ იყო საქართველოში. ქართველ მწერლებში ამ დროს ბევრი ისეთებიც იყვნენ, რომელთა ქართული ცხოვრებიდან აღებული თემა ეხებოდა გლეხთა ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ლიტერატურიდან ლაისტის ყურადღება ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველამ მიიქცია. იგი ერთნაირად მოიხიბლა როგორც მწერლის პიროვნებით, ასევე შემოქმედებით. ვაჟა-ფშაველა უმაგალითო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. მსოფ-

ლიო პოეზიის მწვერვალზე, ლაისტის აზრით, ვაჟა-ფშაველა აიყვანა უჩვეულო შემოქმედებითა ძალამ. მგოსანზე დიდი გავლენა იქონია მშობლიურ კუთხეში გავრცელებულმა თქმულებებმა და ზღაპრებმა, ამიტომაც ვაჟა საკუთარი პოეზიის სიმდიდრეს იღებდა თავისი მთიანი სამშობლოს ბუნებიდან. ვაჟას სიმღერებს ბადალი არ მოეპოვება მსოფლიო ლიტერატურაში. ვაჟას მიერ დახატული ბუნების სურათების გაღერვა უდიდესი საუნჯეა მსოფლიო ლიტერატურაში; მის ლექსებსა და პროზაში ჩამარხულია ბევრი მწერლისათვის უცხო რაღაც საიდუმლო ძალა, რისი გამოთქმაც ერთი სიტყვით შეუძლებელია. და ეს, ლაისტის თქმით, არის ჭეშმარიტი პოეტის დიდი საიდუმლო. ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედება ლაისტს მიაჩნდა საოცარ მოვლენად, რომელსაც შეუძლია შეუპირისპირდეს მხოლოდ რობერტ ბერნსს.

ლაისტის აზრები ამომწურავი და ყოველმხრივი არ არის. იქნებ მათ ერთგვარი გულუბრყვილობაც კი ახასიათებს. მაგრამ, ლაისტმა უდავოდ გარკვეული გეზი მისცა გერმანული ქართველოლოგიის განვითარებას. მომდევნო ხანებში ბევრი გერმანელი ავტორი ქართული ლიტერატურის შესახებ მსჯელობისას სწორედ ლაისტის შეხედულებებს ეყრდნობა, ხოლო ჩვენი მწერლობის შესწავლის წყაროდ მის პოეტურ თარგმანებს იყენებდნენ.

მესამე წიგნი „ქართველი ხალხი“ ხანგრძლივი დაძაბული მუშაობის შედეგია. იგი საბოლოო რედაქციით 1904 წელს გამოქვეყნდა. ამ დიდი გამოკვლევისათვის სათანადო მასალების შეგროვების მიზნით ჩამოვიდა ლაისტი პირველად საქართველოში, ავტორი აქაც დაწვრილებით ლაპარაკობს ჩვენი ხალხის აწმყოსა და წარსულის სხვადასხვა მხარეზე, მის საუკუნოვან ბრძოლებზე და იმ უდიდეს მატერიალურ თუ სულიერ საგანძურზე, რომელიც იქმნებოდა დღენიდავ შემოქმედებით შრომაში და არსებობისათვის ბრძოლაში. ლაისტი საგანგებოდ მსჯელობს ქართულ კაზმულსიტყვაობასა და ხუროთმოძღვრებაზე, აგრეთვე მუსიკასა და თეატრზე, ქართველთა შორის დრამატული ხელოვნების უდიდეს პოპულარობაზე, ყენობასა და ბერიკაობაზე, როგორც ქართული თეატრის ხალხურ საწყისებზე. იგი ხაზს უსვამს ამ სანახაობათა სოციალურ მხარეს და პოლიტიკურ სიმახვილეს. ლაისტი მიმოიხილავს მეფე ერეკლეს სასახლეში 1791 წელს მოწყობილ თეატრალურ დადგმებს, იმ დიდ ამაგს, რაც გიორგი ერისთავმა დასდო ქართულ თეატრს.

ლაისტმა აღნიშნა, ქართული თეატრისათვის შექმნილი ორიგინა-

# Das georgische Volk

Geschildert

von

Arthur Leist.



DRESDEN  
E. PIERSON'S VERLAG  
(R. LINCKE, K. U. N. HOFBUCHHÄNDLER)

წიგნის „ქართველი ხალხი“ გარეკანი

ლური და თარგმნილი რეპერტუარის უდიდესი მნიშვნელობა, მიუთითა იმ როლზე, რომელიც ჩვენი სცენის განვითარებაში იქონია გიორგი ერისთავის კომედიებმა, აგრეთვე ევროპულმა დრამატურგებმა — შექსპირმა და შილერმა, მოლიერმა და დიუმამ, ჰაუპტმანმა და სხვებმა. „შექსპირი და შილერი, — აღნიშნავს ლაისტი, — დღესაც წინანდებურად მოწონებაში არიან, რაც, უეჭველია, ქართველთა გემოვნებას ადასტურებს.

ლაისტი ამავე დროს ქართულ საზოგადოებას აცნობს საზღვარგარეთული ლიტერატურის საკვანძო საკითხებსა და მნიშვნელოვან მოვლენებს. იგი წერდა საკუთრივ გერმანიისა და ინგლისის, სკანდინავიის ქვეყნებისა და იტალიის ცხოვრებასა და ხელოვნებაზე, კაზმულსიტყვაობაზე, მიმოიხილავდა მთავარ მიმდინარეობებს და ცალკეულ წარმომადგენლებს; მიუთითებდა მეცხრამეტე საუკუნის დასავლეთის ლიტერატურის დაცემულობასა და იმ როლზე, რომელიც შეასრულა მოწინავე რუსულმა ლიტერატურამ დასავლეთის სულიერ ცხოვრებაში.

ლაისტი როდი იყო მხოლოდ პუბლიცისტი და ისტორიკოსი. იგი იღვწოდა აგრეთვე მხატვრული სიტყვის სფეროში. მის კალამს განეკუთვნება არა ერთი და ორი ყურადსაღები ნაწარმოები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ლაისტის შემოქმედებაში ფართოდ შეიჭრა საქართველოს თემა და ქართულ თუ გერმანულ ენებზე მან გამოაქვეყნა მშვენიერი მოთხრობები, მაგ., იმერეთის ცხოვრებაზე დაწერილი ორი მოთხრობა — „ქეთევანი“ და „ვარო“, ლაისტმა დაბეჭდა 1887 წელს ჟურნალში „Über Land und Meer“ („ხმელეთსა და ზღვაზე“); სხვა ჟურნალში 1895 წელს დაისტამბა „ვარიბანიძიანთ ნინო“, საქართველოს თემის შეეხება აგრეთვე ქართულ ენაზე დაწერილი „საქართველოს გული“<sup>7</sup>

ეს წიგნი წარმოადგენს ერთგვარ შეჯამებას იმისა, რაც მიიღო ავტორმა ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და ხალხის გულდასმით შესწავლის შედეგად. იგი შეიცავს მოგონებებს. წერილებსა და მოთხრობებს ქართველთა შესახებ. მასში დიდი ადგილი ეთმობა მოგონებებს ყველა იმ ქართველ მოღვაწეზე (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.), რომლებთანაც კი ლა-

<sup>7</sup> პირველი წიგნი დაიბეჭდა თბილისში 1923 წელს, მეორე 1927 წელს, ხოლო ორივე ერთად გამოაქვეყნა 1963 წელს თ. ფირალიშვილმა.

ისტს რაიმე ურთიერთობა ჰქონდა ჩვენში ცხოვრების დროს. მწერალი აღფრთოვანებით ლაპარაკობს საქართველოს სილამაზეზე, მის სხვადასხვა კუთხეზე, ეთნოგრაფიასა და მოსახლეობაზე.

დაძაბული და ხანგრძლივი შრომით მოღლილი არტურ ლაისტი გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1927 წლის 22 მარტს, 74 წლისა. იგი პირველი უცხოელია, რომელმაც საუკუნო სასუფეველი დაიმკვიდრა თბილისში დიდუბის პანთეონში, ქართველი ხალხის სასიქადულო მოამაგეების გვერდით. სხვადასხვა ქვეყნების კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში ლაისტი უდავოდ ღირსშესანიშნავ ადგილს იკავებს, რაკი მან გაამდიდრა და გააძლიერა ის ინტელექტუალური ურთიერთობა, რომელიც არსებობდა ევროპასა და კავკასიას შორის.

ლაისტის დიდი ამაგი ქართველი ხალხისადმი კარგად შეაფასა თავის „მოგონებებში“ იაკობ მანსვეტაშვილმა. „არტურ ლაისტი, — აღნიშნავს იგი, — თითქმის შინაურ კაცად იყო ილიას ოჯახში, ლაისტი გერმანელი იყო, კარგად განათლებული, მკოდნე უმთავრესი ევროპული ენებისა და ლიტერატურისა, რამდენი ცოდნა შეგვიძენია რედაქციის თანამშრომლებს იმისაგან. დაუღალავი მუშაკი, მედგარი მშრომელი, რა საქმესაც დაადგებოდა, მტკიცედ ადგა და მანამ მიზანს არ აღწევდა, გზას არ გადაუხვევდა. სულ ორ-სამ წელიწადში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული და სომხური ენა. თავისუფლად ლაპარაკობდა, თავისუფლად წერდა. რამდენი მოთხრობა გადათარგმნა ქართული და სომხური და დაიბეჭდა გერმანულ ჟურნალებში... ეს კაცი სიკვდილამდე ჩვენში ტრიალებდა და მუშაობდა ერთგულად, გულწრფელად“<sup>8</sup>.

არტურ ლაისტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მაინც განსაკუთრებით საინტერესოა ქართული მწერლობისადმი დამოკიდებულება. მას არ დაუსტამბავს თითქმის არც ერთი შრომა, რომელშიც არ ეხებოდეს ქართულ კაზმულსიტყვაობას, მის ცალკეულ წარმომადგენლებს.

ასეთია არტურ ლაისტის შემოქმედებითი და მწიგნობრული მოღვაწეობა. სამწუხაროდ, მკვლევართათვის სრულიად უცნობია მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ადრინდელი პერიოდი. ვროცლავში მისი მოკვლევისა და შესწავლის ჩვენეულ ცდებს რაიმე შედეგი არ მოჰ-

<sup>8</sup> ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936, გვ. 140.

ყოლია ომის შემდეგ არქივებისა და წიგნსაცავების მოუწესრიგებელი მდგომარეობის გამო. შეუსწავლელია საერთოდ ლაისტის ორიგინალური შემოქმედებაც.

არტურ ლაისტი ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ერთ-ერთი უანგარო მეგობარი და მოღვაწე იყო, რომელიც 40 წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა იმისათვის, რომ დასავლეთ ევროპის ხალხებისათვის გაეცნო საქართველოს ისტორია, კულტურა, ხელოვნება და ლიტერატურა, მისი ღვაწლი ფასდაუდებელია და დაუვიწყარიც.

თ ბ ი ლ ის ი

„ჩვენო მრავალსაუკუნოვანო ქმანო...“


საქართველო და ქართველი ხალხის სულიერი კულტურა იოვანეს თუმანიანის შემოქმედებითი შთაგონების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. პოეტის ლიტერატურულ წერილებსა და მხატვრულ შემოქმედებაში ფართოდაა ასახული ქართული გარემო, თემა და ხასიათი.

ეს გასაგებდება: ოვ. თუმანიანი ხომ მთელი თავისი პირადი და შემოქმედებითი ცხოვრებით დაკავშირებულია საქართველოსთან, ქართულ ყოფასთან. ოვ. თუმანიანსაც იგივე შეეძლო ეთქვა თავის თავზე, რასაც წერდა დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი: „ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სინაზემ — სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ბიძგი, რომ ლიტერატორად ვქცეულიყავ“.

ოვ. თუმანიანი სიყმაწვილიდან მოკიდებული გარდაცვალებამდე საქართველოში (თბილისში) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

თბილისში გამოქვეყნდა მისი პირველი პოეტური ნაწარმოებები. აქ, მის მეორე სამშობლოში, როგორც იგი უწოდებდა საქართველოს, შექმნა თავისი მარად უჭკნობი მხატვრული ქმნილებანი — პოემა „ანუშ“, ბალადები „ფარვანა“, „თმოგვის ციხის აღება“, მოთხრობა „გიქორ“ და სხვა. თბილისში თარგმნა მშობლიურ ენაზე რუსული კლასიკური მწერლობის წარმომადგენლების — ალ. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, დასავლეთ ევროპის ლიტერატურიდან — ბაირონის, შილერის და სხვა ნაწარმოებები.

ოვ. თუმანიანი იყო ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ისტორიული ტრადიციების ერთ-ერთი თავდადებული დამცველი. მან პირველმა აღიმაღლა ხმა ძმათა შორის სისხლისღვრის წინააღმდეგ. იგი მთელი თავისი ენერგიით, პრაქტიკული და ლიტერატურული მოღვაწეობით ცდილობდა ამიერკავკასიის ხალხებს შორის ძმობა-მეგობრობის



ოვანეს თუმანიანი

განმტკიცებას. ამიტომ იყო, რომ ოვ. თუმანიანი აღფრთოვანებით შეხვდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას; „აი, მთავრობა, რომლის გერბზეც ჩვენ ვხედავთ არა მხეცებისა და იარაღის გამოსახულებას, არამედ ნამგალსა და უროს — მუშებისა და გლეხების შრომის სიმბოლოს, აი, მთავრობა, რომელსაც მოაქვს მეგობრობა, მშვიდობიანი ცხოვრება, თავისუფალი შრომა და არა ომები და გალატაკება“. დიდმა პოეტმა ხალხთა ეს თავისუფლება საკუთარი თვლით ნახა, მაგრამ მისი ნაყოფით ვერ დატკბა, ოვ. თუმანიანი გარდაიცვალა 1923 წლის 23 აპრილს, დასაფლავებულია თბილისში.

\* \* \*

ოვ. თუმანიანი იყო თავისი ქვეყნის დიდი მამულიშვილი და პატრიოტი, ამასთან, იგი სხვა ხალხებისა და მათი კულტურის უპირველესი მოყვარე და უანგარო მეგობარიც იყო. პოეტი თავისი ცხოვრების ერთ-ერთ მიზანს ხედავდა რუსი, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ძმობა-მეგობრობის განმტკიცებაში. იგი კარგად იცნობდა ამ ხალხთა კულტურას, ეროვნულ სულს და ხასიათს. 1909



წელს პოეტი ერთ თავის სტატიაში წერდა: „ნუთუ კარგად ვიცნობთ რუსი კაცის კეთილსა და ნათელ გულს, ქართველის სულიერ სისპეტაკეს, აზერბაიჯანელის ვაჟკაცობას? აი, საიდან უნდა მივუდგეთ ხალხს წრფელი და ღია გულით. აი, ჭეშმარიტი საქმე სიყვარულით კეთდება და არა მახვილით“<sup>1</sup>. ოვ. თუმანიანის ამ სიტყვებში კარგად ჩანს დიდი მოქალაქე და ჰუმანისტი, რომელსაც მუდამ გულთან ახლოს მიჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობაში გაჩენილი თუნდაც მცირე ბზარი. ამიტომ იყო, რომ მან პირველმა აღმართა ძმობა-მეგობრობის დროშა 1905 წელს მომხდარ სომეხთა და თათართა შეტაკების დროს. იგი თავდაუზოგავად იბრძოდა ამ ორ ერს შორის სისხლისღვრის წინააღმდეგ.

ოვ. თუმანიანი ასევე ენერგიულად და თავდადებით იღვწოდა ქართველი და სომეხი ხალხის კიდევ უფრო დაახლოებისათვის, რის უპირველეს საფუძველსაც იგი ხედავდა მათ შორის კულტურული თანამშრომლობის გაფართოებაში, მაგრამ ის ყველაზე უფრო თავგამოდებით იბრძოდა ქართველ და სომეხ ხალხს შორის შუღლის ჩამომგდებათა წინააღმდეგ. პოეტის ამ დაუცხრომელ ბრძოლაზე მეტყველებენ მისი წერილები, რომლებიც სომხური და რუსული პერიოდიკის ფურცლებზე ქვეყნდებოდა.

ქართველი ხალხისადმი უდიდესი სიბოთა ჩაქსოვილი ოვ. თუმანიანის 1913 წელს გამოქვეყნებულ წერილში — „დღეგრძელობა ქართველ ხალხს“. მასში ნათლად ჩანს ქართველი ერისადმი პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ატარებდა: „ძმებო ქართველებო, ჩვენი მრავალსაუკუნოვანო ძმანო, მუდამ თავისუფალნო და კეთილშობილნო ძმებო!, თუ სულის ჭეშმარიტი ანარეკლია ლიტერატურა, პოეტი კი ამ სულის გამომხატველი, მაშინ თქვენთან მომაქვს ჩემი მშობლიური ერის სული, როგორც ყველაფერზე მაღალი და კეთილშობილი, რაც შესაძლოა ხალხს და ადამიანს ჰქონდეს“.

ოვ. თუმანიანი იქვე საგანგებოდ აღნიშნავს ქართველი ხალხის კეთილშობილურ დამოკიდებულებას მეზობელ და საერთოდ სხვა ეროვნების ხალხთა მიმართ:

„ქართველები კავკასიაში იყვნენ მუდამ პირველები თავიანთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ბრძოლაში... თუ თვალს გადავაკლებთ

<sup>1</sup> ოვ. თუმანიანი, თხზულებათა კრებული, IV, ერევანი, 1951, გვ. 104—105, (სომხურ ენაზე).

მსოფლიო მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, აუცილებლად დამეთანხმებით, რომ ქართველები, როგორც მეზობლები, ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.

ჩვენ შეგქმენით უფრო მჭიდრო, მძლავრი სულიერი და კულტურული კავშირი. ჩვენ, კავკასიის ხალხები, მხარდამხარ და ძმურად ეყავით მარად, როგორც ჩვენი მშობლიური მთები, რომელთა მწვერვალები ბრწყინავენ ცალ-ცალკე, მაგრამ ერთად არიან. ერთი დედაფუძით შეერთებულნი“<sup>2</sup>.

როცა ქართველი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე დიდმა მამულიწვილებმა ხელი მოჰკიდეს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს, ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ისინი გაამხნევა და ხელი შეუწყო ამ დიად წამოწყებას, ოვ. თუმანიანი იყო.

ქართულ-სომხური ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობისა და მეგობრული თანამშრომლობის საკითხებს მიეძღვნა წერილი „ნათელა ფურცლები“, რომელშიც განხილულია ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ისტორიული ფესვები. მენშევიკური და დაშნაკური მთავრობის მიერ გაჩაღებულ ძმათა ომის დროს ოვ. თუმანიანს ღია წერილით მიმართა ტიცინ ტაბიძემ. იგი წერდა: „თქვენ ქართველი საზოგადოება გიცნობთ, როგორც პოეტს და პატრიოტს. არავის არ აქვს მეტი უფლება ილაპარაკოს სომეხი ერის სახელით, როგორც თქვენ, და არავისი ხმა არ იქნება ისეთი სამართლიანი და მაღალი, როგორც განათლებული პოეტისა და მამულიწვილისა. როგორც პოეტმა, მიიღეთ ეს უფლება თქვენი შთაგონებული პოეზიით... გარდა იმისა, რომ თქვენში ლაპარაკობს კეთილშობილება პოეტისა, თქვენ პირველად დასდეთ მსჯავრი კავკასიის მომავალს.“

ეს იყო თქვენი დაფასება რევოლუციისა, სადაც თქვენ ამტკიცებდით, რომ საქართველო კავკასიის საფრანგეთია, გულისხმობდით რა საფრანგეთის სახით რევოლუციის პათოსს და კეთილშობილების პოეზიას“<sup>3</sup>.

ქართველი პოეტის ამ საჯარო მიმართვის მოკლე პასუხი ოვ. თუმანიანს სასწრაფოდ გამოუქვეყნებია სომხურ გაზ. „ხალხის ხმაში“ (1919, № 18).

<sup>2</sup> ოვ. თუმანიანი, თხზულებათა კრებული, IV, ერევანი, 1951, გვ. 448 (სომხურ ენაზე).

<sup>3</sup> გაზ. „საქართველო“, 1919, № 1.

ოვ. თუმანიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებებს, წერილებსა და სტატიებს. „ქართველის წრფელი ბუნება, სულის პატიოსნება, ბუნებრივი სიწმინდე, თავისუფლებისა და სილამაზის სიყვარული, ეს ყველაფერი სიცოცხლის წყურვილითა და ნაზი სევდის ათინათით გაბრწყინებული საფუძველია იმისა, რომ ქართულ პოეზიას დიდი მომავალი აქვს. ეს თვისებები საოცარი რელიეფურობით ჩანს შოთა რუსთაველში, რომელიც მთელი თავისი არსებით ქართველია“<sup>4</sup>, — წერდა ოვ. თუმანიანი ქართველი პოეზიის და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ ჩვენი საუკუნის ოციან წლებში.

ოვ. თუმანიანი უყურადღებოდ არ ტოვებდა და ეხმაურებოდა ქართულ მწერლობაში ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. 1893 წლის 25 აპრილს ნ. ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან გადმოსვენეს. დიდი ქართველი პოეტის კუბოს თავს ადგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები. ქართველი ხალხის ამ სასიქადულო შვილებს მათი მწუხარების თანამოზიარე ოვანეს თუმანიანიც ედგა გვერდით. სამგლოვიარო მიტინგზე წაიკითხა ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი, ქართულმა გაზეთებმა — „ივერიამ“ და „კვალმა“ თავის ფურცლებზე მოათავსეს ამ ლექსის პროზაული თარგმანი.


ქართველ ხალხს ჯერ ილია და აკაკი არ ჰყავდა გამოგლოვილი, როცა მთის არწივის — ვაჟა-ფშაველას მძიმე ავადმყოფობის ამბავი ელვასავით მოედო მთელ საქართველოს. ოვ. თუმანიანსაც მოუხანულებია ვაჟა-ფშაველა და დიდხანს უსაუბრიათ. ხოლო როცა ვაჟას გარდაცვალება გაუგია, დეპეშა გამოუგზავნია ეჩმიადინიდან: „ამ ტრაგიკულ დროს მშრომელმა ხალხმა ღრმად განიცადა კარგი ადამიანის, უნიჭიერესი და უდიდესი პოეტის ვაჟა-ფშაველას დაკარგვა. გულწრფელად მოგახსენებ სამძიმარს ქართველ ხალხს“.

უნდა აღინიშნოს, რომ ოვ. თუმანიანი გულწრფელი სიხარულით იზიარებდა ქართველი ხალხის ყოველი ღირსეული შვილის იუბილესა და საზეიმო თარიღს. დ. კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობის

<sup>4</sup> ოვ. თუმანიანი, თხზულებათა კრებული, IV, ერევანი, 1951, გვ. 429, (სომხურ ენაზე).

30 წლის იუბილეზე 1920 წლის 15 თებერვალს გამოგზავნილ მისა-  
ლოც წერილში სომეხი პოეტი წერდა:

„ძველად თუ ახლა საქართველო თავისი ლიტერატურით მუდამ  
მოწინავე ხალხთა რიგებში იდგა.



ოვ. თუმანიანი (ცენტრში) ავადმყოფ ვაჟა-ფშაველასთან

თქვენ, ჩემო გვირგვინოსანო ძმაო, ეკუთვნით იმ რჩეულთა რიგებს,  
რომელთაც მშობლიური ენის და ლიტერატურის დევნის დღეებში მა-  
ღლა გეჭირათ ქართველი ხალხის სულიერი ძლიერების დროშა.

უსაზღვროდ ბედნიერი ხართ, რომ დღეს საქართველო ეამბორე-  
ბა თქვენ მაღალ შუბლს და მხურვალედ ულოცავს მის შვილს ღვაწლს.  
საქართველოს ყოველი ზეიმი მოძმე სომეხი ხალხის გულში მხურვა-  
ლედ გამოძახილს პოულობს, ხოლო ქართველი მწერლის ყოველი გამარ-  
ჯვება საზეიმოდ დღეა სომეხი მწერლისათვის“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ოვ. თუმანიანმა კი-  
დეგ უფრო მეტი ენერჯით განაგრძო მუშაობა ამ ორ ხალხს შორის  
კულტურული ურთიერთობის გაფართოებისათვის. საბჭოთა საქართვე-

ლოს მთავრობამ სწორედ ამ დამსახურებისათვის დაუნიშნა მას პენსია, რომელიც ოვ. თუმანიანი მთლიანად საქველმოქმედო საქმიანობას შესწირა და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება.

ოვანეს თუმანიანის ინიციატივით 1921 წელს თბილისში დაარსდა „ჰაიარტუნი“ (სომხური ხელოვნების სახლი), რომლის პირველი თავმჯდომარე იყო თვით ოვ. თუმანიანი. „ჰაიარტუნის“ საფუძველზე შემდეგ შეიქმნა სომეხ მწერალთა სექცია, რომელიც დღესაც არსებობს საქართველოს მწერალთა კავშირთან.

ოვ. თუმანიანი არა მარტო თავის ოფიციალურ გამოსვლებში იყო ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობის ერთგული მესვეური, მისი ოჯახი თბილისში კოჯრის ქუჩაზე ამ ხალხთა საუკეთესო შვილების — მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების თავმჯდომარისა და დამეგობრების ჭეშმარიტ კერას წარმოადგენდა. აქ გამართულ ერთ-ერთ უკანასკნელ შეხვედრას ასე იგონებს ტ. ტაბიძე: „სამუდამოდ სამახსოვროდ დარჩება ეს ღამე (პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით თავის ბინაზე თუმანიანს ბანკეტი გაუმართავს, ბ. ა.) და განსაკუთრებით წარმოთქმული სიტყვები: ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის, კოტე მაყაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის და პაოლო იაშვილის, მარტლაც, ის იყო საიდუმლო სერობა და ოვანესისათვის უკანასკნელი საჯარო თქმა, რაც მოასწრო იმ ღამეს“<sup>5</sup>.

ქართველ ხალხში დიდი მწუხარება და გულისტკივილი გამოიწვია ოვ. თუმანიანის გარდაცვალებამ. ამაზე მეტყველებს ის წერილები და სტატიები, რომლებიც პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. გაზეთი „რუბიკონის“ (1923, № 9) მთელი გვერდი უჭირავს ოვ. თუმანიანის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ქართველ მწერალთა წერილებს. პოეტის ქვრივის სახელზე გაგზავნილ იქნა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების სახელით სამძიმარის წერილი:

„ოვანეს თუმანიანის სიკვდილს ჩვენ განვიცდით, როგორც დაკარგვას უფროსი ძმისას... ავადმყოფ პოეტთან ერთად მოკვდა მსოფლიო ადამიანი, რომელსაც უყვარდა თავისი მშობლიური სომხეთის ხალხი და ამავე დროს იყო შეყვარებული მის სულთან მონათესავე საქართველოზე.

<sup>5</sup> ტ. ტაბიძე, რჩეული, თბილისი, 1960, გვ. 338—339.

დავტირით უერთგულეს მეგობარს ახალი ქართული პოეზიისას. ამიერიდან ჩვენს გულებში მისი სახელი იქნება „იოანეს ნათელი“.

აღნიშნულ გაზეთის ნომერში მოთავსებულია საქართველოს ხელოვანთა კომიტეტის წერილი, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი, „მთავარი კომიტეტი იგონებს, რომ ბევრჯერ პოეტის სიცოცხლეში გამოგვიტყვამს მისთვის სიყვარული და აღტაცება იმ უანგარო ქართველი ხალხის ძმობისათვის, რომლის მოციქული იყო იოანეს თუმანიანი.“

სამშობლოს სიყვარული და ნამდვილი პატრიოტიზმი, რომელიც არ უშლის სხვა ერის თავისუფლებას, არის საფუძველი კაცობრიობის იდეალისა.

იოანეს თუმანიანი ამ შემთხვევაში იყო მაგალითი ორივე მონათესავე ერისთვის. მისი მოგონება იყო ნიშანი ჩვენი ერთა კავშირისა მომავალში“.

„რუბიკონში“ (1923, № 9) მოთავსებულია აგრეთვე ინფორმაცია — „იოანეს თუმანიანის უკანასკნელი დღეები“, სადაც ვკითხულობთ: „იოანეს თუმანიანი სრულებით არ იყო მომზადებული სიკვდილისათვის. ეჭიშვინები უკანასკნელ წამებამდე უმაღლავდნენ ავადმყოფს, რომ მას სიკვდილი მოელოდა. პოეტი დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვში თუ არა, ბერლინში მაინც გაუკეთებდნენ ოპერაციას და მორჩებოდა.“

გზაში თუმანიანი სულ იმას ჩიოდა, რომ ასე ცოტა უწერია ამდენი ხნის განმავლობაში. მას ეჯავრებოდა თითქმის, რაც წინათ დაუწერია, და ამბობდა, რომ მის შემოქმედებაში დაიწყებოდა სრულიად ახალი ეპოქა.

განსვენებული ბევრს ლაპარაკობდა ქართველ და სომეხ ხალხთა დამოკიდებულებაზე მისთვის ჩვეული სიყვარულით, ხალხთა სოლიდარობა და სიყვარული არ ტოვებდა ბოლომდე.

იოანეს თუმანიანის სიკვდილი სომეხ ხალხში სტოვებს დიდ შთაბეჭდილებას, ისე როგორც აკაკის სიკვდილი საქართველოში“.

ოვ. თუმანიანის დაკრძალვაზე ქართველი მწერლების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ი. გრიშაშვილმა:\* „ძვირფასო იოანეს! სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დავალებით მსურს ორიოდ სიტყვა გითხრათ:

\* ამ სიტყვის ავტორგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ჩვენ მოვედით დღეს თქვენთან, არა ისე, როგორც თქვენს ოჯახში დავდიოდით შუბლგახსნილნი და მხიარულნი, არამედ მოვედით გულ-დათუთქულნი, გულჩაქცეულნი.

ძვირფასო ოვანეს! თქვენ გიყვარდათ ჩვენი ერის კულტურა და გწამდათ მხოლოდ პოეზია, პოეზიის გარეშე კი თქვენი ფიქრი ის იყო, აგესინტეზებინა ორ ერთა მეგობრობა, თქვენც აკაკივით ქადაგებდით, რომ ერთი ერის უბედურება მეორეს სიკეთეს არ მოუტანსო.

ქართველი მწერლები შეჩვეულნი არიან ტირილსაც და ღიმილსაც. დღეს, როცა ყველა ჩვენგანის გულში ცხედარი ასვენია ღროთა სიავის გამო, დავსცქერით თავდახრილნი ერთ სპეტაკ ცხედარს, არასოდეს დავივიწყებთ ოვანეს თუმანიანის გულის და თავლის ღიმილს“.

\* \* \*

ოვ. თუმანიანის შემოქმედება თავიდანვე იქცევა ქართული ლიტერატურული საზოგადოების ყურადღებას. მისი პოეზიის ქართულად თარგმნა დაიწყო XIX საუკუნის დასასრულს. პირველი თარგმანები ეკუთვნის ი. ბაქრაძეს. მან ქართველ საზოგადოებას გააცნო ოვ. თუმანიანის შემდეგი ლექსები: „შურისძიება მგოსნისა“ და „ნუ, ნულარ ეძებ“, რომლებიც გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ 1899 წ. № 91-ში.

ქართული თარგმანი ოვ. თუმანიანის ლექსისა „ღმერთო, კვამლივით განიფანტა ჩემი ცხოვრება“ ეკუთვნის ცნობილ ქართველ პოეტს კონსტანტინე ჭიჭინაძეს. თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრა და ცხოვრება“ (1916, № 36). იგი შესრულებულია არა ორიგინალიდან, არამედ ლექსის რუსული თარგმანიდან, რომელიც 1916 წელს მ. გორკის რედაქციით გამოსულ „სომხური ლიტერატურის ანთოლოგიაში“ იყო შეტანილი. თარგმანი მაღალმხატვრულ სიმაღლეზე დგას. თუმცა დედანს უმნიშვნელოდ შორდება, მაგრამ ძირითადი შინაარსი და ემოციური განწყობილება მაინც კარგადაა დაცული:

ღმერთო, კვამლივით განიფანტა ჩემი ცხოვრება,  
გამიხმენ ძვლები, ვით წალამი მზეზე დაყრილი,  
გული ამოშრა, გზა ამებნა სევდით გატანჯულს  
და ჩაივიცე, დავეცი ძირს ძარღვებ-დაჭრილი.

ოვ. თუმანიანის მთარგმნელთა შორის განსაკუთრებით დიდი და ნაყოფიერი შრომა აქვს გაწეული ი. გრიშაშვილს. გარდა იმ გამო-

კვლევებისა და წერილებისა, რომლებშიც გაშუქებულია ქართულ-სომხური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის საკითხები, ი. გრიშაშვილს ეკუთვნის კლასიკური სომხური მწერლობის ნიმუშთა თარგმანებიც. მან ქართველ საზოგადოებას გააცნო იონათან ნაყაშის, ნაჰაპეტ ქუჩაკის, ოვ. თუმანიანის, გ. დიდოხიანის და სხვათა მხატვრული ნაწარმოებები. ქართველმა პოეტმა ოვ. თუმანიანის სიყვარულისა და მეგობრობის ნიშნად ყველაზე სრულად თარგმნა მისი მხატვრული შემოქმედება და ამით ღირსეულად მოიხადა ვალი სომეხი პოეტის ხსოვნის წინაშე.

ი. გრიშაშვილს გაუთვალისწინებია ოვ. თუმანიანის შემოქმედების ხალხური ხასიათი, მისი სადა და ანკარა წყაროსავით გამჭვირვალე პოეტური ენა, რომელიც მთარგმნელის ხატოვანი თქმით, „რბილია, როგორც ხავერდი და ძარღვიანი, როგორც მარმარილო“, და მისთვის ქართულად მიუსადაგებია ღვედივით მოქნილი ხალხური პოეტური თხრობა და ლექსიცა.

ქართველი პოეტი ოვ. თუმანიანის შემოქმედების თარგმანებზე მუშაობას აზოგადებს და ყურადსაღებ დაკვირვებას გვაწვდის: „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სომხური ნაწარმოებები ქართულ ენაზე უფრო თავისებური და ძარღვიანი გამოდის, ვიდრე სხვა ენაზე. ალბათ, ეს ჩვენი ენის თვისებათა შედეგია, ავტორის ზოგიერთი სტრიქონი თავისთავად მწკრივდებოდა ჩვენს თარგმანში, თუმცა ზოგი სიტყვა კი ურჩი ბავშვივით დიდ მოფერებას თხოულობდა. ჩვენ ვცდილობდით, რომ თარგმანში ორიგინალის სურნელება გულსავსედ დაგვეტოვებინა. სასტიკად ვიცავდით ლექსის კონსტრუქციას, რითმას (ჯვარედინს და მოღვედილს), სტილს, სახეს“<sup>6</sup>.

მთარგმნელის პრინციპი ნათელია: ზედმიწევნით დაცვა ორიგინალის ემოციური შემოქმედებისა და მეტრული წყობისა. ამისი ნათელა დადასტურებაა ოვ. თუმანიანის ლექსი „საქართველოს პოეტებს“, რომლის გრიშაშვილისეულ ქართულ თარგმანში ქართველ და სომეხ ხალხთა ძმობის პათოსი გამძაფრებული და ამალღებულა:

ახალმა ხელმა ცამდე აღმართა  
ძველი ლოცვები ხანგადასული  
და საქართველომ კვლავ გაამართლა  
მშვენიერება უკვდავი სულის.

<sup>6</sup> ი. გრიშაშვილი, ოვ. თუმანიანის რჩეული ნაწერები, ტფილისი, 1924, გვ. 20.



თანამომენო, სალაში თქვენდა!  
პოეზიაში წვა გერგოთ ხვედრად  
და არარატმა, როგორც ლეგენდა,  
გული გაიპო თქვენს შესახვედრად.  
შემოღამების მიმქრალი შუქი,  
დე, შეუერთდეს ჯანსად განთიადს,  
აინთოს ძმათა ორი პატრუქი,  
გზა გაუნათოს სიხარულს დიადს.

„საქართველოს პოეტებს“ სამოქალაქო ლირიკის ერთ-ერთ ბრწყინვალე ლექსად ითვლება. მისი ყოველი სტრიქონი, ინტონაცია, რიტმი, სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობითაა აყვებულნი. მთარგმნელს ლექსის ეს დამახასიათებელი მხარე შეუნარჩუნებია და უფრო გაუზრდია მისი იდეური დატვირთულობა. ამდღებულთა მოწოდებითი ტონი ქართულ თარგმანში და ბოლომდე შეუნელებლად გასდევს მას. მკაფიოდ ჩანს თარგმანში თუმანიანის მხატვრული სამყარო და ამავე დროს მთელი ძალითაა გაშლილი ი. გრიშაშვილის ხალასი პოეტური ნიჭი.

ოვ. თუმანიანის ლექსში „ჩემი სიმღერა“ გადმოცემულია პოეტის იდეურ-მხატვრული შეხედულებანი, პოეტი მდიდარია ხალხური სიბრძნით, იგი ამ სიბრძნეს უკანვე უბრუნებს მშობელ ხალხს.

გრიშაშვილისეული თარგმანი ასე უღერს:

მე მდიდარი ვარ, ხალხს შევწირე ლხენა და გლოვა,  
თვითონ მტერსაც კი იმონებდა ჩემი გალობა,  
მე ამა სოფლად ხელმეორედ ხომ ველარ მოვალ,  
უკან ვუბრუნებ ჩემ სამშობლოს, რაც მიწყალობა.

მე მდიდარი ვარ, საუნჯე მაქვს გულში ფარული,  
მაგრამ ფულისთვის ოქროს ხეხილს ვერ დავემყნები,  
ჩემი სიმდიდრე სიკეთეა და სიყვარული,  
პოეზიისთვის შევიყვარე ყველა ქვეყნები.

ოვ. თუმანიანის მეორე ლექსი — „სომეხთა სევდა“ ი. გრიშაშვილს კიდევ უფრო მაღალი მხატვრული ოსტატობით უთარგმნია, თუმცა დედანთან მეტისმეტად დაშორების საშიშროების წინაშე დამდგარა:

სომეხთა სევდა ზღვაა უნაპირო,  
ტალღააშლილი და მოგროვილი;  
გული დაეძებს ცისფერ საფირონს,  
იწვის კაეშნით მოოქროვილი.

სრულყოფილი თარგმანის ნიშნუბად შეიძლება ჩაიბეჭდოს ი. გრიშაშვილის მიერ ნათარგმნი ოვ. თუმანიანის შემდეგი ლექსები: „ავი-ზოვსკის სურათის წინ“, „სომხეთის მთებზე“, „განშორების ჟამს“ და სხვა. ამ ლექსების ქართულ თარგმანში მდიდარი მხატვრული საშუალებებით შესანიშნავადაა გადმოღებული დედნის ლექსწყობა და ინტონაცია.

ოვ. თუმანიანის ლექსების გარდა ქართულად თარგმნილია მისი ბალადები, პოემები. ბალადა „ახთამაჩით“ დაინტერესებულა პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი და ქართულად უთარგმნია იგი<sup>7</sup>. გაფრინდაშვილს თარგმანი შეუსრულებია კ. ბალმონტისეული რუსული თარგმანიდან<sup>8</sup>. ქართული თანმიმდევრულად მისდევს რუსულს, მაგრამ გვხვდება გადახვევებიც;

ი. გრიშაშვილმა თარგმნა პოემა „ანუშ“, ლეგენდები — „ძალი და კატა“, „ფარვანა“ და „ერთი წვეთი თაფლი“.

პოემა „ანუშ“ სომხური პოეზიის შედეგია, მასში მდიდარი მხატვრული ფერებითაა ასახული ჩამორჩენილი, ღარიბი სოფლის პატრიარქალური ცხოვრება, ადამ-წესები და ქალ-ვაჟის ტრადიკული სიყვარული.

„ანუშ“-ის თარგმანი თავისი მხატვრული და ესთეტიკური მნიშვნელობით ერთ-ერთი სანიმუშო შენაძენია ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში. პოემის ღირიზმი, ინტონაცია მხატვრული თვალსაზრისით ბრწყინვალეადაა გადმოსული თარგმანში. ფსიქოლოგიური სცენები ი. გრიშაშვილს გადმოღებული აქვს მაღალი პოეტური ოსტატობით. მას მისადაგებული აქვს ქართული ხალხური პოეზიის ინტონაცია დედნის შინაარსის ამგვარივე, მაგრამ მხატვრულად ამაღლებულ ტონთან.

ბალადა „ფარვანას“ ქართულ თარგმანში ი. გრიშაშვილი ცდილობს შეინარჩუნოს დედნის ზღაპრული ინტონაცია და თხრობის ხალხური მანერა. ბუნებრივი რიტმი თარგმანს ბოლომდე გასდევს და არასად ტონდაშვებული არ არის.

იქ, სადაც მთები! მთინ და აბული  
ამაყად ზეცას ესაუბრება —  
ოდესლაც მთებში გამოქვაბული  
იდგა მზის კოშკი ოქროსღრუბლებზე.

<sup>7</sup> ჟურ. „მნათობი“, 1938, № 4, გვ. 72.

<sup>8</sup> ტუმანიან ო., Избранное сочинение, I, 1960, с. 257.

<sup>9</sup> ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული, ტ. 11, თბილისი, 1962, გვ. 378.

ამ ნაწყვეტის ორიგინალის სტროფში ნახსენებია გეოგრაფიული სახელი ჯავახეთი. მთარგმნელს ეს სახელი გამოუტოვებია.

ქართველი ხალხი და ლიტერატურული საზოგადოებრიობა ოვ. თუმანიანის ყველა იუბილეს დიდი ზემოთ ხედებოდა. განსაკუთრებით ფართო სადღესასწაულო ხასიათი ჰქონდა დაბადების 100 წლის საიუბილეო ზეიმს, რომელიც 1969 წელს აღინიშნა. საიუბილეოდ გამოვიდა თუმანიანის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები (ერ. ქარელიშვილი, ს. ხუციშვილი, ბ. არველაძე), ქართულ პრესასა და ლიტერატურულ კრიტიკაში ფართოდ გაშუქდა თუმანიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის სხვადასხვა საკითხები. საქართველოს ყველა რაიონსა და კუთხეში მოეწყო მოძმე სომეხი პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ ცნობილი ქართველი პოეტები და მეცნიერები.

მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა იყო საიუბილეო წელს მისი ლექსების და პოემების წიგნად გამოცემა. ეს არის თხზულებათა კრებული, რომელშიც თითქმის მთლიანად არის შესული ი. გრიშაშვილის თარგმანები. მასში მოთავსებულია აგრეთვე თუმანიანის პოეზიის ნიმუშების სხვა თარგმანებიც, რომლებიც შესრულებული აქვთ ქართული პოეტური სიტყვის ისეთ ოსტატებს, როგორც არიან: გრ. აბაშიძე, რ. მარგანი, თ. ჯანგულაშვილი, ვ. ჯავახიძე და სხვ. მართალია, ეს თარგმანები ერთ მხატვრულ დონეზე არ დგანან, მაგრამ ერთი კი ფაქტია: ო. თუმანიანის ლექსების ეს კრებული ქართული თარგმნილი ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია.

ოვ. თუმანიანის პროზაული ნაწარმოებების თარგმნა დაიწყო ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში. ქართულ საბავშვო ჟურნალებში „ნაკადულსა“ (1908, № 1) და „ჯეჯილში“ (1911, № 2) გამოქვეყნდა თუმანიანის ზღაპრები „ტყუილისმთქმელი“ და „ყველიერი“, რომელიც სომეხ ჟურნალისტს და მთარგმნელს დ. კარაპეტიანს უთარგმნია. თარგმანები დედნიდანაა შესრულებული და მხატვრულად საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. მთარგმნელს ორიგინალის სადა, მარტივი ლექსიკონისათვის ქართულად შესაბამისი ენობრივი მასალა შეურჩევია და თხრობაც ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მიმდინარეობს.

ოვ. თუმანიანის რამდენიმე ნაწარმოები თარგმნა არჩ. დავთიანმა. მას განსაკუთრებით კარგად აქვს გადმოღებული ნოველები: „ირმის სიკვდილი“, „ჩემი ამხანაგი ნესო“ და სხვ.

ოვ. თუმანიანის ცნობილი მოთხრობა „გიქორი“ ერთ-ერთი საუ-

კეთესო მხატვრული ქმნილებაა. ისიც მაღალი მხატვრული ოსტატობითაა თარგმნილი ქართულ ენაზე ი. გრიშაშვილის მიერ. ამ ნაწარმოების თარგმანში გამოჩნდა ი. გრიშაშვილის მთარგმნელობითი ნიჭი და მაღალი ხელოვნება. იგი აქ არა მარტო მთარგმნელია, არამედ შე-



ოვ. თუმანიანის საიუბილეო სესიაზე 1969 წლის 12 ოქტომბერს.  
ს. დარონიანი, არ. ინჭიკიანი, ედ. ჯრბაშიანი, ვ. ნალბანდიანი,  
აშ. ოვანესიანი, გ. ციციშვილი, ბ. არველაძე, მ. ნაჰაპეტაიანი.

სანიშნავი პროზაიკოსიც: ცდილობს დედნის ყოველი კომპონენტი გადმოიტანოს და მთელი ძალით აგრძნობინოს ქართველ მკითხველს მოთხრობაში ასახული პატარა სოფლელი ბიჭის ტრადედია. თხზულების შესავალშივე ავტორი ნაღვლიან ფერებში ხატავს გიქორის ქალაქში წაყვანის სურათს. მკითხველი გრძნობს, რომ ამ სოფლელ ბიჭს ქალაქში კარგი არაფერი ელის. მკითხველის ეს განცდა თარგმანში არ ნელდება, პირიქით, უფრო მძაფრდება და საცნაური ხდება.

ი. გრიშაშვილი სომეხი პოეტის რჩეულ ნაწერთა ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „მე ოვანეს თუმანიანი მიყვარდა, როგორც პოეტს პოეტი, მიყვარდა რალაც პრიმიტიული განცდით,



ღრმად და მისი სულის შეგრძნებით. მისმა სიკვდილმა ეს გრძნობა უფრო გააღრმავა, მოკვდა დიდი გრძნობის მატარებელი; მოკვდა ადამიანი, რომლის ბადალსაც საუკუნეები მხოლოდ ერთხელ იძლევიან<sup>10</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ ამ სიყვარულმა მთარგმნელის დიდ პოეტურ ნიჭთან ერთად განსაზღვრა ოვ. თუმანიანის შემოქმედების ი. გრიშაშვილისეულ ქართულ თარგმანთა მაღალი მხატვრული დონე. ვფიქრობთ, არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ ეს თარგმანები ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული და თავისი მნიშვნელობით მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

თ ბ ი ლ ის ი

ძ ა ლ ი ს ი ბ ა ვ ი ს ა

ეჭა, სიტყვაო, ვით გაქო, გონება-მიუწდომელო?  
 შენ აშენებ და შენ არღვევ, სიბრძნითა გაუზომელო;  
 შენ მოალხენ და შენ აწყენ, რაც გინდა, ვისიც მდომელო,  
 რომელთა დამამშვიდებო, რომელთა გამაწყრომელო.

ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი  
 („ქილილა და დამანადან“)

<sup>10</sup> ო. ვ. თუმანიანი, რჩეული ნაწერები, ტფილისი, 1924, გვ. 21.

# მონეტანი



## გრიგოლ ხანძთელის პორტრეტი

კარგად არის ცნობილი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის პორტრეტი, ფერებში შესრულებული. მისი ავტორი უცნობია, ხოლო შესრულების დროის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. მკვლევართა ერთი ნაწილი პორტრეტს XII საუკუნეს მიაკუთვნებს<sup>1</sup>, მეორე კი — XVI საუკუნეს (შ. ამირანაშვილი)<sup>2</sup>. გამოითქვა მოსაზრებაც: იგი ხანძთის ფრესკიდან ერთ-ერთ ხელნაწერშია გადმოხატულიო, რომელიც ინახება „ამჟამად იერუსალიმში, საპატრიარქო ბიბლიოთეკაში“.

გრიგოლ ხანძთელის ეს პორტრეტი პირველად გამოაქვეყნა ნ. მარმა 1911 წელს. იგი უძღვის გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ქართულ ტექსტს, დაბეჭდილია ჩართულ ფურცელზე<sup>3</sup>. გამოკვლევაში მეცნიერი ამ სურათის შესახებ არაფერს ამბობს, მითითებული არა აქვს პირველწყარო, თუ საიდან გადმოიბეჭდა სურათი, მაგრამ წიგნში მოცემულ „სურათების სიას“ დართული აქვს შენიშვნა: «В начале, перед грузинским текстом, дается в красках одно из двух миниатюрных изображений, на которые обратил мое внимание Е. С. Такайшвили. Обе находятся в позднейших рукописях» (გვ. 06; ხაზგასმა ჩვენია, — გ. მ.).

ნ. მარის ეს შენიშვნა მკვლევართათვის შეუმჩნეველი დარჩა, რამაც სათავე დაუდო სურათის დათარიღების მცდარ მოსაზრებებს, გა-

<sup>1</sup> В. Беридзе. Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры. Тб., 1981, გვ. 80, ჩართულ ფურცელზე სურ 1, აგრეთვე გვ. 340; „ლიტერატურული საქართველო“, 1982, 22 ოქტომბერი, № 43, გვ. 4.

<sup>2</sup> ბ. კანდელაკი. გრიგოლ ხანძთელის პორტრეტი. დროშა, 1970, № 11, გვ. 9. კომუნისტი, 1970, 1 ნოემბერი. № 256.

<sup>3</sup> Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию. С.-Петербург, 1911, стр. LXXI.

მოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, უზუსტობანი და უხეში შეცდომებიც კი.

ნ. მარის მიერ მითითებული გრიგოლ ხანძთელის ორივე სურათა აღმოჩნდა მოგვიანო საუკუნის ხელნაწერებში: ერთი — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A 425 ხელნაწერში (ფ. 87 r), რომელიც გადაწერილია ცნობილი კალიგრაფის ოსეს მიერ<sup>4</sup>, ხოლო მეორე, რომელიც ნ. მარმა გამოაქვეყნა 1911 წელს, — S 3269 ხელნაწერში (ფ. 302 v), ეს მეორე ხელნაწერი წარმოადგენს ხელოვნურ კრებულს (კონვოლუტს), შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი ხელნაწერისაგან და შემდგომ აკინძულია ერთ წიგნად. ტექსტები დაწერილია სხვადასხვა ქაღალდზე, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ხელით.

ხელნაწერი დიდი მოცულობისაა, შეიცავს 348 ფურცელს. საგრძნობლად დაზიანებული და ნაკლულია<sup>5</sup>. მისი ზოგიერთი გადამწერიც ცნობილია, მაგრამ გვხვდება უცნობი პირის მიერ განსხვავებული ხელით ნაწერი ფურცლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობით<sup>6</sup> და ასევე უცნობი მხატვრის 16 მინიატურა. როგორც ირკვევა, ეს განსხვავებული ნაწერი რომელიღაც დამოუკიდებელი ხელნაწერი ნაწილი ყოფილა და შემდგომ აუკინძავთ მოცემულ ხელნაწერთან ერთად<sup>7</sup>. პალეოგრაფიული მონაცემებით შესაძლებელი გახდა დაგვედგინა მისი ერთ-ერთი უცნობი გადამწერი. იგი აღმოჩნდა ცნობილი მწიგნობარ-კალიგრაფი ალექსი გრიგოლის ძე მესხიშვილი. S 3269 ხელნაწერის ჩანამატ ფურცლებზე დაწერილი ტექსტის ხელი შევუჯერეთ ალექსი მესხიშვილის ავტოგრაფიულ ხელნაწერს (H 2077). შედარებისას გაირკვა, რომ ორივე გადაწერილია ერთნაირი წერის მანერით, გამოყენებულია ზოგიერთი ასოს ერთმანეთში ჩასმის ხერხი; ორივე ხელნაწერის მელანი შავია, სათაურები, დასაწყისი სიტყვები და საზედაო ასოები შესრულებულია სინგურით; ორივე ნაწერისათვის დამახასიათებელია ოდნავ მარჯვნივ გადახრილი წვრილი ნუსხური ხელი; ერთნაირია ზოგიერთი მთავრული ასოს დაწერილობა, მაგალითად: ც-ანი-სა<sup>8</sup>, სტილიზებული თ-ანისა და ა. შ; ორივე ხელნაწერის ქაღალდი

<sup>4</sup> შტრ. მინაწერი: „წ[მიდა]ო შიო, შ[ეიწყალ]ე ცოდვილი ოსე“ (ფ. 627 v).

<sup>5</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), V, 1967, გვ. 17—23.

<sup>6</sup> S 3269, ფ. 170r—177v, 179r—227v, 262r—266v, 276r—277v, 278r, 278 v—341 v.

<sup>7</sup> იხ. გვერდები: 169 v—170 r.

<sup>8</sup> შტრ. S 3269, ფ. 266 r, მარჯვენა სვეტი და H 2077, ფ. 65 v, მარჯვენა სვეტი.



ერთი და იგივეა და ერთი დროისაა; ორივეს ჭვირნიშანია სამი ნახევარმთვარე<sup>9</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის გამო უნდა დავასკვნათ, რომ S 3269 ხელნაწერის ჩანამატ ფურცლებზე მოთავსებული ტექსტების გადამწერია ალექსი მესხიშვილი.

აღ. მესხიშვილის ავტოგრაფული ხელნაწერი H 2077 გადაწერილია 1736 წელს<sup>10</sup>. მაშასადამე, S 3269 ხელნაწერის ჩანამატი ფურცლების ტექსტებიც გადაწერილი უნდა იყოს დაახლოებით ამავე დროს.

\* \* \*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, S 3269 ხელნაწერში უცნობი პირის ხელით ნაწერ ფურცლებზე ფერებით შესრულებულია ქართველ წმინდანთა — პეტრე ქართველის (იბერიის), არსენ იყალთოელის, დავით გარეჯელის, შიო მღვიმელისა და სხვათა პორტრეტები. მათ შორის არის გრიგოლ ხანძთელის პორტრეტიც. იგი დაზიანებულია, საღებავი ალაგ-ალაგ ამოცვენილია.

მინიატურაზე მოცემულია მთელი ტანით საეკლესიო ტანსაცმელში შემოსილი პირი. იგი თავშიშველია და თავზე ადგას ოქროსფერი შარავანდედი, რაც წარმოადგენს წმინდანის დამახასიათებელ ნიშანს. აცვია სადა, ცისფერი გრძელი და ქვემოთ განიერი კაბა. მისი ბოლო (ქობა) და მარჯვენა სახელო მაჯასთან ოქროსფრადაა შეღებილი. გულზე ჩამოშვებულია რომბისმაგვარი ზოლებიანი ოქროსფერი ოლასარი. მარჯვენა მხარეს ჰკიდია ენქერი — საეკლესიო შესამოსლის ნაწილი, ფარჩის ოთხკუთხედი, რომელსაც მართლმადიდებელ ეკლესიაში ჯილდოდ აძლევდნენ მღვდელმთავრებს (კათალიკოსებს, ეპისკოპოსებს, არქიმანდრიტებს და ა. შ.), ატარებდნენ მარჯვენა მხარეს წელს ქვემოთ, ერთ-ერთი კუთხით სარტყლის ქვეშ ჩამოშვებულს.

კაბაზე წამოსხმული აქვს ოდნავ მოკლე შინდისფერი მოსასხამი, რომლის შიდა მხარე (სარჩული) აგურისფერია. მოსასხამის მარცხენა კალთა აწეულია და ჰქმნის ნაკეცებს. მოსასხამზე ოქროსფერი ჯვრებით შემკული ცისფერი ომფორი აქვს მხრებზე მოხვეული, რომლის ერთი ბოლო მარცხენა მკლავზეა გადაადგებული. მარცხენა ხელში უჭირავს დახურული წიგნი, ხოლო მარჯვენა ხელი დახატულია იკო-

<sup>9</sup> შლრ. S 3269, ფ. 173, 188, 215 და H 2077, ფ. 13, 16, 20 და ა. შ.

<sup>10</sup> H 2077, ფ. 334 V.

ნოგრაფიაში ტრადიციულად მიღებული თითების განლაგებით. აცვნი წითელი ფეხსამოსი.

პორტრეტზე მოცემული ნიშნების (ენქერი, ფერადი მოსასხამი და სხვ.) მიხედვით გამოსახულია სამღვდლო პირი—კათალიკოსი, ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი და ა. შ. მხატვარი კარგად არის გარკვეული, თუ როგორი სახისა და ფერის სამოსლით უნდა წარმოედგინა გრიგოლი.

სურათზე ასომთავრული წარწერით აღნიშნულია წმინდანის ვინაობა: „წ[მიდა] გრიგოლი ხ[ა]ნძ[თ]ელი“, ხოლო ქვემოთ ნუსხურით მიწერილია ეკლესიაში მისი ხსენების დრო: „თ[უეს]ა ოკდ[ო]ნ[ბე]-რსა<sup>11</sup> ე[5] ღირსისა მ[ა]მისა ჩ[უე]ნისა გრიგოლი ხანძთელისა, რ[ომელ]ი იყო ქ[ა]რთვ[ე]ლი“.

ხელნაწერში მოთავსებული სურათების (და, კერძოდ, გრიგოლ ხანძთელის სურათის) წარწერებისა და ტექსტის ხელი ერთი და იგივეა. ყველა სურათი ჩართულია ტექსტში და შესრულებულია ხელნაწერის გადაწერის პროცესში თვით ტექსტის გადაწერის, ე. ი. ალექსა მესხიშვილის მიერ.

ცნობილია, რომ თავის გადაწერილ ხელნაწერებს ალექსი მესხიშვილი მხატვრულად თვითონვე აფორმებდა. სათაურსა და აბზაცის დასაწყის ასოებს წერდა სინგურით, ხელნაწერთა აშიებზე ათავსებდა სხვადასხვა ნახატს, ურთავდა თავსამკაულებს, ზოდიაქოებსა და მინიატურებს. საყურადღებოა, რომ მარტო ერთ ხელნაწერს, რომელიც მის მიერ არის გადაწერილი და ჩვენ ზემოთ დავასახელებთ (H 2077), ერთვის მისივე შესრულებული ქართველ წმინდანთა 26 პორტრეტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ალექსი მესხიშვილს ეკუთვნის პეტრე იბერის საკმაოდ გავრცელებული სურათი (ფ. 229 r), რომელიც არაერთხელაა გამოქვეყნებული ავტორის მიუთითებლად<sup>12</sup> და საზოგადოებამ არ იცის მხატვრის ვინაობა.

ალექსი მესხიშვილი შესანიშნავი კალიგრაფი და ხელნაწერთა მომხატავი იყო. მის ნახატებში შეიმჩნევა ფერთა შეხამება და ღია ფერების გამოყენება. მხატვარს განსაკუთრებით იზიდავს ოქროსფერი

<sup>11</sup> ხელნაწერში: ოკდნობრსა.

<sup>12</sup> ვ. ჩაჩანიძე. პეტრე იბერი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში. თბ., 1974; В. Чачанидзе. Петр Ивер и археологические раскопки грузинского монастыря в Иерусалиме, Тб., 1974.

და შინდისფერი. ერთი სიტყვით, ხელნაწერთა გაფორმებისას ნათლად შეიმჩნევა მხატვარ-კალიგრაფის გემოვნება და უნარი.

ამგვარად, S 3269 ხელნაწერის შესწავლის შედეგად გამოვლინდა ალექსი-მესხიშვილის დღემდე უცნობი გადაწერილი ტექსტები და მის მიერვე ფერებში შესრულებული 42 პორტრეტი. გაირკვა ისიც, რომ სამწიგნობრო-კალიგრაფიულ საქმიანობასთან ერთად ალექსი მესხიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველი წმინდანების პორტრეტების შექმნის საქმეში.

თ ბ ი ლ ს ი



ვახტანგ მეექვსე და მამუკა ბარათაშვილის „ჯაჟნიკი“

ვახტანგ მეექვსის, როგორც თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, ნიჭიერი მწერლისა და მოაზროვნის, განსწავლულა მწიგნობრისა და მეცნიერის სახელი კარგად არის ცნობილი. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ეროვნული სულიერი საგანძურის გამდიდრებაში. იგი დაუცხრომლად და ნაყოფიერად იღვწოდა ქართული კულტურისა და მეცნიერების თითქმის ყველა სფეროში, ეს იქნება მწერლობა (პოეზია, პროზა), თუ მეცნიერება — გრამატიკა, ტექსტოლოგია, ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, პედაგოგია, ასტრონომია — ასტროლოგია, ქიმია, გეომეტრია, მედიცინა, პოლიგრაფია და ა. შ.<sup>1</sup> ეს დიამეტრულად განსხვავებული დარგები ვახტანგისათვის არ ყოფილა ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობით ან თუნდაც ცოდნისმოყვარეობით გამოწვეული გატაცება. იგი მთელი არსებით იყო დაინტერესებული ცოდნის ამ სფეროებით, შეუპოვრად ცდილობდა საფუძვლიანად დაუფლებოდა მათ და თავისი ხალხი ეზიარებინა მათი სიკეთისათვის. ამ ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეში მძიმე და ძნელ ტვირთს ვახტანგი უპირველესად თვითონ ჰკიდებდა ხელს და სამაგალითო კეთილსინდისიერებით ეწეოდა მას. ამავე დროს, როგორც მეფე და ხელმძღვანელი, საგანგებოდ არჩევდა სათანადო ნიჭითა და უნარით დაჯილდოვებულ პირებს, ირგვლივ იკრებდა და სამოღვაწეოდ წარმართავდა მათ. ვახტანგის თაოსნობისა და უშუალოდ ჩარევის შედეგად გაკეთდა არაერთი მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე, რამაც შემდეგ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ხალხის ისტო-

<sup>1</sup> ვახტანგის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობა მიმოხილულია შემდეგ ნაშრომებში: ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1935; ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1966; გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1981.



ვახტანგ მეექვსე

რიაში. ვახტანგის ეს ორგანიზატორული მოღვაწეობა ისევე მოითხოვს გამოცალკევებით შესწავლასა და მონოგრაფიული სისრულით წარმოჩენას, როგორც საკუთრივ მისი ლიტერატურული და მეცნიერული შემოქმედება.

ამჯერად ჩვენი მიზანია გარკვევა იმისა, თუ რა წვლილი მიუძღვის ვახტანგს მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ შექმნაში.

ეს პოეტიკური ტრაქტატი, რომელსაც ხელნაწერებსა და გამოცემებში კიდევ „ლექსის სწავლის წიგნი“ და „სწავლა ლექსის თქმისა“ ეწოდება, ძველი ქართული მწერლობის უნიკალური ძეგლია, იგი პირველი სახელმძღვანელოა ქართული ლექსის შესახებ, სადაც ავტორი

ცდილობს განსაზღვროს ქართული ლექსის ბუნება, მისი აგებულება, ფორმები, საზომები, ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართება და სხვ.<sup>2</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, რომ ჩვენი მწერლობის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, — „ჭაშნიკის“ შექმნა, — ვახტანგის სახელს უკავშირდება. მაგალითად: კ. კეკელიძე წერს: „ეს შრომა დაწერილია ვახტანგ მეფის ბრძანებით 1731 წელს მოსკოვში“<sup>3</sup>. ამასვე აღნიშნავს ალ. ბარამიძე: „«ჭაშნიკი»

<sup>2</sup> „ჭაშნიკი“ გამოქვეყნებულია ექვსჯერ. პირველად დაბეჭდა ალ. ხახანაშვილი მ. ა. ყურ. „მოამბე“, 1900, № 12, მეორე განყოფილება, გვ. 52—68), მეორედ — გ. ლეონიძემ (ჭაშნიკი, მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა, თბ., 1920); სამჯერ გამოსცა გ. მიქაძემ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, თბ., 1950, გვ. 125—144; ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.), თბ., 1954, გვ. 7—23; მ. ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1969, გვ. 124—138); ბოლოს — ა. ხინთიბიძემ (მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, თბ., 1981).

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 631. დაყოფა აქ და ქვემოთ ყველგან ჩვენია.

შეთხზულია მოსკოვში 1731 წელს ვახტანგის დავალებით<sup>4</sup>.  
ეს აზრი განვითარებულია „ჭაშნიკის“ უკანასკნელ გამოცემაზე დარ-  
თულ გამოკვლევაშიც: „ეტყობა, — წერს ა. ხინთიბიძე, — მამუკა ბა-  
რათაშვილს რაღაც წყაროებით წინასწარვე ჰქონდა შემუშავებული  
ზოგადი წარმოდგენა პოეტიკის სახელმძღვანელოთა შესახებ. ვახ-  
ტანგ VI, რომლის ბრძანებითაც «ჭაშნიკი» დაიწე-  
რა, ფრიად განათლებული მეფე იყო... უნდა ვიგულისხმოთ, რომ  
სწავლული მეფე თავისი ამალის წევრს დავალების მიცემისას  
სათანადო ინფორმაციასაც მიაწვდიდა დაკისრებული სამუშაოს შე-  
სახებ“ (გვ. 40).

ეს აზრი გამეორებულია ბოლოდროინდელ გამოკვლევებში:

„ვახტანგი იმისთვისაც ზრუნავდა, რომ შეესწავლათ ქართული ლექ-  
სის ბუნება და პოეტიკის თეორიის საკითხებზეც სპეციალური ნაშრომი  
შექმნათ. ამის ნათელი დადასტურებაა მამუკა ბარათაშვილის  
«ჭაშნიკი», რომელიც ვახტანგის დავალებით და-  
იწერა“<sup>5</sup>.

„1731 წელს მამუკა ვახტანგ მეფის დავალებით  
წერს ქართული ლექსის პირველ მეცნიერულ  
გამოკვლევას («ჭაშნიკი» ანუ «სწავლა ლექსთა  
თქმისა»)“<sup>6</sup>.

„მოსკოვში ვახტანგის ხელმძღვანელობით იქმნე-  
ბა პოეტიკის სახელმძღვანელო, მამუკა ბარათა-  
შვილის «ჭაშნიკი», რომელმაც დიდი გავლენა იქონია XVIII  
საუკუნის ქართულ მწერლობაზე“<sup>7</sup> და სხვა.

აღნიშნული შეხედულება მომდინარეობს გ. ლეონიძის გამოკვლე-  
ვიდან, რომელიც მან ჭაბუკობისას დაწერა და წაუძღვარა „ჭაშნიკის“  
მისეულ გამოცემას. იქ აღნიშნულია: „«ჭაშნიკი» დაიწერა ვახტანგ  
VI-ის ბრძანებით, ისე როგორც სხვა თხზულებანი მამუკა ბარათაშვი-

<sup>4</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 456; კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 407.

<sup>5</sup> გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, 1981, გვ. 102.

<sup>6</sup> ვ. შადური, რევოლუციამდელი ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, თბ., 1983, გვ. 31.

<sup>7</sup> მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, თბ., 1983, გვ. 178.

ლის“ (გვ. VI). საბუთად მითითებულია ლექსთა ნაწყვეტები: „მიბ-  
ძანეს ლექსთა შემკობა“, „მეტი არა მაქვს ბძანება“, „მეფეთა მიერ  
ბძანება სრულ იქმნა ვითა ბძანესა“ („მიბძანეს“, „ბძანება“,  
„ბრძანესა“ დაყოფით არის დაბეჭდილი).

ბუნებრივია, ამ მოწმობის შემდეგ აღნიშნული შეხედულება ერთხ-  
მად იქნა გაზიარებული და ეჭვიმუტანლად დამკვიდრდა სამეცნიერო-  
ლიტერატურაში. მით უმეტეს, ვახტანგის ამგვარი თაოსნობა და მისი  
და მამუკა ბარათაშვილის სიახლოვე და შემოქმედებითი თანამშრომ-  
ლობა მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის კვალდაკვალ უფ-  
რო და უფრო იკვეთებოდა და მდიდრდებოდა.

მიუხედავად ასეთი ურთიერთობისა, მაინც არ მტკიცდება, რომ  
„ჭაშნიკი“ ვახტანგის დავალებით იყოს დაწერილი. გ. ლეონიძის ზე-  
მთ დამოწმებულ ამონაწერთაგან არც ერთი არ მოიპოვება „ჭაშნიკ-  
ში“ და სხვა თხზულებებს განეკუთვნება. კერძოდ, პირველი ორი ნა-  
წყვეტი მამუკას გალექსილი „ჯიმშედიანიდან“ არის (იხ. მ. ბარათა-  
შვილის თხზულებათა სრული კრებული, გ. მიქაძის გამოცემა, 1969 წ.)

პირველი სტროფი შესავლიდანაა;

მი ბ ძ ა ნ ე ს ლ ე ქ ს თ ა შ ე მ კ ო ბ ა ქ ე ბ ა დ ჯ ი მ შ ე დ ის გ მ ი რ ის ა,  
ს ა წ ა დ ე ლ ს რ უ ლ ე ბ უ ლ ის ა, პ ი რ ვ ე ლ ს ე ვ ე თ ა გ ა ნ მ გ მ ი რ ის ა,  
გ უ ლ თ ა, ც ე ც ხ ლ თ ა და ლ ა ხ ვ ა რ თ ა ვ ის თ ვ ის მ ე ზ ე ლ ა დ მ ი რ ის ა,  
და ზ ე ვ ა რ დ მ ო კ ა ვ შ ი რ მ ტ კ ი ც ის ა, ც უ ლ ვ ა ნ ხ წ ნ ა ლ ვ ი ნ ც ა მ ზ ი რ ის ა.

(სტროფი 13)

მეორე — ბოლო ნაწილიდან:

ა ლ ვ ა გ ე ს ე ს ა მ ყ ო ფ ი, თ ვ ი თ ნ ა ხ ე თ ვ ა ნ შ ე ვ ე ნ ე ბ ა ნ ი,  
ა რ მ ი ვ ე ც მ ი ზ ე ზ ის ა თ ვ ის ს რ უ ლ კ ე თ ი ლ გ ა რ ე ვ ლ ე ბ ა ნ ი,  
ქ ო რ ი უ მ ა რ თ ე ბ ს გ ა რ დ ა ქ ნ ა დ და ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ თ ა ც დ ე ბ ა ნ ი,  
და მ ე ტ ი ა რ ა მ ა ქ ვ ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა, ხ ა მ ს ს ხ ვ ა თ ა ც ა ლ შ ე ნ ე ბ ა ნ ი. (557)

ცხადია, აქ ორივეგან „ჯიმშედიანზეა“ საუბარი და „ჭაშნიკის“ ის-  
ტორიას არ ეხება.

„ჭაშნიკში“ ვახტანგი რამდენჯერმეა დასახელებული და ყველა შემ-  
თხვევაში — სხვა საკითხებთან დაკავშირებით. პირველად ნახსენებია  
„ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობაზე მსჯელობისას, სადაც პოემის 1712  
წლის გამოცემაზე დართული ვახტანგის კომენტარებია მოხმობილი:  
„მაგრამ თუცა ავზედა თქვა, ურიგოდ თქვა, ქებისა და მოგონების  
ნაცვლად, საძრახავი და საგმობელი იქნება და ცოდვაც მძიმე, რომე  
კაცი ცოდვაზედ აღძრავს და ავს ასწავლის, როგორც რუსთველს ცოლ-

ქმრობის სიყვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი საღმთოდ საერო სწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი, მე ფეს რომ უბ-  
ძანებია, ის გამოაცხადებს. მაგრამ ზოგიერთს მელექსეს იმისი წიგ-  
ნი ცუდს სააწიყოთ გაუსინჯავს“<sup>8</sup>.

მეორეჯერ ვახტანგი და მისი ნაწარმოების „სატრფიალონის“ ერთი სტროფი დამოწმებულია, როდესაც ავტორი განიხილავს ლექსის ფორ-  
მასთან იგავის შეხამების საკითხს: „გრძელ შეწყობილი, გინა მდინა-  
რი და შეწყობილი კაის სწავლის იგავებისათვის არის, რომ როგორაც  
ამ შაირში მე ფეს უბძანებია იგავთ: «უნდა მოგვანდეს ეკალ-  
სა ყმა ახალ-ნორჩი რგულეხსა...»“ (გვ. 125, [8]).

უფრო საყურადღებოა მესამე შემთხვევა. მამუკას სხვადასხვა სა-  
ხეობის ლექსთა საილუსტრაციოდ მოჰყავს მის მიერ ქართულ ხალხურ  
ლექს-სიმღერების „ხმებზე“ (კვალობაზე, მიბადვით) შექმნილი ლე-  
ქსები:

**შეწყობილი** — „ამეო, ამეო, საყვარელსა რამეო...“, რომელიც  
ხალხური ნაწარმოების „ვანეო, ვანეო, ცოლი მოიყვანეო“-ს მიხედვით  
შეუთხზავს;

**მდინარი** — „ჩემ საყვარელო ვინაო, მიწყვი მიდგეხარ წინაო...“  
ამ ლექსის საფუძველია „პატარა ქალო თინაო, რას გარდამიდგე წი-  
ნაო“;

**წყობილი მრავალ-მუხლი** — „თუცა შენია, შენ ია, ვარდს არ წარ-  
ტყვევნა ჰშენია“... შესაბამისი ხალხური ლექსია — „ახა, იესო, იესო,  
საყდარი დაგიქციესო“;

და ბოლოს **გრძლელი შაირი სამკვეთი** — „კაცსა უნდა ამ სოფელსა  
არ მიყვეს და არ აქოსა, განეშოროს, განაგდოსა“... ეს კი შთაუგონე-  
ბია ხალხურ ლექსს: „პატარასა სუფთას ქალსა, გარე ცეცხლი ედე-  
ბოდა, მავსებელი ჰყავს არვინა“ (გვ. 129—132, [15—18]).

წინ მამუკა იუწყება, რომ ლექსთა ეს სახეობები ხალხური ლექს-  
სიმღერების გამოყენებით მან შექმნა ვახტანგ მეექვსის დავალებით:  
„ეს თვითო სტრიქონი ძველი იყო და ეს მთელი ლექსები მე ფეს ავ  
ბძანებით მე, მამუკა ბარათაშვილმან, ვთქვი. ამას ქვეითი ვმე-  
ბის ლექსები სულ ასე ვთქვი და გაეარჩივე, ძველი ძველად და ახალი  
ახლად სწერია მთქმელთ სახელებითურთ. ამ ძველის თვითოს სტრი-

<sup>8</sup> მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 124;  
მისივე, სწავლა ლექსის თქმისა, 1981, გვ. 7. ქვემოთ ამ უკანასკნელის გვერდები  
კუთხოვანი ფრჩხილებით იქნება მითითებული.



ქონისაგან ვიპოვე ეს ახალი და ამ ძველის მთქმელი არ ვიცოდი“ (გვ. 129, [15]).

როგორც ვხედავთ, მამუკა ფართო ცნობებს იძლევა თხზულებაში წარმოდგენილი ყველა ნაწარმოების შესახებ, კერძოდ, საგანგებოდ აღნიშნავს ვახტანგის ინიციატივას დასახელებული ლექსების შექმნაში.

რამდენადაც მამუკას პოეტურ თხზულებათა გამოცემიდან ჩანს, ეს ლექსები სხვაგან არსად დასტურდება და მხოლოდ „ჭაშნიკში“ მოიპოვება. ეს იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ხსენებული ლექსები მამუკამ საგანგებოდ „ჭაშნიკისათვის“ შეთხზა. მიუხედავად ამისა, აქედან მაინც არ გამომდინარეობს მიღებული თვალსაზრისი. მამუკას ცნობა საკუთრივ ლექსებს ეხება და არა მთლიან „ჭაშნიკს“. ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობის, მათ შორის „ჭაშნიკზე“ დართული ლექსების, შესწავლა გვიჩვენებს, რომ ვახტანგი დიდად იყო დაინტერესებული ვერსიფიკაციული ძიებით, პრაქტიკულად გამოველინებინა და მშობლიურ პოეზიაში დაემკვიდრებინა ნაირ-ნაირი სალექსო ფორმები. მამუკას ცნობა სწორედ ვახტანგის მოღვაწეობის ამ მხარეს წარმოაჩენს და არაფერს ამბობს თვით „ჭაშნიკის“, როგორც თეორიული ნაშრომის, შექმნის შესახებ.

ვახტანგის წვლილი, მათ შორის საინიციატივო ხასიათისა, ამა თუ იმ ნაწარმოების შეთხზვის, თარგმნის, გადაწერის საქმეში საგანგებოდ არის აღნიშნული მათ სათაურებში, ანდერძ-მინაწერებში და ა. შ.

მაგალითად: ვახტანგის ბრძანებით სპარსულიდან ითარგმნა სამიჯნურო-სათავგადასავლო თხზულება „ბარამ-გულანდამიანი“. ხელნაწერებში მთარგმნელი დასახელებული არ არის, მაგრამ დამკვეთის, ვახტანგ მეექვსის სახელი სათაურშივეა მითითებული: „ქ. კარი პირველი ბარამისა და გულანდამისა, სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნული ბძანებითა ქართველთა მეფისა ვახტანგისათა“<sup>9</sup>.

ანალოგიური ვითარება გვაქვს „ბახთიარ-ნამეს“ მიმართაც. ამ ნაწარმოების ქართული თარგმანის თავწერილობაში იკითხება: „კარი პირველი აჯამის ხელმწიფისა, სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნული ბძანებითა საქართველოს გამგის ბატონი-

<sup>9</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. II, 1961, გვ. 196; ტ. III, 1963, გვ. 7, 178; ტ. V, 1967, გვ. 182. H კოლექცია, ტ. I, გვ. 336; ტ. III, 1948, გვ. 1 და სხვა.

შვილის ვახტანგისათა. მრავალყამიერ ყოს უფალმან ორსავე შინა ცხოვრებასა“<sup>10</sup>.

ვახტანგის დავალებითა და შემდეგ მისი შვილის ვახუშტის ჩარევით ზურაბ შანშოვანმა სომხურიდან თარგმნა მესამე საუკუნის მოღვაწის პორფირის ფილოსოფიური ნაშრომი „მეყუანილობა“<sup>11</sup> და სომხური გრამატიკის მიხედვით შეადგინა ქართული ენის მოკლე გრამატიკა<sup>12</sup>. ამის შესახებ ვახტანგისადმი მიმართვაში, რომელიც პორფირის თხზულების თარგმანს უძღვის, ნათქვამია: „ვახტანგ მეფეა ქართველთა ღმრთისაჲ მიერ იხარებდ! კეთილმორწმუნეობაჲ თქუენი ცხად იქმნა ჩუენდა და სიყუარული, რომელი გაქუსთ სულიერთა მიმართ სიტყუთა ღმრთისათა, რამეთუ ხე ნაყოფთაგან საცნაურ არს, რომელ თანამდებ გექმნათ ჩუენდა თარგმანებაჲ და პორფირისა «მეყუანილობისა» და გასაკეთებლად ღრამატიკისა...“<sup>13</sup>.

ვახუშტი ბაგრატიონის გადაწერილი კრებულის დასაწყისში, სადაც პირველად გრამატიკის ტექსტია მოთავსებული, გვაქვს: „სახელითა ღვთისათა, იწყების პირველად ღრამატიკა, ქართულსა ენასა ზედა ქმნული ზურაბ შანშოვანის ტფილისელისაგან მოსკოს, დიდსა სამეფოსა ქალაქსა შინა, მპყრობელობასა თვთმპყრობელის იმპერატრიცა ანა იოვანესისასა და ბძანებითა მეფის ვახტანგის ღვთისძისათა, არა შესრულებულ წელსა ქრისტეს აქათ 1737, დეკემბერს 2. აღსრულდა კვალად მეორე პორფირი, ხუთნი ვმანი, მი-

<sup>10</sup> ალ. ბარამიძე, ბახთიარ-ნამეს ქართული ვერსიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1948, გვ. 138; ალ. გვახარია, სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები, ბახთიარ-ნამე, თბ., 1968, გვ. 89.

<sup>11</sup> ალ. ცაგარელი, შესავალი წერილი წიგნისა: მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა, გამოცემული ალ. ცაგარელისაგან, სანკტ-პეტერბურღი, 1881, გვ. V. IX—XI; ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, „ჩვენს მეცნიერება“, 1923, № 2—3, გვ. 145.

<sup>12</sup> ალ. ცაგარელი, მითითებული ნაშრომი, გვ. III, XXIII; ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღრინდელი ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, ტფ., 1940, გვ. 141—159; არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 80—88.

<sup>13</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I, თბ., 1976, გვ. 224; S კოლექცია, I, 1960, გვ. 413 და სხვა.

სვე მეფის ბრძანებით ნათარგმნი მისგანვე ზურაბისა 1736...<sup>14</sup>

იქვე მთარგმნელი ასევე საგანგებოდ აღნიშნავს ვახუშტის ინიციატივის კრებულში შესულ სხვა თხზულებათა თარგმნის საქმეში. ხოლო თვით ვახუშტი კიდევ უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა ამ თხზულებათა თარგმნის ისტორიასზე.

ვახტანგის მითითებით რუსულიდან ითარგმნა სახელმძღვანელო „ანგარიშის ცოდნის წიგნი“. შესავალში მთარგმნელი წერს: „ქ. ეს წიგნი მე, მიხილ ელივიჩ ვთარგმნე რუსულისაგან ქართულად, ოდეს მობძანდა მეფე ვახტანგ ქალაქსა მოსკოვს. მან მიბრძანა და თვით მანვე ქართულის ენით გაასწორა და ვრცლად დასწერა. საუკუნომცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრების მისისნი, ამინ!...“<sup>15</sup>.

ასევე აღინიშნება ხელნაწერთა გადაწერის დაკვეთაც. პაპუა თუმანიშვილი იუწყება: „ქ. წელსა 1733, ჩღღგ, გელმწიფობასა მეორესა იმპერატრიცა ანნა იოვანუნასასა აღიწერა წიგნი ესე ალექსანდრეს მაკიდონელისა ცხოვრება ქალაქსა დიდსა სახელმწიფოსა, დიდსა მოსკოვსა, ბრძანებითა საქართველოს მპყრობელისა მეფისა ვახტანგისითა, ხელითა თუმანისშვილისა იესეს შვილის პაპუასითა, დასრულდა ამავე წელსა, დეკემბერსა 24, ამინ!“<sup>16</sup>

სიონის ეკლესიის დიაკვნის გაბრიელის ცნობა: „ნებითა ღვთისათა და ბრძანებითა საქართველოს გამგის, პატრონის ვახტანგისითა, მე, ფრიად ცოდვილმან და ყოველთა კერძო დიაკონთა უნარჩევსმან, სიონთა ღვთისმშობლის დეკანოზის შვილმან გაბრიელ, აღვწერე წმიდა და სულთა განმანათლებელი სახარებაჲ, სამოციქულო, იოანეს მოხილვა და დავითი ესე. უწყის უფალმან, გაკრძალვით ვსწერე და თუ რამ მცდარ ვიყო, ნუ მწყევთ, გევედრები უფალნო, მრავალიმცა არიან წელნი ცხოვრებისა ძისა მეფისა ვახტანგისნი“.<sup>17</sup>

არის პირიქითაც. არც ვახტანგი ტოვებს დაუსახელებლად, ვისაც მისთვის დახმარება გაუწევია. მაგალითად: ცნობილია, რომ ვახტანგის ვრცელ პოეტურ თხზულებას „სიბრძნე მალაღობელს“ საფუძვლად

<sup>14</sup> მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან, გვ. 1; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, II, 1958, გვ. 265.

<sup>15</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, გვ. 184.

<sup>16</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, I, გვ. 339.

<sup>17</sup> მ. ჯანაშვილი, Описание рукописей Тифлисского церковного музея, III, Тифлис, 1908, стр. 170—171.

უდევს ერასტი თურქისტანიშვილის მიერ რუსულიდან ნათარგმნი „აპოკთეგმატა“. ეს ბიბლიოგრაფიული ცნობა მოცემულია ვახტანგის ნაწარმოების სათაურში: „ქ. მოკლედ სიტყვისგება სოვრატისი. სწავლა პირველი. თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანიშვილისაგან დალექსადნაბძანები მეფეთმეფის ვახტანგისაგან, რომელსა ეწოდების «სიბრძნე მალაღობელი». მრავალყამიერ ყოს უფალმან“<sup>18</sup>.

კიდევ უფრო ვრცელ ცნობებს იძლევა ვახტანგი „ქილილა და დამანას“ თარგმნის საქმეში თეიმურაზ პირველის მამის დავითის, ვინმე სპარსელისა და სომეხის მონაწილეობის შესახებ: „უამსა მას... მეფეთმეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ... მაშინდელი ნათარგმნი უამთა ვითარებით დაკარგულიყო და შემდგომად ბატონს დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელი სარაკამდის ეთარგმნა, მაგრამ არც ლექსი გამოეღო და ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც გასრულება დაცალუბოდა. მის წიგნი ხელად შემომივარდა. ვნახე, რომ იყო სიტყბოთი და სარგოთი სრული.. ერთს სპარსსა რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უტოლინარობით ვერც კარგა გამოიღო და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთს სომეხს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება და მან შეასრულა... შემდგომად ამისა... ტყვე მყვეს და... ქირმანს წარმომგზავნეს. რა მიველ მუნ, წიგნი სარგონი არ მახლდა, ... სხვა საქმე არა მქონდა რა დამის შექცევას გამოვეკიდე...“<sup>19</sup>.

ვახტანგს ასევე უყურადღებოდ არ დაუტოვებია და ნაწრომის სათაურშივე საგანგებოდ მოუხსენებია ვინმე მირზა აბდურჩა თავრიზელი, რომელიც მას ულულ-ბეგის ასტრონომიული თხზულების თარგმნაში დახმარებია: „ქ. დასაწყისი ზიჯისა ამის სწავლისა, თარგმნილი მეფის ვახტანგისა. ეს ულუყბეგის ზიჯი მე, მეფე ვახტანგ გამოვიღე მირზა აბდურჩა თავრიზელის შეწევნით...“<sup>20</sup> და სხვა.

ჩვენ აქ დავიმოწმეთ მხოლოდ ისეთი ნიმუშები, რომლებიც ვახ-

<sup>18</sup> ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ. 1975, გვ. 175; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, გვ. 189.

<sup>19</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, აღ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 38—39.

<sup>20</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, გვ. 179.

ტანგს შეეხება, ისიც ნაწილი. საზოგადოდ, ამ ტიპის მასალათა გაცნობა გვიჩვენებს, რომ ძველად ამგვარი ბიბლიოგრაფიული ცნობების მოწოდება არათუ მიღებული, სავალდებულოც კი იყო, მით უმეტეს, როცა იგი მეფეს ეხება<sup>21</sup>. თანაც იგრძნობა, რომ, როდესაც ესა თუ ის სამუშაო მეფეთა დაკვეთით სრულდება, ეს ერთგვარი სიამოვნებითა და სიამაყითაც არის აღნიშნული.

ბუნებრივია, ამ მხრივ არც მამუკა ბარათაშვილია გამონაკლისი. ზემოთ ვნახეთ, მამუკამ „ჯიმშედინის“ თავსა და ბოლოში საგანგებოდ მიუთითა, რომ მან ეს ნაწარმოები ვახტანგის დავალებით შეთხზა. ეს აღნიშნულია სათაურშიც: „ქ. წყება პირველი წიგნისა ამის „ჯიმშედინისა“, გალექსული მამუკა ბარათაშვილისა მიერ ანბავთაგან „რუსულდანიანისა“, გ ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ“<sup>22</sup>.

თუკი მამუკამ „ჭაშნიკში“ იმ ფაქტზე გაამახვილა ყურადღება, რომ ქართულ ხალხურ ლექს-სიმღერების ზმებზე შეწყობილი თავისი ლექსები ვახტანგის დავალებით შეთხზა, ბუნებრივია, ამგვარი შემთხვევა რომ თვით „ჭაშნიკის“ მიმართ ყოფილიყო, არც ეს გამორჩებოდა აღუნიშნავი. ამ აზრს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ნაშრომის სათაური. „ჭაშნიკის“ სამი ხელნაწერი არსებობს<sup>23</sup>. ამათგან ერთი ავტოგრაფია, ერთიც ვახტანგ მეექვსის ხელში ნამყოფი და მის მიერ შევსებული<sup>24</sup>. არც ერთი დასაწყისში დაზიანებული არ არის. ყველას მოებოვება გრძელი სათაური, სადაც დასახელებულია ავტორი, მაგრამ არაფერია ნათქვამი ვახტანგის შესახებ. ავტოგრაფშია: „სწავლა ლექსის თქმისა და დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ჭაშნიკისა, პოვნილი მამუკა ბარათაშვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან“<sup>25</sup>. თუ არ მივიღებთ


<sup>21</sup> აქა-იქ, რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც, რომელთაც თავიანთი მიზეზები აქვთ. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის მომზადებაში თავისი მონაწილეობა გარკვეული მოსაზრებით არ გაამხილა და წიგნში არ აღნიშნა თეიმურაზ ბაგრატიონმა.

<sup>22</sup> მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 156.

<sup>23</sup> ამ ხელნაწერთა შესახებ იხ.; გ. მიქაძე, ტექსტისათვის, წიგნში: მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 140—150. ძირითადი ლიტერატურაც აქვეა მითითებული.

<sup>24</sup> უდრ.: ლ. მეფარიშვილი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 160; გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1958, გვ. 143; მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 143.

<sup>25</sup> მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, გვ. 7, 25.



ვახტანგ მეექვსის ლექსი „უწყვეტელი“ „ქაშნიის“  
ლენინგრადული ხელნაწერიდან

მხედველობაში უმნიშვნელო ვარიანტულ სხვაობებს, ასევეა სხვა ნუს-  
ხებშიაც.


ზემოთ ვნახეთ, როგორი ყურადღება ექცეოდა დაკვეთის აღნიშვნას. თუ აქ მამუკა და ვახტანგი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დუ-  
მან, ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი!

ღ უღონო მიმეყ. მასხრის უმბოლოყ დისაყადი შიყ სეყლით ო  
 შიყსიყ ნაიყემა (ბოლო ერთი  
 შიყემაყე ცხეყყნა შიყემაყეოი. ნაიყეყარი ო  
 ამაში უხე სეყეოლოდ შიყეოლოყე ოიშაშლოი ო  
 გნემალო გნემალოყე შიყეომაყე ნაიყეოარი ო  
 ნეყეოი იქმა სეყეოეა ადმაშარეს სეყეოეოი ო  
 ადმაშარეს სეყეოეოი ადმაშარეს სეყეოეოი ო  
 ადმაშარეს სეყეოეოი ადმაშარეს სეყეოეოი ო  
 გნეყეოეოი შიყეოეოი ადმაშარეს გნეყეოეოი ო  
 ნეყეოეოი სეყეოეოი ადმაშარეს სეყეოეოი ო  
 რეყეოეოი ნაიშის სეყეოეოი რეყეოეოი გნეყეოეოი ო  
 შიყეოეოი გნეყეოეოი შიყეოეოი გნეყეოეოი ო  
 ადმაშარეს სეყეოეოი ადმაშარეს გნეყეოეოი ო  
 ნეყეოეოი შიყეოეოი ადმაშარეს სეყეოეოი ო  
 შიყეოეოი ადმაშარეს სეყეოეოი ადმაშარეს ო  
 სეყეოეოი შიყეოეოი ადმაშარეს სეყეოეოი ო  
 შიყეოეოი შიყეოეოი ადმაშარეს გნეყეოეოი ო  
 ნეყეოეოი სეყეოეოი ადმაშარეს სეყეოეოი ო

ვახტანგ მეექვსის „ბოლო ერთი“ „კაშნიკის“  
 ლენინგრადული ხელნაწერთან

ამრიგად, არავითარი ხელჩასაჭიდი საბუთი არ არსებობს, რომ მა-  
 მუკა ბარათაშვილის „კაშნიკი“ ვახტანგ მეექვსის დავალებით იყოს  
 დაწერილი.

მეორე საკითხია, ვახტანგს გარკვეული და, შეიძლება ითქვას, დიდი



ვახტანგ მეექვსის ლექსები „მუხრანელი“ (ავტოგრაფი) და „ვახტანგური“ ქაშნიკის ლენინგრადული ხელნაწერიდან

ინტერესი გამოუჩენია ამ თხზულების მიმართ, რაც სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი. როგორც ზემოთ ვთქვეით, ვახტანგი მთელი გატაცებით ზრუნავდა ქართული ლექსის მრავალფეროვნებისათვის და, ბუნებრივია, გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ დარგში შექმნილი თეორიუ-





ცნობილია, „ჭაშნიკის“ ბოლოს, ე. წ. ქრესტომათიულ ნაწილში სანიმუშოდ მოყვანილია სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგის ლექსები. სულხან-საბას ლექსები მის მიერ დამუშავებული „ქილილა და დამანადან“ არის ამოკრებილი და თითოეული ლექსის გარკვეულ სახეობას წარმოადგენს. ამის მაჩვენებელია მათი სახელწოდებანი: „უცხო“, „ჩაბრუხაული ძაგნაკორული“, „ჩაბრუხაული შერეული“, „ჩაბრუხაული მრჩობლედი“, „მრჩობლედი ფისტიკაური“, „შერეული“, „მრჩობლედი“, „წყობილი“, „შეწყობილი“, „იამბიკო“, „რგველი“, „ფისტიკაური“, „ლექსი“.

ამათ მოსდევს ვახტანგის ლექსები. „ჭაშნიკის“ სამივე ხელნაწერში გადამწერთა ხელით შეტანილია „უწყვეტელი“ (სურათი № 1), „ბოლოერთი“ (სურათი № 2) და „მეფის თქმული“. ეს ლექსებიც გამორჩეული ფორმის ნაწარმოებებია, რომლებიც ვახტანგის თხზულებათა არც ერთ ხელნაწერ კრებულში და არც სხვაგან დასტურდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ პოეტმა ისინი საგანგებოდ „ჭაშნიკისათვის“ შეთხზა. უფრო მეტიც: ვახტანგს არც შემდეგ შეუწყვეტია „ჭაშნიკზე“ ფიქრი და მისთვის კიდევ დაუმატებია სამი ლექსი: „მუხრანული“ და „ვახტანგური“ (სურათი № 3) და „ლექს-ამბავი“ (სურათი № 4). „ჭაშნიკის“ ლენინგრადულ ხელნაწერში „მუხრანული“ და „ლექს-ამბავი“ ვახტანგის მიერ გაკრული ხელით არის ჩაწერილი, „ვახტანგური“ კი — განსხვავებული ხელით, რომელიც ძალიან მოგვაგონებს ვახტანგის კალიგრაფიულ ხელს. ამ ლექსების მიმართაც იგივე უნდა ითქვას, რაც წინა სამზე ვთქვით: ესენიც თავისებური ფორმის თხზულებებია, „ჭაშნიკის“ გარდა სხვაგან არსად მოიპოვება და საგანგებოდ ამ ნაშრომისათვის არის შექმნილი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ: არ მტკიცდება სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულება, რომ მამუკა ბარათაშვილის პოეტიკური ტრაქტატი „ჭაშნიკი“ ვახტანგ მეექვსის დავალებით იყოს დაწერილი. სამაგიეროდ კარგად ჩანს, რომ ვახტანგს დიდი ინტერესი და ყურადღება გამოუჩენია ამ ნაშრომისადმი, საგანგებოდ შეუთხზავს სხვადასხვა ფორმის ლექსები, დაურთავს მისთვის და ამითი ერთგვარად გაუმდიდრებია მისი ქრესტომათიული ნაწილი.

**არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ და  
ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“**

არჩილის „გაბაასებამ თეიმურაზისა და რუსთველისა“, როგორც XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველმა ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა წყარომ, ძველიდანვე მიიპყრო ქართველ მწიგნობართა ყურადღება. მათ განსაკუთრებით დიდად დააფასეს თხზულების ის ნაწილი, რომელიც შეიცავს თხრობას თეიმურაზ პირველის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ძეგლში დაცული ცნობები უხვად შეიტანეს საისტორიო და ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. ზოგიერთმა გადამწერმა „გაბაასებიდან“ გამოაცალკევა თეიმურაზის ცხოვრება (მე-17-18 პასუხები) და დამოუკიდებელ თხზულებად გადაწერა. 1853 წელს იგი პ. იოსელიანმა ცალკე წიგნადაც გამოსცა სათაურით „ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა, აღწერილი ლექსად არჩილისაგან მეფისა“, რომელსაც სქოლიოებში დაურთო მოკლე კომენტარები, სადაც განმარტებულია პოემაში ხსენებულ ისტორიულ პირთა ვინაობა. მეტიც: ზოგმა მწიგნობარმა ამავე თხზულებიდან გამოჰყო დამოუკიდებელ ეპიზოდად 384—395-ე სტროფები, რომელთაც სათაურად უძღვის „მეფის თეიმურაზისაგან დედოფლის მგლოვიარობა და მწუხარება“, ხოლო დავით რექტორმა „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ (S 1512) ეს ფრაგმენტი შეიტანა როგორც თეიმურაზ პირველის ნაწარმოები სათაურით „პირველის თეიმურაზ მეფისაგან თქმული გლოვა დედოფლისათვის შაირად“<sup>1</sup>.

„გაბაასების“ მიმართ დიდი ინტერესი იმითაც აღინიშნა, რომ

<sup>1</sup> S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, II, 1961, გვ. 261. (შდრ. იქვე, გვ. 94).

XVIII—XIX საუკუნეებში გაჩნდა მისი მრავალი ხელნაწერი<sup>2</sup>, ის იქცა ერთ-ერთ ძირითად წყაროდ XVII—XVIII საუკუნეების იმ ისტორიკოსებისა და ჰაგიოგრაფებისათვის, რომელთაც დაწერეს XVII საუკუნის ქართლ-კახეთის ისტორია, ან შეთხზეს ქეთევან დედოფლისა თუ ლუარსაბ მეფის წამებათა საკითხები. ეს გასაგებიცაა: თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფარსადან გორგიჯანის „ისტორიას“ და ზოგიერთ ფრაგმენტს, რომლებიც დაუცავს „პარიზის ქრონიკას“ და სხვა მატრიანებს, თეიმურაზ პირველის ცხოვრება და მისდროინდელი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ვითარება ასე ვრცლად და ზედმიწევნითი სინამდვილით არცერთ სხვა ქართულ საისტორიო წყაროს არ დაუცავს. ამიტომაც არჩილი გახდა XVII საუკუნის ქვემარტივი ყამთააღმწერელი, რომელმაც ლექსად თქვა ის, რაც ოფიციალურ ისტორიკოსებს უნდა ეთქვათ პროზად. ამან განსაზღვრა ისიც, რომ „გაბაასება“ საფუძვლად დაედო ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის, გრიგოლ დოდორქელის, ბესარიონ ორბელიანისა და ანტონ ბაგრატიონის თხზულებებს. ამჯერად განვიხილავთ საკითხს, თუ რა მიმართება აქვს არჩილის „გაბაასებასთან“ ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებას“<sup>3</sup>.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრება“ ძველი ქართული საისტორიო ძეგლების კრებულს წარმოადგენს და თავდება გიორგი ბრწყინვალეს მეფობის ამბავთა აღწერით, მომდევნო პერიოდის საქართველოს ისტორია XVIII საუკუნემდე არ იყო დაწერილი სათანადო ყამთააღმწერლობის წესით. ამიტომაც მაშინდელ სწავლულებს უჭირდათ თავიანთი სამშობლოს გვიანდელი წარსულის გათვალისწინება.

ი. ჯავახიშვილი წერდა: „ამ დიდი ნაკლის შევსების თაოსნობა... ვახტანგ VI-მ იკისრა. საქართველოს მერმინდელი, XIV—XVII საუკუნეების დაუწერელი ისტორიის აღდგენის აუცილებლობა პირველად მთელი სიცხადით სწორედ მან შეიგნო და ქართული საისტორიო მწერლობის ამ ოთხსაუკუნოვანი ხარვეზის ამოვსებისათვის მუშაობას

<sup>2</sup> ისინი მეცნიერულად შეისწავლა ა. ბარამიძემ (არჩილიანი, II, 1937 გვ. 149—156).

<sup>3</sup> ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ი. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, 1940; ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 326—442 (ვსარგებლობ ი. ჯავახიშვილის გამოცემით. ორთოგრაფია. ახალი).

შეუდგა<sup>4</sup>. ეს გარემოება ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაშიც“ აღინიშნა<sup>5</sup>.

„სწავლულ კაცთა“ კომისიამ, რომელც შეიქმნა XVIII საუკუნის დასაწყისში, რედაქცია გაუკეთა ძველ „ქართლის ცხოვრებას“ და შეიმუშავა XIV—XVII საუკუნეების ისტორიაც, რომელსაც პირობითად ეწოდება „ახალი ქართლის ცხოვრება“. ამით შეივსო ის ხარვეზი, რომლითაც „ქართლსა შინა «ქართლის ცხოვრება» შემცირებული იყო“. მინაწერებით დადგინდა, რომ ახალი ისტორიის ავტორია ბერი ეგნატაშვილი. ი. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ეს მემბტიანე, „ან კომისიის მეთაური და ხელმძღვანელი იქნებოდა, ან მისი მდივანი და საერთო ნამუშევარისა და კვლევა-ძიების აღმწერელი“<sup>6</sup>.

ბერი ეგნატაშვილი თხზულების დასაწყისშივე ასახელებს წყაროებს, მაგრამ, დუმილით უვლის გვერდს არჩილის, იოსებ ტფილელისა და ფეშანგის საისტორიო პოემებს, რომელთაგან „სწავლულ კაცთა“ კომისიას მრავალი ცნობა აქვს ამოღებული 1600—1665 წლების საისტორიო ამბების აღსაწერად, ასევე „ახალი ქართლის ცხოვრების“ წყაროთა მაძიებელი მეცნიერები არაფერს ამბობენ, ხსენებულმა მხატვრულმა თხზულებებმა რა გავლენა მოახდინეს XVIII საუკუნის საისტორიო მწერლობაზე. სამართლიანად წერს ი. ჯავახიშვილი, რომ „სწავლულ კაცებს“ „თავიანთი წყაროების სახელები აღნიშნულია არა აქვთ და მარტო შესავალში საზოგადო, ბუნდოვან ცნობებს აძლევენ მკითხველს ამის შესახებ. ხოლო განსაკუთრებული გამოკვლევის შემდგომ შეუძლია მეცნიერს მიაგნოს მათს უმთავრესს წყაროებს“ (იქვე გვ. 323). და მართლაც, საგანგებო ძიებაა საჭირო, რათა დადგინდეს: ვინ არიან ის „ძველნი კაცნი“, რომელთა თხზულებებიდან აღუწერია ეგნატაშვილს XVII საუკუნის დასაწყისის ამბები. ამჯერად, ყველა ნიშნის მიხედვით ირკვევა, რომ „ძველთა კაცთა“ შორის იგულისხმება აგრეთვე არჩილი<sup>7</sup>, რომლის საისტორიო პოემა „სწავლულ კაცთა“ კომისიას ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გამოუყენებია, ამის დასადასტურებლად დავიმოწმებთ რამდენიმე პარალელურ ტექსტს.

1. თეიმურაზ პირველის მეორედ ქორწინებას ძველი ისტორიკოსები სხვადასხვანაირად მოგვითხრობენ. ფარსადან გორგიჯანიძე წერს:

<sup>4</sup> ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII. 1977, გვ. 418.  
<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 326.  
<sup>6</sup> ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, გვ. 422.  
<sup>7</sup> იქვე, გვ. 319.

„რა გურიელის ქალი დედოფალი გამოიგლოვეს, ქართლის მეფეს  
ლუარსაბს და სთხოვეს კახეთის სადედოფლოდ. მაგრა ბატონის თეი-  
მურაზის პაპა ბატონი ალექსანდრე და ხორეშან დედოფლის ბებია  
ნესტან-დარეჯან დედოფალი და-ძმანი იყვნენ, ბატონის ლევანის შვი-  
ლები არიან და ქრისტიანობაში უმხდურნი ყოფილან და მერჯულე-  
ნიც ნებას არ ყოფილან... კრება უქმნიათ ამაზედ, რომ და-ძმათ შვი-  
ლის-შვილები ერთმანეთს ვით შერთონ. ასრე არჩივეს საქრისტიანოს  
გაერთებისა და გაძლიერებისათვის; მერჯულეთ ნება დართეს..., ხვა-  
რეშან დედოფალი ბატონს თეიმურაზს შერთეს“<sup>8</sup>. მასვე ამბობს „პა-  
რიზის ქრონიკის“ ავტორი<sup>9</sup>. მაგრამ ამ ქორწინების ამბავს გულისტკი-  
ვილითა და ღრმა სევდით გადმოგვცემს არჩილი. იგი ჭეშმარიტად ცდი-  
ლობს დაგვანახოს, თუ რა ძლიერია თეიმურაზის განცდა, როცა შაჰ-  
აბასი აიძულებს დაათმობინოს ყველაფერი ძვირფასი — რწმენა და  
ტრადიციები! აი, არჩილი რას წერს „გაბაასებაში“:

მე მგლოვიარე ყაენმა მომიხმო, მიმიპატიჯა,  
თუ გლოვით გამოსასვლელად, კვლავ უფრო გამაპატიჯა...  
მიბრძანა, თუ: „მწოვედ მიმიძიხს, გხედავ აგრე შემოსილსა“,  
გლოვაზედ რად წაბაძე შენ, ჭკვიანმან, სხვათ შეშლილსა?!...

პირველი ნახვა გათავდა, მერმე მიმიხმო ხალვათათ,  
მითხრა: „ლუარსაბ მეფესა გამოყვრებ მალე ამლათათ,  
ორნივე მეფენი გაერთდით, ის შენთვის იყოს, შენ მათათ,  
ჩემიცა ქვისლი იქნები, საქმე არ დარჩეს სახლათათ“.

მოვახსენე: „ხელმწიფეო, ეგ ჩენს რჯულში არ მოჰხდება,  
ახლოს არის ნათესავი, საკანონო დამედება,  
ნუ შევირთო ნათესავი, საბოლოო წამიხდება,  
უარი არ გამიგონა: „ცუდიაო მიდ-მოღება,

არ იქნება, დამიჯერე, ქართველთ მეფის უმოყვრება,  
სხვას უკეთეს ვერ შეირთავ, მეც მასმია დიად ქება,  
ზურგად მე გვეყ, ის მოყვარედ, ვისლა ძალუც შენი ვნება?  
მე მწაღს, მერმე თქვენ მოგხვდებათ ლხინით შეყრა, ერთად ხლება“.

კიდევ რაჲ მოვახსენე: მე ეგ საქმე არ მექნება.  
არაფერი არ გავიდა უარისა მოხსენება.

<sup>8</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე , ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1926, გვ. 20.

<sup>9</sup> ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), 1980, გვ. 65.

კვლავ მიბრძანა: „ნულარ იტყვი, თუ არა იქ, არ იქნება“.  
რადგან ასრე მოინდომა, რაღა მექნა, დავრთე ნება...

რა მოველ, მეფეს ლუარსაბს ვემოყვრე მისის ბრძანებით...

(სტრ. 396, 402—405, 420).

ბერი ეგნატაშვილი არჩილის ტექსტს იმეორებს უცვლელად, ოღონდ თეიმურაზისა და ხორეშანის ქორწინების ამბავს უფრო სისრულით მოგვითხრობს:

„მაშინ მიესმა საქმე ესე შაბაზს, გლოვა და მწუხარება კახის ბატონისა, წარმოგზავნა კაცი და“ თავისთან იხმო. „წარვიდა ბატონი თეიმურაზ და მივიდა ყეენთანა და დახვდა ყეენი დიდად კარგად და მისცა მრავალი და გამოიყვანა გლოვისაგან. დიდად ღვინობდენ და შეექცეოდენ. და შემდგომად ხანსა რაოდენსამედ მიიხმო ბატონი თეიმურაზ საიდუმლოდ და უთხრა ყეენმა ესრეთ, ვითარმედ: «მეფესა ლუარსაბს სთხოვე და მისი ხორაშან და შეირთე ცოლად, რამეთუ იქმნები ქვისლი ჩემი და მოყვარე ლუარსაბისა და არღარა იქმნება თქვენსა და იმას შუამტრობა და შური. ხოლო მეფემან თეიმურაზ უთხრა უარი, რამეთუ ეყოდენ და ნათესავნი იყვნენ, პაპიდაშვილი იყო, და ამისათვის უთხრა დიდი უარი. მაშინ არა უსმინა შაბაზ და უწყინა და, რადგან დაუყინა, ნება დართო თეიმურაზ და მორჩილ ექმნა და ჩამოჰყვა შერთვასა ხორაშანისასა და წარმოგზავნა თვისა ადგილსა და მოვიდა თეიმურაზ კახეთსა. ხოლო ყეენმანც მოსწერა ლუარსაბს მოყრობა თეიმურაზისა და სთხოა ქალი თეიმურაზ, და ყეენის სიტყუას ვერცა ლუარსაბ გარდავიდა და მისცა და თავისი ხორაშან. და წარიყუანა ქალი და ქნა ქორწილი ბატონისანი თეიმურაზ» (გვ. 113—114).

2. შაჰ-აბასი კახეთს რომ შემოვიდა და მოაოხრა, მერე ქართლს მიადგა, თეიმურაზი და ლუარსაბი კი იმერეთში გაიქცნენ. არჩილი გადმოგვცემს:

ქართლ-კახეთის მეფეებს იმერთა მეფე გიორგი საწერეთლოში მიეგება, მიიწვია ქუთაისს და შესანიშნავად უმასპინძლა. შაჰ-აბასი მათ კვალს გაჰყვა, გაიარა ქართლი და დადგა გორს, იქიდან გიორგის შეუთვალა: თეიმურაზ და ლუარსაბ შეიბყარ და აქ მომგვარეო: გიორგიმ სათათბიროდ მოიწვია დადიან-გურიელი, იმსჯელა და შაჰ-აბასთან მოციქულებად გაგზავნა მალაქია აფხაზთა კათალიკოსი და აბაშიძე ლევან. მათ დააბარა:

ვით მოხდება ეგე აგრე, ძმა და შვილი ადვილ გავსცე,  
ლიხთ იქითი საქართველო ავილო და პირქვე დავსცე?..  
სამართალი მეფეთ ეს არს: შენახვეწ კაცს შეიწყალსა.  
თუ რამ ამათ დააშავეს, ვხედავთ თავსა დანაბრალსა...

თვით იცით, დიდო ხელმწიფევე, ჩვენცა კაცი ვართ სეფენი,  
გვარი გვაქვს დავითიანი, მას მონდა ყოვლი მეფენი;  
აწ უპატიოდ ნუ გავხდით, ხვეწნით ვართ შემომყეფენი:  
უბოძე ორთავ თვის-თვისი, უცხო ჰქენ სიიფენი...

უხვად წყალობა მოჰფინე, ხმა ტკბილი, ვითა ებანი,  
პატივი დამდევე, წაბრძანდი, ამით ქნან მანდეთ რებანი.

(სტრ. 483—487)

შაჰ-აბასმა კარგად მიიღო ელჩები, ისინი ტკბილი სიტყვით შეა-  
ჯერა. მე ლუარსაბს არას ვერჩი, მაგრამ „ჩემი არის თეიმურაზ ძველი-  
დანვე სისხლის მსმელი“. ვფიცავ, ლუარსაბს ქართლს დავუბრუნებ,  
წყალობასაც არ მოვაკლებო. მერმე თავისთან იხმო ლუარსაბის გამზრ-  
დელი შადიმან ბარათაშვილი და ცრემლმორეულმა უთხრა მას: ამათ  
გაჰყევე და ჩემგან ლუარსაბს გადაეცი: რას აპყოლია თეიმურაზს, ჩემს  
უმოწყალო მტერს? შეევედრე, ქართლში დაბრუნდეს და შემირიგ-  
დესო. მათთან ერთად გაგზავნა ერთგული ხოჯა, რომელსაც გაატანა  
ძვირფასი ხმალი. ასევე ლუარსაბს მისმა „დამაც წიგნი მიუწერა, ვინ  
ყენსა ბაასობდა“. მოციქულებმა ქართლის მეფეს შაჰის რაყამი და  
დის წერილი გადასცეს, ხმალიც მიართვეს, ლუარსაბს გული მოუბ-  
რუნდა და გულწრფელად თქვა: „ამ საფიცარს ვით არ ვენდო, შეუ-  
შინდე ნეტარ ვითა?“ წავალ, შაჰს ვეახლები და ქართლს აოხრებისა-  
გან გადავარჩენო. თეიმურაზმა და იმერმა მეფემ ურჩიეს: „შაჰ-აბასი  
ვერაგია, მუხანათი, ფიცს გასტეხს“. თვით ლევან დადიანიცა წაუსვ-  
ლელობას ურჩევდა“, მაგრამ ლუარსაბმა თავისი არ დაიშალა. მათ  
კვლავ უთხრეს:

ბევრჯელ უწინც მოგახსენეთ, დაგვიჯერე, მოდი ახლა:  
ნუ წახვალ და მოგვეხმარე. მან ძველივე განაახლა...  
დაშლის სიტყვა არ ისმინა, ვერ დაჰყარეს დგომის ღონე.  
წამოვიდა, თან გამოჰყდა მეფე, მისი წინამძღონე.

კვლავცა ჰკადრეს: „არ გვისმინე, შენი წასვლით დავგალონ-  
რადგან წახველ, გაემჩვენე, თავი კარგად მოაწონე“.



მიუხედავად დიდი ხვეწნა-მუდარისა, ლუარსაბმა მაინც იწამა ვერაგი შაჰის ფიცი, გამოემშვიდობა თეიმურაზს, მასპინძლებს და გამოემართა ქართლისაკენ. შაჰ-აბასმა არ მოისურვა, ქართლის მეფეს ცხენზე მჯდომი მიჰგებებოდა. ამიტომაც მოიგონა ნადირობა და ვითომც ამის მიზეზით შეეყარა მას ამხედრებული. ორნივე გამოემართნენ გორისაკენ.

დაყვეს ხანი გორს მცირედი ლხინითა და დიდის შვებით, მგოსნებით და მოშაითით, მწუხრი ქნიან გათენებით, ალერსით და ტკბილის სიტყვით, ფერობით და მისის თნებით, რაც იამის, აამებდის, ხელს უწყობდის მოსვენებით.

(სტრ. 476—523)

ყოველივე ამას სიტყვა-სიტყვით იმეორებს ბერი ეგნატაშვილი (გვ. 129—132).

3. გაბაასების ერთ-ერთ ქვეთავს აქვს ასეთი სათაური: „აქა ნოდარ ჯორჯაძისაგან და დავით ასლანისშვილისაგან ბატონის თეიმურაზის კახეთსავე ჩამოყვანა“ (გვ. 62), ხოლო შემდეგ ვკითხულობთ:

კახეთი ნოდარს და დავითს მან მიაბარა სულობით. მაგრამ მათ მისი ბრძანება მალ გაუცუდეს წბილობით; მესამეს თვესა ორთავე მოგზავნეს კაცი ყრილობით: „მობრძანდი შენსავე ტახტზედა, მონა ვართ გეარისშვილობით“.

რა მოვიდენ მოციქულნი და ეს სიტყვა გავგაგონეს, ზოგთა შექმნეს სიხარული, ზოგთ იჭვი რამ მოიგონეს. მაგრამ მე ვსთქვი: ყმათა ჩემთა რად არ თავი დამამონეს? აწ მეფესაც მოახსენეს, მათნი თქმულნი მოაწონეს.

მეფემ ბრძანა: „კარგად ქნილა ამ ამბისა ასრე მოსვლა, მეცა თანა წამოგყვები, აღრე გემართებს იქითა სვლა, დადიანს და გურიელსა მად ვაცნობოთ ჩვენი წასვლა“. ორთავ კაცი გაუგზავნეს, არ ვაცალე მზისა დასვლა.

იგინიცა მალ მობრძანდნენ მათის ჯარით დაკავშულნი, თავს შეედევათ ჩვენი სიტყვა, ვერა ვნახეთ ხანდაზმულნი. შეიყარნეს მუნ სიმრავლე დიდებულნი ცხენთა სმულნი აღარ ვპყონეთ, წამოვედით, ველარც გვენახეს მუნდა სმულნი.

გარდმოვიარეთ ლიხის მთა, ქართლისა სიგარძე ჩავლევით... თვით არაგვამდის თან მომყვეს მეფე და სხვა ბატონები,

ივნიც იქით გაბრუნდეს, მათიც ჯარ-მონატანები.  
არაგვს გამოველ, გამომყვა მამია საროტანები,  
მითხრა თუ: „მათზე მეტი ვჰქენ, მე არაგვს გამომყევანები“.

რა კახეთს ჩაველ, დამიხვდა დამწვარი, გამტვერებული...  
რაც ხამდა მაშინ რიგება ჩვენგან ქვეყნისა ჩვენისა,  
გავარიგეთ და გათავდა მუნ სიმძიმელი წყენისა...

(სტრ. 536—543).

ამავე ამბავს ასე აღწერს ბერი ეგნატაშვილი:

„მიაბარა შააბაზ კახეთი ნოდარ ჯორჯაძესა და დავით ასლანისშვილ-  
სა, და ქართლი იყო უბატონოდ, რამეთუ თავადნი თვისთვისად მხარე-  
სა მთავრობდენ და ბატონობდენ ურთიერთას ივნიც. ხოლო ნოდარ და  
დავით ქნეს ერთგულობა და ჩამოიყვანეს ბატონი თეიმურაზ იმერე-  
თილამ და გააბატონეს კახეთშია. და თანა მოჰყვენენ ბატონს თეიმუ-  
რაზს არაგვის პირამდი გიორგი, იმერეთის მჰყრობელი, დადიანი და  
გურიელი. და რა ჩავიდა ბატონი თეიმურაზ კახეთშია, ესენი გამობ-  
რუნდნენ და წარვიდენ იმერეთს, თვისსა სამყოფსა შინა. და დაჯდა  
ბატონი თეიმურაზ კახეთს და ბატონობდა“ (გვ. 141).

სულ სხვა სიტყვებითაა გადმოცემული ლუარსაბისა და თეიმურა-  
ზის ტრაგედიები „პარიზის ქრონიკაში“. არჩილის თხრობისაგან განსხვავ-  
ებულა ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“.

4. არჩილის „გაბაასების“ მიხედვით შაჰ-აბასმა შეიტყო, რომ თეი-  
მურაზი კახეთში დაბრუნდა, გამძვინვარებულმა იხმო თავისი ალიყუ-  
ლიხან და უბრძანა.

კვლა თეიმურაზ მოსულა, უყურე, თავის ძალობით?  
სრულ ყიზილბაშთა გაახლებ, იარე მუხლად-მალობით.

მილი და წინ გარდაუდგე, შეუკარ კარგად გზებია,  
იმერეთს არ გარდაგასწრას, დაცვე ტყე ანუ გზებია,  
მეც მოვალ აღრე, დავიპყრობთ, ცეცხლით ვჰყოთ ანაგზებია,  
მის ყმას მას უკან სათქმელი რალა აქვს მიზეზებია?...

ალიყულიხან არაგვზე მოვიდა, დაივანებდა,  
კარავს და ოთალს იდგემდა, სხვასა წინ მოივანებდა...

(სტრ. 544—547).

როგორც კი ეს თეიმურაზმა შეიტყო, მოემზადა საომრად და შუაღამისას დაესხა სპარსთ ლაშქარს წიწამურთან; შეიქმნა ფიცხელი ომი, ქართველებმა გაიმარჯვეს, ბერი დახოცეს, ხოლო „გაქცეულნი წიწამურის ღელეს ღრმასა აავსებდა“. გაიგო ეს შაჰ-აბასმა, გაგულსდა და გამოემართა ქართლისაკენ დიდი ლაშქრით, მოაოხრა კახეთი და ფეიქარხანს მიაბარა, თეიმურაზი კი თავისი ამალით კვლავ იმერეთს გადაიხვეწა (სტრ. 544—566).

ამასვე წერს ბერი ეგნატაშვილი: „რა ესმა შააბაზს მოსვლა თეიმურაზისა, განრისხდა, ვითარცა ვეშაპი განძვინებული, და ალიყულიხან წარმოგზავნა მრავლითა ჯარითა და ესე დავედრა, რათა შეუკრას გზები ყოველგნით და არა წარუვიდეს, და თვითცა წარმოემართა, რამეთუ სწადოდა თვით მისვლა იმაზედა და წარვიდა ალიყულისაგან და გაჰკრა არაგუზედა გზები. და, რა ესმა ბატონს თეიმურაზს საქმე ესე, შეიყარა სპა, მოვიდა და დაესხა თავსა წიწამურის ზეით, დაესხა უმსა შუადღისასა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და გამემარჯვნა ბატონს თეიმურაზს დიდად. და მისცა ძლევა და შუადღითგან მოკიდებული ხოცეს თათარნი, ვიდრე ბინდამდე, გამემარჯვა ბატონს თეიმურაზს და კახთა და გააქცივეს. და ესმა ანბავი ესე შააბაზ, და ველარა დაუდგა თეიმურაზ და წარვიდა იმერეთს“ (გვ. 141—142).

ალიყულიხანისა და თეიმურაზის ბრძოლა არაგვზე მოთხრობილი აქვს აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძეს (გვ. 24—25) და მის მიხედვით „პარიზის ქრონიკის“ ავტორს, მაგრამ ისინი არჩილისაგან განსხვავებულ ამბებს გვიყვებიან. აშკარად ჩანს, რომ მათ ბერი ეგნატაშვილი არ იცნობს.

5. საინტერესოდ აღწერს ფარსადან გორგიჯანიძე ამირგუნა ხანის თავდასხმას თეიმურაზის ცოლ-შვილზე:

ცოლ-შვილი თეიმურაზს სამცხის ციხეში ჰყავდა, ერევნის ხანს თაბუნს სულთანს ყაენისთვის უთქვამს: „მე მათი მოსხმა შემიძლიაო“. ყაენს გახარებია და მრავალ წყალობას დაჰპირებია. ციხის ძირას, სადაც დედოფალი იმყოფებოდა, ბალი ყოფილა გაშენებული. იგი „ვარდის ყვავილობის დროს თავისის მხლებლებით ამ ბაღში ჩასულა“. იმ ღამეს დედოფალს სიზმარი უნახავს: თურმე ბალი გველებით აივსო. ყველა მოიწვედა მისკენ საკბენად. ის ციხისკენ წასულა, გველები უკან დასდევნებია, მაგრამ მას შეუსწვრია ციხეში, ხოლო უცბათ ორბები მოფრენილან და გველები დაუტაცნიათ. დედოფალმა გასცა განკარგულება, რომ ყველანი ციხეში შესულიყვნენ. შუალამით ყიზილბაშნი ციხის

კარს მიადგნენ, ციხიანთ კარი არ გაუღეს. გათენებვისას მარბეველი ბაღში შეიჭრნენ და იქაურობა ააოხრეს. მეციხოვნეებმა ზევიდან თოფი და ზარბაზანი დაუშინეს. სროლის ხმა შეიტყო თეიმურაზმა, რომელიც სტამბოლიდან მოემართებოდა. აჩქარდა და, როგორც კი ციხეს მოადგა, ყიზილბაშთ მედგარი ბრძოლა გაუმართა; მალე გაიმარჯვა კიდეც (გვ. 23).

ამ ამბავს ასევე აღწერს „პარიზის ქრონიკის“ ავტორი (გვ. 86—87).

არჩილი არსებითად სხვაგვარად გვიყვება ამბავს, რომელსაც სათაურად უძღვის „აქა გურიიდან საათაბაგოს მოსვლა და იქიდან ხვანთქართან წასვლა. ოლთისს ამირგუნახანისაგან დედოფლის თავს დასხმა და ჯორჯაძის, დედოფლის სახლთუხუცესისაგან, გამარჯვება მათზედა“.

არჩილი წერს:

დედოფალი ოლთისს იდგა და ვინც ახლდეს ბანოვანი,  
თუმც ღარიბად ვის ვეგონეთ, მაგრამ არ გვეყვეს უმცნობანი.  
ტურფანი და დარჩეულნი, ლამაზნი და არ სიდავნი,  
მლოცავნი და ღვთის მოშიშნი, ცუდის საქმით არსად ავნი.

ესე ყველაი შაბაზს მიესმა მართ დასტურობით,  
ერევანს ამირგუნახანს მოსწერა მანაშურობით:  
„იქ თეიმურაზ არ არის, მიუსწარ მტრად, არ სტუმრობით,  
ქალები ვერ შეგებმიან, ვერც დაგხვდენ კაის პურობით.“

ესე უამი ზამთრის იყო, ჩვენ იმედი თოვლის გვექონდა,  
ერევანს და ოლთისს შუა მთებს შეჰკრავსო, ვთქვით ოღონ და.  
ჩვენ ამისა მოიმედეს არც სრულ გული შეგვიღონდა;  
მაგრამ თოვლის გასათხარათ ნოჩბები თურ თან მოჰქონდა.

გარდმოთხარა, სიდაც დახვდა თოვლი ცხენთა დასაყენად,  
მაგრამ ღმერთი მათვე შეიქს მხიარულთა მოსაწყენად.  
უყურეთ თუ, ვითარ ხვდება მათ ჩემი ყმა სისხლთა მდენად.  
მოგახსენებ ამ ამბავთა, ყური უგდე შენ მოსმენად!

დედოფალს სიზმარ ჩვენებით ენახა რაც იქნებოდა,  
დაბლა ქალაქით ციხეში მას ასვლა მონებებოდა,  
ვის ახლდა, თან აეტანა არვისთვის დაენებოდა.  
ვაი, რომ იქ არ ვიყვენით, სცნობდით თუ რა ევენებოდა.

ნოდარ იყო სახლუხუცეს დედოფლისა, განა ჩემი,  
მისანდო და გულითადი, არ თუ ცუდი განაჩემი.

მართალია ეს ამბავი, ნუ გგონია განაჩემი,  
იმასა მწვეთ გაემარჯვა, ივინი ქმნა განაჩემი.

გამარჯვებოდა მას ასრე, მათ მოჰყოლოდა კარამდი,  
ურიათ ჯარიც მშველობდეს იგ რაბანანი კარამდი,  
კვლა ზოგნი წინ გარდაუდგეს, გზა უყვეს განაკარამდი,  
შუბი ვინ ნახოს, გარდვარდის მოსვლამდის, მინაკარამდი.  
(სტრ. 570—576).

ბერი ეგნატაშვილი კვალდაკვალ მიჰყვება არჩილის „გაბაასებას“  
(გვ. 145—147).

6. „გაბაასების“ ერთი თავი ასეა დასათაურებული: „აქა ბატონმა  
თეიმურაზ ლეკის-კახეთის მიხდომა მოინდომა სარუბაშს, და ცხენი  
წაექცა, თვითონ ველარ წავიდა და ზურაბ უთავა ქართველთა და კახ-  
თა, და მიუხდენ“, აქ თეიმურაზი გვიამბობს:

გამიწყრა ოდეს ყაენი, მას მოჰყვა წახეთს ვინ ზისა,  
ალიბეგ სახელდებული, პატრონი სარუბაშისა,  
მისი მომინდა პასუხი, ჩვენება ჩემის რაზმისა,  
მალ შევანანე სიკვდილით მოყოლა შაბაზისა.

ალონში ცხენი წამექცა, თავს მტვერი გარდავიყარე,  
ძალიან დამცა მიწასა, მაჯები ამოვიყარე,  
ველარ შევიძლე ლაშქრობა, ვერ წაველ, ვერ ავიყარე,  
უზარაბ, კახნი და ქართველნი მათად სამტეროდ წაყყარე.

შეიჭრნენ ქართლ-კახელნი წახეთში, მოარბიეს, შეიპყრეს ალიბე-  
გი, მოსჭრეს თავი და თეიმურაზს მოუტანეს (708—713).

ეს ამბავი არც ფარსადან გიორგიანიძესთან არის და არც „პარიზის  
ქრონიკაშია“, ბერი ეგნატაშვილი კი კვალდაკვალ მიჰყვება არჩილის  
თხრობას (გვ. 165).

7. არჩილი თეიმურაზის პირით გვიამბობს, თუ როგორ შენიშნა ზუ-  
რაბ ერისთავს დალატი და განდგომა. თეიმურაზის განაჩენი მკაცრი და  
ულმობელი იყო, თუმცა მწარედ ნანობდა:

ვირე ცოცხალვარ, ვინანი, სამუდმოდ ცრემლი მდისა და...  
რად მოვკალ, ვით შემოვიკალ, შვილის უმჯობე, ძმისა და...

„პარიზის ქრონიკა“ არ აღწერს ზურაბ ერისთავის სიკვდილს, მაგ-  
რამ ბერი ეგნატაშვილი დაწვრილებით გადმოგვცემს თეიმურაზის მიერ  
განდიდებული სიძისადმი შურისძიებას იმგვარადვე, როგორც არჩილი  
გვიყვება:

იგი წერს: „მოუწოდა ბატონმა თეიმურაზ სარწმუნოთა მონათა თვისთა და განუცხადა საიდუმლო გულისა თვისისა... და მოვიდა იგო, იშვებდენ და ლხინობდენ და ვერა აგრძნა ერისთავმა... ხოლო მათ აღი-  
ლეს მახვილები უგრძნობელად ერისთავისა და ინახით მჯდომარესა უღალატეს და მოკლეს“ (გვ. 166).

8. „გაბაასებაში“ თეიმურაზი ამბობს:

ამას უკან გავილაშქრე და მიუხე ულუკოსორს,  
თუ ამირან გაბედვედა, არ უქნია ეს არ ნოსორს.  
სამ დღე შეველე დაღისტანი, ოთხისაგან უფრო მოშორს...

დავსწვი, დავსტეხე, კოსორი, უწინ არვისგან ქნილიყო...  
ნატყვენავი და ალაფი მოის მუხრანსა განიყო,  
ველარ მემტერნეს მას აქათ, მერმე მშვიდობა დამიწყო.

(სტრ. 727—728)

ამავე ლაშქრობას ასე აღწერს ბერი ეგნატაშვილი: „მაშინ ბატონმა თეიმურაზ შემოიყარნა სპანი თვისნი, წარვიდა და მიუხდა ულიკოს-  
ორს ლეკსა, რამეთუ იგინი უხდებოდნენ კახეთს, ავაზაკობდნენ და სვრიდენ კაცთა და ტყუეჰყოფდენ და ჰყიდდენ და ამისათვის შური იძია ბატონმა თეიმურაზ, მიუხდა და გაემარჯვა და მოსრა პირითა მახ-  
ვილისათა ყოველივე მუნ მკუიდრნი. და წარმოვიდნენ მუნითგან მძლე-  
ულნი მტერთანი, შემოიქცეს კახეთს“ (გვ. 167).

საილუსტრაციოდ კიდევ მრავალი შემხვედრი პასაჟის მოხმობა შეი-  
ძლება, მაგრამ, დასკვნისათვის, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულიც საკმარისი იქნება.

ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ძი-  
რითადი წყაროა არჩილის პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთვე-  
ლისა“. ავტორს 1600—1665 წლების ამბების აღწერისას წინ უდევს  
ეს თხზულება და იქიდან იღებს არა მარტო უმთავრეს ისტორიულ  
ფაქტებს თეიმურაზ პირველის ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი  
მოღვაწეობის შესახებ, არამედ ზუსტად იცავს არჩილისეული თხრო-  
ბის თანმიმდევრობასაც, თუმცა ალაგ-ალაგ იგი არჩილის ცნობებს  
აზუსტებს, ურთავს თარიღებს და ამბებსაც ლაკონურად ჰყევბა.

ი. ჯავახიშვილი ბერი ეგნატაშვილის თხზულების შესახებ აღნიშნავ-  
და: „ამ ნაშრომის სხვადასხვა ნაწილის შინაარსი, ერთმანეთისაგან  
ღირსებითაც განსხვავდება, ზოგი, მეტადრე XV საუკუნის ამბების შემ-  
ცველი ნაწილი, დიდი შეცდომებით არის სავსე, ზოგი კი შედარებით

უკეთესად არის მოთხრობილი. უეჭველია, ასეთ შემთხვევაში მოსათხრობი ხანისათვის წყაროების შედარებით სიმცირე-სიუხვესა და ღირსებასაც ჰქონდა მნიშვნელობა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ზოგადად, მეტადრე XVI—XVII სს. ისტორიისათვის ამ ძეგლს თავისი მნიშვნელობა ყოველთვის შერჩება“. მისი ღირსება დიდად დამოკიდებულია არჩილის „გაბაასებაზე“. ბერი ეგნატაშვილს სწორად განუსაზღვრავს, რომ XVII საუკუნის პირველი ნახევრის ამბების აღწერისას უპირატესობა მიუცია „გაბაასებისათვის“, რადგანაც ამ ძეგლში მრავალი დეტალი ზედმიწევნითი სიზუსტითა და სინამდვილით არის აღწერილი.


ამრიგად, არჩილის „გაბაასება“ შესანიშნავი წყაროა ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებისა“ და ორივე ლიტერატურული ძეგლი უკვდავი მატრიანეა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის.

გ უ რ ჯ ა ა ნ ი

წიგნი „ქართლის ცხოვრება“

გაშაღე... ყველა ფურცელი  
არის ფოლადის ნაცარი,  
დამსხვრეულ ხმალთა ჟღერიალი,  
დევეკაცთა ნამამაცარი.  
გაშაღე... ყველა ფურცელი  
გულზე ნაწოლი ლოდია...  
დოლბანდიანი ჯარები  
სიკვდილის პირით მოდიან.  
შავი დროშები ნისლივით  
სამშობლოს დაეფინება,  
ხმალს სისხლის ორთქლი აუვა,  
სიკვდილით დაიკბინება...  
საკლავად გაემზადება  
ციხე-გალავნის თხრილები,  
ქალი და ბავშვი აწყვია  
კოშკიდან გადმოყრილები.  
ისმის ტყვეების უღვივილი,  
კვამლში ბლავიან ხარები...  
ქერქებგახდილი ხეები  
დამწვარი ნასახლარები...  
და რაც თმას ყალყზე აყენებს,  
რაც მწარედ გვემახსოვრება,  
ქართლის მკვლელობის ძველ ამბებს  
უწოდეს „ქართლის ცხოვრება“.





**ივანე  
ლოლაშვილი**

გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, შთა რუსთაველის სახე-  
ლობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ძველი  
ქართული ლიტერ. ურის განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოლო-  
გიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ალექსანდრეს ძე  
ლოლაშვილი.

დიდმა სამამულო ომმა დიდხანს მოწვევია თავის მოწოდებას. იგი  
ფართო ინტერესების, უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარია. ავტორია  
რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან 25-მდე  
ცალკე წიგნად არის გამოქვეყნებული. მისი უპირველესი და უმთავ-  
რესი შესწავლის ობიექტი ძველი ქართული მწერლობა იყო. იზი-  
დავდა დიდი თემები, რთული პრობლემური, საკითხები. შეისწავლა და  
ცალკე წიგნებად გამოსცა ჩასრუხადისა და შავთელის უაღრესად  
რთული სახოტბო თხზულებანი, იოანე პეტრიჩისა და არსენ იყალ-  
თოელის შემოქმედებითი ბიოგრაფიები. რუსთაველისა და თამარის  
ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, რუსთაველის მსოფლმხედველო-  
ბისა და ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები. მონაწილეობდა ა. შა-  
ნიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით მომზადებული ვეფხისტყაოსნის  
ვარიანტებთან გამოცემის ტექსტის დადგენაში. სამი წიგნი უძღვნა  
მსოფლიოს მეცნიერთათვის ისეთ საინტერესო და სადავო პრობლე-  
მას, როგორცაა უდიდესი საეკლესიო თეორიტიკოსისა და მწერლის  
ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და მესხეთე საუკუნის გამოჩენილი  
ქართველი საზღვარგარეთელი მოღვაწის პეტრე იბერიელის ვინაობას.

უდიდესი ამაგი დასდო სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ ბაგრატიონის და მრავალ სხვათა ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოცემის საქმეს. დააარსა სერია „ძველი ქართული ფილოსოფიური ძეგლები (ტექსტები და ძიებანი)“.

თავკამოდებით იღვწოდა სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის. იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოსა და სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის წევრი.

ივ. ლოლაშვილი წიგნის ტრფიალი იყო. მან დიდი ძალა და ენერჯია შეაღია ქართული წიგნის სამსახურს. აქტიურად მონაწილეობდა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქმიანობაში, იყო კრებული „მწიგნობარის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი რედაქტორის მოადგილე. საზოგადოების დავალებით დაწერა და გამოაქვეყნა პატარა წიგნი „ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან“, ბუკლეტები „გ. ლეონიძე“, „სულხან-საბა ორბელიანი“ და „შუშანიკის წამება“. მოამზადა და მალე დღის სინათლეს იხილავს სათანადო მეცნიერული აპარატით შემკობილი „შუშანიკის წამების“ მინიატურული გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე.

ივ. ლოლაშვილი იყო საზოგადოებაში წიგნის ლექციური პროპაგანდის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საზოგადოების სახალხო უნივერსიტეტის „წიგნის“ რექტორი. მან არაერთი გასვლითი ლექცია ჩაატარა ქართული წიგნის, ძველი ქართული ლიტერატურული კერების, ძველ ქართველ მწიგნობართა შესახებ.

1984 წლის 12 მაისს, იმ საბედისწერო დღესაც ასეთი გასვლითი ლექცია ჰქონდა „დავით გარეჯში“. იგი შესანიშნავად იცნობდა ამ გარემოსა და მის ისტორიას, პირველხარისხოვანი გამოკვლევები უძღვნა აქაურ ლიტერატურულ სკოლას.

...და მას შემდეგ, როცა ლექცია დაასრულა და ადგილზე აცნობდა მსმენელებს შორეულ ისტორიულ ამბებს, ეს საოცრად დინჯი და აუჩქარებელი კაცი, ყველასგან მოულოდნელად, ღრმა ქვაბულში გადაიჩხა....

ივანე ლოლაშვილის სახელს ღირსეულად შეინახავს. მისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა და ის სიკეთე, რომელსაც იგი ყოველდღიურად თესავდა ჩვენს შორის.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების  
რესპუბლიკური გამგეობა

## შინაარსი

1. პოლ ლაფარგი, კარლ მარქსი და წიგნი (რუსულიდან თარგმნა პელო ლე-ლეყვამ)	5
---	---

### წიგნი და ცხოვრება

აღ. დლონტი, ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეული	13
პარტიული ხელმძღვანელობის ძალა	34
გივი გეწაძე, შეხვედრა წიგნის გმირებთან	44
გიგი ხორნაული, ჩირაღდანი მათაა მაღალთა	58

### ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები

აღექსანდრე ბარამიძე, ქართულ ხელნაწერთა ფონდების წარსულიდან	65
ლარისა ხუბულური, რა განძი ჰქონია	69
ოთარ მეოტიშვილი, წიგნით ნაშენი რწმენის კედელი	79
ნუგზარ თოდრია, საჯარო ბიბლიოთეკის წარსულიდან	88
მარინე გოგბაიძე, თელავის ბიბლიოთეკა 100 წლისაა	103
ბორის სადოვსკი, წიგნისმოყვარულის აღსასრული (თარგმნა ფერიდე კვაქან-ტირაძემ)	115

### წარსულის ფურცლები

ლევან მენაბდე, რუსთაველი რუსულ ლიტერატურაში	127
გიორგი პაიჭაძე, მეგობრობის მატანე	150
ლელია ნანიტაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	172
იოსებ ლორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი—რედაქტორ-გამომცემელი	190
შოთა რევიშვილი, არტურ ლაისტი და ქართული წიგნი	206
ბონდო არველაძე, „ჩვენო მრავალსაუკუნოვანო ძმანო“	222

ძიებანი

გივი მიქაძე, გრიგოლ ხანძთელის პორტრეტი . . . . .	239
ბორის დარჩია, ვახტანგ მეექვსე და მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ . . . . .	244
იზოლდა ჭიკაიძე, არჩილის „გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ და ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ . . . . .	259

ლიქსები

გალაქტიონ ტაბიძე, წიგნი . . . . .	57
გადამწერზედ თქმული . . . . .	102
ღვით გარეჯის უდაბნოსადმი შეწირული . . . . .	114
მინაწერი ხელნაწერ წიგნზე . . . . .	123
ათორმეტნი ხელოვანი ბერძენთა სწავლულებისანი . . . . .	124
სიბრძნეზედ თქმული . . . . .	205
ძალი სიტყვისა . . . . .	236
გიორგი ლეონიძე, წიგნი „ქართლის ცხოვრება“ . . . . .	272

СОДЕРЖАНИЕ

Поль Лафарг, Карл Маркс и книга (перевод с русского П. Гелекв). 5

А. А. Глонти, Двенадцатитомник грузинской народной поэзии. [Обзор двенадцатитомного издания корпуса грузинской народной поэзии, выпущенного Отделом фольклористского Института истории грузинской литературы АН ГССР, под редакцией М. Я. Чиковани] 13

Сила партийного руководства [беседа с председателем правления Цхалтубской районной организации ДОК ГССР о работе районной организации по пропаганде книги. Беседу вел О. Гочелашвили] 34

Г. Гецадзе, Встреча с героями книги. [О Варламе Кублашвили, герое книги В. Росина «Товарищ старшина» и Ираклие Арсенидзе («грузинский Мересьев») — герое книги Е. Довбыша «Геройство батальонного командира] 44

Г. Хорнаули, Светоч гор высоких [О празднике книги, проведенном в высокогорном районе Грузии (Хевсурети-Барисахо)]. 58

А. Барамидзе, Из прошлого грузинских рукописных фондов. [О концентрации грузинских рукописей в Институте рукописей АН ГССР]. 65

Л. Хубулури-Татишвили, Каким обладает сокровищем [О библиотеке Вахтанге Натенадзе] 69

О. Меотишвили, Вера, утвержденная книгой [О библиотеке-музее жителя г. Батуми Гурама Кахидзе] 79

Н. Тодрия, Из прошлого публичной библиотеки [История организации Республиканской библиотеки ГССР]. 88

М. Гогбаидзе, Телавской библиотеке 100 лет. [О прошлой и сегодняшней деятельности Телавской городской библиотеки]. 103

Б. Садовский, Конец ниголюба. (перевод с русского Ф. Квачантирадзе). 115

Л. Менабде, Руставели в русской литературе (XIX в.). [О переводах и изданиях на русский язык поэмы Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре»]. 127

Г. Пайчадзе, Летопись дружбы. [О культурно-государственном сближении Грузии с Россией]. 150

Л. Наниташвили, Георгий Картвелишвили [О меценате и издателе первого иллюстрированного текста поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» изд. в 1888 г. с иллюстрациями венгерского художника М. Зичи] 172



И. Лордкипанидзе, Иосеб Гришашвили, как редактор и издатель [О редакторской и издательской деятельности народного поэта Грузии И. Гришашвили]	190
Ш. Ревишвили, Артур Лейст и грузинская книга [О литературном творчестве и писательской деятельности немецкого писателя Артура Лейста в Грузии].	206
Б. Арвеладзе, «Братья наши давнишние» [О литературной деятельности армянского поэта О. Туманяна в Тбилиси, переводах его произведений на грузинский язык].	222
Г. Микадзе, Портрет Григола Хандзтели. [О портретном изображении писателя X века Григола Хандзтели из грузинской рукописи, выполненном А. Месхишвили]	239
Б. Дарчия, Вахтанг VI и «Чашники» Мамука Бараташвили . . .	244
И. Чикаидзе — «Спор Теймураза с Руставели» Арчила второго и «Новая летопись Грузии» Бери Эгнаташвили. [Об использовании историком Б. Эгнаташвили произведения Арчила второго]	259

### ПОЭТИЧЕСКАЯ РУБРИКА

Г. Табидзе, Книга . . . . .	57
О переписке книги . . . . .	102
«Гулани», даренное Лавре «Давида Гареджи» . . . . .	114
Надпись на рукописной книге . . . . .	123
О двенадцати искусствах греческой учености . . . . .	124
О мудрости . . . . .	205
Сила слова . . . . .	236
Г. Леонидзе, Книга «Летопись Картли» . . . . .	272



Добровольное общество любителей  
книги Грузинской ССР

МЦИГНОБАРИ—83

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1984

გამომცემლობის რედაქტორი ე. ტრიპოლსკი  
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა  
კორექტორი მ. ხვედელიძე  
გამომშვები მ. წივწივაძე

გადაეცა წარმოებას 28.11.83. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.06.84.  
საბეჭდი ქალაქი ოფსეტი 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. გარნიტური ვენა. ბეჭდვის  
ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16,27. პირ. საღ. გატ. 16,27.  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 14,03. ტირაჟი 15.000. შეკვ. № 434  
ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჯავახი-  
ვაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государст-  
венного комитета Грузинской ССР по делам издательств, по-  
лиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7

ალმანახ „მწიგნობარის“ ავტორთა  
საყურადღებოდ!

სარედაქციო კოლეგია გთხოვთ სტატიები გამოგზავნოთ ორ ეგზემპლარად, ნორმატივების შესაბამისად დაბეჭდილი.

ტექსტის ყველა ციტატი დამოწმებული უნდა იყოს წყაროებით.

საილუსტრაციო მასალა გამოგზავნეთ ორ ეგზემპლარად ზომით 13×18 მმ.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი რუსთაველის გამზირი 42, საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა.

ტელ.: 93-12-89; 93-49-57; 99-96-09.



